

**აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

ქეთევან დოღონაძე

რეზუმენცია რობორტ ტეხტობრივი ფენომენი და

რობორტ ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა

(ე. ჰემინგუეის მცირე პროზის ქართულ თარგმანთა ანალიზის საფუძველზე)

10.02.04 – გერმანიკული ენები

დისერტაცია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაკრებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მადონა მეგრელიშვილი

ქუთაისი

2010

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	4
თავი I - რეფერენცია როგორც ლინგვოსემიოტიკური კონცეპტი თანამედროვე ლინგვისტიკაში და მისი ანთროპოცენტრისტულ- ლინგვოკულტუროლოგიური გადააზრების აუცილებლობა	
1.1. რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ხედვის ზოგადი დახასიათება -----	17
1.1.1. რეფერენციის ფენომენის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის პირველი დროითი კოორდინატი -----	22
1.1.2. რეფერენციის ფენომენის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის მეორე დროითი კოორდინატი -----	27
1.1.3. რეფერენციის ფენომენის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის მესამე დროითი კოორდინატი -----	34
1.2. თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია და რეფერენციის პრობლემა -----	36
1.3 ლინგვისტური პრაგმატიკის შინაგანი კავშირი ტექსტის ლინგვისტურ თეორიასთან და რეფერენციის პრობლემა -----	42
1.4. სახელი როგორც ენობრივი ფენომენი და მისი კავშირი რეფერენციის ფენომენტთან	
1.4.1. სახელი ზოგადი ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით -----	46
1.4.2 სახელი „სემანტიკურ სამკუთხედზე“ დაყრდნობით -----	47
1.4.3. სახელის კავშირი ჩვენების ფენომენტთან -----	48
1.5 რეფერენცია როგორც ლინგვისტური პრობლემა თანამედროვე პარადიგმული სიტუაციით განსაზღვრულ პერსპექტივაში -----	48
თავი II ინტერსუბიექტურობის პრაგმატიკული პრინციპი და რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი: რეფერენტულობის ველი და რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე	

2.1. დეტერმინაცია როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია: რეფერენტულობის მეტაკატეგორიის სტატუსის განსაზღვრის პირველი წინაპირობა _____	50
2.2. დეიქსისი როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია: რეფერენტულობის მეტაკატეგორიის სტატუსის განსაზღვრის მეორე წინაპირობა _____	64
2.3. ნომინალური ჯგუფის ზოგად ტექსტობრივი ფუნქცია და რეფერენცია	
2.3.1. ტექსტის თემა-რემატული სტრუქტურა _____	74
2.3.2. ტექსტის კატეგორიალური სტრუქტურა და ნომინალური ჯგუფის მაკონსტიტუირებელი როლი ამ სტრუქტურის ფარგლებში _____	81
2.4. სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა სისტემა და ტექსტის „ზმნური სტრუქტურა“: რეფერენციის როგორც ნომინალური კატეგორიის მიმართება ტექსტის „ზმნურ სტრუქტურასთან“ -----	88
2.5. ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურა და რეფერენცია როგორც მეტაკატეგორია _____	94
2.6 ტექსტის ჰორიზონტალური სტრუქტურა და რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი _____	99
2.7 რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი და რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე	
2.7.1. რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ინტეგრალური კონცეპტუალური ხატის აგების ამოცანა -----	110
2.7.2. რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი ზოგად თეორიული თვალსაზრისით -----	113
თავი III ნარატიული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა როგორც თეორიული კონსტრუქტი და მისი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი თარგმანის თეორიაზე დაყრდნობით	

3.1. ველი, ბადე და მათი ურთიერთმიმართება ნარატიულ მხატვრულ ტექსტში	
3.1.1. რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის კვლევის ეტაპების განსაზღვრა	124
3.1.2. ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა როგორც თეორიული კონსტრუქტი	125
3.2. ნარატიული მხატვრული ტექსტის რეფერენტული ბადე: მისი კონცეპტუალიზაცია და მოდელირება როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა	
3.2.1. რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე და თანამედროვე ნარატოლოგია	128
3.2.1. კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი უკვე მიღებულ შედეგთა ახლებური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით	134
3.3. რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ტექსტობრივი ხედვა და ამ ხედვის მრავალასპექტურობა: პრობლემის ნარატოლოგიური, ტიპოლოგიური და მთარგმნელობით-თეორიული ასპექტები	135
3.4. რეფერენციის პრობლემა ენობრივ უნივერსალიათა და ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით	138
3.5. რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი თარგმანის ტექსტო-ცენტრისტული თეორიის თვალსაზრისით	140
დასკვნა	177
ბიბლიოგრაფია	180
დანართი	186

შესავალი

1. სადისერტაციო ნაშრომის თემა და პრობლემა

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ენობრივი ფენომენს, რომელიც იწოდება „რეფერენციად“ და რომელიც თავისი მნიშვნელობით ორგანულად უკავშირდება ენობრივი სინამდვილის თანამედროვე აღქმასა და გააზრებას ამ აღქმისა და გააზრების ორივე ძირითადი ასპექტის მიხედვით. ვგულისხმობთ, ერთის მხრივ, იმ ფაქტს, რომ ენის თანამედროვე გაგება ნიშნავს მის **სემიოტიკურ** გაგებას ე. ი. იმას, რომ ენა (იგულისხმება, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ვერბალური ენა) მისი არსებობისა და ფუნქციონირების ყველა ასპექტში წარმოადგენს **ნიშანთა სისტემას**; მეორეს მხრივ კი იგულისხმება ის ფაქტი, რომ ენობრივი სინამდვილე თანამედროვე გაგებით წარმოადგენს **დიქტომიურ** ფენომენს და ამგვარი დიქტომიურობა, როგორც ცნობილია, პირველ რიგში გულისხმობს ენის როგორც ფენომენის ბიპოლარულობას – მის მოცემულობას **ენობრივი სისტემისა და დისკურსის** სახით. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ დღეს, ანუ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების იმ ეტაპზე, როცა ეს აზროვნება უკვე საუკუნეებრივ განვითარებასაც გულისხმობს, საკმარისი აღარ არის ზემოთ აღნიშნული მისი ორი პარადიგმული განზომილების უბრალო დასახელება; არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ყველა იმ თეორიულ-მეთოდოლოგიური ცვლილებებისა, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკამ განიცადა, ზემოთ ხსენებული მისი ორი განზომილება (ის, რომ ლინგვისტიკას საქმე აქვს **ნიშნობრივ** ფენომენტთან და რომ ეს ფენომენი წარმოდგენილია **დიქტომიურად**), მთლიანად ინარჩუნებს თავის პარადიგმულ სტატუსს.

მაგრამ, ჩვენთვის, ბუნებრივია, მთავარი უნდა იყოს არა თანამედროვე ლინგვისტიკის ზემოთ ხსენებულ პარადიგმულ სტრუქტურაზე მითითება, არამედ იმ შინაგანი და – როგორც შემდგომში ვნახავთ – **ღრმად პრობლემური** კავშირის ხაზგასმა, რომელიც არსებობს ამ პარადიგმულ სტრუქტურასა და იმ ენობრივ ფენომენს (ანუ რეფერენციას) შორის, რომელიც წარმოადგენს ჩვენს საკვლევ თემას. ვფიქრობთ, **ამგვარი** კავშირის არსებობაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მოვიყვანთ რეფერენციის თუნდაც ორ დეფინიციას – პირველს, რომელიც თარიღდება 1990 წლით და მეორეს, რომელიც უკვე 10

წლის შემდეგ – 2001 წელს იქნა შემოთავაზებული. პირველის მიხედვით, „რეფერენცია წარმოადგენს აქტუალიზირებულ (ანუ მეტყველებაში ჩართულ) სახელთა, ნომინალურ გამოთქმათა (ნომინალურ ჯგუფთა) ან მათ ექვივალენტთა დაკავშირებას სინამდვილის ობიექტებთან (რეფერენტებთან, დენოტატებთან) (Арутюнова 1990:411). მეორეს მიხედვით კი „რეფერენციის პროცესი წარმოადგენს მეტყველების ერთეულთა (პირველ რიგში არსებით სახელთა და ნომინალურ ჯგუფთა) როგორც დაკავშირებას ექსტრალინგვისტურ სინამდვილესთან, ისე ამ დაკავშირების შედეგს (Кронгауз 2001:321). როგორც ვხედავთ, მიუხედავად გარკვეული განმასხვავებელი ნიუანსებისა, ორივე ეს დეფინიცია მართლაც ექსპლიციტურად თუ არა იმპლიციტურად მაინც შეიცავს შინაგან კავშირს თანამედროვე ლინგვისტიკის იმ ინვარიანტულ პარადიგმულ სტრუქტურასთან, რომელიც ზემოთ იქნა ნახსენები; და ეს ის კავშირია, რომელიც ვლინდება ამ დეფინიციათა შემდეგ სტრუქტურულ მომენტებში:

- 1) თვით ამგვარად განსაზღვრული ფენომენის **ნომინაციაში**: როგორც ვიცით, ტერმინებს „რეფერენცია“ და „რეფერენტი“ აზრი არა აქვთ სემიოტიკის გარეშე და, შესაბამისად, გულისხმობენ არა უბრალოდ არსებით სახელს ან ნომინალურ ჯგუფებს, არამედ მათ უკავშირებენ ვერბალურ ნიშანთა გარკვეულ ტიპსა და კლასს. აქედან გამომდინარე, ეს ის მომენტიც, რომლითაც რეფერენცია არსებითად და სიღრმისეულად უკავშირდება ენის სემიოტიკურ პარადიგმას;
- 2) მაგრამ რეფერენცია ამ დეფინიციათა მიხედვით ასევე სიღრმისეულად და არსებითად უკავშირდება ენობრივი სინამდვილის დიქოტომიურობასაც, რადგან ლაპარაკია იმის შესახებ, რომ რეფერენციად მიიჩნევა ვერბალურ ნიშანთა გარკვეული ტიპის (სახელდობრ, ნომინალურ ჯგუფთა) „დაკავშირება“ ექსტრალინგვისტურ სინამდვილესთან, ანუ ის ცენტრალური მომენტი ხსენებული სინამდვილის არსებობაში, რომელიც გულისხმობს მისი ერთი პოლუსიდან (სისტემიდან) მეორეზე (დისკურსზე) გადასვლას, ე.ი. გულისხმობს ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას.

აქვე უნდა ითქვას, რომ, როგორც კარგად ცნობილია, „რეფერენცია“ როგორც ტერმინი მიუთითებს ისეთ ლინგვოსემიოტიკურ კონცეპტზე, რომელიც თავისი გენეზისითა და შინაარსით ეკუთვნის თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემურ-სემიოტიკურ პარადიგმას, ანუ იმ პარადიგმას, რომელიც როგორც ქრონოლოგიურად, ისე თეორიულად და მეთოდოლოგიურად წინ უსწრებს უფრო

გვიანდელ, სახელდობრ ანთროპოცენრისტულ-კომუნიკაციურსა და ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი დეფინიცია ჯერ კიდევ არსებითად უცვლელი რჩება, რითაც დასტურდება მისი სიღრმისეული და არსებითი კავშირი მთელ თანამედროვე ლინგვისტურ თეორიასთან.

ფიქრობთ, წინა აბზაცებში განვითარებული მსჯელობით დავასახელოთ – რა თქმა უნდა, ძალიან ზოგადად და მხოლოდ მისი ძირითადი კონტურების მინიშნებით – ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის **თემა**. შესაბამისად, შეიძლება ითქვას: როგორც არ უნდა იყოს “რეფერენციალ” წოდებული ენობრივი ფენომენის ჩვენეული პრობლემური გააზრება, იგი შეინარჩუნებს ხსენებულ ძირითად კონტურებს და, ალბათ, იმ სიღრმისეულ კავშირსაც თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებასთან, რომელსაც ამგვარი თემა გულისხმობს ზემოთ მოცემული განმარტებების მიხედვით.

მაგრამ ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ საკვლევი თემის „სიღრმისეული კავშირი თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებასთან“, უკვე თავისთავად გულისხმობს მის იმპლიციტურ და ამავე დროს სიღრმისეულ **პრობლემურობასაც**. და რაში მდგომარეობს ეს იმპლიციტური პრობლემურობა? როგორ უნდა მოხდეს ამ იმპლიციტურობის ექსპლიკაცია?

გამოვეყოფთ ამ ექსპლიკაციის, ანუ რეფერენციის როგორც ლინგვოსემიოტიკური კონცეპტის პრობლემურობის იმ ასპექტებს, რომელთა ერთობლიობამ უნდა განსაზღვროს მთელი ჩვენი შემდგომი კვლევის შინაარსი და მიმართულება. ეს ასპექტებია:

1) როგორც რეფერენციის ზემოთ მოყვანილმა დეფინიციებმა გვიჩვენა ეს ენობრივი ფენომენი ორგანულად უკავშირდება **სახელს** როგორც ვერბალურ ნიშანთა ისეთ ტიპს, რომლის გარეშე შეუძლებელია ენობრივი რეალობა წარმოვიდგინოთ მის ზემოთ ხსენებულ ორივე პოლუსზე – როგორც სისტემის, ისე დისკურსის დონეზე. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ რეფერენციის როგორც ფენომენის კონცეპტუალიზაციის პრობლემა ვერ განიხილება იმ **პარადიგმული დინამიკის** გათვალისწინების გარეშე, რომელიც დამახასიათებელი იყო და არის თანამედროვე ლინგვისტიკისათვის მისი არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმ შინაარსობრივი ინვარიანტულობისა, რომელზეც მეტყველებს რეფერენციის როგორც ფენომენის დეფინიცია, მისი კონცეპტუალიზაცია

აუცილებლად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული იმ პარადიგმულ ტრანსფორმაციებზე, რომლებსაც უწყვეტად განიცდის თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება. როგორც ცნობილია, შესაძლებელია (და აუცილებელიცაა) თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკა დაიყვანოს შემდეგი სამი პარადიგმის ურთიერთმონაცვლეობაზე – ესენია: **სისტემურ-სემიოტიკური, ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიული** პარადიგმები. და რამდენად არის ასახული რეფერენციის თანამედროვე კონცეპტში ეს პარადიგმული დინამიკა? იმ დეფინიციებში, რომლებიც ჩვენ მოვიყვანეთ წინამდებარე შესავლის დასაწყისში, ასახულია – როგორც უკვე ითქვა – სტრუქტურული შესაბამისობა თვით ლინგვისტური აზროვნების ინვარიანტთან. მაგრამ ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ნებისმიერი ინვარიანტის არსებობას აზრი და მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არა მხოლოდ ვლინდება მისთვის დამახასიათებელ ვარიაციათა „ჯაჭვით“, არამედ იმ შინაგანი **ვექტორითაც**, რომლითაც ხასიათდება ვარიაციათა ხსენებული „ჯაჭვი“. მოცემულ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ხსენებული „ჯაჭვი“ წარმოდგენილია უკვე დასახელებული პარადიგმული დინამიკით და იმ ვექტორით, რომლითაც ეს დინამიკა ხასიათდება: როგორც ვიცით, თანამედროვე ლინგვისტიკა ვითარდება სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმიდან ლინგვოკულტუროლოგიურისაკენ. შესაბამისად, შეგვიძლია დავასახელოთ რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის კონცეპტუალიზაციის პირველი და, ჩვენის აზრით, ფუძემდებელი პრობლემა: უნდა აიგოს რეფერენციის ისეთი ლინგვოკულტუროლოგიური კონცეფცია, რომლის ფარგლებში რეალიზებულ იქნება მისი სისტემურ-სემიოტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ ინტერპრეტაციათა სინთეზი. თუ დავაკონკრეტებთ ნაგულისხმევ პრობლემას, მაშინ მივიღებთ მის შემდეგ ფორმულირებას: როგორ წარმოვიდგინოთ იმ აზრობრივ-ლოგიკურ ტრანსფორმაციათა სისტემა, რომელიც უნდა განიცადოს რეფერენციის ცნებამ თანამედროვე ლინგვისტიკაში იმ პარადიგმული დინამიკის გავლის შედეგად, რომელიც ამ ლინგვისტიკისთვის იყო დამახასიათებელი? მაგრამ, რა თქმა უნდა, დასმული კითხვა გულისხმობს იმ ქვეკითხვებსაც, რომლებიც შეესაბამება თვით ხსენებული პარადიგმული დინამიკის ცალკეულ ეტაპებს:

ა) როგორია ის აზრობრივი ტრანსფორმაცია, რომელიც უნდა განიცადოს რეფერენციის კონცეპტმა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში?

ბ) როგორია ის აზრობრივი ტრანსფორმაცია, რომელიც უნდა განიცადოს საკვლეპმა კონცეპტმა ლინგოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში?

გ) და როგორ უნდა წარმოვიდგნოთ ის მიმართება რომელიც უნდა იგულისხმებოდეს აღნიშნულ ქვეკითხვებზე გაცემულ პასუხებს შორის?

როგორც ვხედავთ, რეფერენციის კონცეპტით ნაგულისხმევ პრობლემას ჩვენ ვსვამთ მთელი თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკის გათვალისწინებით და ამ დინამიკაზე დაყრდნობით.

2) წინა აბზაცში განსაზღვრულ იქნა რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ლინგოკულტუროლოგიური კონცეპტუალიზაციის პრობლემა მის **დიაქრონიულ ასპექტში**. მაგრამ არსებობს პრობლემის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტიც, რომელიც, რა თქმა უნდა, ორგანულად უკავშირდება დიაქრონიულს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უპირატესად ატარებს **სინქრონიულ** ხასიათს – ვგულისხმობთ რეფერენციის როგორც ფენომენის შინაარსობრივ ანუ **კატეგორიალურ** ასპექტს. შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ ასპექტს აქვს გამოვლინების ორი მოდუსი: პირველი მოდუსი ვლინდება იმით, რომ რეფერენციაზე როგორც ფენომენზე და პრობლემაზე მსჯელობისას თითქმის მუდამ ხსენებულია ორი ისეთი ენობრივი ფენომენი, როგორცაა **არტიკლი და დეიქსისი**; და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ცნობილია, ორივე ხსენებული ფენომენი ფლობს საკუთარ კატეგორიალურ სტატუსს: არტიკლის შემთხვევაში ესაა დეტერმინაციის კატეგორია, დეიქსისის შემთხვევაში კი ესაა ჩვენების (მითითების) ენობრივი ფუნქცია.

პრობლემურობის მეორე მოდუსი კი მდგომარეობს იმაში, რომ იმ შემთხვევებშიც, როცა არტიკლი და დეიქსისი განიხილება, ასევე, როგორც წესი, ნახსენებია მათი ფუნქციის რეფერენციალური ასპექტები. ნაშრომის პირველ თავში, რომელიც ჩვენი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტს მიეძღვნება, მთლიანად დავრწმუნდებით ნათქვამის სისწორეში და, რაც მთავარია, გავიცნობიერებთ იმასაც, თუ რა განაპირობებს ხსენებული ფაქტის შინაგან პრობლემურობას: მიუხედავად ხსენებული სამი ენობრივი კატეგორიის – რეფერენციის, დეტერმინაციისა და დეიქსისის – თითქმის მუდმივად ერთ კვლევით კონტექსტში მოქცევისა, დღემდე არ არის კონცეპტუალურად

გააზრებული ის შინაგანი ლოგიკური, ფუნქციური და სტრუქტურული კავშირი, რომელიც შესაძლებელს და გარდუვალსაც კი უნდა ხდიდეს ამგვარად მათ ერთ კვლევით კონტექსტში მოქცევას. როგორ უნდა განისაზღვროს ხსენებული შინაგანი კავშირი ისე, რომ ემპირიულად უკვე „ჩამოყალიბებული“ ცნებითი ტრიადა ბოლომდე იქნას გააზრებული **კატეგორიალური ტრიადის** სახით? როგორც ვიცით, სამივე ხსენებული ფენომენი – არტიკლიც, დეიქსისიც და რეფერენციაც – განუყრელად უკავშირდება **სახელს** და ამ წმინდა ემპირიული ფაქტით უკვე მინიშნებულ უნდა იყოს ის **ლოგიკური** კავშირიც, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს შესაბამის (და საძიებ) კატეგორიალურ ტრიადას. თუ გავითვალისწინებთ რეფერენციის იმ სტატუსს, რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს ზემოთ მოყვანილი დეფინიციებიდან, შეიძლება, ალბათ, გამოვთქვათ შემდეგი ჰიპოთეზა: ხსენებული ცნებითი ტრიადა ხასიათდება შინაგანი **იერარქიით**: მის ფარგლებში დომინანტური სტატუსი აქვს რეფერენციას, დეტერმინაცია და დეიქსისი კი წარმოადგენენ რეფერენციის ფუნქციურ-სტრუქტურულ განზომილებებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოცემული კატეგორიალური ტრიადის ფარგლებში რეფერენცია უნდა მოვიაზროთ იმ **მეტაკატეგორიად**, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მისდამი დაქვემდებარებული ამ ორი კატეგორიის არსებობა.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ეს არის ჯერ-ჯერობით ჩვენი ჰიპოთეზა და სწორედ ამ ჰიპოთეზის ფორმულირებით მივუთითებთ რეფერენციის პრობლემის იმ ასპექტზე, რომელსაც წინა პრობლემისაგან განსხვავებით „სინქრონიული“ ანუ „ლოგიკურ-კატეგორიალური“ ვუწოდეთ.

3) არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩვენის აზრით, რეფერენციის პრობლემის ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება ენობრივი სინამდვილის დიქტომიურობას, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხსენებული სინამდვილის ბიპოლარულ ხასიათს – მის „დაყოფას“ ენად და მეტყველებად (სისტემად და დისკურსად). როგორც უკვე ითქვა, თანამედროვე ლინგვისტიკაში რეფერენციის ფენომენი და, შესაბამისად, რეფერენციის კონცეპტიც ორგანულ კავშირშია ენის ლინგვოსემიოტიკურ კონცეფციასთან, ეს უკანასკნელი კი აუცილებლად გულისხმობს ენობრივ ფენომენტთა სტრუქტურულად განსხვავებულ არსებობას ორ დონეზე – **სისტემისა და დისკურსის** (შესაბამისად – ტექსტის) - დონეებზე. ზემოთ ლაპარაკი გვქონდა რეფერენციაზე როგორც მეტაკატეგორიზე, რომელიც ქვეკატეგორიათა სახით უნდა მოიცავდეს დეტერმინაციისა და დეიქსისის

კატეგორიებს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს – ასეთია კატეგორიათა არსებობის მოდუსის ის ხედვა, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე ფუნქციური ლინგვისტიკა – რომ სისტემის დონეზე ენობრივი კატეგორია უნდა არსებობდეს, ერთის მხრივ, **ფუნქციურ-სემანტიკური** კატეგორიის, მეორეს მხრივ კი ამ კატეგორიის შესაბამისი **ველის** სახით; და რაც შეეხება ნებისმიერი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის არსებობის მოდუსს დისკურსის (ტექსტის) დონეზე: როგორც ტექსტის ლინგვისტიკის ბოლო წლების განვითარებამ გვიჩვენა, ყოველი ფუნქციურ-სემანტიკური ველი დისკურსის დონეზე იღებს შესაბამისი **ტექსტობრივი ბადის** სახეს. რა სახით წარმოგვიდგება რეფერენტულობა როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ენის სისტემაში და როგორ გამოიყურება მისი ველი სისტემის დონეზე? თუ არ დავივიწყებთ იმ, ჩვენი აზრით, უკვე შეჭველ ფაქტს, რომ რეფერენტულობა ქვეკატეგორიების სახით გულისხმობს როგორც დეიქსისს, ისე დეტერმინაციას, მაშინ, ალბათ, ცხადი გახდება როგორც ზემოთ დასმულ კითხვათა სერიოზულობა, ისე მათზე გასაცემი პასუხის სირთულეც. ვფიქრობთ, არანაკლები პრობლემურობით უნდა ხასიათდებოდეს კითხვა იმის თაობაზეც, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე იმ შემთხვევაში, თუ დავიწყებული არ იქნება რეფერენტულობის როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ზემოთ ხაზგასმული სტრუქტურა.

4) პრობლემურობის ზემოთ ხაზგასმულ ასპექტებს უშუალოდ უკავშირდება ასპექტი, რომელსაც სინთეზური ხასიათი აქვს და, შესაბამისად, ერთდროულად დაკავშირებულია როგორც ტექსტის ლინგვისტიკასთან, ისე ტექსტოცენტრისტულად ორიენტირებულ თარგმანის თეორიასთან: თუ ენობრივი სისტემის აქტუალიზაციის შემთხვევაში რეფერენტულობის ენობრივი ველი გარდუვალად უნდა გარდაიქმნეს შესაბამის ტექსტობრივ ბადედ, მაშინ იგივე გარდუვალობით დაისმის კითხვა: რა სახეს მიიღებენ ის მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, რომლებსაც ადგილი უნდა ჰქონდეთ ერთი ენის რეფერენტული ტექსტობრივი ბადის მეორე ენის ტექსტობრივ ბადედ ტრანსფორმაციის შემთხვევაში? ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ამგვარად დასმული კითხვა განსაკუთრებულ აქტუალურობას შეიძენს იმ შემთხვევაში თუ საქმე გვაქვს თარგმნის პროცესში „მონაწილე“ ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენებთან.

2. პრობლემასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები

ზემოთ გამოყვავით რეფერენციის ფენომენთან დაკავშირებული პრობლემის ის ოთხი ასპექტი, რომელთა ფორმულირება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების და მთელი თანამედროვე ლინგვისტური აზროვნებისათვის დამახასიათებელი **პარადიგმული სიტუაციის** გათვალისწინებით მოხდა. როგორც ვნახეთ, ხსენებულ პრობლემას თან ახლავს **მრავალგანზომილებიანობა**, რომლის გათვალისწინებით უნდა დაისვას შემდეგი კონკრეტული კვლევითი ამოცანები:

- 1) დანახულ იქნას, როგორ კონკრეტულ სახეს იძენს რეფერენციის პრობლემა თანამედროვე ლინგვისტიკის განსხვავებულ პარადიგმათა ფარგლებში და, შესაბამისად, როგორ ხდება (უფრო სწორად კი – როგორ უნდა ხდებოდეს) ხსენებული პრობლემის **კონცეპტუალური ტრანსფორმაცია** თანამედროვე ლინგვისტიკის **პარადიგმული დინამიკის** გათვალისწინებით;
- 2) დაისვას კითხვა ზემოთ ფორმულირებული ამოცანის თანახმად იმის თაობაზე, როგორ უნდა გაემიჯნოს და შესაბამისად დაუკავშირდეს ერთმანეთს რეფერენციის ენობრივი ფენომენის სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული ასპექტები;
- 3) დაისვას კითხვა იმის თაობაზე, როგორ უნდა იქნას ლინგვოკულტუროლოგიულად გააზრებული რეფერენციის პრობლემურ ასპექტთა ზემოთ ხსენებული ერთობლიობა;
- 4) დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან რეფერენციის პრობლემის დასმისა და გადაჭრის ორი პერსპექტივა – ეგოცენტრისტული და ინტერსუბიექტური - და, შესაბამისად, როგორი უნდა იყოს პრობლემის ჩვენეული სინთეზური ხედვა;
- 5) დაისვას კითხვა იმის თაობაზე, როგორ უნდა იქნეს გააზრებული თარგმანის ლინგვისტური თეორია, თუ რეფერენციის ზემოთ დასახელებულ პრობლემათა გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ თარგმანის ამგვარი თეორია უნდა ატარებდეს **ტექსტოცენტრისტულ** ხასიათს;
- 6) დაისვას კითხვა თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკიდან გამომდინარე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დღეისათვის დომინანტურ პარადიგმად წარმოგვიდგება ლინგვოკულტუროლოგიული პარადიგმა, როგორი უნდა იყოს რეფერენციის პრობლემის საკუთრივ

ლინგვოკულტუროლოგიული ფორმულირება. უნდა გულისხმობდეს თუ არა პრობლემის ამგვარი ფორმულირება სხვა არსებულ და შესაძლო ფორმულირებათა სინთეზს? და იმ შემთხვევაში, თუ ამ კითხვაზე დადებით პასუხს გავცემთ, როგორ უნდა გამოიყურებოდეს კონცეპტუალური თვალსაზრისით ხსენებული სინთეზი?

3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია მთლიანად გამომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომის იმ სამი პრობლემური განზომილების ფორმულირებიდან, რომლებიც ზემოთ იქნა მოცემული. ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგია ეყრდნობა, ერთის მხრივ, ენის თანამედროვე ლინგვოსემიოტიკური ხედვის **ორ ინვარიანტულ** ასპექტს, მეორეს მხრივ კი, იმ **პარადიგმულ დინამიკას**, რომლითაც ხასიათდება ხსენებული ლინგვოსემიოტიკური აზროვნება. როგორც ვიცით, პირველი ამ ასპექტთაგან გულისხმობს როგორც ენის გამჭოლად სემიოტიკურ გააზრებას, ისე მის შინაგან დიქტომიურობას. სწორედ ამ დიქტომიურობის გათვალისწინებით ვიყენებთ მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს რეფერენციის ფენომენის პრობლემურ განხილვას როგორც სისტემურ, ისე ტექსტობრივ დონეზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს ინტერდისციპლინურ მიდგომას. შესაბამისად, ნაშრომში გამოყენებულია ზოგადი და კერძო (ინგლისური) ენათმეცნიერების, კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ლინგვისტური პრაგმატიკის, ტექსტის ლინგვისტიკის, დისკურსისა და თარგმანის თეორიების ფარგლებში შემუშავებული მიდგომები, რაც შესაძლებლობას იძლევა წარმოჩინდეს ჩვენთვის საინტერესო ლინგვისტური ფენომენის მრავალგანზომილებიანი ბუნება როგორც პარადიგმატულ, ისე სინტაგმატურ ჭრილში.

4. კვლევის სიახლე

ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ჩასატარებელი კვლევის სიახლე უნდა დაუკავშირდეს იმ ოთხ პრობლემურ ასპექტს, რომლებითაც ხასიათდება რეფერენცია როგორც საკვლევი თემა. მიუხედავად პრობლემის ხსენებულ ასპექტებს, რითაც თავისთავად ხაზი გაესმის კვლევით სიახლესაც:

- 1) ჩვენი კვლევის პირველი და ფუძემდებელი სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ არ მომხდარა – ყოველ შემთხვევაში ექსპლიციტური და თანმიმდევრული სახით – რეფერენციის პრობლემის ინტერპარადიგმული, ანუ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების პარადიგმულ დინამიკაზე დაფუძნებული კვლევა. ეს რომ ასეა, გამომდინარეობს რეფერენციის როგორც ფენომენის იმ დეფინიციებიდან, რომლებიც არსებობენ თანამედროვე ლინგვისტიკაში და რომლებიც მთელი თავისი შინაარსით ატარებენ ერთდროულად უკიდურესად აბსტრაქტულ და სტატიკურ ხასიათს. როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ ითქვა, ჩვენი კვლევით შევეცდებით რეფერენციის კონცეპტუალიზაციის ფარგლებში სწორედ აღნიშნული სტატიკურობის გადალახვას;
- 2) ასევე ითქვა, რომ რეფერენციის არსებული ხედვა ხასიათდება შემდეგი კატეგორიალური გაურკვეველობით: იგი ფუნქციური თვალსაზრისით გამუდმებით უკავშირდება დეიქსისისა და დეტერმინაციის ფენომენებს, მაგრამ იმ შიდაკატეგორიალური კავშირის განსაზღვრის გარეშე, რომლებიც თეორიულად უნდა ამართლებდეს ხსენებულ ფუნქციურ ურთიერთდაკავშირებას. ჩვენი კვლევის მეორე და, ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანი სიახლე უნდა მდგომარეობდეს სწორედ იმაში, რომ სავარაუდოდ გადალახულ იყოს ხსენებული თეორიული გაურკვეველობა;
- 3) თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება, როგორც ითქვა, თავის ერთ-ერთ მიზნად ისახავს იმ სტრუქტურული და ფუნქციური ურთიერთმიმართების განსაზღვრას, რომელიც უნდა არსებობდეს ენობრივ სისტემასა და მისი აქტუალიზაციის შედეგად მიღებულ დისკურსს (ტექსტს) შორის. ითქვა ისიც, რომ ამ ზოგადი მიზნის ერთ-ერთ გამოხატულებად მიჩნეულ უნდა იქნეს იმ კორელაციათა გამოვლენა, რომელიც უნდა იგულისხმებოდეს ენის სისტემაში არსებულ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა და იმ ტექსტობრივ ბადეთა შორის, რომლებიც დისკურსის პროცესში მათი აქტუალიზაციის შედეგად მიიღება. ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ჩასატარებელი კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: ვცდილობთ დავინახოთ და დავადგინოთ რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიასა და რეფერენტულობის ტექსტობრივ ბადეს შორის კორელაცია.

4) ასევე ვფიქრობთ, რომ ჩვენი კვლევის სრულიად ახალ მომენტად უნდა მიხნეულ იქნეს არა მხოლოდ რეფერენციის როგორც ტექსტობრივი კატეგორიის განხილვა, არამედ ისიც, რომ მისი ამგვარი განხილვა გაგრძელებას და გაღრმავებას ჰპოვებს თარგმანის თანამედროვე თეორიაზე დაყრდნობით. ხსენებული სიახლის მეთოდოლოგიურ საყრდენად კი გამოვიყენებთ თარგმნილ ტექსტთა შეპირისპირებით ანალიზს.

5. ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის თეორიული მნიშვნელობა მთლიანად გამომდინარეობს როგორც კვლევითი მიზნებიდან, ისე იმ მეთოდოლოგიიდან, რომელსაც კვლევა ეყრდნობა. როგორც შესავლის დასაწყისშივე ავლნიშნეთ, რეფერენცია როგორც კონცეპტი ეკუთვნის თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემურ-სემიოტიკურ პარადიგმას და იმ პარადიგმული დინამიკიდან გამომდინარე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-20 საუკუნის ლინგვისტიკაში საჭიროებს შინაარსობრივ და ფუნქციურ გადააზრებას ერთის მხრივ **ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური**, მეორეს მხრივ **ლინგვოკულტუროლოგიული** თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ რეფერენციის კონცეპტის ამგვარი, ანუ პარადიგმული გადააზრება როგორც მიზანი და ამოცანა წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად და **პრინციპულ** სიახლეს, რომელიც დაკონკრეტებულია როგორც მეთოდოლოგიური ისე მეთოდური თვალსაზრისით: **მეთოდოლოგიურ სიახლეს** წარმოადგენს კვლევის **ინტერდისციპლინარული** მიმართულება, **მეთოდურს** კი ის ფაქტი, რომ ინტერდისციპლინარული კვლევა რეალიზებულია ა) რეფერენციის ჯერ ტექსტოცენტრისტული ინტეგრაციით, ბ) ხოლო ხსენებული ტექსტოცენტრისტულობა როგორც თეორიული ვარაუდი ემპირიულად ვერიფიცირებულია, ერთის მხრივ, თარგმანის თეორიაზე, მეორეს მხრივ კი თარგმნილ ტექსტთა შეპირისპირებით ანალიზზე დაყრდნობით,

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა კი მდგომარეობს იმაში, რომ მისი შედეგები შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული საუნივერსიტეტო კურსების აგებისას. ასეთ კურსებად შეიძლება წარმოვიდგინოთ: „ენათმეცნიერების შესავლი“ – იმდენად, რამდენადაც ენის სემიოტიკური განსაზღვრისას აუცილებელია რეფერენციის ცნების გამოყენება;

„თანამედროვე ლინგვისტიკის პრობლემები“ – რომლის ფარგლებშიც აუცილებლად განხილული და შინაარსობრივად დაკონკრეტებული უნდა იქნას ამ ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკა; „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა“, რომლის ფარგლებში აუცილებელი ხდება „ნომინალური ჯგუფის“ ისეთი სინტაქსური ასპექტების რეფერენციის ცნებასთან დაკავშირება, როგორცაა დეტერმინაციისა და დეიქსისის კატეგორიები; „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, რომლის ფარგლებში გარდუვალად ისმის თარგმნილი ტექსტის თარგმნის ექვივალენტურობის პრობლემა და ხდება ამ პრობლემის დაკავშირება რეფერენციის ცნებასთან.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი

ნაშრომის სტრუქტურასა და მოცულობას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები. დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავის და დასკვნითი ნაწილისაგან (სულ 179 გვერდი). მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია. დანართის სახით თან ახლავს საილუსტრაციო ემპირიული მასალა.

შესავალში განიხილება სადისერტაციო ნაშრომის თემა, პრობლემა, აქტუალობა, კვლევის მეთოდოლოგია და სიახლე, ასევე ნაშრომის მიზნები და ამოცანები, მისი მეცნიერული სიახლე და თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

ნაშრომის პირველ თავში („რეფერენცია როგორც ლინგვოსემიოტიკური კონცეპტი თანამედროვე ლინგვისტიკაში და მისი ანთროპოცენტრისტულ-ლინგვოკულტუროლოგიური გადააზრების აუცილებლობა“) განიხილება რეფერენციის როგორც საკვლევი ფენომენის კონცეპტუალური შინაარსი და ამ შინაარსის სავარაუდო მიმართება თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკასთან.

ნაშრომის მეორე თავში („ინტერსუბიექტურობა როგორც პრაგმატიკული პრინციპი და რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი: რეფერენტულობის ველი და რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე“) განიხილება რეფერენციის როგორც ფენომენის ფუნქციონირება როგორც დისკურსში, ისე ტექსტში, ასევე

რეფერენციის როგორც მეტაკატეგორიის მიმართება დეიქსისისა და დეტერმინაციის კატეგორიებთან და ტექსტის ჰორიზონტალურ და კომპოზიციურ სტრუქტურებზე დაყრდნობით წარმოდგენილია რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი.

ნაშრომის მესამე თავში („ნარატიული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა როგორც თეორიული კონსტრუქტი და მისი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი თარგმანის თეორიაზე დაყრდნობით“) წინა თავებში მიღებული თეორიული შედეგები ვერიფიცირებულია ინგლისურენოვან მხატვრულ-ნარატიულ ტექსტთა ქართულ თარგმანთან შეპირისპირების გზით. რეფერენტულობის ბაღე, რომელიც შინაარსობრივი თვალსაზრისით ექვივალენტურად არის სტრუქტურირებული, ორიგინალურ და თარგმნილ ტექსტებში გაანალიზებულია ე. ჰემინგუეის მოთხრობათა ქართულ თარგმანებთან შეპირისპირების საფუძველზე.

ნაშრომის **დასკვნით** ნაწილში განზოგადებულია კვლევის ძირითადი შედეგები, რომლებიც, იმედია, დაადასტურებენ კვლევის მიმართულების, მისი პრობლემატიკისა და არჩეული მეთოდოლოგიის მართებულებას.

თავი I

რეფერენცია როგორც ლინგვოსემიოტიკური კონცეპტი თანამედროვე ლინგვისტიკაში და მისი ანთროპოცენტრისტულ- ლინგვოკულტუროლოგიური გადააზრების აუცილებლობა

1.1 რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ხედვის ზოგადი დახასიათება

როგორც „შესავალში“ იყო მინიშნებული, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პრობლემათა იმ კომპლექსის გამოყოფა და კვლევა, რომელიც უკავშირდება ისეთ ლინგვოსემიოტიკურ კონცეპტს, როგორცაა **რეფერენციის** კონცეპტი. აქედან გამომდინარე, მოცემული თავის I პარაგრაფი მიეძღვნება იმის ზოგად დახასიათებას, თუ როგორ არის გაგებული რეფერენციის კონცეპტი თანამედროვე ლინგვისტიკაში და, რაც მთავარია, როგორ უკავშირდება იგი რეფერენციას როგორც ენობრივ ფენომენს. მხოლოდ იმის შემდეგ, რაც შევძლებთ ამ კონცეპტის არსებული გაგების მაქსიმალურად სრულ დახასიათებას და იმის ჩვენებას, თუ როგორაა გაგებული მისი საკუთრივ **ლინგვისტური** სტატუსი, საჭიროდ და შესაძლოდ მივიჩნევთ განვსაზღვროთ რეფერენციის პრობლემისადმი ჩვენი საკუთარი მიდგომის არსი როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.

სანამ შევუდგებით ზემოთ დასახული ამოცანის შესრულებას, ე. ი. შევეცდებით იმის ზოგადი კონტურების მოხაზვას, თუ როგორ არის დანახული რეფერენციის არსი თანამედროვე ლინგვისტიკაში, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ რეფერენციის პრობლემასთან დაკავშირებულ იმ თავისებურებას, რომელიც, ჩვენის აზრით, სიღრმისეულად უკავშირდება მისი ადეკვატურად გაგებისა და გადაჭრის შესაძლო პერსპექტივას. ამავე დროს საგულისხმოდ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ ჩვენს მიერ მინიშნებულ თავისებურებაზე ლაპარაკობს რეფერენციის როგორც კონცეპტისა და ფენომენის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტიური მკვლევარი – ნ. არუთიუნოვა. მისი აზრით, „ტერმინს „რეფერენცია“ ვერ შევხვდებოდით ლინგვისტურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ. ენათმეცნიერები არამც თუ არ იყენებდნენ, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არც კი იცნობდნენ მას. ამჟამად კი ამ ტერმინმა მტკიცედ დაიკავა ადგილი ლინგვისტიკაში” (Арутюнова 1982:12). რაზე მეტყველებს ეს ციტატა? ჩვენის აზრით, იგი მეტყველებს რეფერენციის როგორც

ლინგვისტური პრობლემის თანამედროვე მდგომარეობისა და კვლევის პერსპექტივის შემდეგ სამ მნიშვნელოვან ასპექტზე:

- 1) პირველი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ ტერმინი „რეფერენცია“ თავისი გენეზისით ეკუთვნის არა ლინგვისტიკას, არამედ აზროვნების მისგან განსხვავებულ მიმართულებას, სახელდობრ ფილოსოფიური ლოგიკის გარკვეულ სფეროს;
- 2) მაგრამ, მიუხედავად თავისი არალინგვისტური წარმოშობისა, ხსენებულმა ტერმინმა ლინგვისტური სტატუსი შეიძინა უკვე ციტირებული კრებულის გამოცემის წლისათვის, ანუ 1982 წლისათვის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უკვე ამ პერიოდისათვის ამ ტერმინით აღნიშნული ფენომენი ცალსახად და უპირობოდ მიეკუთვნებოდა არა მხოლოდ ლოგიკურ, არამედ **ენობრივ** ფენომენტა რიცხვს;
- 3) რაც შეეხება ჩვენს მიერ მოყვანილი ციტატით ნაგულისხმევ მესამე ასპექტს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი, ჩვენი აზრით, არა მხოლოდ სცილდება ფაქტთა უბრალო კონსტატაციის საზღვრებს, არამედ ატარებს ღრმად **პრობლემურ** ხასიათს და აუცილებლად უნდა იქცეს რეფერენციის კონცეპტის არსებული ლინგვისტური ხედვისადმი **კრიტიკული** მიდგომის საფუძვლად: თუ, როგორც ციტატაშია ნათქვამი, „რეფერენციაში“ როგორც ტერმინმა „მტკიცედ დაიკავა ადგილი ლინგვისტიკაში“, მაშინ ამ ტერმინით ნაგულისხმევი პრობლემატიკისადმი უნდა ხორციელდებოდეს ჭეშმარიტად **ლინგვისტური მიდგომაც**, ანუ ისეთი მიდგომა, რომელიც განპირობებული უნდა იყოს არა მხოლოდ ხსენებული „მტკიცე ადგილით“, არამედ იმ **პარადიგმული სიტუაციითაც**, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება თავისი განვითარების ბოლო სტადიაზე, ანუ სწორედ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე. ჩვენ, რა თქმა უნდა, შევეცდებით მაქსიმალური ადეკვატურობით განვახორციელოთ პრობლემისადმი ის კრიტიკული მიდგომა, რომელიც განპირობებულ უნდა იყოს ორივე ზემოთ ხსენებული მომენტით – როგორც რეფერენციის ფენომენის საკუთრივ ენობრივი არსით, ისე ლინგვისტიკისთვის დღეისთვის დომინანტური პარადიგმული სიტუაციით – მაგრამ, ბუნებრივია, მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სრულად გვექნება თვალწინ რეფერენციის პრობლემის ლინგვისტური ხედვის არსებული სურათი.

რაც შეეხება ტერმინს „რეფერენცია“ ის ინგლისური ზმნიდან to refer არის ნაწარმოები და „რაც ობიექტისადმი მიმართებას“, „რაიმეს გულისხმობას“ ნიშნავს. რეფერენცია ლინგვისტურ ელემენტებსა, და არალინგვისტურ სამყაროს (ადამიანები, საგნები, ადგილები, სიტუაციები, რომლებიც ენობრივი სისტემის გარეთ მდებარეობენ) შორის კავშირს წარმოადგენს. ენობრივი გამონათქვამების მიერ აღნიშნულ ობიექტს რეფერენტი ეწოდება. ხოლო ენობრივ გამონათქვამს, რომელსაც რეფერენტი აღნიშნავს, „რეფერენტული გამონათქვამი“ (Cruse 2000).

ჩვეულებრივ რეფერენცია შეზღუდულია კონკრეტული სიტუაციით. მაგალითად:

- ა) I saw the Prime Minister.
- ბ) /UK:1989 Margaret Thatcher/1996 John Major/1997 Tony Blair.

ზოგჯერ რეფერენცია არ არის დაკავშირებული ფრაზასთან, არამედ მოიცავს ლექსიკური გამონათქვამების შესაძლო რეფერენტთა კლასს, რომელსაც იქსტენცია ან დენოტაცია ეწოდება. აქედან გამომდინარე, როდესაც მეტყველი სუბიექტი (ადრესატი) გამონათქვამს იყენებს, ის მის მნიშვნელობას სამყაროში არსებულად წარმოადგენს, მაგალითად,

- ა) I didn't see anyone.
- ბ) Nobody came.

რაც შეეხება არარეფერენტულ გამონათქვამებს, ზოგჯერ მათ აღმნიშვნელს (designating) უწოდებენ. მათი ტიპური მაგალითებია: არტიკლები, დამხმარე ზმნები, ზელსართავი სახელები, ზმნები, ზმნისზედები, ზოგჯერ სახელადი ფრაზები და დამხმარე წინადადებებიც კი.

ერთი და იგივე ლინგვისტური გამონათქვამები სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება როგორც რეფერენტულად, ისე არარეფერენტულად გამოვიყენოთ, ასე მაგალითად:

- ა) The Primer Minister made a statement to the press.(რეფერენტული)
- ბ) Tony Blair is the Prime Minister. (არარეფერენტული)
- ა) John is a good friend. .(რეფერენტული)
- ბ) There is no John here. (არარეფერენტული)

ჟ. განდელის მიხედვით არსებობს რეფერენციის რამდენიმე ტიპი:

- 1) პირველ ტიპს წარმოადგენს მუდმივი/ცვალებადი რეფერენცია (დეიქსისი), მაგალითად,
 - a. She has gone to Peru;
 - b. I haven't sailed on Lake Como.

2) მეორე ტიპი – სინგულარული (ინდივიდებისადმი მიმართული/ზოგადი) - ინდივიდთა კლასისადმი მიმართული. თავის მხრივ ზოგადი ორ ტიპად იყოფა: ა) დისტრიბუტული (მაგალითად, each individual) და ბ) კოლექტიური (მაგალითად, as a set).

რაც შეეხება სინგულარულს, ავტორი აქაც ორი ჯგუფს გამოყოფს: ა) განსაზღვრული (სავარაუდოდ ადრესატის მიერ ამოცნობადი) და ბ) განუსაზღვრელი (სავარაუდოდ ადრესატის მიერ ამოუცნობადი);

3) მესამე ტიპის ანუ განსაზღვრული რეფერენტების საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენენ საკუთარი სახელები, განსაზღვრული დესკრიფციები, ნაცვალსახელები (თუმცა, ყველა ნაცვალსახელი არ არის რეფერენტული), მაგალითად, John is tall; The man in the corner; My mother's brother; he/she/you.

4) ხოლო მეოთხე ტიპი – განუსაზღვრელი რეფერენტები თავის მხრივ ორი ქვეჯგუფისაგან შედგება ა) სპეციფიკური (კონკრეტული X) და ბ) არასპეციფიკური (ნებისმიერი X, ვისაც დესკრიფცია შეეფერება), მაგალითად:

Bond wants to buy a painting by van Gogh.

5) განსაზღვრული სახელადი ფრაზების რეფერენტული/ატრიბუტული გამოყენება რეფერენტის მესხეთე ტიპს წარმოადგენს. რეფერენტულად ითვლება რეფერენტი, როცა მეტყველი სუბიექტი კონკრეტულ ადამიანს გულისხმობს, ხოლო ატრიბუტულად, როცა დესკრიფცია ნებისმიერს შეიძლება შეეფერებოდეს, მაგალითად,

- a. Smith's murderer is insane;
- b. The strongest man in the world can lift at least 450 pounds;
- c. Anna is looking for the head-waiter.

6) მეექვსე – გენერიკული რეფერენტების ტიპში სამი სახეობა გამოიყოფა:

ა) განსაზღვრული არტიკლით განსაზღვრული, მაგალითად:

The lion is a fierce animal. (It can kill even if it is not hungry)

ბ) განუსაზღვრელი არტიკლით განსაზღვრული, მაგალითად:

- a. A dog is more loyal than a cat.
- b. A typical dog is more loyal than a typical cat.
- c. There is a typical dog. There is a typical cat.

გ) და არამარკირებული გენერიკული რეფერენტები, მაგალითად, Cigarettes cause lung cancer.

ხოლო რაც შეეხება არარეფერენტული სახელად ფრაზებს, ჯ. განდელის მიხედვით არსებობს მათი შემდეგი ოთხი ტიპი:

- 1) უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სახელადი ფრაზები, რომლებიც ან ამტკიცებენ, ან გულისხმობენ რეფერენციის არ არსებობას, მაგალითად,

There are no nuts left.

- 2) ის, რომლის რეფერენტი ფრაზის წარმოთქმის დროს არ არსებობს, მაგრამ, რომელმაც მოგვიანებით შეიძლება იარსებოს, მაგალითად,

You should bake a cake for his birthday.

- 3) ის, ვისი რეფერენტი შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს ადრესატის თვალსაზრისით, მაგალითად,

Is there any meal for me?

- 4) ის, რომელიც რაღაც ჯგუფის არასპეციფიკურ ქვეჯგუფზე მიუთითებს, მაგალითად:

Any dog will get upset if you kick it. (Gundel 1993)

რეფერენტული და არარეფერენტული გამონათქვამებისა და მათი ტიპების განხილვის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კვლავ დავუბრუნდეთ რეფერენციის როგორც კონცეპტის პრობლემას. იქედან გამომდინარე, რომ უკვე დიდი მნიშვნელობა მივანიჭეთ ამ პრობლემის საკუთრივ ლინგვისტური ხედვის დიაქრონიულ ასპექტს, ანუ იმ ფაქტს, რომ ხსენებული ხედვა დამკვიდრდა დაახლოებით ბოლო სამი ათეული წლის ფარგლებში, შევეცდებით თვით ეს ხედვა „მოვათავსოთ“ ასევე დიაქრონიულ ჩარჩოებში შემდეგი გაგებით: რეფერენციის პრობლემის ჩვენეული ხედვა დაეყრდნობა მისი კვლევის დროით კოორდინატებად გააზრებულ შემდეგ სამ ეტაპს:


- 1) როგორი იყო რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ხედვა გასული საუკუნის მეორე ნახევარში?
- 2) როგორი იყო (ან უფრო ზუსტად როგორია) აღნიშნული ფენომენის ხედვა ახალი საუკუნის დასაწყისში?
- 3) როგორი უნდა იყოს ეს ხედვა, თუ ა) რეფერენციას აღვიქვამთ როგორც ჭეშმარიტად ენობრივ ფენომენს და ბ) და თუ ხსენებული ფენომენის გააზრება დაეყრდნობა იმ კრიტერიუმს, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია ერთადერთ ადეკვატურ კრიტერიუმად, ანუ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების აქტუალურ და დომინანტურ პარადიგმულ სიტუაციას?

1.1.1. რეფერენციის ფენომენის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის

პირველი დროითი კოორდინატი

სანამ კონკრეტულად განვიხილავთ იმას, თუ როგორ აღიქმებოდა და განისაზღვრებოდა რეფერენციის ფენომენი და, შესაბამისად, როგორ გაიაზრებოდა რეფერენციის კონცეპტი თანამედროვე ლინგვისტიკაში, საჭიროდ მიგვაჩნია არა უბრალოდ მოვახდინოთ ხსენებული “დროითი კოორდინატების” ფარგლებში რეფერენციის ხედვათა რეფერირება, არამედ კოორდინატთა ამ თანმიმდევრობაში დავინახოთ ჩვენთვის საინტერესო ფენომენის კონცეპტუალიზაციისკენ მიმართული გარკვეული ვექტორი. როგორია ეს ვექტორი? ჩვენის აზრით, რეფერენციის კონცეპტმა (თუ ამ კონცეპტს ლინგვისტური თვალსაზრისით განვიხილავთ) გაიარა შემდეგი ეტაპები:

- 1) პირველ ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ ტერმინ „რეფერენციის“ ის გაგება, რომელიც დამახასიათებელი იყო ოგდენისა და რიჩარდსისათვის, ანუ იმ ლინგვისტებისათვის, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ენობრივი ლექსიკის სემიოტიკურ გააზრებას და რომლებიც, შეიძლება, მიჩნეულ იქნან სიტყვის მნიშვნელობის გამომხატველი იმ “სამკუთხედის” ავტორებად, რომლის საშუალებით პირველად მოხდა ამ მნიშვნელობის ლინგვოსემიოტიკური მოდელირება. როგორც ცნობილია, სემანტიკური სამკუთხედი შემდეგნაირად გამოიყურება:



(Степанов 1975:9)

როგორც ვხედავთ, სემანტიკური სამკუთხედის დახასიათება ხდება ისე, რომ არ ხდება ორი ტერმინის – დენოტატისა და რეფერენტის – მნიშვნელობათა გამიჯვნა, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ჯერ კიდევ ის ეტაპია, როცა ჯერ კიდევ სრულიად „დაფარულია” რეფერენციასთან დაკავშირებული ის მნიშვნელოვანი პრობლემატიკა, რომლის განხილვა და გააზრება მოგვიხდება ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჯ. ლაიონზის მიერ გამოთქმული აზრი. იგი წერს: „ოგდენი და რიჩარდსი ხმარობენ ტერმინს „რეფერენტი” გარე სინამდვილის იმ ნებისმიერი ობიექტისა თუ სიტუაციის (state of affairs) აღსანიშნავად, რომელიც იდენტიფიცირებულია რომელიმე სიტყვისა და გამოთქმის საშუალებით, ხოლო ტერმინს „რეფერენციას” იყენებენ იმ ცნების აღსანიშნავად, რომელიც „შუამავლობს” სიტყვას ან გამოთქმასა და რეფერენტს შორის” (Lyons 1977:175). როგორც ვხედავთ, ტერმინი „რეფერენცია” ამ შემთხვევაში გამოყენებულია მაქსიმალურად ფართო მნიშვნელობით: შეიძლება ითქვას, რომ იგი შერწყმულად ფარავს ისეთ სემანტიკურ ტერმინთა დღეისათვის მკაფიოდ გამიჯნულ მნიშვნელობებს, როგორცაა სიგნიფიკაცია, დენოტაცია და თვით რეფერენცია. ნათქვამის დასადასტურებლად კვლავ მივმართავთ ჯ. ლაიონზის უკვე ციტირებულ ნაშრომს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხსენებული ავტორებისათვის არსებობდა მხოლოდ ერთი განსხვავება, სახელდობრ „სიტყვათა და გამოთქმათა რეფერენციასა და იმას შორის, რასაც ოგდენი და რიჩარდსი „ემოციურ მნიშვნელობას” უწოდებენ (ანუ, „დღევანდელი” ენით რომ ვთქვათ, კეთდებოდა განსხვავება მხოლოდ რეფერენციასა და კონოტაციას შორის - ქ. დ.) (იქვე).

ზემოთ ხსენებული დროითი კოორდინატის მეორე ეტაპად უნდა მივიჩნიოთ ტერმინ „რეფერენციის” ისეთი ლინგვოსემიოტიკური ინტერპრეტაცია, როცა მისი მნიშვნელობისათვის განმსაზღვრელი ხდება კავშირი გარე სამყაროსთან. შეიძლება ითქვას, რომ უკვე იკვეთება ის მნიშვნელობა, რომელიც მისთვის არსებითად დამახასიათებელი ხდება უახლესი წარმოშობის ლინგვისტურ ლიტერატურაში, თუმცა ამავე დროს ამ ეტაპისათვისაც აღსანიშნავია ორი ისეთი მომენტი, რომლებიც ნათლად მიუთითებენ შემდეგ ფაქტზე: ტერმინ „რეფერენციას” ჯერ კიდევ ვერ „მოუნახავს” თავისი ადგილი ლინგვოსემიოტიკის ტერმინოლოგიურ სისტემაში. ეს ორი მომენტი:

ა) ჯერ კიდევ არ ჩანს (ყოველ შემთხვევაში მკაფიოდ არ ჩანს) განსხვავება რეფერენციასა და დენოტაციას (შესაბამისად კი რეფერენტსა და დენოტატს) შორის. როგორც დღეისათვის კარგად ცნობილია, დენოტატი ისევე მოიაზრება ექსტრალინგვისტური სინამდვილის კუთვნილებად, როგორც რეფერენტი, ხოლო რეფერენციასთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემატიკა უკავშირდება სწორედ ამ ორ ლინგვოსემიოტიკურ ცნებათა შორის არსებულ განსხვავებას.

ბ) ამ ეტაპზეც ტერმინი „რეფერენცია“ კვლავ იხმარება უაღრესად ფართო მნიშვნელობით იმ თვალსაზრისით, რომ იგი შეიძლება ერთნაირად მიესადაგოს სიტყვათა ნებისმიერ კლასს – როგორც სახელს, ისე ზმნას და ა. შ. როგორც ვხედავთ, ხსენებულ ეტაპზე ხდება ჩვენთვის საინტერესო ტერმინის მნიშვნელობის ლინგვისტური დაკონკრეტება, მაგრამ ამ დაკონკრეტების დონე ჯერ კიდევ შორსაა რეფერენციის პრობლემისათვის დღეისათვის დამახასიათებელი აქტუალურობისგან.

იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევისათვის ფუძემდებელი და განმსაზღვრელი უნდა იყოს სწორედ ის ადგილი, რომელიც „რეფერენციას“ უკავია (ან უნდა ეკავოს) ლინგვოსემიოტიკურ ტერმინოლოგიურ ველში და, ბუნებრივია, ამ ადგილით განსაზღვრული პრობლემატიკა, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ნათქვამის დამადასტურებელი ციტატები 1995 წელს გამოცემული ლინგვისტური ენციკლოპედიიდან. ამ ციტატათა მნიშვნელობა განისაზღვრება უკვე იმით, რომ ისინი ასახავენ თანამედროვეობის ცნობილ ლინგვისტთა პოზიციას და ამავე დროს მიეკუთვნებიან სწორედ ხსენებულ პერიოდს.

როგორ გამოიყურება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების წამყვან წარმომადგენელთა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი წარმოდგენა რეფერენციაზე? ლიპკას მიხედვით, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოგიდგენს სერლის (Searle) პოზიციას, „რეფერენცია არის ენობრივი აქტი, რომლის საშუალებით მეტყველ პირს შეუძლია წარმატებით მოახდინოს ამა თუ იმ ექსტრალინგვისტური ობიექტის ან რეფერენტის იდენტიფიცირება და ასევე შეუძლია ამ იდენტიფიცირების შესახებ შეატყობინოს მსმენელს“ (Spakauer 1995:370).

ჟ. ლაიონზის მიხედვით რეფერენცია უნდა გავიგოთ როგორც „მიმართება გამონათქვამსა და იმ რეალობას შორის, რომელსაც ეს გამონათქვამი წარმოადგენს თავის ფარგლებში“ (იქვე).

მ. პოლიდეის მიხედვით რეფერენცია წარმოადგენს „იმ საშუალებას, რომელზე დაყრდნობით ინგლისურ ენაში იქმნება კოჰეზია. ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთში წარმოდგენილი ესა თუ ის აქტანტი, ან გარემოების აღმნიშვნელი ელემენტი შეიძლება აღქმულ იქნას როგორც მიმართება იმასთან, რაც მას შემდეგ მოყვება. ყველაზე უფრო მარტივ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ ტექსტში კვლავ ჩნდება იგივე რეალობა, მაგ. Where is the boy that looks after the sheep? He is under the haystack, fast asleep. Will you go wake him? He... him გამოიყენება „the boy that looks after the sheep” რეტროსპექტულად მითითების მიზნით, მაგრამ რეფერენცია შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შედარების საფუძველიც, მაგ Henry...someone else წინადადებაში Henry can't play today. We'll have to find someone else, სადაც someone else ნიშნავს ვიღაც სხვას ანუ არა ჰენრის (იქვე).

იგივე კონტექსტში შეიძლება მოვიყვანოთ რეფერენტის განსაზღვრა, რომელსაც დარბიშაერი იძლევა: „რეფერენტი არის რეალობა ან იდეა, სიმბოლიზირებული ამა თუ იმ ენობრივი ფორმით” (Spakauer 1995:371).

რაზე მეტყველებს რეფერენციასთან დაკავშირებულ გამონათქვამთა ეს ჩამონათვალი? როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ამგვარ გამონათქვამთა არა უბრალო რეგისტრაცია, არამედ რეფერენციის ლინგვისტური ხედვის იმ **ვექტორის** განსაზღვრა, რომელიც, როგორც ჩვენს მიერ რეფერირებული ციტატებიდან ჩანს, თანდათანობით იკვეთებოდა ლინგვისტურ აზროვნებაში. მაგრამ ამავე დროს ნათლად გამოჩნდა ამ პროცესისათვის დამახასიათებელი შემდეგი მომენტი: ხსენებული ვექტორი არ ყოფილა სწორხაზოვანი, რადგან, როგორც პოლიდეისეული ციტატა გვიჩვენებს, უკვე იმ პერიოდში, ანუ 70-იან წლებში ხდებოდა ის, რაც, ჩვენის აზრით, დღეისთვის მიჩნეულ უნდა იქნას რეფერენციასთან დაკავშირებული კვლევის ერთ-ერთ მაგისტრალურ მიმართულებად – რეფერენციის ფუნქციური დაკავშირება **ტექსტთან**. მაგრამ წინსწრების პრინციპით ვიტყვი: იმ მიმართულების მიხედვით, რომელსაც დღეისათვის იღებს რეფერენციის კვლევა, ამ ფენომენის ტექსტთან კავშირი, ანუ მისი კავშირი ისეთ ფუნდამენტურ ტექსტობრივ კატეგორიასთან, როგორცაა კოჰეზია, არსებითად უკავშირდება რეფერენციის ფუნქციის მეორე და კიდევ უფრო მნიშვნელოვან განზომილებას – მის არსებით კავშირს სახელთან (ნომინალურ ჯგუფთან). ეს კი შემდეგს ნიშნავს: თუ ბოლომდე მივეყვებით რეფერენციის პოლიდეისეულ გაგებას, აღმოჩნდება, რომ რეფერენციის **ერთადერთი** ფუნქცია უკავშირდება ტექსტის როგორც ნიშნობრივი

ერთუელის სინტაქტიკურ განზომილებას, რითაც დაკარგული იქნება მისი ბევრად უფრო არსებითი კავშირი სემანტიკურ განზომილებასთან. მაგრამ ამავე დროს შეუძლებელია არ მიუთითოთ იმ ფაქტზეც, რომ სწორედ მ. ჰოლიდემ შეძლო წინასწარ და სხვა ბევრ ლინგვისტზე უფრო ადრე დაენახა რეფერენციის ტექსტობრივი (ტექსტის სინტაქტიკასთან დაკავშირებული) ფუნქცია.

მაგრამ თუ შევეცდებით მთლიანობაში დავინახოთ რეფერენციის ის გაგება, რომელიც ციტირებული ენციკლოპედიიდან მოყვანილ ციტატათა ერთობლიობაში აისახა, აუცილებელი იქნება იმის ხაზგასმა, რომ ტერმინ „რეფერენციას“ გრძელი გზის გაგლა მოუხდა სანამ ბოლომდე განისაზღვრებოდა მისი ჭეშმარიტი ადგილი ლინგვოსემიოტიკურ კატეგორიათა სისტემაში და, რაც მთავარია, ბოლომდე და ნათლად გამოიკვეთებოდა მასთან დაკავშირებული ლინგვისტური პრობლემატიკა.

1.1.2. რეფერენციის ფენომენის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის მეორე დროითი კოორდინატი

როგორც ზემოთ იქნა მინიშნებული, რეფერენციის ლინგვისტურ კონცეპტს ჩვენ დიაქრონიულად, ანუ მის ქმნადობაში განვიხილავთ და დავრწმუნდებით, რომ მის ასეთ განხილვას აქვს პრინციპული, შეიძლება ითქვას – ევრისტიკული – მნიშვნელობა: საქმე ისაა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა, ისევე როგორც ნებისმიერი სააზროვნო მიმართულება, არსებობს არა უბრალოდ ისტორიულ დროში, არამედ ამ დროის **პარადიგმულ განზომილებაში**, რაც იმას ნიშნავს, რომ დიაქრონია ამ შემთხვევაში იმყოფება აუცილებელ მიმართებაში თვით ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკასთან, ანუ ლინგვისტურ პარადიგმათა იმ ურთიერთმონაცვლეობასთან, რომელსაც შეუძლებელია არ ჰქონოდა გავლენა რეფერენციის ლინგვისტური კონცეპტის ქმნადობის პროცესზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ხსენებული პარადიგმული დინამიკა არამც თუ არ შეწყვეტილა, არამედ განსაზღვრავს კიდევ დღევანდელ პარადიგმულ სიტუაციას და, შესაბამისად, თვით ენობრივ ფენომენთა თეორიული და მეთოდოლოგიური განხილვის ადეკვატურობის დონეს. ამიტომაცაა, რომ ვიხმარეთ ტერმინი „დროითი კოორდინატები“ და ამავე დროს მივიჩნიეთ, რომ ამ დროით კოორდინატთა ფარგლებში ვლინდება რეფერენციის ჭეშმარიტად ლინგვისტური კონცეპტის **ქმნადობის** ვექტორი. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანი უნდა

მდგომარეობდეს სწორედ იმაში, რომ, ერთის მხრივ მიეყვით ხსენებულ ვექტორს, მეორეს მხრივ კი შევავსოთ იგი სრულიად ახალი შინაარსით – სახელდობრ იმ შინაარსით, რომელსაც გვკარნახობს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების განმსაზღვრელი პარადიგმული სიტუაცია.

აქედან გამომდინარე ვსვამთ კითხვას: რას გვეუბნება რეფერენციის ლინგვისტური კონცეპტის ქმნადობის ის მეორე ეტაპი, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ მეორე დროითი კოორდინატის სტატუსს? ვფიქრობთ, ხსენებული ქმნადობის ეს მეორე ეტაპი უკვე გამოიკვეთა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის, ანუ იმ მომენტისთვის, როცა ლინგვისტურ კვლევათა ფარგლებში დომინანტურ სტატუსს იძენდა **პრაგმატიკა**, ანუ კვლევის ის მიმართულება, რომელიც აზრობრივად უკავშირდება ენობრივი ნიშნის სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკუთრივ **ადამიანურ** განზომილებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის სწორედ ენობრივი ფენომენებისადმი ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური მიდგომის დამკვიდრების პერიოდი.

თუ გვსურს, ერთის მხრივ, მეტად თუ ნაკლებად სრული სურათი გვქონდეს იმისა, თუ როგორ იქნა გაგებული რეფერენციის ფენომენი მოცემული მომენტისათვის, მეორეს მხრივ კი ნათლად დავინახოთ ისიც, თუ რაში მდგომარეობს რეფერენციის პრობლემის დღევანდელი აქტუალურობა, დავეყრდნოთ 1990 წელს გამოცემულ ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში გამოქვეყნებულ რეფერენციისადმი მიძღვნილ სტატიას. რეფერენციის საკუთრივ ლინგვისტური კონცეპტის ქმნადობის თვალსაზრისით საინტერესოა ის ფაქტი, რომ სტატიის ავტორი ნ. არუთიუნოვა უკვე დასაწყისში იძლევა რეფერენციის სრულიად ახალ (ყოველ შემთხვევაში, ლინგვისტიკისთვის ახალ) განსაზღვრას, რითაც მკვეთრად უპირისპირდება ხსენებული ფენომენის იმ გაგებას, რომელიც, როგორც ვნახეთ, ეკუთვნოდა წამყვან ლინგვისტთა ჯგუფს და რომელიც აისახა ზემოთ ციტირებულ „ინგლისური ლინგვისტიკის ენციკლოპედიაში“: თუ ამ უკანასკნელის ფარგლებში რეფერენციის გაგება მეტ ნაკლებად „დიფუზურ“ ხასიათს ატარებდა და, შესაბამისად, შეიძლება დაკავშირებულიყო სემიოტიკურად გაგებულ ნებისმიერ ენობრივ ფენომენს, მეორე „ენციკლოპედიაში“ ხდება ამ ფენომენის მკვეთრი და მკაფიო დაკონკრეტება ერთდროულად ორი თვალსაზრისით: ა) იგი უკავშირდება არა ნებისმიერ ენობრივ ფენომენსა თუ ერთეულს, არამედ **სახელსა** და მხოლოდ **სახელს**, უფრო ზუსტად კი ნომინალურ ჯგუფებს; ბ) იგი ასევე მკაფიოდ და ცალსახად

უკავშირდება არა ენის სისტემურ დონეს, არამედ **მეტყველებას** (თანამედროვე გაგებით დისკურსს). როგორც ვხედავთ, ხდება რეფერენციის საკუთრივ ლინგვისტური აღქმისა და გააზრების ისეთი დაკონკრეტება, რომლის შედეგად ტერმინი „რეფერენცია“, მართალია, არ კარგავს შინაგან კავშირს იგივე კონცეპტუალურ ველში არსებულ ტერმინებთან როგორცაა სიგნიფიკატი და დენოტატი, მაგრამ ამავე დროს იძენს ჭეშმარიტად საკუთარ და ამავე დროს მკაფიოდ განსაზღვრულ შინაარსს. თვით სტატიის ავტორის სიტყვებით კი რეფერენციის განსაზღვრა შემდეგნაირად უღერს: „რეფერენცია წარმოადგენს აქტუალიზირებულ (ანუ მეტყველებაში ჩართულ) სახელთა, ნომინალურ გამოთქმათა (ნომინალურ ჯგუფთა) ან მათ ექვივალენტთა დაკავშირებას სინამდვილის ობიექტებთან (რეფერენტებთან, დენოტატებთან)” (Арутюнова 1990:411). თუმცა ამავე დროს უნდა ავღნიშნოთ შემდეგიც: როგორც ვხედავთ, რეფერენციის მისეულ დეფინიციაში ავტორი ერთმანეთთან აიგივებს ისეთ ტერმინთა მნიშვნელობებს, როგორცაა „რეფერენტი“ და „დენოტატი“, რაც, ჩვენის აზრით, გაუმართლებელია შემდეგი ორი პრინციპული მოსაზრების გამო:

ა) შეუძლებელია გავაიგივოთ რეფერენტი და დენოტატი უკვე იმიტომ, რომ „დენოტატი“ როგორც ტერმინი შეიძლება მიუხსნადავით მეტყველების ნებისმიერ ნაწილს და არა მხოლოდ სახელს; მაგრამ, როგორც თვით არუთიუნოვასეული დეფინიცია მოითხოვს, რეფერენცია უნდა დაუუკავშიროთ სახელს და მხოლოდ სახელს;

ბ) როგორც ცნობილია, დენოტატის ცნება უკავშირდება პირველ რიგში ენის სისტემურ პლანს, რეფერენტი კი – დისკურსულს და, როგორც დავრწმუნდით, ეს მეორე მომენტი არა ნაკლებ მნიშვნელოვანია რეფერენციის ლინგვისტური გაგებისათვის.

ამ ბოლო კრიტიკული შენიშვნის შემდეგ, ბუნებრივია, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, თუ როგორ გადმოსცემს ციტირებული ავტორი რეფერენციის იმ გაგებას, რომელიც მთლიანობაში დამახასიათებელია თანამედროვე **ლინგვისტიკისათვის**. ჩვენ ხაზგასმით ვამბობთ „ლინგვისტიკისათვის“, რადგან (და ამის შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება მსჯელობა), როგორც ცნობილია, რეფერენციის მთელი პრობლემური სფერო თავისი გენეზისით ეკუთვნის (ან, უფრო სწორად, ეკუთვნოდა) არა საკუთრივ ლინგვისტიკას, არამედ ენის ფილოსოფიასთან დაკავშირებულ ლოგიკას. მაგრამ რეფერენციის არუთიუნოვასეული ხედვა საინტერესო და მნიშვნელოვანია სწორედ იმიტომ, რომ

მასში თითქმის მთელი სისრულით – და, ჩვენის აზრით, პრობლემურობითაც – არეკლილია ის უკვე საკუთრივ ლინგვისტურად განპირობებული პრობლემატიკა, რომელმაც თავი იჩინა კვლევის ამ ეტაპზე – ანუ მაშინ, როცა უკვე საბოლოოდ მოხდა ამ კონცეპტის ლინგვისტური რეცეფცია. ქვემოთ შევეცდებით კრიტიკულად შევაფასოთ რეფერენციის ხსენებული, ანუ ციტირებულ სტატიაში ასახული ხედვა, მაგრამ სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად აუცილებლად მიგვაჩნია მისი მაქსიმალური სისრულით გადმოცემა.

ავტორს მიაჩნია, რომ „რეფერენცია (იმ დეფინიციის მიხედვით, რომელიც მან უკვე მოგვცა – ქ. დ.) განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით – სინტაქსურით, ლოგიკურ-სემანტიკურით და პრაგმატიკულით” (Арутюнова 1990:411). როგორ განსაზღვრავს ავტორი დასახელებულ ფაქტორებს? ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „რეფერენციის სინტაქსური ფუნქციის მიხედვით განასხვავებენ ნომინალურ გამოთქმათა რეფერენტულ და არარეფერენტულ გამოყენებას: აქტანტა პოზიციაში (იგულისხმება ქვემდებარე და დამატებები) ხდება რეფერენციის განსხვავებულ სახეთა რეალიზაცია, ხოლო პრედიკატის პოზიციაში სახელები იხმარებიან არარეფერენტულად, რადგან ამ შემთხვევაში ისინი მიუთითებენ არა სინამდვილეში არსებულ ამა თუ იმ ობიექტზე, არამედ შესაბამის ობიექტთა ნიშან-თვისებაზე მაგ. „პეტრე მწერალია” (იქვე). სანამ ვილაპარაკებდეთ ავტორის მიერ დასახელებულ მეორე ფაქტორზე, აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ხსენებული ფაქტორის მნიშვნელობას რეფერენციის ლინგვისტური კონცეპტის იმ დაზუსტებასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე გვაქვს ამ ეტაპზე და რომელიც მკვეთრად უპირისპირდება ჩვენს მიერ უკვე განხილული წინა ეტაპის „დიფუზურობას”: ზემოთ უკვე ხაზი გავუსვით ხსენებული დაზუსტების ორ ასპექტს – სახელდობრ იმას, რომ ა) თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში „რეფერენცია” ისეთი ლინგვოსემიოტიკური ტერმინებისაგან განსხვავებით როგორცაა „სიგნიფიკატი” და „დენოტატი” უკავშირდება (უფრო სწორად უნდა დაუკავშირდეს!) სახელს და მხოლოდ სახელს; ბ) როგორც უკვე ითქვა, რეფერენცია უკავშირდება (უფრო სწორად კი უნდა დაუკავშირდეს!) ენის დისკურსულ და არა სისტემურ პლანს. ამ ბოლო შემთხვევაში კი, როცა ლაპარაკია რეფერენციის სინტაქსურ ფუნქციაზე, ხდება, ჩვენის აზრით, ამ ფენომენის საბოლოო და საკუთრივ ლინგვისტური განსაზღვრა – თუმცა, ბუნებრივია სულ სხვა საკითხია, თუ როგორ, როგორი

პარადიგმული პოზიციებიდან უნდა ხდებოდეს ამგვარად განსაზღვრული ფენომენის ინტერპრეტაცია.

მეორე, ანუ ლოგიკურ-სემანტიკურ ფაქტორთან დაკავშირებით, ავტორი ამბობს: „ამ თვალსაზრისით ნომინალური გამოთქმები შეიძლება დაუკავშირდნენ სინამდვილის ობიექტებს შემდეგნაირად: ისინი შეიძლება უკავშირდებოდნენ ობიექტთა ამა თუ იმ კლასის მხოლოდ ერთ წევრს, კლასს მთლიანად, ან კლასის ნებისმიერ წარმომადგენელს, ანდა არც ერთ მათგანს” (Арутюнова 1990:411).

რაც შეეხება **პრაგმატიკულ** ფაქტორს, ავტორის მიხედვით „რეფერენციის სახეები განირჩევიან იმ მიმართების საფუძველზე, რომელიც მათ აქვთ მოსაუბრეთა ცოდნის ფონთან. ამ თვალსაზრისით შეიძლება ვილაპარაკოთ საგანზე, რომელიც ცნობილია მხოლოდ მეტყველი პირისთვის (ინტროდუქციული რეფერენცია: მაგ. „მყავს მე ერთი მეგობარი“); საგანი შეიძლება იყოს ცნობილი როგორც მეტყველი პირისთვის ისე ადრესატისათვის (მაიდენტიფიცირებელი რეფერენცია: მაგ. „ეს ბავშვი არავის ყურს არ უგდებს“); მესამე შემთხვევაში კი ლაპარაკია ისეთ ობიექტზე, რომელიც არ ეკუთვნის არც ერთი მოსაუბრის ფონს (განუსაზღვრელი რეფერენცია: მაგ. „პეტრე დაქორწინდა ვიღაც სტუდენტზე“)” (იქვე). ვფიქრობთ, რომ მთელი ჩვენი შემდგომი კვლევისათვის ყურადსაღებია პრაგმატიკული ფაქტორის ის დამატებითი კვალიფიკაცია, რომელსაც ავტორი მას ურთავს. მისი აზრით, „პრაგმატიკული ფაქტორი უპირატესად მოქმედებს კონკრეტული რეფერენციის სფეროში, ანუ მაშინ, როცა ნომინალური გამოთქმა უკავშირდება ფიქსირებულ საგნებს და ინდივიდებს. კონკრეტული რეფერენცია ეყრდნობა ობიექტის არსებობის პრესუპოზიციას” (იქვე). ჩვენი აზრით – და ამის შესახებ უფრო საფუძვლიანადაც გვექნება მსჯელობა – ავტორის მიერ ხაზგასმული ეს დამატებითი კვალიფიკაცია არც თუ მართებულად უნდა ზღუდავდეს პრაგმატიკული ფაქტორის მოქმედების არეალს, რადგან, ა) როგორც იგივე სტატიაში თვით ნ. არუთინოვა ამბობს, „რეფერენციის თეორიათა ზოგადი განვითარება განაპირობა იმან, რომ ხდება მათი თანდათანობითი პრაგმატიზაცია” (იქვე). ისმის კითხვა, რომელზეც შემდგომ შევეცდებით პასუხის გაცემას: ხომ არ ნიშნავს რეფერენციის თეორიაზე პრაგმატიკის ეს მზარდი გავლენა იმასაც, რომ პრაგმატიკულ ინტერპრეტაციას უნდა დაექვემდებაროს არა მხოლოდ „კონკრეტული”, არამედ ნებისმიერი ტიპის რეფერენცია და ბ) ასევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, იმის ხაზგასმაც, რომ

თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია მის მთლიანობაში ხასიათდება სწორედ გლობალურად გაგებულ პრაგმატიზაციით, თვით პრაგმატიზაცია კი განიცდის შემდეგი ორი ფაქტორის მზარდ გავლენას: ა) თვით პრაგმატიკაში მკვიდრდება ინტერსუბიექტურობის და ინტერაქციის პრინციპი და ბ) პრაგმატიკის სფერო სულ უფრო და უფრო მოითხოვს ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი ციტატების მიხედვით ავტორი რეფერენციის ფენომენს უკავშირებს ენის ისეთ ასპექტებს, როგორცაა სემანტიკა, სინტაქსისი და პრაგმატიკა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რეფერენციის ამგვარი, ანუ კონცეპტუალურად დანაწევრებული ხედვა ვერ იქნება ჩვენთვის საინტერესო ფენომენის აღქმისა და გააზრების ამოსავალი პრინციპი – აუცილებელი ხდება ხსენებულ ასპექტთა ისეთი კონცეპტუალური სინთეზი, რომელიც ამ ფენომენის მის ფუნქციურ და სტრუქტურულ მთლიანობაში დანახვის საშუალებას მოგვცემდა. ვიმეორებთ (და ამის შესახებ უფრო საფუძვლიანად ვიტყვით მაშინ, როცა ლინგვისტიკის პარადიგმულ სიტუაციასთან დაკავშირებით დავეფუძნებით ისეთ ცნებას როგორცაა დისკურსის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული სივრცე): ციტირებული ავტორის მიერ გამოყოფილი ასპექტებიდან მხოლოდ პრაგმატიკას ძალუძს რეფერენციის თეორიის სისტემური და მთლიანური დაფუძნება.

მაგრამ განხილული სტატია ხასიათდება არა მხოლოდ იმით, რომ პრაგმატიკას – მიუხედავად მის მზარდ როლზე მითითებისა – ჯერ კიდევ არ ენიჭება რეფერენციის თეორიისთვის ფუძემდებელი როლი. ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენის აზრით, მეორე მომენტიც, რომელიც საერთოდ დამახასიათებელი არის რეფერენციაზე ლინგვისტური მსჯელობის მოცემული ეტაპისათვის. ვგულისხმობთ შემდეგ ფაქტს: რეფერენციას უკავშირდება ისეთი ლინგვისტური კატეგორიები როგორცაა, ერთის მხრივ **დეტერმინაცია**, მეორეს მხრივ კი **დეიქსისი**, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს დაკავშირება, ხასიათდება შემდეგი თეორიული თვალსაზრისით **ნეგატიური** ნიშნით: არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რა ლოგიკურ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთში ეს სამი კატეგორია – რეფერენცია, დეტერმინაცია და დეიქსისი, ე. ი., სხვანაირად რომ ვთქვათ, არ ისმის კითხვა იმის თაობაზე არსებობს თუ არა ამ სამ კატეგორიას შორის რაიმე სახის **იერარქიული** ურთიერთმიმართება. თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ, როგორც უკვე ითქვა, რეფერენციის ფენომენი უკვე

ერთმნიშვნელოვნად და თანმიმდევრულად დაუკავშირდა არა ნებისმიერი დონისა თუ ასპექტის მქონე ენობრივ ერთეულს, არამედ სწორედ და მხოლოდ **ნომინალურ ჯგუფს**, გასაგები გახდება, ალბათ, ჩვენი კრიტიკული შენიშვნის მნიშვნელობაც: დეიქსისიც და დეტერმინაციაც იმდენად მნიშვნელოვანია სახელისთვის როგორც მეტყველების ნაწილისთვის (და შესაბამისად ნომინალური ჯგუფისთვის), რომ ათეული წლების განმავლობაში ამ კატეგორიათა თეორიული დამუშავება ხდებოდა არა მხოლოდ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, არამედ რეფერენციის თეორიისაგან დამოუკიდებლადაც. შესაბამისად ისმის კითხვა: ხომ არ ძალუძს რეფერენციის კონცეპტს შეასრულოს მეტეკატეგორიის ფუნქცია ხსენებული კონცეპტუალური ტრიადის ფარგლებში? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემის შემთხვევაში არა მხოლოდ დაისახებოდა რეფერენციის ჭეშმარიტად ერთიანი თეორიის აგების შესაძლებლობა, არამედ ბოლომდე აღქმული და გააზრებული იქნებოდა თვით დეტერმინაციისა და დეიქსისის სიღრმისეულად რეფერენციულური არსი.

როგორც ვნახეთ, რეფერენციის ლინგვისტური ინტერპრეტაციის მოცემული ეტაპი („მეორე დროითი კოორდინატი“ ჩვენი ტერმინოლოგიით) ხასიათდება – თუ, რა თქმა უნდა, მას აღვიქვამთ არუთიუნოვას სტატიაზე დაყრდნობით – შემდეგი თავისებურებებით: ა) ამ ეტაპზე რეფერენციის კონცეპტი იძენს ბევრად უფრო მეტ კონკრეტულობას, რადგან საბოლოოდ და ცალსახად უკავშირდება ნომინალურ ჯგუფს; ბ) მაგრამ ამავე დროს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად რეფერენციის ფენომენის ამგვარი შინაარსობრივი დაკონკრეტებისა, ჯერ კიდევ არ არსებობს მისი (რეფერენციის) ისეთი საკუთრივ ლინგვისტური ინტერპრეტაცია, რომელიც შეიძლებოდა მიგვეჩნია **თეორიად** ამ ტერმინის სრული და ადეკვატური გაგებით; გ) მაგრამ ასევე მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები ხასიათდებიან შემდეგი **პოზიტიური ქვეტექსტითაც**: მათ ფონზე მკაფიოდ და სრულად ისახება იმ მეთოდოლოგიური გზის კონტურები, რომელსაც უნდა დავადგეთ **რეფერენციის თეორიის** ადეკვატურად აგების შემთხვევაში.

ვფიქრობთ, უკვე გვექონდა ხსენებული კონტურების თუნდაც მინიშნების შესაძლებლობა. მაგრამ იმისათვის, რომ ხსენებულმა შენიშვნებმა უკვე პოზიტიურად ფორმულირებული თეზისების სახე მიიღონ და ამით საფუძველი ჩაეყაროს რეფერენციის ფენომენის განხილვის მესამე და გადამწყვეტ ეტაპს,

საჭიროდ მიგვაჩნია რეფერენციის როგორც ფენომენისა და კატეგორიის ისეთ ლინგვისტურ განხილვასაც ჩაუყაროთ საფუძველი, რომელიც უნდა მიგაკუთვნოთ ხსენებულ ეტაპს და რომლის ავტორია მ. კრონგაუზი. ხსენებული ავტორის მიხედვით, „რეფერენციის ლინგვისტური თეორია პრინციპში შეიძლება დაყვანილ იქნეს რამდენიმე პრობლემამდე. პირველი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ შესწავლილი უნდა იქნას ე. წ. რეფერენციალურ სიტყვათა, ანუ აქტუალიზატორთა, პირველ რიგში ნაცვალსახელთა და არტიკლთა სემანტიკა. ამასთან დაკავშირებით რეფერენციის ლინგვისტურ თეორიაში იკვლევენ აგრეთვე კვანტორულ მნიშვნელობათა (საყოველთაობა, არსებობა და ა. შ.) შესაბამის ტიპებს და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობას. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ნომინალურ ჯგუფთა რეფერენციის ტიპთა კლასიფიკაცია. და ბოლოს: იკვლევენ ნომინალურ ჯგუფთა მიდრეკილებას ამა თუ იმ ტიპის რეფერენციის მიმართ” (Кронгауз 2001:321).

გარდა პრობლემის ამგვარი დახასიათებისა, ავტორი აკეთებს აგრეთვე ზოგადი სახის ისეთ ორ შენიშვნას, რომლებიც, ჩვენის აზრით, კვლავ ნათლად მიუთითებენ რეფერენციის განხილვის ლინგვისტური ეტაპის ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე: ა) ავტორის აზრით, „მნიშვნელობისგან განსხვავებით რეფერენციით ხასიათდება არა სახელი როგორც ასეთი, არამედ მისი გამოყენება. მნიშვნელობამ (смысл) შეიძლება განსაზღვროს სახელის მიდრეკილება რეფერენციის ამა თუ იმ ტიპის მიმართ” ბ) „სახელის რეფერენცია განპირობებულია არა მხოლოდ მისი მნიშვნელობით, არამედ კონტექსტითა და პრაგმატიკული ფაქტორებითაც” (Кронгауз 2001:322).

1.1.3. რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის განხილვის მესამე დროითი კოორდინატი

როგორი უნდა იყოს ამ კოორდინატის თეორიულ-მეთოდოლოგიური შინაარსი? რეფერენციის კონცეპტისა და პრობლემის განხილვის წინა ეტაპთა კრიტიკულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ რეფერენციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა ლინგვისტიკაში მკვიდრდებოდა შემდეგი ორი ნიშნით:

- ა) ერთის მხრივ, ხსენებული პრობლემატიკა წარმოადგენდა ტერმინ „რეფერენციის” სემანტიკისა და ნომინალური ველის დაკონკრეტების ისეთ გზას, რომლის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა არა მხოლოდ ამ გზის ეტაპები, არამედ მისი კონცეპტუალური ვექტორიც: რეფერენციის

კატეგორიალური მნიშვნელობა ცალსახად დაუკავშირდა ნომინალური ჯგუფის ცნებას, მაგრამ ამავე დროს ხსენებული დაკავშირება ერთდროულად ნიშნავდა იმასაც, რომ მოხდა რეფერენციის ტერმინოლოგიური მნიშვნელობის ასევე ცალსახა გამიჯვნა ისეთ ლინგვისტიკურ ტერმინთა მნიშვნელობისგან, როგორცაა სიგნიფიკატი და დენოტატი;

ბ) მაგრამ ამავე დროს ასევე მკაფიოდ და ნათლად გამოიკვეთა „რეფერენციის“ ლინგვისტიკაში დამკვიდრების მეორე, უკვე ჩვენს მიერ **ნეგატიურად** აღქმული ასპექტიც: ის აზრობრივი დინამიკა, რომლითაც, როგორც დაერწმუნდით, ხასიათდებოდა მოცემული ტერმინის კატეგორიალური მნიშვნელობის დაკონკრეტება, არ იყო არავითარ (ან თითქმის არავითარ) შინაგან კავშირში იმ მეცნიერების **პარადიგმულ დინამიკასთან**, რომელსაც ფუძემდებელი მნიშვნელობა ჰქონდა თვით ამ მეცნიერებისათვის. შეიძლება ითქვას – რა თქმა უნდა მეტაფორულად – რომ „რეფერენციის“ კატეგორიალური მნიშვნელობა თავისი ქმნადობის დროს „თითქოსდა საკუთარ თავში იხარშებოდა“. როგორც ჩანს, ხსენებული პროცესის ამგვარ იზოლირებას თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკიდან ჰქონდა გამართლება ზემოთ განხილულ ორ ეტაპზე (ორი დროითი კოორდინატის ფარგლებში), მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს, ანუ „რეფერენციის“ კატეგორიალური მნიშვნელობის დღევანდელი გააზრების ფონზე, ხსენებული „თვითიზოლაცია“ იქცევა მნიშვნელოვან დაბრკოლებად სწორედ ხსენებული კატეგორიალური მნიშვნელობის ბოლომდე და არსებითად გააზრების გზაზე. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ რეფერენციის პრობლემური კვლევის მესამე ანუ დღეისთვის აქტუალური ეტაპის არსი უნდა განისაზღვროს შემდგენაირად: აუცილებელია მოხდეს თანამედროვე ლინგვისტიკის მიერ განვლილი ორი გზის – „რეფერენციის“ კატეგორიალური მნიშვნელობის დაკონკრეტებისა და ლინგვისტიკის მიერ განვლილი პარადიგმული გზის – ურთიერთგადაკვეთა ამ სიტყვის ღრმად პოზიტიური მნიშვნელობით: უნდა მოხდეს ამ გზებზე მოპოვებულ კონცეპტუალურ მიღწევათა სინთეზი.

12. თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია და რეფერენციის პრობლემა

ზემოთ, როცა ვმსჯელობდით რეფერენციის მიერ ლინგვისტიკის ფარგლებში განვლილ გზაზე, განვიხილეთ არა მხოლოდ ამ გზის ეტაპები, არამედ ის შედეგიც, რომელიც გამოიკვეთა ამ გზის გავლის შემდეგ. მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლო გახდეს ზემოთ ხსენებული სინთეზის ადეკვატური რეალიზაცია, აუცილებელია, ჩვენის აზრით, ასევე მივუთითოთ იმ შედეგზეც, რომელთანაც მიგვიყვანა თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულმა დინამიკამ. შემდგომში, რა თქმა უნდა, უფრო დეტალურად და საფუძვლიანად მოგვიხდება ხსენებული შედეგის გათვალისწინება, მაგრამ კვლევის ამ ეტაპზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შევქმნათ ხსენებული სინთეზის გარკვეული წინაპირობა; და სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე ვიტყვი, რომ დღეისათვის განვლილი პარადიგმული დინამიკის უშუალო შედეგს როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, სწორედ ხსენებული პარადიგმული სიტუაცია მთელი თავისი შესაძლო შინაარსობრივი სისრულით უნდა მივიჩნიოთ იმ კონცეპტუალურ მოცემულობად, რომლის საფუძველზე ახლებურად უნდა იქნეს აღქმული რეფერენციასთან დაკავშირებული მთელი პრობლემატიკა.

როგორი უნდა იყოს ჩვენი პირველი მეთოდოლოგიური ნაბიჯი იმ ამოცანის განსახორციელებლად, რომელიც უკვე განსაზღვრული იქნა როგორც ორი ზემოთ ხსენებული გზის ურთიერთგადაკვეთა? ასეთ ნაბიჯად წარმოგვიდგება პარადიგმული სიტუაციის გაანალიზება რეფერენციის დღეისთვის არსებულ კონცეპტთან მისი სიღრმისეული დაკავშირების მიზნით. მაგრამ ამგვარად გაგებულ ნაბიჯის არსი იმდენად მნიშვნელოვანია ხსენებული კონტექსტის თვალსაზრისით, რომ საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ შევჩერდეთ – თუნდაც ხსენებული პარადიგმული სიტუაციის ჯერ კიდევ სრულად დაკონკრეტების გარეშე – ჩვენს მიერ განზრახული სინთეზის ზოგადად გააზრებულ ლოგიკურ და მეთოდოლოგიურ წინაპირობებზე.

პირველი რაც უნდა ვიგულისხმოთ ამგვარი წინაპირობის სახით მდგომარეობს შემდეგში: ნებისმიერი ლინგვოსემიოტიკური კონცეპტი მხოლოდ მაშინ იქნება ადეკვატურად აღქმული და გაზრებული, თუ ეს აღქმა და

გააზრება მოხდება იმ პარადიგმულ სიტუაციასთან შესაბამისობაში, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე ლინგვოსემიოტიკური აზროვნება; ამის თქმით კი, ვფიქრობთ, უკვე მოვხაზეთ იმ თეორიულ-მეთოდოლოგიური გზის კონტურები, რომლის გავლა მოგვიხდება იმ შემთხვევაში, თუ გვსურს არა მხოლოდ ადეკვატურად, არამედ სრულად იქნეს რეალიზებული რეფერენციის კონცეპტთან დაკავშირებული პრობლემათა კომპლექსი;

მეორე ლოგიკური წინაპირობა კი მდგომარეობს შემდეგში: იმისათვის, რომ შევძლოთ ხსენებული გზის გავლა, აუცილებელად მიგვაჩნია თავიდანვე დავეუკავშიროთ ერთმანეთს – ბუნებრივია, ამ დაკავშირების მთელი შესაძლო პრობლემური ასპექტის გათვალისწინებით – ზემოთ ხსენებული ორი კონცეპტი – **რეფერენციისა და პარადიგმული სიტუაციის კონცეპტები**;

მესამე წინაპირობად კი უნდა მივიჩნიოთ შემდეგი: რა თქმა უნდა, ამ ორი კონცეპტის პრობლემური ურთიერთმიმართების ფარგლებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს რეფერენციის კონცეპტს, რადგან იგულისხმება, რომ სწორედ მას უკავშირდება უშუალოდ ჩვენი კვლევის თემატა და პრობლემატა. მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ მხოლოდ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების პარადიგმული სიტუაციის გათვალისწინებამ შეიძლება შექმნას არა მხოლოდ რეფერენციის, არამედ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ლინგვოსემიოტიკური კონცეპტის ადეკვატური ხედვისა და კვლევის წინაპირობა.

ზემოთ დასახელებულ წინაპირობათა გათვალისწინებით და იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენი საკვლევი თემის მთელი შესაძლო პრობლემურობა შეიძლება გამოვლენილ იქნას მხოლოდ მთელი ჩასატარებელი კვლევის მანძილზე, შევეცდებით ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ ჯერ თავად რეფერენციის კონცეპტზე, რათა თავიდანვე – თუმცა, ბუნებრივია, ჯერ მხოლოდ ზოგადი სახით – დანახულ იქნას მისი არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა, არამედ ღრმა პრობლემურობაც. რაც შეეხება პარადიგმულ სიტუაციას როგორც კონცეპტს, ჩვენ დავინახავთ არა მხოლოდ მის, შეიძლება ითქვას, ყოვლის მომცველ მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას, არამედ იმასაც, რომ მხოლოდ მასზე დაყრდნობით შეიძლება გადაჭრილ იქნას რეფერენციასთან დაკავშირებულ პრობლემათა მთელი მაშტაბური სპექტრი.

მაგრამ გვსურს ხაზი გავუსვათ გარემოებას, რომელმაც საბოლოო ანგარიშში, უნდა განსაზღვროს მთელი ჩვენი კვლევის **აქტუალურობა**: როგორც დავინახავთ სწორედ რეფერენცია წარმოგვიდგება იმ ენობრივ ფენომენად,

რომელმაც როგორც მაქსიმალური „შინაგანი შინაარსობრივი დატვირთვით“ უნდა ასახოს არა მხოლოდ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნებისთვის ფუძემდებელი სემიოტიკურ-კომუნიკაციური მეტაპარადიგმის მთელი თეორიული სიღრმე და სიახლე, არამედ ის **გზაც**, რომელიც ამ მეტაპარადიგმამ უკვე გაიარა და კვლავაც გადის თავისი სრული კვლევითი პოტენციის გამოვლენის პროცესში. როგორც დავინახავთ, ეს სწორედ ის პროცესია, რომელიც შეიძლება განსაზღვრულ იქნას როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის **პარადიგმული დინამიკა**. თანამედროვე ლინგვისტიკის სემიოტიკურ-კომუნიკაციური მეტაპარადიგმა რეალიზებულია არა მხოლოდ სინქრონიულად, ანუ იმ იდეის სახით, რომელსაც გულისხმობს სემიოტიკურობისა და კომუნიკაციურობის შერწყმული არსი, არამედ **დიაქრონიულადაც**, ანუ ხსენებული პარადიგმული დინამიკის სახითაც.

მიგვაჩნია, რომ ლინგვისტური კვლევის თანამედროვე პარადიგმული სიტუაცია მის მთლიანობაში უნდა განისაზღვროს შემდეგი სამი თეორიულ-მეთოდოლოგიური მომენტის განსაკუთრებული აქტუალურობით. დავასახელოთ და დავახასიათოთ ეს სამი მომენტი და რაც მთავარია ზოგადი სახით მაინც მივუთითოთ იმ შინაგან პრობლემურ კავშირზე, რომელიც უნდა ასრულებდეს გადამწყვეტ როლს მთელი ჩვენი კვლევითი კონტექსტის თვალსაზრისით:

- 1) პირველი მომენტი ატარებს მაქსიმალურად ზოგად ხასიათს და შესაბამისად ასახავს პარადიგმულ სიტუაციას როგორც ხსენებული პარადიგმული დინამიკის უშუალო შედეგს. როგორც ვ. კარასიკი ამბობს, თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების დინამიკა შეიძლება გამოხატულ იქნას შემდეგი სქემის სახით: „ეს იყო მოძრაობა სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციური ლინგვისტიკისკენ, შემდეგ პრაგმალინგვისტიკისკენ და კულტუროლოგიურ ლინგვისტიკამდე“ (Карасик 2004:5). ამ სქემიდან გამომდინარე ადვილი იქნებოდა დაგვესკვნა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია პირველ რიგში ნიშნავს კულტუროლოგიური ლინგვისტიკის, ანუ ლინგვო-კულტუროლოგიის დომინანტურობას. მაგრამ ჩვენის აზრით, ამგვარი დასკვნა აუცილებლად მოითხოვს გარკვეულ შინაარსობრივ და პრობლემატურ დაკონკრეტებას. და მოცემულ შემთხვევაში ეს სწორედ ის დაკონკრეტებაა, რომელსაც გარკვეული გაგებით გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს პრობლემის გადაჭრისათვის. ვგულისხმობთ იმ გარემოების

მნიშვნელობას (როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით), რომ, როგორც ცნობილია, კვლევის ჰუმანიტარულ სფეროში ახალი პარადიგმა კი არ აუქმებს წინა პარადიგმის საფუძველზე მიღებულ კვლევით შედეგებს, არამედ ახდენს ამ შედეგთა სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას. რას უნდა გულისხმობდეს ეს ზოგად თეორიული მოსაზრება ჩვენს კვლევით კონტექსტში? იმას, რა თქმა უნდა, რომ რეფერენციის პრობლემა ა) დანახულ უნდა იქნას ერთდროულად როგორც პრაგმალინგვისტური (სხვანაირად ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური), ისე კულტუროლოგიური ლინგვისტიკის (ანუ ლინგოკულტუროლოგიური პარადიგმის) საფუძველზე, მაგრამ ამავე დროს ბ) ამ ორ დასახელებულ პარადიგმას შორის ნაგულისხმევი უნდა იქნეს შემდეგი მიმართება: ლინგოკულტუროლოგიური პარადიგმა არა მხოლოდ უნდა დაეფუძნოს რეფერენციის იმ ფუნქციურ არსს, რომელიც გამოვლენილ იქნება პრაგმალინგვისტიკის ფარგლებში, არამედ უნდა მოახდინოს კიდევ ამ არსის ახლებური ინტერპრეტაცია. და თუ გავიხსენებთ რეფერენციის როგორც ფენომენისა და კონცეპტის ლინგვისტური გააზრების იმ შინაგან ვექტორს, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი ჩვენს მიერ გამოყოფილი დროითი კოორდინატების ფარგლებში, მაშინ შესაძლებელი იქნება ითქვას შემდეგიც: ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში ვახდენთ რეფერენციასთან დაკავშირებული მთელი ლინგვისტური პრობლემატიკის ისეთ სინთეზურ გააზრებას, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს ხსენებული ფენომენის პრაგმალინგვისტურ-ლინგოკულტუროლოგიურ ხედვამდე;

- 2) მეორე მომენტი, რომელიც იმპლიციტურად, მაგრამ ამავე დროს არსებითად თან ახლავს ზემოთ განსაზღვრულ პარადიგმულ სიტუაციას, მდგომარეობს შემდეგში: პრაგმალინგვისტიკისთვის ზოგადად და კერძოდ რეფერენციის როგორც ფენომენის პრაგმალინგვისტური ხედვისათვის არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფუნდამენტურ ცვლილებას, რომელიც განიცადა ლინგვისტურმა პრაგმატიკამ თავისი შინაარსობრივი ევოლუციის მანძილზე და რომელსაც, ჩვენის აზრით, ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რეფერენციის პრობლემისათვის: ვგულისხმობთ ინტერსუბიექტურობის, როგორც კვლევითი პრინციპის დამკვიდრებას ხსენებულ სფეროში. თუ კვლავ გავიხსენებთ რეფერენციის ლინგვისტური

კვლევის უკვე ხსენებულ ვექტორს, ნათლად დავინახავთ იმ გარემოებას, რომ ინტერსუბიექტურობის პრინციპს მთლიანად შეუძლია შეცვალოს ამ კვლევის პერსპექტივა. იქიდან გამომდინარე, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს, ჩვენის აზრით, ამ პრინციპის მნიშვნელობა ჩვენი კვლევისთვის საჭიროდ მიგვაჩნია სქემატურად მაინც მოვხაზოთ იმ ცვლილების არსი, რომელიც გულისხმობდა თანამედროვე ლინგვისტური პრაგმატიკის მოძრაობას ინტერსუბიექტურობის პრინციპამდე. ხსენებული მოძრაობა შეიცავდა ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ და ჩვენი კვლევისთვის ერთნაირი მნიშვნელობის მქონე ორ მომენტს: ა) პირველი მომენტი გულისხმობდა **სუბიექტურობის** როგორც თავად პრაგმატიკის მაკონსტრუქციურებელ კონცეპტუალური ნიშნის შინაგან დინამიკას ანუ ინტერსუბიექტურობად ტრანსფორმირებას. როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს: „თუ დასაწყისში პრაგმატიკა ნიშნავდა კავშირს სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს კი აუცილებელია ვიგულისხმოთ უკვე მინიმუმ ორი სუბიექტი, ე. ი. გვაქვს არა მარტო სუბიექტურობა, არამედ **ინტერსუბიექტურობა**. ეს უკვე თვისობრივი ცვლილებაა – ორი სუბიექტი. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს არა მარტო მიმართება ორ სუბიექტს შორის, რომელიც აისახება გამონათქვამში. უფრო მეტიც, არის მიმართება მეტყველ სუბიექტსა და გამონათქვამში ასახულ სიტუაციას შორის, ასევე მსმენელ სუბიექტსა და ასახულ სიტუაციას შორის” (ლებანიძე 2004:253). მაგრამ საქმე ისაა, რომ სუბიექტურობის ინტერსუბიექტურობად ტრანსფორმირებამ გამოიწვია მთელი პრაგმატიკული კვლევის – ამ კვლევის სტრუქტურის – შინაარსობრივი გაფართოება. ბ) და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის შედეგიც, რომელიც ინტერსუბიექტურობის პრინციპის დამკვიდრებას ჰქონდა სამეცნიერო აქტის ანუ დისკურსის კომუნიკაციური ხედვისა და კვლევისათვის: ინტერსუბიექტურობის პრინციპმა კვლევით პრაქტიკაში შემოიტანა ადრესანტისა და ადრესატის ორგანულად ურთიერთდაკავშირებული წყვილი. „კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს მეტყველ სუბიექტს ანუ **ადრესანტს**. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკის ფარგლებში უნდა გვქონდეს იმ კატეგორიათა სისტემა, რომლებიც ასახავენ სწორედ მეტყველი სუბიექტის, ადრესანტის მთელ პოზიციას კომუნიკაციურ აქტში. გარდა ამისა, უნდა გვქონდეს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება

ადრესატთან, მსმენელ სუბიექტთან. მაგრამ კომუნიკაციის ყოველ აქტში გვაქვს არა მარტო ორი სუბიექტი, არამედ გვაქვს ურთიერთმიმართებაც მათ შორის, ანუ ინტერსუბიექტურობა” (იქვე)

ვფიქრობთ, ადვილად დასანახი უნდა იყოს ინტერსუბიექტურობის და, შესაბამისად, ადრესანტ-ადრესატის ორგანული შინაგანი კავშირის მთელი როგორც კვლევით პრინციპთა დამკვიდრების მნიშვნელობა რეფერენციის პრობლემური ხედვისათვის: როგორც უკვე ხაზგასმით ითქვა, რეფერენციის ადეკვატური კვლევა გულისხმობს ენობრივი სინამდვილის ისეთ ხედვას, რომელიც პრინციპულად სცილდება სიგნიფიკაციისა და დენოტაციის დონეებს და, შესაბამისად, გულისხმობს ხსენებული სინამდვილის ხედვას ტექსტობრივ დონეზე; ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელი ხდება რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ხედვა და კვლევა ინტერსუბიექტურობის როგორც პრინციპის გვერდის ავლით: თუ რეფერენციად მივიჩნევთ იმ ნომინალური ჯგუფის სინამდვილესთან მიმართებას, რომელიც ამავე დროს ფუნქციონირებს დისკურს-ტექსტის ფარგლებში შეუძლებელია ეს მიმართება არ იქნას ინტერპრეტირებული ადრესანტსა და ადრესატს შორის პრაგმატიკულ-კომუნიკაციური ურთიერთმიმართების საფუძველზე;

- 3) მესამე არსებითი მომენტის სახით კი უნდა დასახელდეს ის თეორიული შედეგი, რომელიც ინტერსუბიექტურობის პრინციპის დამკვიდრებამ გამოიღო დისკურსის თანამედროვე კონცეფციის ანუ მისი ინტერაქციული მოდელის დამკვიდრების თვალსაზრისით. ხსენებული მომენტის განსაკუთრებული ხაზგასმა რეფერენციის კვლევის პერსპექტივისათვის კი აუცილებელი ხდება თუნდაც იმიტომ, რომ დისკურსის ინტერაქციული მოდელი ატარებს მკაფიოდ გამოხატულ არა მხოლოდ ენობრივ, არამედ აგრეთვე სოციალურ და კულტურულ ხასიათს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორედ ამ მოდელის ფარგლებში ხდება ლინგვისტური პრაგმატიკის ის ლინგვოკულტუროლოგიული ინტერპრეტაცია, რომლის მნიშვნელობაზეც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით: როგორც გვახსოვს, ჩვენი კვლევის მიზანი უნდა იყოს რეფერენციის როგორც პრაგმატიკული, ისე ლინგვოკულტუროლოგიული კვლევა და ამავე დროს იმის ხაზგასმაც, რომ ლინგვოკულტუროლოგია უნდა ახდენდეს პრაგმატიკულ დონეზე ჩატარებული კვლევის შედეგთა ინტერპრეტაციას. სწორედ დისკურსის

ინტერაქციული მოდელის ფუძემდებლურ მნიშვნელობაზე მიუთითებს ციტატა მ. მაკაროვის მონოგრაფიიდან: „კომუნიკაციის ინტერაქციული მოდელი ძირითადი პრინციპის სახით წინა პლანზე აყენებს იმ ურთიერთზემოქმედებას, რომელსაც ადგილი აქვს კომუნიკაციური სიტუაციის სოციალურ-კულტურული პირობების ფარგლებში” (Макаров 2003:38). და რაც მთავარია ხსენებული მოდელის არსს ავტორი აკონკრეტებს სწორედ ინტერსუბიექტურობის პრინციპზე დაყრდნობით: „კომუნიკაციის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ მეორე პარტნიორის აქტიურობა, რომელიც მონაწილეობს კომუნიკაციის პროცესში: რომ არა კომუნიკანტთა ურთიერთკავშირი იმ ერთიან პროცესში, რომელიც გულისხმობს მნიშვნელობათა დემონსტრაციას და განსაკუთრებით კი მათ ინტერპრეტაციას, შეუძლებელი იქნებოდა არა მხოლოდ ურთიერთობა, არამედ ესა თუ ის ურთიერთდაკავშირებული ქმედებაც კი” (Макаров 2003:39). როგორც ვხედავთ, რეფერენციის ადეკვატური კვლევა ხაზგასმით მოითხოვს დისკურსის ინტერაქციული მოდელის გათვალისწინებასაც.

1.3 ლინგვისტური პრაგმატიკის შინაგანი კავშირი ტექსტის ლინგვისტურ თეორიასთან და რეფერენციის პრობლემა

როგორც ჩვენი კვლევის მთელი შემდგომი მსჯელობა გვიჩვენებს (და რის შესახებაც ნათლად იქნა მითითებული შესავალშიც), რეფერენციის ფენომენი მთელი თავისი სისრულით შეიძლება გამოკვლეულ იქნას იმ შინაგანი მიმართების საფუძველზე, რომელიც დგინდება ერთის მხრივ კვლევის კომუნიკაციურ პარადიგმასა და ამ პარადიგმის ლინგვოკულტუროლოგიული ინტერპრეტაციას შორის. მაგრამ, ვიღებთ რა მხედველობაში რეფერენციის პრობლემის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მთელი თანამედროვე ლინგვისტური აზროვნებისთვის, აუცილებლად მიგვაჩნია სანამ ექსპლიციტურად და მთელი შესაძლო სისრულით გამოვიკვლევთ ამ პრობლემას ტექსტოცენტრისტულად, ანუ ტექსტის ლინგვისტურ თეორიაზე დაყრდნობით, იმ შინაგანი კავშირის ხაზგასმა, რომელიც არსებობს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ისეთ ორ მაკონსტიტუირებელ დარგობრივ სფეროს შორის, როგორცაა პრაგმატიკა და ტექსტის თეორია. ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ ნაშრომში გ. ლებანიძე შემდეგნაირად განმარტავს ზემოთ ხსენებულ კავშირს: „ურთიერთმიმართება

კომუნიკაციურ ლინგვისტიკასა და ლინგვისტიკურ პრაგმატიკას შორის იგივია, როგორც საერთოდ მიმართება ბირთვისა და მთლიანობას შორის, რომლის ბირთვისაც იგი წარმოადგენს. რა თქმა უნდა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა არ უდრის პრაგმატიკას, მაგრამ ამავე დროს იგი შინაგანად განპირობებულია და კონსტიტუირებულია პრაგმატიკის მიერ. კომუნიკაციური ლინგვისტიკის და პრაგმატიკის ასეთი ურთიერთმიმართება ემყარება იმ როლს, რომელსაც ასრულებს სუბიექტის ცნება და სუბიექტურობის პრინციპი როგორც კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მთლიანად, ისე პრაგმატიკაში. პრაგმატიკის ამგვარი ბირთვული სტატუსის უშუალო გამოვლინებას და დადასტურებას წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკა. პრაგმატიკულ კატეგორიათა ის სისტემა, რომელიც ჩვენ რამდენადმე მაინც განვიხილეთ, წარმოადგენს, ერთის მხრივ, კომუნიკაციური აქტის პრინციპებს (ყოველი ეფექტური კომუნიკაცია ეფუძნება ამ პრაგმატიკულ კატეგორიათა რეალიზაციას), ხოლო, მეორეს მხრივ, ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემას.” (ლებანიძე 2004:272-273) რამდენადაც, როგორც უკვე ითქვა, შემდეგში მოგვიხდება რეფერენციის ფენომენის ტექსტოცენტრისტული ინტერპრეტაცია და იმის გათვალისწინებაც, რომ რეფერენციის ფენომენი, როგორც წესი, განიხილებოდა არატექსტობრივ, არამედ წინადადების დონეზე, საჭიროდ მიგვაჩნია თუნდაც სქემატურად, მაგრამ მაინც მივუთითოთ ტექსტის ლინგვისტური თეორიის წარმომავლობასა და მნიშვნელობაზე ისეთ ენობრივ ერთეულთან კავშირში როგორცაა წინადადება. ამასთან დაკავშირებით ხსენებული ავტორი წერს: „როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ყველა სხვა დარგს, ისე ტექსტის ლინგვისტიკას უნდა მიეცეს როგორც ისტორიულ-გენეტიკული, ისე თეორიული დაფუძნება. ტექსტის ლინგვისტიკის დაფუძნება მდგომარეობს შემდეგში: ტერმინი „ისტორიული“ შეგვიძლია გავიგოთ როგორც ფართოდ, ისე ვიწროდ. თუ გავიგებთ ამ ტერმინს ფართოდ, მაშინ უნდა ვადიაროთ, რომ ტექსტის თეორია გარკვეული სახით არსებობდა უკვე ანტიკურობაში – იმდენად, რამდენადაც ანტიკურობაში არსებობდა რიტორიკა როგორც ფილოლოგიურ-ესთეტიკური დარგი. ამ მნიშვნელობას ჩვენ არ შევეხებით. შევეხებით ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობას, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ტექსტის ლინგვისტიკა წარმოიშვა იმიტომ, რომ ფუნქციური მიდგომა ენობრივ მოვლენათა მიმართ ბოლომდე ვერ ხერხდებოდა ისეთი კომუნიკაციური ერთეულის ფარგლებში, როგორცაა წინადადება. რას ნიშნავს ფუნქციური მიდგომა ლინგვისტიკაში? ეს მიდგომა ნიშნავს იმას, რომ ფორმას

ექვემოთადაც მნიშვნელობას, ხოლო მნიშვნელობას – ფუნქციას (ფუნქციურ დანიშნულებას). ამრიგად ფუნქციური მიდგომა ნიშნავს გავიგოთ ენობრივი ერთეულის დანიშნულება (უფრო ზუსტად, ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობა) იმ ფუნქციის მიხედვით, რომელსაც ეს ერთეული ასრულებს სამეტყველო აქტში. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში სამეტყველო აქტის რეალურ წარმომადგენლად ითვლებოდა წინადადება. სწორედ წინადადებას, სიტყვისაგან განსხვავებით, მიეწერებოდა კომუნიკაციური ფუნქცია. საბოლოო ანგარიშით ფუნქციური მიდგომა ნიშნავდა ენობრივი მოვლენის ახსნას იმ როლის მიხედვით, რომელსაც ეს ენობრივი მოვლენა ასრულებდა წინადადების ფარგლებში, ე. ი. კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებდა წინადადება, ხოლო ენობრივი მოვლენა გაგებულ და ახსნილი იყო იმდენად, რამდენადაც გაგებულ და ახსნილი იყო ის, თუ როგორ ემსახურებოდა ეს ენობრივი მოვლენა წინადადებას მის მიერ კომუნიკაციური ფუნქციის შესრულებაში. რა თქმა უნდა, ენობრივ მოვლენათა გარკვეული კატეგორია პოულობდა ასეთი – ფუნქციური – ახსნის შესაძლებლობას წინადადების დონეზე. მაგრამ ამავე დროს იზრდებოდა ისეთ ენობრივ მოვლენათა რიცხვი, რომელთა ფუნქციური ინტერპრეტაცია ვერ ხერხდებოდა წინადადების ფარგლებში და წინადადების დონეზე ” (ლეხანიძე 2004 273-274).

როგორც ვხედავთ, კომუნიკაციური ლინგვისტიკა, ანუ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული ეტაპი, რომლის საფუძველზე პირველ რიგში აღქმული უნდა იქნას რეფერენციის ფენომენი, გულისხმობს, ერთის მხრივ პრაგმატიკაზე დაყრდნობას და მის ახლებურ, ანუ ინტერსუბიექტურ გააზრებას, მეორეს მხრივ კი გულისხმობს რეფერენციის ისეთ ფუნქციურ ხედვას, რომელიც შესაძლებელი იქნება სწორედ წინადადების დონის პრინციპული გადალახვის შემთხვევაში.

1.4. სახელი როგორც ენობრივი ფენომენი და მისი კავშირი რეფერენციის ფენომენტთან

როგორც არაერთხელ აღინიშნა, რეფერენციის ლინგვისტური გააზრების ერთ-ერთ და არსებით ვექტორს წარმოადგენდა (და დღესაც წარმოადგენს) ამ ფენომენის პირდაპირი დაკავშირება „ნომინალურ ჯგუფთან“, და ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ნომინალურ ჯგუფთან რეფერენციის

დაკავშირება გარდუვალად ბადებს შემდეგ კითხვას: როგორ უნდა იქნას გააზრებული შინაგანი მიმართება ნომინალურ ჯგუფთან უშუალოდ დაკავშირებულ ისეთ კატეგორიებს შორის, როგორცაა დეიქსისის (ვგულისხმობთ პირველ რიგში ე. წ. „როლურ“, ანუ პერსონალურ დეიქსისს) და დეტერმინაციის (განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის) კატეგორიებს. ამასთან ნათლად გამოიკვეთა ნომინალურ ჯგუფთან დეიქსისის დაკავშირების შემდეგი თანმხლები მომენტიც: ეს დაკავშირება ხდებოდა – და, როგორც წესი, დღესაც ხდება – არატექსტობრივ კონტექსტში, ანუ ფაქტობრივად ისევ და ისევ წინადადების დონეზე – მიუხედავად იმისა, ხდებოდა თუ არა ამ ფაქტის ექსპლიციტური ხაზგასმა. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, რეფერენციის როგორც ფენომენის ჭეშმარიტად ადეკვატური ხედვა შესაძლებელი უნდა იყოს სწორედ ტექსტის დონეზე და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხსენებული დონე ორგანულად დაუკავშირდება დისკურსის ინტერსუბიექტურ (და ინტერაქციულ) მოდელს.

რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს წინა აბზაცში განვითარებული მსჯელობიდან? ის, რომ რეფერენციის პრობლემის საბოლოო გადაჭრა გარდუვალად მოითხოვს ერთმანეთს დაუკავშიროთ – და სწორედ თეორიულ დონეზე – ორი ენობრივი ფენომენი – **სახელი** და **ტექსტი**. და ამავე დროს დაუკავშიროთ ისე, რომ ეს კავშირი არა მხოლოდ გულისხმობდეს რეფერენციასთან შინაგან კავშირს, არამედ **არსებითად ეფუძნებოდეს კიდევ მას**.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი, ანუ რეფერენციასთან არსებითად დაკავშირებული მიმართება სახელსა და ტექსტს შორის არამცთუ არ ყოფილა ექსპლიციტურებული თანამედროვე ლინგვისტიკაში, არამედ ჯერ-ჯერობით, იგი არც კი გამხდარა ლინგვისტური რეფლექსიის საგანი. მაგრამ საქმე ისაა, რომ სწორედ რეფერენციასთან დაკავშირებულ პრობლემატიკის ვექტორს მივყავართ სახელსა და ტექსტს შორის ამგვარი კავშირის ექსპლიციტურად გააზრების აუცილებლობამდე რადგან, როგორც უკვე ვიცით, შეუძლებელია არ მოხდეს ამ ენობრივი ფენომენის ერთდროული და არსებითი დაკავშირება სწორედ სახელთან და ტექსტთან.

ბუნებრივია, ზემოთ ხსენებული დაკავშირება ერთდროულად უნდა გულისხმობდეს არსებით და აუცილებელ კავშირს ისეთ სამ ლინგვისტურ ცნებას შორის, როგორცაა **სახელი**, **ტექსტი** და **რეფერენცია**. ამ კავშირზე არსებითად და თანმიმდევრულად ვიმსჯელებთ ნაშრომის მეორე თავში,

რომელიც მთლიანად მიეძღვნება რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის განხილვისას. მაგრამ ცხადია ისიც, რომ წინამდებარე თავმა უნდა შეასრულოს კვლევის მთელი შემდგომი მონაკვეთის მოსამზადებელი სეგმენტის როლი. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია შევჩერდეთ **სახელის** („ნომინალური ჯგუფის“) ფუნქციურ არსზე იმ ფართო გაგებით, რომელსაც ალბათ ზოგადად „ლინგვოსემიოტიკური“ გაგება შეიძლება ვუწოდოთ. ვფიქრობთ, კვლევის შემდგომ ეტაპებზე, სახელდობრ კი ნაშრომის მეორე თავში, დავინახავთ სახელის ლინგვოსემიოტიკური არსის ამგვარი განხილვის პერსპექტიულობას.

ხსენებულ ამოცანას შევასრულებთ ცნობილი ლინგვისტისა და სემიოტიკოსის ი. სტეპანოვის ისეთ ნაშრომზე დაყრდნობით როგორცაა „ენის სამგანზომილებიან სტრუქტურაში“. ხსენებული მონოგრაფიის ავტორი ხაზს უსვამს სახელის როგორც ენობრივი ფენომენის იმ არსებით მომენტებს, რომელთა შინაგანი კავშირი რეფერენციის პრობლემასთან ჩვენ უკვე დავინახეთ. (თუმცა თვით ავტორი არაფერს ამბობს – ყოველ შემთხვევაში, ექსპლიციტური სახით – რეფერენციასთან ამგვარი კავშირის თაობაზე) (Степанов 1985)

ავტორი მსჯელობს სახელის ლინგვოსემიოტიკური არსის შესახებ შემდეგ სამ არსებით მომენტზე დაყრდნობით: 1) სახელზე როგორც ენობრივი **სახელდების** საშუალებაზე და საფუძველზე; 2) საყოველთაოდ ცნობილ „სემანტიკურ სამკუთხედზე“ დაყრდნობით და 3) ისეთ ფუძემდებლურ ფენომენტთან დაკავშირებით როგორცაა **ჩვენების** ფენომენი.

შევჩერდეთ ხსენებულ მომენტებზე, რადგან, როგორც უკვე ითქვა, სამივე მნიშვნელოვანია რეფერენციის კვლევის ჩვენეული კონტექსტისათვის:

1.4.1. სახელი ზოგადი ლინგვოსემიოტიკური თვალსაზრისით

როგორც ავტორი წერს, „სახელი არის სიტყვა, ან უფრო იშვიათად სიტყვათშეხამება, რომელიც ასახელებს საგანს ან ადამიანს“ (Степанов 1985:13). თუმცა, ჩვენის აზრით, ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის უფრო მნიშვნელოვანია ის, რასაც ავტორი ამბობს სახელის შესახებ ზოგად ფილოსოფიური თვალსაზრისით: „სახელთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ პრობლემას წარმოადგენს არა იმდენად თვით სახელი, არამედ ის პროცესი და მიმართება, რომლის შედეგადაც გვევლინება სახელი ანუ **სახელდების** პროცესი და მიმართება“ (იქვე). როგორც გვახსოვს, რეფერენციის სპეციფიკური არსი ჩვენ დავინახეთ სწორედ სახელის მიმართებაში გარე სინამდვილესთან და აქედან

გამომდინარე ცხადი გახდა ისიც, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს მიმართება ტექსტის ფარგლებში და ტექსტობრიობის საფუძველზე ზოგადად და კერძოდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს მხატვრულ ტექსტთან. ვფიქრობთ, ავტორის შემდეგი მსჯელობა დაგვეხმარება ზემოთ მითითებული პრობლემის გადაჭრაში: „სახელი უპირისპირდება სხვა ტიპის სიტყვებს, მეტყველების სხვა ნაწილებს. მხოლოდ სახელი იმყოფება თავის ობიექტთან ისეთ მიმართებაში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სახელდების მიმართება. ზმნაც და საერთოდ პრედიკატი, რა თქმა უნდა, იმყოფება გარკვეულ მიმართებაში ექსტრალინგვისტურ სინამდვილესთან, მაგრამ არ ასახელებს მას” (იქვე). ავტორი განაგრძობს: „იგივე შეიძლება ითქვას წინდებულებზე და მით უმეტეს კავშირებზე..... „ნიშანთვისებათა სახელები” – ზედსართავი სახელები და ზმნისზედები – ამ თვალსაზრისით წარმოადგენენ პრობლემურ სფეროს, თუმცა ცხადია: იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი რამეს ასახელებენ, ეს დასახელება არსებითად განსხვავდება სახელის მიერ განხორციელებული დასახელებისაგან” (იქვე).

1.4.2. სახელი „სემანტიკურ სამკუთხედზე” დაყრდნობით

როგორც ავტორი ამბობს: „სახელდების ყველაზე ადეკვატურ მინიმალურ სქემატიზაციას წარმოადგენს სემანტიკური სამკუთხედი: 1) სიტყვა (სახელი) დაკავშირებულია 2) საგანთან – და ამ კავშირს ეწოდება სახელდება და 3) საგნის გამომხატველ ცნებასთან, ანუ საქმე გვაქვს კავშირთან, რომელსაც ეწოდება **გამოხატვა** – ცნების გამოხატვა სიტყვის საშუალებით” (Степанов 1985:14). ავტორი შემდეგნაირად აგრძელებს მსჯელობას მოცემულ კონტექსტში: „სემანტიკური სამკუთხედი საუკეთესო სქემაა, იმიტომ, რომ იგი გამოხატავს სახელდებითი მიმართების ზღვრულად შესაძლებელ მინიმიზაციას, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს არის მინიმალური, აუცილებელი და საკმარისი სქემატიზაცია”(Степанов 1985:14-15). ვფიქრობთ, ჩვენი კვლევითი კონტექსტისთვის განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ავტორის შემდეგი მსჯელობა : „არა ერთხელ გამოუთქვამთ კრიტიკა ამ სამკუთხედის მისამართით, ლაპარაკობენ რამის უსრულობაზე, ანუ იმაზე რომ, იგი ვერ ამოწურავს სახელდების ყველა ვარიანტს” (Степанов 1985:15). ჩვენის აზრით, მართლაც შეიძლება კრიტიკულად შევხედოთ სემანტიკურ სამკუთხედს იმ შემთხვევაში, თუ არსებითად დავეუკავშირებთ ერთმანეთს სახელსა და რეფერენციას: როგორც უკვე ვიცით რეფერენცია არ უდრის დენოტაციას, რეფერენტი კი დენოტატს;

1.4.3. სახელის კავშირი ჩვენების ფენომენთან

ფიქრობთ, არა ნაკლებ საინტერესოა ის, რასაც ავტორი ამბობს მოცემულ კონტექსტში: „სახელდების არსი ყველაზე უფრო ახლოსაა ჩვენებასთან უფრო მეტიც, სახელდება შეიძლება განისაზღვროს როგორც ისეთი ჩვენება, რომელიც მოკლებულია თვალსაჩინოებას, ე. ი. როგორც ჩვენება, განხორციელებული არა ჩვენებითი უცხვის საშუალებით, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ გამყარებული ენობრივი სისტემის მიერ” (Степанов 1985:15). ალბათ არ უნდა იყოს ძნელი იმის დანახვა, რომ ავტორის ეს სიტყვები მიუთითებენ იმ შინაგან კავშირზე, რომელიც უნდა დავინახოთ სახელის ფუნქციურ არსსა და ისეთ ფენომენს შორის, როგორცაა დეიქსისი.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ ი. სტეპანოვის მიერ ზემოთ განხილული და სახელის ფუნქციურ არსთან ორგანულად დაკავშირებული სამივე არსებითი მომენტი შეიძლება განვიხილოთ როგორც ლინგვისტიკურად განმარტებული საფუძველი იმისათვის, რომ დავინახოთ ორგანული შიდა კატეგორიული კავშირი ისეთ ჩვენს მიერ უკვე დასახელებულ ენობრივ ფენომენებს შორის, როგორცაა, რეფერენცია, დეტერმინაცია და დეიქსისი.

1.5 რეფერენცია როგორც ლინგვისტური პრობლემა თანამედროვე პარადიგმული სიტუაციით განსაზღვრულ პერსპექტივაში

როგორც შესავალში და პირველ თავში განვითარებულმა მსჯელობამ გვიჩვენა რეფერენცია როგორც ენობრივი ფენომენი და ლინგვისტური პრობლემა ორგანულად, მაგრამ ამავე დროს წინააღმდეგობრივადაა დაკავშირებული თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ სიტუაციასთან (თვით პარადიგმული სიტუაცია კი, როგორც დავრწმუნდით, წარმოადგენს პარადიგმული დინამიკის უშუალო შედეგს და ასახავს კიდევ მას). ერთის მხრივ ვნახეთ, რომ ხსენებული პრობლემის გააზრება წარმოუდგენელია ამ სიტუაციის ბოლომდე გააზრების გარეშე; მაგრამ ამავე დროს ცხადი გახდა ალბათ ისიც, რომ თვით თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია თავის კატეგორიულ განზომილებაში უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება საბოლოო ანგარიშში დასმული და გადაჭრილი რეფერენციის პრობლემა.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ ამგვარი თეზისის წამოყენების მართებულობაში საკმარისია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის შინაგანი ვექტორი, რომლითაც ხასიათდება რეფერენციის ფენომენის საკუთრივ ლინგვისტური გააზრების ეტაპობრივი სტრუქტურა: ეს გააზრება იწყება რეფერენციის ტერმინოლოგიური მნიშვნელობის დიფუზურობით, გრძელდება ამ დიფუზურობის თანდათანობითი თავიდან აცილებით და, როგორც ვნახეთ, დღეისათვის იგი იღებს მწვავე პრობლემურობით აღბეჭდის, მაგრამ ამავე დროს კატეგორიალური თვალსაზრისით ზუსტად განსაზღვრულ სახეს. ორივე ამ მომენტს, ანუ როგორც მწვავე პრობლემურობას, ისე კატეგორიალურ განსაზღვრულობას ერთდროულად ხაზი გაესმის, თუ რეფერენციის პრობლემას დავინახავთ მის შემდეგ სამ ძირითად მიმართებაში:

- ა. რეფერენციის პრობლემა დეიქსისისა და დეტერმინაციის კატეგორიებთან მიმართებაში, რომლებთანაც საყოველთაო აღიარებით იგი არსებითადაა დაკავშირებული. როგორც ითქვა, ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, რეფერენტულობას უნდა ეკავოს მეტაკატეგორიის სტატუსი ხსენებული კატეგორიების მიმართ;
- ბ. ასევე დავრწმუნდით იმაში, რომ რეფერენციის, როგორც ენობრივი ფენომენის ორგანული კავშირი სახელთან, როგორც მეტყველების ნაწილთან (ნომინალურ ჯგუფთან) უნდა წარმოადგენდეს ამ ფენომენის შემდგომი, ანუ უფრო გაღრმავებული გააზრების აუცილებელ თეორიულ წინაპირობას. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ხსენებული მომენტი, ანუ რეფერენციის შინაგანი კავშირი სახელთან თანმიმდევრულად უნდა იქნას დაკავშირებული სხვა მომენტებთან;
- გ. და რაც, ჩვენის აზრით, მთავარი უნდა იყოს რეფერენციის მთელი პრობლემის ადეკვატურად დასმისა და გადაჭრისათვის: ხსენებულმა შინაგანმა ვექტორმა ორგანულად და პრინციპულად დაუკავშირა ერთმანეთს – რა თქმა უნდა, რეფერენციასთან მიმართებაში – ორი ისეთი ფენომენი როგორცაა, სახელი (ნომინალური ჯგუფი) და ტექსტი: რეფერენცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაემიჯნოს არა მხოლოდ სიგნიფიკაციის, არამედ დენოტაციის ფენომენისაგანაც (ამგვარი გამიჯვნის გარეშე კი თვით რეფერენციაზე საუბარიც კი კარგავს აზრს), თუ რეფერენცია დანახული იქნება მის **დისკურსულ** სტატუსში, რაც, ბუნებრივია, თავისთავად უკვე უნდა მიუთითებდეს რეფერენციის როგორც

ტექსტობრივ ფენომენზე; და სწორედ ნათქვამის გათვალისწინებით უნდა გაეხსნას ხაზი, ჩვენის აზრით, შემდეგ ორ პრობლემურ მომენტს:

- 1) როგორც ცნობილია, ენობრივ სისტემასა და დისკურსს შორის უნდა არსებობდეს ენობრივ ფენომენტთა ის გარდუვალი კავშირი, რომელიც გულისხმობს, ერთის მხრივ ფენომენტის სისტემურ, მაგრამ ამავე დროს **ვირტუალურ** მოცემულობას ენობრივი სისტემის დონეზე და, მეორეს მხრივ უკვე **აქტუალურ** (აქტუალიზირებულ) მოცემულობას ტექსტის ფარგლებში. იმ შემთხვევებში კი, როცა სისტემის დონეზე საქმე გვაქვს ამა თუ იმ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიასთან აქტუალიზირებული სახით, ეს კატეგორია დისკურს-ტექსტის დონეზე რეალიზებულ უნდა იქნეს ამა თუ იმ **ტექსტობრივი ბადის** სახით. აქედან გამომდინარე, თუ ვილაპარაკებთ რეფერენტულობაზე, როგორც მატაკატეგორიის სტატუსის მქონე ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიაზე და შესაბამისად რეფერენტულობის ფუნქციურ სემანტიკურ ველზე, მაშინ ტექსტის დონეზე და ტექსტის ფარგლებში საქმე უნდა გვქონდეს **რეფერენტულობის ტექსტობრივ ბადესთან** – რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი ბადეც უნდა ხასიათდებოდეს იგივე სტრუქტურული იერარქიულობით როგორც ნაგულისხმევია რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის შემთხვევაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხსენებული ტექსტობრივი ბადე უნდა გულისხმობდეს – ასეთია ჩვენი ჰიპოთეზა – დეტერმინაციისა და დეიქსისის ფუნქციურ სინთეზს;
- 2) მაგრამ როგორ უნდა იქნას დანახული ორგანული და ამავე დროს პრობლემური კავშირი, ერთის მხრივ ამგვარი სტრუქტურის მქონე რეფერენტულობის ტექსტობრივ ბადესა და მეორეს მხრივ, ნომინალური ჯგუფის (სახელის) ტექსტობრივ ფუნქციას შორის? ჩვენის აზრით, მხოლოდ ამ კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემა უნდა იყოს მიჩნეული რეფერენციის პრობლემის გადაჭრის ჭეშმარიტ წინაპირობად.

თავი II

ინტერსუბიექტურობის პრაგმატიკული პრინციპი და რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი: რეფერენტულობის ველი და რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე

2.1. დეტერმინაცია როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია: რეფერენტულობის მეტაკატეგორიის სტატუსის განსაზღვრის პირველი წინაპირობა

წინა თავში, როცა ვლაპარაკობდით რეფერენციის პრობლემის აქტუალურობაზე, ამ აქტუალურობის ერთ-ერთ ასპექტად მივიჩნიეთ იმის განსაზღვრა, თუ რა მიმართებაშია რეფერენცია სახელთან დაკავშირებულ ისეთ კატეგორიებთან როგორცაა, ერთის მხრივ, **დეტერმინაცია**, მეორეს მხრივ კი **დეიქსისი**. მაგრამ ამავე დროს ხაზი გაესვა პრობლემის იმ ასპექტსაც, რომელიც ხსნებულ სამი კატეგორიის ურთიერთმიმართებას შინაგანად და ორგანულად უკავშირებს თანამედროვე ლინგვისტიკის ფუნდამენტურ პრობლემას – იმ ურთიერთმიმართებას, რომელიც იგულისხმება ენობრივ სისტემასა და მისი აქტუალიზაციის შედეგად წარმოშობილ დისკურსს შორის; თუმცა ასევე ცხადი გახდა, რომ ეს უკანასკნელი მიმართება რეფერენციალური თვალსაზრისით რეალიზებული უნდა იყოს ტექსტში. შესაბამისად გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი რეფერენციის როგორც ლინგვისტური პრობლემის ყველა იმ ასპექტის ორგანულ ურთიერთკავშირს, რომელთა შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა:

- ა) შეუძლებელია ვიმსჯელოთ რეფერენციაზე, თუ არ დავადგენთ მის კავშირს დეტერმინაციისა და დეიქსისის კატეგორიებთან, რადგან სწორედ ამ კავშირის არსებობაზე მიუთითებს რეფერენციისა და სახელის (ნომინალური ჯგუფის) როგორც ფენომენთა განუყოფლობა;
- ბ) შეუძლებელია არ განვიხილოთ ხსენებულ კატეგორიათა ურთიერთკავშირი სისტემისა და დისკურსის ურთიერთმიმართების გათვალისწინების გარეშე;
- გ) შეუძლებელია არ მივიჩნიოთ რეფერენცია ტექსტობრივ ფენომენად, რაც გულისხმობს მის თანმიმდევრულ განხილვას ტექსტის თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაზე დაყრდნობით.

როგორც ვხედავთ, რეფერენციის პრობლემა დღეისთვის წარმოგვიდგება ისეთ სამგანზომილებიან პრობლემად, რომელიც აუცილებლად მოითხოვს ზემოთ დასახელებულ და გამოყოფილ განზომილებათა ექსპლიციტურად თანმიმდევრულ ურთიერთდაკავშირებას; მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს თანმიმდევრობა? ჩვენის აზრით, ამ მეთოდურად დანახული თანმიმდევრობის შინაგანმა ვექტორმა უნდა ასახოს რეფერენციის ფენომენის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის ჩვენ მიერ უკვე განხილული ვექტორი (იმის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, რომ სწორედ ამ ვექტორით ნაგულისხმევი ბოლო და გადამწყვეტი ეტაპი ჯერ კიდევ საჭიროებს რეალიზაციას). ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თეორიული თვალსაზრისით ხსენებულ ბოლო და გადამწყვეტ ეტაპს უნდა წარმოადგენდეს – როგორც ამაზე მოცემული თავის სათაური მიგვითითებს – რეფერენციის როგორც **ტექსტობრივი ფენომენის** გაანალიზება; და რა უნდა უძღოდეს წინ ამ გადამწყვეტ ეტაპს? ვფიქრობთ, მას წინ უნდა უძღოდეს სახელთა (ნომინალურ ჯგუფთა) ორგანულად დაკავშირებულ ისეთ კატეგორიათა შორის იერარქიული ურთიერთ-მიმართების დადგენა, როგორცაა რეფერენცია, დეტერმინაცია და დეიქსისი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე გვსურს იმ ჩვენი ჰიპოთეზის თეორიული ადეკვატურობის დადგენა, რომლის თანახმად რეფერენციას უკავია **მეტაკატეგორიის** სტატუსი დეტერმინაციისა და დეიქსისის მიმართ. ჩვენის აზრით, ეს სწორედ ის ამოცანაა, რომელიც წინ უნდა უძღოდეს ტექსტის დონეზე რეფერენციის ფენომენის განხილვას და ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს კიდევ ამგვარი განხილვის ლოგიკურ წინაპირობას.

ზემოთ ნათქვამის შესაბამისად დასახულ ამოცანაში გამოვეყოფთ ორ შიდა ეტაპს – **ანალიტიკურსა** და **სინთეზურს**: პირველ შემთხვევაში შევეცდებით თანმიმდევრულად დავუკავშიროთ ერთმანეთს ჯერ დეტერმინაცია და რეფერენცია, შემდეგ კი რეფერენცია და დეიქსისი. მეორე ეტაპზე კი ვისეულმდგვანელებთ რა ჩვენს მიერ უკვე ფორმულირებული ჰიპოტეზით შევეცდებით მოვახდინოთ წინა ეტაპზე მიღებულ შედეგთა სინთეზი.

როგორც ეს ზემოთ განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარეობს, ჩვენი მიზანია შინაგანად და არსებითად დავუკავშიროთ ერთმანეთს ორი ისეთი ენობრივი ფენომენი (ამ შემთხვევაში ზედსართავ სახელ „ენობრივს“ ვხმაროთ იმ მაქსიმალურად ფართო მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს დიქტომიის „ენა და მეტყველება“ ორივე წევრს), როგორცაა, ერთის მხრივ, რეფერენცია, მეორეს

მხრივ კი – არსებითი სახელის დეტერმინაციის კატეგორია. (მაგრამ ამავე დროს მოცემული პარაგრაფის სათაური შეიცავს ისეთ აზრობრივ მომენტსაც, რომელიც თავისი მნიშვნელობით სცილდება ხსენებული ორი ფენომენის ურთიერთმიმართების პრობლემას და მიუთითებს ლინგვისტური აზროვნების ისეთ მეთოდოლოგიაზე, რომლის არსი განისაზღვრება შემდგენაირად: ენობრივ მოვლენათა (ფაქტთა) განხილვისას აუცილებელია მათი არსებითი და თანმიმდევრული დაკავშირება კულტურასთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, სწორედ კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური მიმართულება უნდა მივიჩნიოთ დღეს ლინგვისტური აზროვნების მაგისტრალურ თეორიულ და მეთოდოლოგიურ პარადიგმად. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში რეფერენციისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა მოგვევლინება ჩვენს მიერ განვლილი მთელი კვლევითი გზის დასკვნით ეტაპად)

მაგრამ, როგორც ღაგინაზავთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მარტო იმის აღნიშვნა, თუ რომელი პარადიგმის საფუძველზე უნდა იქნას განხილული რეფერენციისა და დეტერმინაციის ურთიერთმიმართება; არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორ ხდებოდა კვლევა იმ ლინგვისტურ პარადიგმათა ფარგლებში, რომლებიც წინ უსწრებდნენ ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას. როგორც წინა თავში იყო მითითებული, ჩვენთვის ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რეფერენციის ფენომენის თეორიული ხედვის რეტროსპექტულ და პროსპექტულ ასპექტებს – სხვანაირად ვერ შევძლებთ იმის ჩვენებას, თუ რაში მდგომარეობს ამ უკანასკნელის თეორიული არსი და მეთოდოლოგიური უპირატესობა. როგორც უკვე ვიცით, ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას თანამედროვე ლინგვისტიკაში წინ უსწრებდნენ სისტემურ-სემიოტიკური და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმები. ამ პარადიგმული დინამიკის აღნიშვნა აუცილებლად მიგვაჩნია იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია, ლინგვისტურ აზროვნებაში ახალი პარადიგმის გამოჩენა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დავიწყებას უნდა მიეცეს წინა პარადიგმათა მიღწევები. პარადიგმული დინამიკა ლინგვისტიკაში არ უნდა წარმოვიდგინოთ „პრიმიტიული სწორი ხაზის სახით“ (Карасик 2004:5). აქედან გამომდინარე, მოცემულ პარაგრაფში პარადიგმათა ამგვარი („არაპრიმიტიული“) ურთიერთმიმართების გათვალისწინებით თანმიმდევრულად შევეცდებით პასუხი გავცეთ კითხვას: როგორ უნდა იქნას გაგებული მიმართება რეფერენციისა და დეტერმინაციას შორის? დასმულ კითხვაზე მაქსიმალურად

სრულ პასუხს უნდა იძლეოდეს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, მაგრამ მიღებული პასუხის ეს სისრულე მიღწეულ იქნება მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ ამ პარადიგმულ თვალსაზრისში სინთეზირებული სახით იქნება წარმოდგენილი წინა პარადიგმათა თვალთახედვაც.

ამ პრობლემის გადაწყვეტას შეეცდებით: 1) ზემოთხსენებულ ორ კატეგორიათა შორის მიმართების განსაზღვრით სისტემურ-სემიოტიკური და ანთროპო-ცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმათა თვალსაზრისით, 2) შემდეგ კი იგივე პრობლემას განვიხილავთ ლინგვოკულტუროლოგიურადაც. რეფერენციის ჩვენს მიერ უკვე განხილული ერთ-ერთი განსაზღვრა, რომელსაც შეიცავს 1990 წელს გამოცემული „ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი“, ასახავს ამ ფენომენის როგორც სისტემურ, ისე კომუნიკაციურ ხედვას: რეფერენცია განისაზღვრება როგორც „სახელთა ან მათ ეკვივალენტთა მიმართებულობა სინამდვილის ობიექტთან (რეფერენტებთან, დენოტატებთან)” (Арутюнова 1990:411) როგორც უკვე ვნახეთ, ციტირებული ავტორის აზრით, რეფერენცია განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით: სინტაქსურით, ლოგიკურ-სემანტიკურით და პრაგმატიკულით. რაც შეეხება პრაგმატიკულ ასპექტს, იგი უკავშირებს სახელს მოსაუბრეთა ცოდნის ფონს. შეიძლება ლაპარაკი იყოს ისეთ საგანზე, რომელიც ცნობილია მხოლოდ მეტყველი პირისათვის (ინტრუდუქციული რეფერენცია).....ისეთ საგანზე, რომელიც ერთნაირად ცნობილია როგორც მეტყველი პირისათვის, ისე ადრესატისათვის (მაიდენტიფიცირებელი რეფერენცია), ან თუნდაც ისეთზე, რომელიც არცერთი მათგანისათვის არ არის ცნობილი (განუსაზღვრელი რეფერენცია)” (იქვე). ავტორს მიაჩნია, რომ „რეფერენციის პრაგმატიკული ფაქტორი ძირითადად მოქმედებს კონრეტული რეფერენციის სფეროში” (იქვე).

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, ავტორი ლაპარაკობს „კონკრეტულ რეფერენციაზე”, მაგრამ არაფერს ამბობს იმ ენობრივ ფენომენზე, რომელიც უშუალო კავშირში იმყოფება ამგვარ რეფერენციასთან, ანუ არტიკლის ფენომენზე. ამაზე მეტყველებს არტიკლის ის განსაზღვრა, რომელსაც იგივე ლინგვისტური ენციკლოპედია გვაწვდის: „არტიკლი არის ის გრამატიკული ელემენტი, რომელიც ენაში ფუნქციონირებს როგორც დამხმარე სიტყვა ან აფიქსი და რომელიც გამოხატავს სახელად კატეგორიას განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობას, ე. ი. გამოხატავს რეფერენციის სახეობას” (Арутюнова 1990:45).

როგორც ვხედავთ, რეფერენციის ზემოთ ციტირებულ განსაზღვრაში მართლაც წარმოდგენილია როგორც სემიოტიკურ-სისტემური თვალსაზრისი – იმდენად, რამდენადაც ლაპარაკია „სახელთა ან მათ ეკვივალენტთა მიმართებულობაზე სინამდვილის ობიექტებთან“, ისე ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური თვალსაზრისი – იმდენად, რამდენადაც, ავტორის აზრით, რეფერენცია „უკავშირებს სახელს მოსაუბრეთა ცოდნის ფონს.“ მაგრამ როგორია ამგვარად გაგებულ რეფერენციის კავშირი არსებითი სახელის დეტერმინაციის ფენომენთან, ანუ იმ ფენომენთან, რომლის რეალიზაცია ძირითადად უკავშირდება არტიკლს? ჩვენის აზრით, ეს კავშირი არა მარტო არსებობს, არამედ პრინციპული მნიშვნელობაც აქვს როგორც რეფერენციის, ისე სიტყვათა იმ კლასის ფუნქციური ინტერპრეტაციისათვის, რომელსაც ზემოთ მოყვანილი განსაზღვრის მიხედვით რეფერენცია უკავშირდება, ანუ არსებითი სახელის ფუნქციური ინტერპრეტაციისათვის. არსებითი სახელი კი, როგორც პირველ თავში იქნა ხაზგასმით აღნიშნული, რეფერენციის აქტში მონაწილეობს სახელდების, ანუ ნომინაციის საშუალებით და მის საფუძველზე. როგორც ი. სტეპანოვი აღნიშნავს, სწორედ არსებით სახელს უკავშირდება ზოგად-სემიოტიკური თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქცია როგორცაა ნომინაციის ფუნქცია. უფრო მეტიც, ავტორს მიაჩნია, რომ სწორედ ნომინაციის ფუნქცია გამოყოფს არსებით სახელს მეტყველების სხვა ნაწილთაგან, რადგანაც „სახელი უპირისპირდება სხვა ტიპის სიტყვას, მეტყველების სხვა ნაწილებს, მხოლოდ სახელი იმყოფება თავის ობიექტთან ისეთ მიმართებაში, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ სახელდების მიმართება“ (Степанов 1985:13). ჩვენ განმეორებით დავეყრდენით ზემოთ მოყვანილ ციტატას იმის გათვალისწინებით, რომ მას პრინციპული მნიშვნელობა აქვთ არა მხოლოდ თვით სახელის როგორც ენობრივი ფენომენის, არამედ ყველა იმ კატეგორიის ლინგვისტური არსის გაგებისთვის, რომლებიც ფუნქციურად უკავშირდებიან სახელს.

როგორც ვხედავთ, არსებით სახელთან ერთნაირად მნიშვნელოვან ლინგვოსემიოტიკურ მიმართებაში იმყოფება ისეთი ორი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, როგორცაა რეფერენციისა და ნომინაციის ფუნქციები, რაც აუცილებლად უნდა მეტყველებდეს მათ შინაგან ორგანულ ურთიერთკავშირზე. შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი „რეფერენცია“ მიუთითებს არსებითი სახელის ფუნქციაზე ზოგადსემიოტიკური გაგებით. (ამ შემთხვევაში არსებითი სახელი აღიქმება როგორც ენობრივ ნიშანთა მთელი ერთობლიობის წარმომადგენელი),

ტერმინი „ნომინაცია“ კი აკონკრეტებს ხსენებულ ზოგად სემიოტიკურ ფუნქციას როგორც ლოგიკურ-სინტაქსური, ისე პრაგმატიკულ-კომუნიკაციური გაგებით. მაგრამ, თუ ეს ასეა, რეფერენციასთან უშუალო კავშირში უნდა გავიაზროთ დეტერმინაციის ფენომენიც, ანუ ის ფენომენი, რომლის გარეშე ვერცერთი არსებითი სახელი კონკრეტულ კომუნიკაციურ სიტუაციაში ვერ შეიძლება ნომინაციის (და, შესაბამისად, კონკრეტული სახის რეფერენციის) და დეტერმინაციის ფუნქციის შესრულებას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ინგლისურ ენაში, ისე როგორც ყველა ძირითად ევროპულ ენაში, არსებითი სახელის დეტერმინაციის ფუნქციას თავის თავზე პირველ რიგში იღებს არტიკლი (რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს სხვა დეტერმინატივთა არსებობას). შეიძლება ითქვას, რომ არტიკლი გვევლინება დეტერმინაციის ველის ცენტრად. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოდ, რომ არსებობს ორგანული კავშირი რეფერენციის ფენომენსა და იმ ფუნქციურ დატვირთვას შორის, რომლითაც არტიკლი ხასიათდება. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კავშირი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე აღქმული და გააზრებული. უფრო მეტიც, შეიძლება ვილაპარაკოთ გარკვეულ შინაგან წინააღმდეგობრიობაზეც იმ შემთხვევებში, როცა ყურადღების ცენტრში ექცევა ამ ცნებათა ურთიერთმიმართება. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ჩვენს მიერ უკვე ციტირებული მონოგრაფიის ავტორი ლ. ნოზრდინა ისეთი ცნების განმარტებისას, როგორცაა მხატვრული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა, წერს: „იმ კატეგორიათა რიცხვს, რომლებიც ახდენენ ჩვენს გარშემო არსებულ საგანთა იდენტიფიცირებას, ე. ი. ახდენენ მათ ინდივიდუალიზაციას, ანდა პირიქით, გენერალიზაციას, ეკუთვნიან რეფერენციის კატეგორია და განსაზღვრება/განუსაზღვრელობის კატეგორია, რომელიც მონაწილეობს რეფერენციის დადგენაში“ (Ноздрина 2004:118). როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ხსენებულ ორ კატეგორიას ავტორი გარკვეული თვალსაზრისით ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოიაზრებს. (სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ეთქვა „რეფერენცია და განსაზღვრება/განუსაზღვრელობა“), თუმცა ამავე დროს ნათქვამია ისიც, რომ განსაზღვრება/განუსაზღვრელობა (ანუ ჩვენი ტერმინოლოგიით „დეტერმინაციის კატეგორია“), ის კატეგორიაა რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს რეფერენციის დადგენაში.

აქედან გამომდინარე ისმის კითხვები: როგორ უნდა გავიაზროთ საბოლოო ანგარიშში რეფერენციასა და დეტერმინაციას შორის არსებული შინაგანი და

ორგანული კავშირი? და რომელია ის „უფრო მაღალი რანგის“ ზოგადლინგვისტური კატეგორია, რომელიც თავისი სტრუქტურის ფარგლებში შექმნილია მოეხდინა რეფერენციისა და დეტერმინაციის ისეთ ფუნქციურ იდენტიფიკაციას, რომელიც ასე აუცილებლად და გარდუვალად გამოიყურება ემპირიულ დონეზე? სხვანაირად რომ ვთქვათ, რომელ კატეგორიას უნდა მიენიჭოს მეტაკატეგორიული სტატუსი რეფერენციისა და დეტერმინაციის შორის? მიგვაჩნია, რომ დასმულ კითხვაზე პასუხი შესაძლებელია გაიცეს თანამედროვე ლინგვისტიკისთვის ერთნაირად ფუძემდებელი სამივე პარადიგმის, ანუ სისტემურ-სემიოტიკური, ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიული პარადიგმების მიხედვით. და ეს პასუხი ბოლომდე გამართლებული იქნება, თუ ამავე დროს დავინახავთ პარადიგმათა შორის არსებულ შინაგან კავშირს. შევეცადოთ ეტაპობრივად მოვახდინოთ ჩვენი ამ მოსაზრების რეალიზაცია:

1) რომელია ენობრივი სისტემის დონეზე ის მეტაკატეგორია, რომლის ფარგლებში მოხდება რეფერენციისა და დეტერმინაციის ფუნქციური ურთიერთდაკავშირება?

ასეთ მეტაკატეგორიად უნდა მივიჩნიოთ **რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია**, რომლის შესახებაც ფუნქციურად ორიენტირებულ ზოგად ლინგვისტიკაში ჯერ-ჯერობით არ ლაპარაკობენ მიუხედავად იმისა, რომ ამავე დონეზე ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად ფართოდ გამოიყენება როგორც რეფერენციის, ისე ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნებები.

რატომ არის აუცილებელი ვილაპარაკოთ რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიაზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას შეგვიძლია კიდევ ერთხელ ვახსენოთ ლ. ნოზდრინას ზემოთ ციტირებული ნაშრომი. ამ ნაშრომში ავტორი გამოყოფს მხატვრული ტექსტის სტრუქტურის ხუთ ისეთ ძირითად ასპექტს, რომლებსაც იგი „ტექსტობრივ ბადეებს“ უწოდებს: ესენია ტექსტის ტემპორალური, ლოკალური, პერსონალური, რეფერენტული და მოდალური ბადეები. მაგრამ აღსანიშნავია შემდეგი: ავტორის აზრით, ყოველ ტექსტობრივ ბადეს ენობრივი სისტემის დონეზე, ანუ ენობრივი პარადიგმატიკის ფარგლებში უნდა შეესაბამებოდეს გარკვეული ფუნქციურ-სემანტიკური ველი. აქედან გამომდინარე კი უნდა მივიჩნიოთ, რომ ყოველი ტექსტობრივი ბადე სხვა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის (და შესაბამისად – მისი ველის) აქტუალიზაცია. სწორედ ამიტომ ავტორი ამბობს:

„ტექსტობრივი ბადე სინტაგმატიკური კატეგორიაა, ველი კი პარადიგმატული კატეგორიაა” (Ноздрина 2004:52). მაგრამ საქმე ისაა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში მართლაც გამოყოფილია ტემპორალურობის, ლოკალურობის, პერსონალურობის და მოდალურობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები მათი შესაბამისი ველებით, მაგრამ არ არის გამოყოფილი რეფერენტულობის ველი.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ რეფერენციისა და დეტერმინაციის ის შინაგანი ურთიერთკავშირი, რომლის უარყოფა, როგორც ჩანს, შეუძლებელია, ვერ იქნება კონცეპტუალურად გაგებული და გააზრებული, თუ ექსპლიციტურად და თანმიმდევრულად არ დავეყრდნობით ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და მისი შესაბამისი ველის ცნებებს. ამიტომ, თუკი ჩვენ მიყვებით ჩვენი კვლევის სამეტაპობრივ სტრუქტურას და გავითვალისწინებთ ზემოთ ნათქვამს, მაშინ ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გადაჭრის მიზნით ლინგვისტური მსჯელობის სისტემურ-სემანტიკურ დონეზე კვლევის პრაქტიკაში უნდა შემოვიტანოთ რეფერენტულობის **ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის ცნება**. სწორედ ეს ცნება უნდა მივიჩნიოთ ამ შემთხვევაში იმ **მეტაკატეგორიად**, რომელსაც უნდა დაეფუძნოს რეფერენციის და დეტერმინაციის კატეგორიებს შორის შინაგანი კავშირის გააზრება;

2) კვლევის ჩვენს მიერ შემოთავაზებული ეტაპობრივი სტრუქტურის მიხედვით ის მეტაკატეგორია, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა რეფერენციისა და დეტერმინაციის კატეგორიათა კონცეპტუალური დაკავშირება, უნდა განსაზღვრულ იქნას ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის მიხედვითაც. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამგვარად გააზრებული მეტაკატეგორიის განსაზღვრა? მიგვაჩნია, რომ ხსენებულ კითხვაზე პასუხი უნდა გავცეს თვით აღნიშნული პარადიგმის შინაგან სტრუქტურაზე დაყრდნობით. როგორია ამ სტრუქტურის ბირთვი? როგორია ის პრინციპი, რომელიც ახდენს ამ ბირთვის სტრუქტურირებას? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის საფუძველზე შევძლებთ იმ მეტაკატეგორიის დასახელებას, რომელმაც სრულიად ახლებლურად უნდა დააფუძნოს როგორც რეფერენტულობის, ისე დეტერმინაციის ფენომენი და, რაც მთავარია, კონცეპტუალურად დააფუძნოს მათ შორის არსებული ორგანული კავშირი.

ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემისას დავეყრდნობთ გ. ლებანიძის მონოგრაფიიდან მოყვანილ ციტატას: „პრაგმატიკა ტექსტის ლინგვისტიკასთან

ერთად უნდა მივიჩნიოთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბირთვად. თუ კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, ისე როგორც ყველა მეცნიერებას, აქვს კონცეპტუალური ბირთვი – ის რაც გამოხატავს ამ მეცნიერების ძირითად შინაარსს – მაშინ ეს ბირთვი ორ ასპექტიანია: მას პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა შეადგენს. პრაგმატიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის ამგვარი შერწყმის (შერწყმულობის) უშუალო შედეგს წარმოადგენს ის, რომ ყოველი ენობრივი ერთეულის ან კატეგორიის პრაგმატიზაცია ნიშნავს ამავე დროს მის ტექსტოლოგიზაციას. ტექსტოლოგიზაცია კი გულისხმობს, რომ ყოველი კატეგორია, რომელიც შეისწავლებოდა ტექსტის გარეშე, ახლა აღიქმება ტექსტის ფარგლებში” (ლებანიძე 2004:289).

მაგრამ ნათქვამთან დაკავშირებით ისმის კითხვა: თუ პრაგმატიკა და ტექსტის ლინგვისტიკა ერთობლივად წარმოადგენენ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ბირთვს, როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს ამ ორ დისციპლინაზე დაყრდნობა იმ შემთხვევაში, როცა გვსურს ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის ახლებური, ანუ უკვე არა სისტემურ-სემიოტიკური, არამედ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ინტერპრეტაცია? ამ კითხვის ფორმულირება შეიძლება შემდეგნაირადაც: სად – პრაგმატიკაში თუ ტექსტის ლინგვისტიკაში – უნდა ვეძიოთ მსგავს შემთხვევაში ის მეტაკატეგორია, რომელიც გახდებოდა ჩვენთვის საინტერესო ენობრივი მოვლენის ახლებური ხედვის თეორიული საფუძველი?

კითხვის ასეთი დასმა აუცილებლად მიგვაჩნია თუნდაც იმიტომ, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში უკვე ადგილი ჰქონდა არტიკლის, ანუ დეტერმინაციის გამოხატველი ძირითადი ენობრივი საშუალების ახლებლურად დანახვის მცდელობას და ეს მცდელობა დაეფუძნა – თეორიულ პლანში – სწორედ პრაგმატიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის იმ ურთიერკავშირის პრინციპს, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა. სწორედ მსგავსი მსჯელობის ნიმუშთან გვაქვს საქმე უკვე ციტირებულ ნაშრომში: „როდესაც იგი ხმარობს არსებით სახელს განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლით იგი ეყრდნობა ადრესატის „ცხოვრებისეული გამოცდილების” ცოდნას, რომელიც მას ააქვს. „ცხოვრებისეული გამოცდილება” კი კომუნიკაციური ლინგვისტიკის ენით ორ სფეროდ იყოფა: ერთის მხრივ, ეს არის ცხოვრებისეული გამოცდილების მეტად თუ ნაკლებად სტაბილური სფერო: მსმენელ სუბიექტს აქვს ის, რაც აქვს ყველა სუბიექტს – სამყაროზე

წარმოდგენათა სისტემა. მეორეს მხრივ, ყოველი კომუნიკაციური სიტუაცია არის უფრო ფართო ქმედების (ქმედებითი სიუჟეტის) ნაწილი. ესეც ცხოვრებისეული გამოცდილებაა, მაგრამ იგი უფრო ნაკლებად სტაბილურია. როდესაც სუბიექტი ამბობს “Give me a book” ან “Give me the book”. იგი ამოდის, ერთი მხრივ, მსმენელის წარმოდგენათა სისტემიდან, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული სიტუაციიდან, ე. ი. არტიკლის ხმარება მუდამ დამოკიდებულია იმაზე, რაც კომუნიკაციური ლინგვისტიკის ენით რომ ვთქვათ, წარმოადგენს ადრესანტის მიერ ადრესატის ხატის ცოდნას” (ლებანიზე 2004:289-290).

როგორც ზემოთ ითქვა, არტიკლის, ანუ დეტერმინაციის კატეგორიის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ინტერპრეტაცია მოხდა – როგორც ეს ახლახანს მოყვანილი ციტატიდან ჩანს – პრაგმატიკასა და ტექსტის თეორიაზე ერთდროული დაყრდნობით. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს ამავე დროს იმას, რომ ამ ერთდროულობამ უკვე მოგვიძებნა ის მეტაკატეგორია, რომელიც სწორედ ერთდროულად და შერწყმულად შეასრულებდა შემდეგ ორ ფუნქციას: ა) ახლებურად, ანუ კომუნიკაციურად დაგვანახებდა დეტერმინაციის კატეგორიის შინაარსობრივ-ფუნქციურ „დატვირთვას” და ბ) ამავე დროს ორგანულად და შინაგანად დაუკავშირებდა მას რეფერენციის კატეგორიას?

როცა ამ კითხვას ვსვამთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კვლევის პირველ ეტაპზე, ამ პარაგრაფის ფარგლებში, უკვე მოვახდინეთ ამ ორი კატეგორიის, სისტემურ-სემიოტიკური თვალსაზრისით ურთიერთდაკავშირება: არტიკლის მიერ გამოხატული დეტერმინაციის კატეგორია გავიაზრეთ როგორც რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ცენტრი. და თუ ჩვენ კვლევის ამ მეორე ეტაპზე კვლავ ვსვამთ კითხვას ამ ორი კატეგორიის – რეფერენციისა და დეტერმინაციის – ურთიერთკავშირის თაობაზე, ეს უნდა ნიშნავდეს უფრო „მეტს”, ვიდრე ორ კატეგორიას შორის კავშირის გააზრებას: ჩვენი მიზანია რეფერენტულობის ჩვენს მიერ პოსტულირებული ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და მისი შესაბამისი ველის პრაგმატიზაცია-ტექსტოლოგიზაცია.

შესაბამისად, მეტაკატეგორია, რომელიც მოახდენდა რეფერენციის, ნომინაციისა და დეტერმინაციის კატეგორიათა ურთიერთკავშირის ერთდროულად დაფუძნებას და ამავე დროს მიაჩვენებდა მათ განახლებულ კონცეპტუალურ საზრისს, უნდა ვეძიოთ არა პრაგმატიკულ კატეგორიათა შორის, არამედ თვით პრაგმატიკის როგორც ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ლინგვისტიკის დამფუძნებელ სფეროში. რომელია ის პრინციპი,

რომელიც საფუძვლად უდევს მთელ პრაგმატიკას (და, შესაბამისად, ტექსტის თეორიასაც) და სწორედ ამიტომ მაქსიმალური სისრულით გამოხატავს ლინგვისტური აზროვნების ამ პარადიგმის არსს? ესაა სწორედ ის პრინციპი, რომელიც აკონკრეტებს თვით ამ პარადიგმის დასახელებას, ანუ **ანთროპოცენტრიზმის პრინციპი**, რომელიც გ. ლებანიძის განმარტებით „აზროვნების ისეთი ორიენტაციაა, როდესაც ყურადღების ცენტრში ადამიანია. ანთროპოცენტრისტული შეიძლება იყოს ყველა ჰუმანიტარული მეცნიერება. ანთროპოცენტრიზმი შეიძლება გავიაზროთ როგორც ზოგად მეცნიერული პრინციპი” (ლებანიძე 2004:319). ხსენებული პრინციპი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებელია ითქვას, რომ „ენა გამჭოლად ანთროპოცენტრისტულია” (იქვე). მაგრამ, რა თქმა უნდა, ანთროპოცენტრიზმი ვერ ჩაითვლება იმ მეტაკატეგორიად, რომელიც გვჭირდება რეფერენციის, ნომინაციისა და დეტერმინაციის შინაგანი ურთიერთკავშირის დაფუძნებისთვის, რადგან ანთროპოცენტრიზმი ისევე ასრულებს მოცემული პარადიგმის ფარგლებში პრინციპის როლს, როგორც სისტემურობა სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმის ფარგლებში. ამ შემთხვევაში მეტაკატეგორიის როლში უნდა გამოვიდეს ის კატეგორია, რომელიც, ერთის მხრივ, უშუალოდ გამომდინარეობს ანთროპოცენტრიზმიდან, მეორის მხრივ კი თავისი „რანგით” უფრო „მაღლა” დგას, ვიდრე ნებისმიერი პრაგმატიკული კატეგორია. ასეთ მეტაკატეგორიად ჩვენ მიგვაჩნია მეტყველების (კომუნიკაციის) **ინტერსუბიექტურობის კატეგორია**. ეს სწორედ ის კატეგორიაა, რომელსაც, ჩვენის აზრით, უნდა მიენიჭოს პრინციპის სტატუსი ენობრივ კომუნიკაციასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის განხილვისას.

როგორ უნდა განისაზღვროს ინტერსუბიექტურობა პრაგმატიკის არსიდან გამომდინარე? როგორც ცნობილია, პრაგმატიკა, როგორც ენობრივი ნიშნის განზომილება განისაზღვრება როგორც ნიშნის მიმართება იმ სუბიექტთან, რომელიც მას იყენებს. ამ განსაზღვრიდან ნათლად იკვეთება პრაგმატიკის უშუალო კავშირი კომუნიკაციასთან, რადგან, ბუნებრივია, ნებისმიერი სუბიექტი ნიშანს შეიძლება იყენებდეს მხოლოდ კომუნიკაციის პროცესში. მაგრამ ასევე უეჭველია ის ფაქტიც, რომ თვით პრაგმატიკის შინაარსობრივმა სტრუქტურამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა მე-20 საუკუნის ლინგვისტური აზროვნების განვითარების პროცესში. სწორედ პრაგმატიკის შინაარსობრივი სტრუქტურის ეს დინამიკაა ხაზგასმული ჩვენს მიერ უკვე ციტირებული

მონოგრაფიიდან ნასესხებ ციტატაში: „განვიხილოთ და შევადაროთ ერთმანეთს პრაგმატიკის ცნების გენეზისისა და მისი თანამედროვე მდგომარეობა, თუ დასაწყისში პრაგმატიკა ნიშნავდა კავშირს სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს აუცილებელია ვიგულისხმოთ უკვე მინიმუმ ორი სუბიექტი, ე. ი. გვაქვს არა მარტო სუბიექტურობა, არამედ ინტერსუბიექტურობა” (ლებანიძე 2004:253). თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, რაც ზემოთ ითქვა ისეთ კატეგორიათა ისეთ შინაგან ურთიერთკავშირზე, როგორცაა რეფერენციის, ნომინაციისა და დეტერმინაციის კატეგორიები და ამავე დროს ხაზს გაუსვამთ „რეფერენციის პრაგმატიკულ ფაქტორს” (დ. შტელინგი), მაშინ ალბათ შეგვეძლება იმის თქმა, რომ ხსენებულ კატეგორიებთან მიმართებაში სწორედ ინტერსუბიექტურობამ უნდა შეასრულოს მეტაკატეგორიის როლი.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზემოთ ხსენებული სამი კატეგორიის (რეფერენცია, ნომინაცია და დეტერმინაცია) მეტაკატეგორიალურ დაფუძნებას ვცდილობთ არა ერთი რომელიმე პარადიგმის დონეზე, არამედ პარადიგმათა ვერტიკალური ურთიერთკავშირის დონეზე, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, **ინტერპარადიგმულად**. და თუ ხსენებულ ინტერპარადიგმულობას კვლევის პრინციპად მივიჩნევთ, მაშინ აუცილებელი იქნება იმ მეტაკატეგორიათა პირდაპირი და უშუალო ურთიერთდაკავშირებაც, რომლებიც გამოყოფილ იქნენ განსხვავებულ პარადიგმათა ფარგლებში. სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმის ფარგლებში ასეთ მეტაკატეგორიად ჩვენ მივიჩნევთ რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ჩავთვალეთ, რომ იმ ველის ცენტრად, რომელიც თან ახლავს ამ კატეგორიას, უნდა მივიჩნიოთ არტიკლი მთელი მისი ფუნქციური დატვირთვით. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია პირდაპირ და უშუალოდ დაუკავშიროთ ერთმანეთს (რა თქმა უნდა, პარადიგმათა ვერტიკალური ურთიერთდაკავშირების საფუძველზე) ორი, ჩვენი კვლევითი კონტექსტისთვის ერთნაირად ფუძემდებელი მეტაკატეგორია, როგორცაა:

ა) რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და

ბ) ინტერსუბიექტურობის კატეგორია

როგორ უნდა იქნას გაგებელი ამ ორი მეტაკატეგორიის შინაგანი ურთიერთკავშირი, რომლის გარეშე ვერ განხორციელდებოდა ინტერპარადიგმულობის ზემოთ ხსენებული პრინციპი? ამ კითხვის დასმით, ვფიქრობთ, ჩვენ შეგვხვთ, იმ მეთოდოლოგიურ პრობლემას, რომლის გადაჭრის გარეშე შეუძლებელი იქნება ნებისმიერი მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზის

ადეკვატური განხორციელება. ლაპარაკობს რა ისეთი ორი ფენომენის ურთიერთმიმართებაზე როგორცაა, ერთის მხრივ, ლექსიკურ-გრამატიკული ველის ენობრივი ფენომენი და მეორეს მხრივ ტექსტობრივი ბადის ფენომენი ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ მონოგრაფიაში ლ. ნოზდრინა შემდეგნაირად განსაზღვრავს მათ ურთიერთმიმართებას: „ლექსიკურ-გრამატიკული ველისაგან და ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისაგან განსხვავებით, რომლებიც წარმოადგენენ პარადიგმატულ კატეგორიებს, ტექსტობრივი ბადე არის სინტაგმატიკური, ტექსტობრივი კატეგორია” (Ноздрина 2004:51-52). ავტორი ასევე ლაპარაკობს ენობრივი პარადიგმატიკისა და სამეტყველო სინტაგმატიკის ურთიერთმიმართების შესახებ, მაგრამ ამ ურთიერთობის განმსაზღვრელ ფაქტორებად მიიჩნევს მხოლოდ ფუნქციურ სტილსა და ჟანრს. მაგრამ იგი არაფერს ამბობს იმ პრინციპზე, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, განსაზღვრავს ენობრივი სისტემური პლანიდან კომუნიკაციურ-სამეტყველო პლანში გადასვლას, ანუ იმ პრინციპზე, რომლის აღმოჩენა და ფორმულირება უნდა მივიჩნიოთ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების ცენტრალურ მომენტად, ე. ი. არაფერს ამბობს ინტერსუბიექტურობის პრინციპზე (იქვე). როგორც ცნობილია, ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა და მათ შესაბამის ველთა კვლევაზე ორიენტირებული იყო სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმა, ინტერსუბიექტურობა კი წარმოადგენს ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმის, უფრო კონკრეტულად კი **პრაგმალინგვისტიკის** ცენტრალურ კატეგორიას, ანუ მეტაკატეგორიას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას: თუ გვსურს დავსახოთ ზემოთ დასმული პრობლემის გადაჭრის ინტერპარადიგმული სტრატეგია, უნდა მოვახდინოთ პარადიგმათა მეტაკატეგორიების ისეთი თანმიმდევრული ურთიერთდაკავშირება, რომლის შედეგად ნებისმიერი ტექსტობრივი სინტაგმატიკა წარმოგვიდგება ენობრივი პარადიგმატიკის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურად გაგების აქტუალიზაციად.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთ ნათქვამს, რეფერენციისა და დეტერმინაციის კატეგორიათა ურთიერთმიმართების პრობლემა უნდა გადაიჭრას შემდეგი ორი ძირითადი კვლევითი ეტაპის თანმიმდევრული გავლის გზით:

- 1) კონსტრუირებულ უნდა იქნას რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია მისი შესაბამისი ისეთი ველით, რომლის ცენტრად მიჩნეულ იქნება არტიკლის მიერ რეალიზებული დეტერმინაციის კატეგორია;

2) ხსენებული ფუნქციურ-სემანტიკური, ანუ ლექსიკურ-გრამატიკული ველის აქტუალიზაციის ანუ ტექსტობრივ ბაზედ ტრანსფორმირების ფუძემდებელ პრინციპად და ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ისეთი პრაგმატიკული მეტაკატეგორია, როგორცაა ინტერსუბიექტურობა.

ეფექტობთ, მოცემული პარაგრაფის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად შევქელით ჩვენს მიერ ზემოთ ფორმულირებული ამოცანის პირველი ეტაპის რეალიზაცია და ერთის მხრივ, რეფერენცისა და, მეორეს მხრივ დეტერმინაციის კატეგორიებს შორის იერარქიული კავშირის დამყარება და რაც მთავარია, ხსენებული იერარქიული კავშირის ენის როგორც სისტემურ, ისე დისკურსულ დონეზე დადგენა. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს შემდეგი ორი მომენტიც: ა) მოცემულ პარაგრაფში კვლევა ატარებდა ძირითადად **თეორიულ ხასიათს**, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ კვლევის შედეგთა ადეკვატურობა უნდა ვერიფიცირებულ იქნას ემპირიულ, ანუ ტექსტობრივ დონეზე; ბ) **რეფერენცის მეტაკატეგორიალური სტატუსი** მსგავსი თეორიული მსჯელობის გზით უნდა დაფუძნებულ იქნას ისეთი კატეგორიის მიმართაც, როგორცაა **დეიქსისი**.

2.2. დეიქსისი როგორც ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია: რეფერენტულობის მეტაკატეგორიის სტატუსის განსაზღვრის მეორე წინაპირობა

როგორც ზემოთ იქნა ხაზგასმული, რეფერენციის ენობრივი ფენომენი ჩვენს მიერ განიხილება როგორც სახელთან (ნომინალურ ჯგუფთან) შინაგანად დაკავშირებული ისეთი კატეგორია, რომელისთვისაც დეტერმინაციისა და დეიქსისის კატეგორიებთან ფუნქციურ-სტრუქტურული კავშირი ისევეა მნიშვნელოვანი, როგორც თვით სახელთან კავშირი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხსენებული კავშირი დანახული უნდა იქნას როგორც სისტემურ, ისე დისკურსულ დონეზე, მაგრამ აუცილებლად შემდეგი თეორიული წინაპირობის დაცვით: რეფერენცია მიჩნეულ უნდა იქნას ისეთ მეტაკატეგორიად, რომელიც შეიცავს დეტერმინაციისა და დეიქსისის კატეგორიებს ფუნქციურ-სტრუქტურული განზომილებების სახით. მოცემული თავის წინა პარაგრაფში სწორედ ამ სტატუსით, ანუ რეფერენტულობის როგორც ფუნქციურ-სემანტიკური მეტაკატეგორიის ერთ-ერთი განზომილებების სახით განხილულ იქნა დეტერმინაციის კატეგორია. მაგრამ, როგორც ვიცით, რეფერენციის ჩვენს მიერ

ამგვარად გააზრებული კონცეპტი „მთლიანობაში ვერ შედგება” მანამ, სანამ იგივე განზომილებრივი სტატუსით დეტერმინაციას „გვერდით არ ამოუდგება” დეიქსისიც. ბუნებრივია, რეფერენციის როგორც მეტაკატეგორიის ამგვარი განზომილებრივი „შევსების” შემდეგ აუცილებლად დაისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რა განასხვავებს ერთმანეთისგან დეტერმინაციასა და დეიქსისს როგორც რეფერენციის კატეგორიალურ განზომილებებს. რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოგვიხდება, მაგრამ, ბუნებრივია, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც დეტერმინაციის მსგავსად ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნება დეიქსისიც.

სანამ შევუდგებოდეთ იმის განხილვას, თუ როგორ ხდება თანამედროვე ლინგვისტიკაში დეიქსისის ამა თუ იმ სახეობის კვლევა, შევეცადოთ ეს ფენომენი მის მთლიანობაში დავინახოთ ისე, როგორც იგი (ეს მთლიანობა) დანახული და წარმოდგენილია ენის თანამედროვე ზოგადი თეორიის ფარგლებში. თუმცა აქვე ექსპლიციტურად უნდა ითქვას ის, რაც ზემოთ იმპლიციტური ფორმით საფუძვლად უკვე დაედო დეტერმინაციის განხილვას: ამა თუ იმ ფენომენის **მთლიანობაში** დანახვა უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ მის სტრუქტურულ ანალიზს, ანუ მისი ელემენტებისა და ტიპების გამოყოფას, არამედ შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემასაც: რომელია ის **მეტაკატეგორიალური მთლიანი**, რომლის შემადგენლობაში უნდა განიხილებოდეს საკვლევი ფენომენი? ჩვენს შემთხვევაში, ბუნებრივია, დეიქსისთან მიმართებაში ამგვარი კითხვა ისმის პირველად, რაც, ალბათ. მოგცემს არა მხოლოდ დეიქსისის, არამედ ისეთ კატეგორიათა ახლებური ხედვის საშუალებას, როგორცაა რეფერენცია და დეტერმინაცია. ამგვარად ფორმულირებული თეზისის ადეკვატურობას ადასტურებს შემდეგი მოსაზრება: მართალია, დეიქსისს განვიხილავთ როგორც რეფერენციის ერთ-ერთ განზომილებას, ანუ როგორც სუბკატეგორიას გარკვეული მეტაკატეგორიის ფარგლებში, მაგრამ ერთი პირობით: თვით რეფერენციასაც წარმოვიდგენთ ისეთი დისკურსული მეტაკატეგორიის აუცილებელ განზომილებად, როგორცაა ინტერსუბიექტურობა.

ამგვარი თეორიული „შესავლის” შემდეგ ვნახოთ, თუ როგორ განიხილება დეიქსისი იმავე ლინგვისტურ ენციკლოპედიაში, რომელზე დაყრდნობითაც განვიხილეთ თვით რეფერენცია. როგორც შესაბამისი სტატიის ავტორი ვ. ვინოგრადოვი ამბობს, დეიქსისი წარმოადგენს „მითითებას როგორც ენობრივი

ერთეულის ისეთ მნიშვნელობას ან ფუნქციას, რომელიც გამოიხატება ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით. დეიქსისი ემსახურება სამეტყველო სიტუაციის კომპონენტთა და გამონათქვამის დენოტატიური შინაარსის კომპონენტთა აქტუალიზაციას” (Винноградов 1990:128). ავტორი გამოყოფს დეიქტიკური სფეროს შემდეგ კომპონენტებს: „სამეტყველო აქტის მონაწილეთა (როლური დეიქსისი), რომელიც გულისხმობს ადრესანტისა და ადრესატის ჩვენებას და რომელიც გამოიხატება ნაცვალსახელთა სხვადასხვა სახეობებით (I და II პირის ‚მე‘, ‚შენ‘, ‚ჩემი‘, ‚შენი‘); მითითება მეტყველების საგანზე (III პირის ნაცვალსახელი); მითითება იმაზე, თუ რამდენად არის მოშორებული ჩვენგან გამონათქვამის ობიექტი, და რომელიც გამოიხატება ჩვენებითი ნაცვალსახელებით (ეს‘, ის‘); მითითება შესატყობინებელი ფაქტის დროით ან სივრცით ლოკალიზაციაზე (ქრონოტოპული დეიქსისი), რომელიც გამოიხატება ნაცვალსახელებითი ზმნისხედებით, მაგ. ლათ. Hic, nunc, აქ‘, ახლა” (იქვე). რაც შეეხება დეიქსისისა და რეფერენციის ურთიერთკავშირს, ავტორი ამბობს: „დეიქსისი როგორც რეფერენციის ერთ-ერთი საშუალება უპირისპირდება ნომინაციას; მაგრამ ეს ის დაპირისპირებაა, რომლის ნეიტრალიზაცია ხდება როლური დეიქსისის შემთხვევაში” (იქვე). როგორც უკვე ნ. არუთინოვასთან მიმართებაში კრიტიკული შენიშვნის სახით ითქვა: საკმარისი არ არის იმის ეპიზოდურად აღნიშვნა, რომ არსებობს კავშირი ერთის მხრივ რეფერენციასა, და მეორეს მხრივ ისეთ ფენომენებს შორის, როგორცაა დეტერმინაცია და დეიქსისი. იქიდან გამომდინარე, რომ საქმე გვაქვს მაშტაბური დონის კატეგორიებთან, აუცილებელია ხსენებული კავშირის **თეორიული გააზრება** და მათი ერთიან კვლევით კონტექსტში **თანმიმდევრულად** მოქცევა.

ამ ამოცანის შესრულების მიზნით დავეყრდნობთ ლ. თავაძის სადისერტაციო ნაშრომის „დროისა და ადგილის დეიქსისი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალიზაცია ინგლისურ ენაში” ანოტაციას. მართალია თავის ნაშრომში ხსენებული ავტორი არ სვამს კითხვას იმ არსებითი და სიღრმისეული კავშირის თაობაზე, რომელიც ზემოთ ჩვენს მიერ უკვე განმარტებული მოსაზრების გამო უნდა ვიგულისხმოთ დეიქსისსა და რეფერენციას შორის და რომელიც, ჩვენის აზრით, გადამწყვეტი უნდა იყოს თვით დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის ფუნქციური არსის გააზრებისთვის, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, თანმიმდევრულად მსჯელობს დეიქსისზე როგორც ლინგვოკულტუროლოგიულ პრობლემაზე და სწორედ ამ

მსჯელობის ფარგლებში ეხება მის შინაგან კავშირს ისეთ ფენომენებთან როგორცაა **დროითობა** (ტემპორალურობა) ამ ტერმინის ისტორიული გაგებით და **პიროვნულობა** (პერსონალურობა) ამ ტერმინის ენობრივი გაგებით. როგორც უკვე ითქვა, კვლევის ხსენებული კონტექსტი მნიშვნელოვანი იქნება რეფერენციის ფუნქციური არსის მთელი შესაძლო სისრულით გათვალისწინებისას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ხსენებული ნაშრომის შესაბამის ასპექტებზე ყურადღების გამახვილება:

როგორც ლ. თავაძე აღნიშნავს „ნებისმიერ საზოგადოებას, ნებისმიერ კულტურას პირველ ყოვლისა დრო განსაზღვრავს. ანუ, თუ ჩვენ დეიქსისის ფენომენს წარმოვიდგენთ, როგორც ველს, მაშინ ამ ველის ცენტრი მუდამ დროითი, ტემპორალური ხასიათის იქნება. მაგრამ როგორია ის დრო, რომელშიც არსებობს ადამიანი? როგორია ამ დროის შინაგანი სტრუქტურა? ეს სტრუქტურა დამოკიდებული უნდა იყოს იმ კულტურაზე, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. დეიქსისი ის ფენომენია, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციის აქტის განმსაზღვრელ ერთ-ერთ განზომილებას” (თავაძე 2009:4). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დროს მის სოციალურ-ისტორიულ განზომილებაში ციტირებული ავტორი თავიდანვე უკავშირებს პიროვნებას ამ ტერმინის ენობრივ-კომუნიკაციური გაგებით. რასთან დაკავშირებითაც იგი წერს: „მაგრამ კომუნიკანტები არიან ენობრივი ერთეულები, ხოლო ენობრივი ერთეულები კი ამავე დროს არიან პიროვნებები. ეს კი გულისხმობს სწორედ იმას, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგია მოიაზრებს ამ ცნებაში... არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ენობრივი პიროვნება სინთეზური ცნებაა და მოიცავს ისეთი ორი ფენომენის ურთიერთდაკავშირებას, როგორცაა, კომუნიკანტი (კომუნიკაციის სუბიექტი) და პიროვნება (თავისი ზოგადი არალინგვისტური გაგებით)” (იქვე). მიგვაჩნია, რომ ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის გასათვალისწინებელია **ენობრივი პიროვნების** ის შინაგანად სინთეზური შინაარსი, რომელსაც ხაზს უსვამს ლ. თავაძე: „აქედან გამომდინარე, ენობრივი პიროვნება როგორც თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორია, ვერ იქნება ქმედითი, თუკი რეალურად არ განხორციელდება ზემოთაღნიშნული სინთეზი. რა უნდა ედოს საფუძვლად ამ სინთეზს? იმის გათვალისწინება და გაგება, რომ კომუნიკაციის დროს კომუნიკანტები რჩებიან პიროვნებებად (ამ სიტყვის სრული გაგებით) და შესაბამისად, მათ კომუნიკაციის

პროცესში „შემოქმედ“ ის შინაარსი, რომელსაც პიროვნების ცნება გულისხმობს” (იქვე).

ვფიქრობთ, ჩვენი კლევის ობიექტის, ანუ რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ თანმიმდევრულ სინთეზურობას, რომელზე დაყრდნობითაც ციტირებული ავტორი ამგვარად, ანუ პიროვნულად და სოციალურად აღქმულ დეიქსისს ენობრივი გამონათქვამის სტრუქტურას უკავშირებს. ავტორი წერს: „ეპოქისა და მისი კულტურული ხასიათის ცვლილებასთან ერთად იცვლება დროის (ტემპორალურობის) ის ტიპიც, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის არსებობის ძირითად მომენტებს. მაგრამ, თუ კი ეს ასეა, დროის ეს ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია უნდა ახდენდეს გავლენას დეიქსისის ფენომენზე, რადგან, როგორც უკვე ვიცით, ტემპორალურობასა და დეიქსისს შორის არის ღრმა შინაგანი კავშირი და ურთიერთშესაბამისობა” (თავაძე 2009:5). ციტირებული მსჯელობის დასასრულს კი ავტორი ახდენს იმ ჰიპოტეზის ფორმულირებას, რომელსაც, ჩვენი აზრით, მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს რეფერენციის კლევის შემთხვევაშიც: „დროის ტიპოლოგიურ ტრანსფორმაციას უნდა შეესაბამებოდეს დეიქსისის ტიპოლოგიური ტრანსფორმაციაც, რაც კონკრეტულად ნიშნავს შემდეგს: როგორც ცნობილია, არ არსებობს გამონათქვამი შინაგანი დეიქტიკური სტრუქტურის გარეშე, მაგრამ ეს სტრუქტურა ვერ იქნება იდენტური განსხვავებულ კულტურულ ეპოქათა ფარგლებში” (იქვე). ვფიქრობთ, შესაძლებელია და აუცილებელიცაა ანალოგიური ფორმით იგივე ჰიპოთეზა გამოვხატოთ რეფერენციასთან კავშირში: არ არსებობს გამონათქვამი შინაგანი რეფერენციალური სტრუქტურის გარეშე. შესაბამისად, როგორც შესავალში უკვე ითქვა, რეფერენციის ფენომენის ჩვენეული, ანუ „მაქსიმალურად სრული პროგრამით” კვლევა გულისხმობს ამ ფენომენის კვლევას მისთვის სრულიად ახალ კვლევით განზომილებებშიც, სახელდობრ კი ისეთ განზომილებებშიც როგორცაა, ერთის მხრივ **ტექსტი** (კონკრეტულად კი მხატვრული ტექსტი) და ორი ტექსტის – ამოსავალი და თარგმნილი ტექსტის – შეპირისპირებითი ანალიზი (ბუნებრივია, თარგმანის ტექსტოცენტრისტულად ორიენტირებულ თეორიაზე დაყრდნობით).

იმისათვის, რომ რეფერენციის ფენომენი ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით დაგუკავშიროთ დროით და სივრცით კოორდინატებს მოვიყვანოთ კიდევ ერთი ციტატა დასახელებული ნაშრომიდან : „ენის მთელი

ისტორიის განმავლობაში დეიქსისი ინარჩუნებს თავის ფუნქციურ არსს, რომელიც მდგომარეობს ჩვენებაში ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: მეტყველი სუბიექტი (ადრესატი) არა მარტო ასახელებს და ასახავს გარკვეულ რეფერენტულ სიტუაციას, არამედ ერთდროულად მიუჩენს კიდევ ადგილს არა მარტო სიტუაციას, არამედ ტექსტში დასახელებულ საგანთა ერთობლიობასაც ადრესატისათვის კომუნიკაციურად რელევანტურ დრო-სივრცეში” (იქვე).

მოვახდინეთ რა იმ თეორიულ მოსაზრებათა რეფერირება და ციტირება, რომლებსაც ლ. თავაძე თავის ნაშრომში ანვითარებს, დავრწმუნდით იმაში, რომ ამ მოსაზრებათა შეფასება შესაძლებელი და აუცილებელიცაა ორი საპირისპირო თვალსაზრისით: **ნეგატიურით** იმდენად, რამდენადაც ავტორი არ ითვალისწინებს დეიქსისსა და რეფერენციას შორის არსებულ ორგანულ და სიღრმისეულ კავშირს და **პოზიტიურით** – იმდენად, რამდენადაც ავტორი ხედავს და ხაზს უსვამს დეიქსისის იმ მიმართებებს სოციალურ დროსა და ენობრივ პიროვნებას შორის, რომლებიც რელევანტური უნდა აღმოჩნდნენ რეფერენციასთან მიმართებაშიც. მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ასეთივე ამბივალენტური შეფასება შეიძლება მიეცეს ხსენებული ნაშრომის ორ ასპექტს – დეიქსისის ზოგად განსაზღვრას და მისი როგორც ფენომენის ზოგად კლასიფიკაციას. მოვიყვანოთ, პირველ რიგში, დეიქსისის ლ. თავაძისეულ განსაზღვრას, რადგან, ჩვენის აზრით სწორედ იგი შეიცავს მომენტს, რომელიც იმსახურებს კრიტიკულ მიდგომას და რომელიც შესაბამისად საჭიროებს კორექტირებას როგორც საკუთრივ დეიქსისთან მიმართებაში, ისე – და განსაკუთრებულად – იმ შემთხვევაში, როცა დეიქსისს ვუკავშირებთ რეფერენციას. ავტორი შემდეგნაირად განსაზღვრავს დეიქსის ფენომენს: „დეიქსისი (ბერძ. – მითითება) – ენობრივი გამოთქმებისა და სხვა ნიშნების გამოყენებაა, რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციური აქტის ფიზიკურ კოორდინატთა საშუალებით – მათ მონაწილეებთან, ადგილსა და დროსთან მიმართებაში” (თავაძე 2009:6). ჩვენის აზრით, სრულიად გაუმართლებელია დეიქსისის დაკავშირება „კომუნიკაციური აქტის ფიზიკურ კოორდინატებთან“, რადგან ხსენებული კოორდინატები შეიძლება ატარებდნენ არა მხოლოდ ფიზიკურ ხასიათს, რაშიც, ალბათ, დავრწმუნდებით რეფერენტულობის ტექსტობრივი კვლევის პროცესში.

ციტირებული ნაშრომის ავტორი იმეორებს დეიქსისის იმ კლასიფიკაციას, რომელიც დღეისთვის ქრესტომატიულ ხასიათს ატარებს: „ჩვეულებრივ

განასხვავებენ დეიქსისის სამ ძირითად სახეს – პერსონალურს, სივრცისას და დროისას. ძირითადი ენობრივი ერთეულები, რომლებიც ამ სამ ტიპს შეესაბამება I და II პირის (I, You), ადგილისა (here) და დროის (now) ნაცვალსახელებია” (იქვე). შეიძლებოდა, რა თქმა უნდა, ამ თითქმის საყოველთაოდ მიღებული კლასიფიკაციის მიღებაც, რომ არა ის ნეგატიური მომენტი, რომელიც მას **ქვეტექსტურად** თან ახლავს: ა) როგორც ვნახეთ, ამ კლასიფიკაციაში ნახსენები კოორდინატები ავტორს ესმის მხოლოდ ფიზიკურად და ბ) არც ამ კლასიფიკაციაშია მინიშნებული დეიქსისის შინაგანი კავშირი რეფერენციასთან.

ვფიქრობთ, ჩვენი შემდგომი კვლევისათვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს დეიქსისის ზოგადი ფუნქციური არსისა და მის სახეობათა ის დაკონკრეტებაც, რომელსაც ახორციელებს ციტირებული ნაშრომის ავტორი, განსაკუთრებით იმ მომენტის გათვალისწინებით, რომელიც უკავშირდება დეიქსისის სიტუაციურ ხასიათს: „დეიქსური სიტყვები მთლიანადაა დამოკიდებული სამეტყველო სიტუაციაზე. მათ სემანტიკურ მნიშვნელობაში ასახული პიროვნებათშორის ურთიერთობები გარდამავალია და მეტყველების აქტების მონაცვლეობასთან ერთად, ციკლურ ხასიათს ატარებს” (იქვე). ჩვენთვის მისაღებია დეიქსისის როგორც სამეტყველო სიტუაციასთან დაკავშირებული ფენომენის ამგვარი ხედვა, მაგრამ როგორც წინა შემთხვევაში ამჯერადაც გვსურს გამოვთქვათ შემდეგი კრიტიკული შენიშვნა: დეიქსისზე როგორც სახელთან დაკავშირებულ კატეგორიაზე მსჯელობისას აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გაესვას ამ სიტუაციის განმსაზღვრელ იმ პრინციპს, რომელიც, შეიძლება ითქვას საფუძვლად უდევს როგორც დისკურსის, ისე ტექსტის თანამედროვე გაგებას: ვგულისხმობთ ინტერსუბიექტურობის (და ინტერაქციულობის) პრაგმატიკულ პრინციპს. ხსენებული პრინციპი უნივერსალური ხასიათისაა (იმ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, როცა მსჯელობის საგნად იქცევა დისკურსი და ტექსტი), შემდეგი თვალსაზრისითაც: ამ პრინციპის თანმიმდევრულად გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია კონცეპტუალურად გააზრებული კავშირი დავამყაროთ სისტემის დონეზე არსებულ **ფუნქციურ-სემანტიკურ ველებსა** და ტექსტის დონეზე არსებულ **ტექსტობრივ ბადეებს შორის**.

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენთვის ასევე ყურადსაღებია დეიქსისის სახეობათა ის შინაარსობრივი დაკონკრეტებაც, რომელსაც ლ. თავაძე იძლევა:

- ა) როგორც ავტორი ამბობს, „პერსონალური დეიქსისი უფრო ფართო მოვლენის – საგნობრივი დეიქსისის - სახეს წარმოადგენს. საგნობრივი

დეიქსისის არამარკირებული გამოთქმები – მესამე პირის ნაცვალსახელები, უესტიკულაციით (ხელით, თავით, თვალებით) ხასიათდება” (იქვე). უნდა დავეთანხმეთ ავტორის ამ მოსაზრებას, მაგრამ მხოლოდ შემდეგი პირობით: თუ საგნობრიობას გავიგებთ მაქსიმალურად ფართოდ და არა ვიწროდ ფიზიკურად, როგორც ამას მოცემული ნაშრომიდან ზემოთ მოყვანილი ციტატა გულისხმობდა. თუმცა ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ მხატვრული ტექსტის შემთხვევაში პერსონალურობა იძენს თანამედროვე ნარატოლოგიით ნაგულისხმევ სრულიად სხვა – კერძოდ კი კომუნიკაციურ – ფუნქციას, ანუ მიუთითებს ერთის მხრივ მხატვრული რეალობით ნაგულისხმევ კომუნიკანტებზე (ავტორსა და მკითხველზე), მეორეს მხრივ კი პერსონაჟთა სისტემით ნაგულისხმევ შიდა ტექსტობრივ კომუნიკანტებზე ანუ პერსონაჟებზე.

- ბ) ასევე საინტერესოდ, თუმცა ამავე დროს ამბივალენტურად უნდა აღვიქვათ **სპაციალურ ანუ სივრცით დეიქსისთან** დაკავშირებით გამოთქმული ავტორისეული მოსაზრება: „სპაციალური დეიქსური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, საგნობრივი/პერსონალური დეიქსისი უესტიკულაციის გარეშეც გვხვდება. მათ რიცხვს ეკუთვნის ნაცვალსახელები (I და II პირის), რომლებიც კომუნიკაციური აქტის მონაწილეებზე მიუთითებს. ორივე შემთხვევაში – უესტიკულაციის გამოყენებისა და კომუნიკაციური აქტის კოორდინატებზე დაყრდნობისას – მყარდება კავშირი ენობრივ გამონათქვამსა და არაენობრივ ობიექტს შორის” (თავაძე 2009:7). ვფიქრობთ, სავსებით მართებულია ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დეიქსისის ფუნქციური სივრცე უნდა განისაზღვროს ადრესანტსა და ადრესატს შორის კომუნიკაციურად ნაგულისხმევი სივრცით. მაგრამ როგორ უნდა იქნას გაგებული ეს სივრცე? ამ შემთხვევაშიც მოგვიხდება ავტორის მსჯელობაში ორი კორექტივის შეტანა: 1) როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თანამედროვე პრაგმალინგვისტიკის მიხედვით ეს სივრცე უნდა გააზრებულ იქნას როგორც **ინტერსუბიექტურობის სივრცე** 2) ხსენებული ინტერსუბიექტურობის სივრცე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დაყვანილი მხოლოდ და მხოლოდ სივრცის ფიზიკურ გაგებაზე. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს მხატვრულ ტექსტთან, ავტორსა და მკითხველს შორის არსებული და „დეიქტიკურად ქმედითი” სივრცე გაგებულ უნდა იქნას **სინთეზურად** –

როგორც კომუნიკანტთა, ავტორისა და მკითხველის „პერსონალურ სივრცეთა“ და იმ „კულტურული სივრცის“ ორგანული შერწყმა, რომლის ფარგლებში ადგილი აქვს შემოქმედებით პროცესს;

გ) რაც შეეხება დეიქსისის ტემპორალურ ანუ დროით სახეობას, ავტორი შემდგენაირად აკონკრეტებს მას: „ნებისმიერ კულტურაში ადამიანის არსებობის განმსაზღვრელია დრო. ენებში სივრცისა და დროის დეიქსისის რეალიზება ორი ძირითადი ფორმალური ტიპის ელემენტების საშუალებით ხდება: სახელადი ჯგუფებით, რომლებიც შეიცავენ ჩვენებით ნაცვალსახელებს ან მათ ანალოგებს (ამ ტყეში, ამ წელს, და ა. შ.) და ზმისხედებით (აქ, დღეს, ახლა და ა. შ.). ბევრ ენაში დროის გამოსახატავად არსებობს გრამატიკული კატეგორია“ (იქვე). საგულისხმოა, ჩვენის აზრით, ის ფაქტი, რომ ავტორი დეიქტიკურ დროსთან დაკავშირებით ახსენებს **კულტურას**. ვფიქრობთ, ეს სწორედ ის მომენტი, რომელმაც კონცეპტუალური გაღრმავება უნდა ჰპოვოს დეიქსისის (და ზოგადად რეფერენციის) ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციის შემთხვევაში. მაგრამ ასევე ვფიქრობთ, რომ დეიქსისის (და ზოგადად რეფერენციის) ტექსტობრივ დონეზე განხილვისას არა ნაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ ფენომენის დაკავშირებას მხატვრული ნარატივის ისეთ კატეგორიებთან, როგორცაა მხატვრული დრო და მისი ისეთი დერივატი როგორცაა მხატვრული ქრონოტოპი.

როცა ვსაუბრობთ რეფერენციის, დეტერმინაციისა და დეიქსისის შორის ურთიერთმიმართებაზე უპრიანია გავიხსენოთ, რომ თანამედროვე, ანუ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ლინგვისტიკის მიხედვით ენობრივი კომუნიკაციის ნებისმიერ აქტს თან ახლავს შემდეგი ორი ტიპის სიტუაციის თანარსებობა – ვგულისხმობთ ე. წ. „ლინგვისტურ“ (საკუთრივ ენობრივ) და ექსტრალინგვისტურ სიტუაციას. მიგვაჩნია, რომ რეფერენციის ორი განზომილების – დეიქსისისა და დეტერმინაციის – სიტუაციური წარმომავლობის დასადგენად და მათთვის კომუნიკაციურ სივრცეში პრინციპული ლოკალიზაციისათვის აუცილებელია გამოვყოთ და დავახასიათოთ „ექსტრალინგვისტური სიტუაციის“ შემდეგი ორი ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ ამავე დროს განსხვავებული სემანტი – რეფერენტული და კომუნიკაციური სიტუაციები, რომლებიც გ. ლებანიძის უკვე ციტირებულ ნაშრომში შემდგენაირადაა დახასიათებული:

- 1) **რეფერენტული სიტუაცია** – ანუ სინამდვილის ის სეგმენტი, ის მონაკვეთია, რომელიც უშუალოდ ასახულია გამონათქვამში, – გამონათქვამის რეფერენტი. ვინაიდან იმას, რაც ასახულია გამონათქვამში, მუდამ სიტუაციის სახე აქვს, ამიტომ გამონათქვამის რეფერენტს წარმოადგენს სიტუაცია... ტექსტის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ რეფერენტულ სივრცეზე: **რეფერენტული სივრცე** შედგება რეფერენტული სიტუაციებისაგან. იმისათვის, რომ ექსპლიციტური მნიშვნელობიდან იმპლიციტურში გადავიდეთ, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სიტუაციას, მაგრამ, თუ გვსურს გავითვალისწინოთ უფრო ღრმა მნიშვნელობა, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სივრცეს.
- 2) **კომუნიკაციური სიტუაცია** – ეს ის სიტუაციაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია გავიგოთ და გავიაზროთ გამონათქვამის აქტუალური მნიშვნელობა. იგი განისაზღვრება პირველ რიგში კომუნიკაციის აქტის მონაწილეებით (კომუნიკანტებით). როგორც მინიმუმი კომუნიკაციური სიტუაცია (კომუნიკაციური აქტი) შეიცავს ორ კომუნიკანტს: ადრესანტსა და ადრესატს (ლებანიძე 2004:232).

შეიძლება ითქვას, რომ თუ გავიხსენებთ დეიქსისისა და დეტერმინაციის კატეგორიათა ჩვენს მიერ მოყვანილ დეფინიციებს, მაშინ შევძლებთ ამ კატეგორიათა (მაგრამ, ბუნებრივია, როგორც რეფერენციის სუბკატეგორიათა) ზემოთ განსაზღვრული ექსტრალინგვისტური სიტუაციათა მიმართ შემდეგნაირად ლოკალიზაციას: დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის „გენეტიკურ“ საფუძვლად უნდა მვიჩინოთ კომუნიკაციური სიტუაცია, დეტერმინაციის „გენეტიკურ“ საფუძვლად კი – რეფერენტული სიტუაცია, რადგან, როგორც ცნობილია, ნებისმიერი ტექსტი წარმოადგენს სწორედ ამა თუ იმ რეფერენტული სიტუაციის ასახვას – ისეთ ასახვას, რომელიც, რა თქმა უნდა, ექვემდებარება ინტერსუბიექტურობისა და ინტერაქციის პრინციპებს.

ვფიქრობთ, უკვე შეგვიძლია ზოგადი დასკვნა გავაკეთოთ იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს ერთის მხრივ, ის კონცეპტი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს, ანუ **რეფერენციის** კონცეპტი და მეორეს მხრივ დეტერმინაციისა და დეიქსისის ზემოთ განხილული კონცეპტები. იმისათვის, რომ შემდეგ პარაგრაფებში გავაგრძელოთ ამ მიმართულებით კვლევა, საჭიროდ მიგვაჩნია „დავაფიქსიროთ“ ამ კვლევითი ვექტორის სამი შემდეგი კონცეპტუალური კოორდინატი:

- 1) მიუხედავად იმისა, რომ დეტერმინაცია და დეიქსისი, როგორც წესი, ძირითადად განიხილება როგორც ავტონომიური ნომინალური კატეგორიები, ჩვენის აზრით – ასეთია ერთ-ერთი ჩვენი კვლევითი პოსტულატი – ერთიც და მეორეც წარმოადგენს რეფერენციის როგორც ერთიანი და ყოვლისმომცველი ნომინალური კატეგორიის ვარიანტებს. ეს სწორედ ის თეზისია, რომლის საფუძველზე ჩვენ თავიდანვე ვლაპარაკობთ ისეთ **ნომინალურ კატეგორიალურ ტრიადაზე**, რომლის ფარგლებში რეფერენცია ასრულებს მეტაკატეგორიალურ როლს;
- 2) ჩვენი კვლევითი ვექტორის მეორე კოორდინატად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ, ზემოთ ფორმულირებული თეზისის თანახმად ენის სისტემურ დონეზე უნდა საქმე გვქონდეს **რეფერენტულობის ისეთ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიასთან (ან მეტაკატეგორიასთან)**, რომლის არსებობა ვლინდება პარადიგმატულად სტრუქტურირებული ფუნქციურ-სემანტიკური **ველის** სახით. ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ამ ველის კონკრეტულ სემანტებად მოგვევლინება მისი დეიქტიკური და დეტერმინაციული განზომილებები;
- 3) მესამე კოორდინატად კი უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი მისი დისკურსული აქტუალიზაციის შემთხვევაში ტრანსფორმირებულ უნდა იყოს ისეთ **რეფერენტულ-ტექსტობრივ ბადედ**, რომლის სინტაგმატურად არსებულ სემანტებად უნდა ვიგულისხმოთ ამ ბადის დეიქტიკური და დეტერმინაციული განზომილებები.

2.3. ნომინალური ჯგუფის ზოგად ტექსტობრივი ფუნქცია და რეფერენცია

2.3.1. ტექსტის თემა-რემატული სტრუქტურა

ჩვენ უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ რეფერენციის ლინგვისტური გააზრების პროცესი ხასიათდებოდა შემდეგი ვექტორით: რეფერენცია შინაგანად და ორგანულად უკავშირდებოდა ორ ენობრივ ფენომენს – ნომინალურ ჯგუფს (სახელს) და ტექსტს. ხსენებულ ვექტორს შინაარსობრივად შეუერთდა ჩვენი თეზისი იმის თაობაზე, რომ რეფერენციის ფარგლებში ხდება ორი ისეთი ნომინალური კატეგორიის ფუნქციური სინთეზი როგორცაა დეტერმინაცია და დეიქსისი. ისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს ჩვენი კვლევის შემდეგი ეტაპი, თუ თანმიმდევრულად და ერთდროულად დავეყრდნობით როგორც რეფერენციის

ლინგვოსემიოტიკური გააზრების ჩვენგან დამოუკიდებელ ვექტორს, ისე ჩვენს მიერ უკვე წამოყენებულ თეორიულ მოსაზრებებს? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხი უნდა შეიცავდეს იმის აუცილებლობაზე მითითებას, რომ ჩვენი კვლევის შემდგომი და უახლესი ეტაპი უნდა დაიყოს ორ ქვეეტაპად. ეს ქვეეტაპებია:

1) იქედან გამომდინარე, რომ რეფერენციის დღეისთვის არსებული ლინგვისტური კონცეფცია ორგანულად უკავშირებს ერთმანეთს **სახელსა** და **ტექსტს**, აუცილებელი ხდება კიდევ ერთხელ და ახლებურად დაისვას კითხვა ამ ორი ენობრივი ფენომენის ფუნქციურ-სტრუქტურული ურთიერთდაკავშირების თაობაზე. როგორც ცნობილია, ტრადიციული სინტაქსი წინადადებას, ანუ მისი თვალსაზრისით უმაღლესი რანგის კომუნიკაციურ ერთეულს, აღიქვამდა როგორც **პრედიკაციულ სინტაგმას**, ანუ ისეთ სინტაგმას, რომელიც არსებითად გულისხმობდა სახელისა და ზმნის ურთიერთკავშირს. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის მიხედვით უმაღლეს კომუნიკაციურ ერთეულს წარმოადგენს არა წინადადება, არამედ **ტექსტი**. ამავე დროს, როგორც უკვე ითქვა, დავრწმუნდით რეფერენციის შინაგან კავშირში ერთის მხრივ ტექსტთან, მეორეს მხრივ კი – სახელთან. ყოველივე ამასთან ერთად – სწორედ ამას, ჩვენის აზრით, მოითხოვს რეფერენციის როგორც ფენომენის თანმიმდევრულად გააზრების აუცილებლობა – მეტყველების ნაწილთა სისტემა თანამედროვე გაგებითაც ატარებს ბიპოლარულ ხასიათს, ანუ გულისხმობს ამ სისტემის ფარგლებში ორი სტრუქტურულ-ფუნქციური პოლუსის ე. ი. სახელისა და ზმნის დაპირისპირებას. ის ფაქტი, რომ ენობრივი სისტემის დონეზე ეს დაპირისპირება არსებობს და ფუნქციონირებს არავითარ ეჭვს არ იწვევს. მაგრამ არსებობს თუ არა მსგავსი დაპირისპირება დისკურს-ტექსტის დონეზე და თუ იგი არსებობს როგორ უნდა იქნას ის გააზრებული იმ დაპირისპირებისაგან განსხვავებით, რომელიც იგულისხმებოდა (და დღესაც იგულისხმება) წინადადების ფარგლებში? ეს ის კითხვაა, რომელიც, ჩვენის აზრით, წინ უნდა უსწრებდეს კითხვას, რომელიც ისმის რეფერენციის ტექსტობრივი სტატუსის თაობაზე და თავისი არსებითი ფორმით ფორმულირებული უნდა იქნას შემდეგნაირად: როგორ უნდა იქნას გაგებული სახელის (ნომინალური ჯგუფის) ამოსავალი და ფუძემდებელი სტატუსი ტექსტის როგორც უმაღლესი რანგის კომუნიკაციური ერთეულის ფარგლებში მისი (ამ ერთეულის) კონსტიტუირების თვალსაზრისით? მაგრამ, ამავე დროს ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ამგვარი კითხვის დასმა სახელთან მიმართებაში

ლოგიკურად უნდა გულისხმობდეს მსგავსი კითხვის დასმას **ზმნასთან** მიმართებაშიც. შესაბამისად, აუცილებელი უნდა იყოს ამ ორი კითხვის როგორც გამიჯვნა, ისე არსებითად ურთიერთდაკავშირება.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კვლევის ლოგიკამ ეტაპობრივად მიგვიყვანა კითხვამდე იმის თაობაზე, თუ რა სახეს იღებს სახელისა და ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური დაპირისპირება იმ შემთხვევაში, როცა ენობრივი სისტემის აქტუალიზაციის შედეგად ეს სისტემა ტრანსფორმირდება დისკურს-ტექსტში? ეს ის კითხვაა, რომლის დასმასაც აუცილებლად მოითხოვს რეფერენციის სრული ლინგვისტური თეორიის აგების პერსპექტივა და რომელზე პასუხიც – თუნდაც თეორიული ვარაუდის, ანუ ჰიპოთეზის სახით – უნდა იქცეს რეფერენციის თეორიის ერთ-ერთ თეორიულ საფუძვლად.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასმულ კითხვაზე ადეკვატური პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ერთის მხრივ დავეყრდნობით ტექსტის ლინგვისტური თეორიის არსებულ მონაცემებს, მეორეს მხრივ კი შევეცდებით მოვახდინოთ ამ მონაცემთა სრულიად ახლებური ინტერპრეტაცია სწორედ სახელისა და ზმნის დაპირისპირების პლანში.

როგორია ტექსტის ლინგვისტური თეორიის ის მონაცემები, რომელთა ახლებური ინტერპრეტაცია აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ მოცემულ კონტექსტში? ლაკონიურად, მაგრამ ამავე დროს არსებითად ამ კითხვაზე უნდა გაეცეს შემდეგი პასუხი:

- ა. იმის თაობაზე, თუ როგორია სახელის მაკონსტიტუირებელი ფუნქცია ტექსტთან მიმართებაში უნდა დავეყრდნოთ ტექსტის თეორიის იმ დებულებას, რომლის მიხედვით ტექსტის ცნება გარდუვალად უკავშირდება **თემის** ცნებას; ჩვენი ჰიპოთეზა კი მდგომარეობს იმაში, რომ ტექსტის თემატურ სტრუქტურას ქმნის მისი ნომინალური ჯგუფის სტრუქტურა და შესაბამისად სწორედ ტექსტში შემავალი ნომინალური ჯგუფის სტრუქტურა უნდა ემთხვეოდეს ტექსტის თემატურ სტრუქტურას;
- ბ. ჩვენი ჰიპოთეზის მეორე ასპექტი კი, ბუნებრივია, უნდა გულისხმობდეს პასუხს კითხვაზე: როგორია სახელისგან განსხვავებით ზმნის მაკონსტიტუირებელი როლი ტექსტის მიმართ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას დავეყრდნობით ტექსტის ლინგვისტური თეორიის მეორე ფუნდამენტურ მონაცემს, სახელდობრ დებულებას იმის თაობაზე, რომ მეტყველება ანუ ვერბალური დისკურსი სტრუქტურული თვალსაზრისით

მუდამ წარმოადგენს ან ამა თუ იმ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას, ან ამ ფორმათა ისეთ სინტაგმატურ თანმიმდევრობას, რომლის ფარგლებშიც მუდამ დომინირებს რომელიმე ერთი ფორმა. ჩვენი ჰიპოთეზა, ამ შემთხვევაში მდგომარეობს შემდეგში: დისკურსის მიერ წარმოშობილი ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას მისი თემატური სტრუქტურისაგან განსხვავებით განაზღვრავს უკვე არა სახელი არამედ **ზმნა**. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურა ემთხვევა მის ზმნურ სტრუქტურას.

როგორც უკვე ითქვა, კვლევის მოცემული ეტაპი დაეყავით ორ ქვეეტაპად. ჩვენის აზრით, წინა აბზაცებში განვითარებული მსჯელობა იძლევა იმის საშუალებას, რომ შინაარსობრივად განვსაზღვროთ მეორე ქვეეტაპიც:

2) რაც შეეხება მეორე ქვეეტაპის შინაარსობრივ ასპექტს იგი უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: ნებისმიერ შემთხვევაში რეფერენციის ფენომენი ტექსტის დონეზე იმდენად, რამდენადაც იგი განსაზღვრავს ტექსტის სტრუქტურას უნდა იღებდეს **რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის სახეს**. სხვანაირად რომ ვთქვათ, სწორედ რეფერენციის ტექსტობრივი ბადე უნდა წარმოადგენდეს იმ ლინგვისტურ კონცეპტს, რომელმაც ემპირიულადაც და თეორიულადაც უნდა „იკისროს“ იმ მიზნის მიღწევა, რომელსაც გულისხმობს რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ლინგვისტური გააზრების არსებითი ვექტორი: ორგანულად დაუკავშიროს ერთმანეთს ისეთი ენობრივი ფენომენები, როგორიცაა **რეფერენცია, სახელი და ტაქსტი**. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენის აზრით, ის თეორიული მომენტიც, რომელიც გარდუვალად თან ახლავს ტექსტობრივი ბადის ცნებას და რომელიც შემდეგს გულისხმობს: ნებისმიერი ტექსტობრივი ბადე წარმოადგენს სისტემის დონეზე არსებული იმ **ფუნქციურ-სემანტიკური ველის** აქტუალიზაციას, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება ამა თუ იმ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიას. შესაბამისად, რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, უნდა წარმოადგენდეს ენობრივი სისტემის დონეზე არსებული რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის აქტუალიზაციას. მაგრამ როგორია ამ ველის სტრუქტურა? ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ სტრუქტურის განსაზღვრით შეიძლება საბოლოოდ დაფუძნდეს ჩვენს მიერ უკვე გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია და აუცილებელიცაა ვილაპარაკოთ სახელის ისეთ

კატეგორიულ ტრიადაზე, რომლის ფარგლებშიც რეფერენცია უნდა ასრულებდეს მეტაკატეგორიის როლს.

როგორც ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ გვიჩვენა რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის საბოლოო და ადეკვატური ლინგვისტური ინტერპრეტაცია აუცილებლად მოითხოვს იმის დადგენას, თუ რაში მდგომარეობს მისი მაკონსტიტუირებელი როლი ტექსტის როგორც უმაღლესი დონის კომუნიკაციური ერთეულის სტრუქტურებაში, რაც პირველ რიგში გულისხმობს იგივე თვალსაზრისით სახელის ტექსტობრივი ფუნქციის დადგენას. რა თქმა უნდა, ხსენებული ამოცანის შესრულებას აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ წმინდა პრაქტიკულ-ანალიტიკური ასპექტიც, რაც გულისხმობს ზემოთ ფორმულირებული ჰიპოთეზის ადეკვატურობის ვერიფიცირებას ემპირიულ-ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით. ბუნებრივია, ჩვენ საშუალება გვქონება იმისა, რომ მივმართოთ ტექსტობრივ ემპირიას, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა შესრულებული იქნება ჰიპოთეზის ვერიფიკაციისათვის აუცილებელი დედუქციური ასპექტის ორი შემდეგი მოთხოვნა: ტექსტის ზოგად თეორიაზე დაყრდნობით დადგინდება ა) სახელის (ნომინალური ჯგუფის) ლოგიკური და არსებითი კავშირი ტექსტის თემატურ სტრუქტურასთან და ბ) ზმნის ასევე ლოგიკური და არსებითი კავშირი ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურასთან. ვფიქრობთ, მხოლოდ ამ ორმაგი ამოცანის შესრულების შემდეგ იქნება შესაძლებელი ტექსტობრივი ემპირიის ისეთი ანალიზი, რომლის ფარგლებშიც რეფერენცია მთელი თავისი შესაძლო მოცულობით დაიკავეს სათანადო ადგილს.

სახელის ტექსტობრივი ფუნქციის თეორიულ პლანში გააზრების პროცესი, ჩვენის აზრით, მოითხოვს იმ გადამწყვეტ როლზე მითითებას, რომელსაც ტექსტთან მიმართებაში ასრულებს **თემის** ფენომენი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ **თემა**, უფრო ზუსტად კი ტექსტის შინაგანი თემატური ერთიანობა წარმოადგენს ნებისმიერი ტექსტის ერთადერთ თუ არა ერთ-ერთ მაკონსტიტუირებელ ფაქტორს მაინც – იმდენად, რომ „თემის“ როგორც ტერმინის გამოყენება აუცილებელი ხდება თვით ტექსტის როგორც ფენომენის დეფინიციის დროს. ასე მაგალითად გ. ლებანიძე წერს: „ტექსტად ლინგვისტური თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს **თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანამიმდევრობა**: ის, რაც წინადადებათა თანამიმდევრობას აქცევს ტექსტად. ეს არის სწორედ თემატიკური ურთიერთკავშირი ანუ ტექსტის

წინადადებაში ასახული თემის ერთიანობა” (ლუბანიძე 1997:279). არსებითად იგივეა ნათქვამი კ. ფილიპოვის იმ ციტატაში, რომელიც უკავშირდება ტექსტის მთლიანობის პრობლემას: „ტექსტის აზრობრივ მთლიანობას ქმნის მისი თემის ერთიანობა” (Филиппов 2003:133). ავტორის აზრით, სწორედ ტექსტის ხსენებული თემატური ერთიანობა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომლის წყალობით არსებობს და ფუნქციონირებს ნებისმიერი ვერბალური ტექსტობრიობის მაკონსტიტუირებელი „უჯრედი” – ზეფრაზობრივი ერთიანობა: „ზეფრაზობრივი ერთიანობა (მიკროტექსტი) მონოთემატურია. მისი აზრობრივი მთლიანობის გამოვლენას წარმოადგენს სწორედ ის ფაქტი, რომ მასში შემავალი ყველა წინადადება ერთიანდება ერთი თემის გარშემო. ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა წარმოადგენს იმ სასაზღვრო სიგნალს, რომელიც ნიშნავს შემდეგს: დამთავრდა ერთი ზეფრაზობრივი ერთიანობა და იწყება მეორე” (იქვე).

თემის ამგვარი, ანუ მაკონსტიტუირებელი მნიშვნელობა ვლინდება არა მხოლოდ ისეთ ლოგიკურად გადამწყვეტ მომენტში როგორცაა ტექსტის დეფინიცია, არამედ შემდეგ ორ მომენტშიც, რომლებსაც, ჩვენის აზრით, არანაკლები მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ტექსტის ზოგადი თეორიისათვის. ვგულისხმობთ, ერთის მხრივ ტექსტთა იერარქიულ ტიპოლოგიას, მეორეს მხრივ კი ტექსტის შინაგან კომუნიკაციურ სტრუქტურას. პირველ ასპექტთან დაკავშირებით გ. ლუბანიძე წერს: „სწორედ ამგვარი რაოდენობრივი სიძნელეების გადალახვის მიზნით (ავტორი გულისხმობს სწორედ ტექსტთა ტიპოლოგიზაციის პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება ტექსტთა მიკრო და მაკროასპექტების ურთიერთგამიჯვნას – ქ. დ.) თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა ახდენს ტექსტის ცნების თავდაპირველ, ასე ვთქვათ, ამოსავალ დიქტომიზაციას, გამიჯნავს რა ერთმანეთისაგან ტექსტის ორ ძირითად სახეობას – მაკროტექსტსა და მიკროტექსტს. მაკროტექსტი არის თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ყოველი თანამიმდევრობა, თუნდაც „დათა თუთაშხია”. რაც შეეხება მიკროტექსტს – ეს არის წინადადებათა ისეთი თანამიმდევრობა, რომელიც ეფუძნება რომელიმე ერთი შემაკავშირებელი თემის არსებობას. მიკროტექსტი გვაქვს მაშინ, როცა საქმე გვაქვს ერთ თემასთან და ამ თემის ამსახველ წინადადებათა თანამიმდევრობასთან” (ლუბანიძე 1997:279-280).

თემის როლი ასევე მნიშვნელოვანია ნებისმიერი ტექსტის შინაგანი კომუნიკაციური სტრუქტურის კონსტიტუირების თვალსაზრისით. როგორც ჩვენ მიერ უკვე ციტირებული კ. ფილიპოვი წერს, „ტექსტის კომუნიკაციური

მთლიანობა ვლინდება შემდეგში: ყოველი შემდეგი წინადადება ზეფრაზობრივი ერთიანობის ფარგლებში კომუნიკაციური თვალსაზრისით ეყრდნობა წინა წინადადებას და ამ გზით ახდენს გამონათქვამის პროგრესირებას მოცემულიდან და ცნობილიდან ახლისაკენ და უცნობისაკენ. ხდება სწორედ ის, რის შედეგადაც იქმნება თემა-რემატული ჯაჭვი, ანუ სტრუქტურა, რომელსაც აქვს სასრული ხასიათი და რომელიც განსაზღვრავს ზეფრაზობრივი ერთიანობის საზღვრებს” (Филиппов 2003:133-134). აღსანიშნავია აგრეთვე თემატურობის როლი ტექსტის როგორც ფენომენის იმ ზოგად დახასიათებაში, რომელსაც ციტირებული ავტორი იძლევა: „ტექსტის ის ზემოთ წარმოდგენილი ნიშან-თვისებები, რომლებიც ავლენენ მის მთლიანობას აზრობრივი, კომუნიკაციური და სტრუქტურული თვალსაზრისით ასრულებენ აგრეთვე იმ კრიტერიუმთა როლს, რომლებზეც დაყრდნობითაც ტექსტი იყოფა ზეფრაზობრივ ერთიანობებად. ამგვარ კრიტერიუმებად უნდა მივიჩნიოთ მიკროთემათა მონაცვლეობა, თემა-რემატული ჯაჭვის უწყვეტელობისა და ფრაზათშორის კავშირთა უწყვეტელობის რღვევა” (იქვე).

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილმა ციტატებმა საკმარისად დაგვარწმუნა იმაში, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თემის როგორც ფენომენისა და ცნების მნიშვნელობა ტექსტის როგორც ფენომენის ლინგვისტური გააზრების თვალსაზრისით. მაგრამ თემის ამგვარი, ანუ მაკონსტიტუირებელი სტატუსის ხაზგასმა ვერ იქნება ჩვენი კვლევის მთავარი და გადამწყვეტი მიზანი. თუმცა ამავე დროს ცხადია: ეს სწორედ ის მომენტი, რომელმაც აუცილებელი შეაღებური როლი უნდა შეასრულოს ტექსტისა და სახელის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. გავისხენოთ ის, რამაც შეადგინა ჩვენი ჰიპოთეზის პირველი ასპექტის შინაარსი: რეფერენციის ტექსტობრივი ფუნქცია უნდა უკავშირდებოდეს იმ ფუნდამენტურ როლს, რომელსაც ასრულებს სახელი ტექსტის თემატური სტრუქტურის კონსტიტუირებისას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოცემულ ეტაპზე და უკვე ზემოთ ხსენებულ დედუქციურ ლოგიკაზე დაყრდნობით უნდა განვსაზღვროთ სახელის როლი ტექსტის თემატური სტრუქტურის კონსტიტუირებისას ზუსტად ისევე როგორც განვსაზღვრეთ თემის ამგვარი როლი ტექსტთან მიმართებაში. შეიძლება ითქვას, რომ ამის თქმით არსებითად განვსაზღვრეთ კვლევის ის ეტაპი, რომელზეც ვიმყოფებით: რაკი უეჭველია, რომ რეფერენციის ფენომენი შინაგანად და არსებითად უკავშირდება სახელს, ცხადია, რომ სწორედ რეფერენცია უნდა წარმოადგენდეს იმ

გადამწყვეტ ენობრივ სტრუქტურას, რომელზეც დაყრდნობითაც იქმნება და ფუნქციონირებს ხსენებული თემატური სტრუქტურა, საბოლოო ანგარიშში კი თვით ტექსტი.

რაკი, როგორც არაერთხელ ხაზგასმით ითქვა, ვიმყოფებით რეფერენციის ტექსტობრივი სტატუსის დადგენის **დედუქციურ ეტაპზე**, თვით ამ ეტაპის ფუნქციური არსის გააზრება გულისხმობს შემდეგს: რომელია (ან რომელი უნდა იყოს) ტექსტთან თეორიულად დაკავშირებული ის კატეგორიები, რომლებმაც უნდა შეასრულონ შემდეგი როლი: გვიჩვენონ, თუ რაში ან როგორ უნდა ვლინდებოდეს სახელის ფუნდამენტური როლი ტექსტის თემატური სტრუქტურის კონსტიტუირების თვალსაზრისით?

2.3.2. ტექსტის კატეგორიული სტრუქტურა და ნომინალური ჯგუფის მაკონსტიტუირებელი როლი ამ სტრუქტურის ფარგლებში

როგორც გვახსოვს ჩვენი ჰიპოთეზა იმ როლის თაობაზე, რომელსაც რეფერენცია უნდა ასრულებდეს ტექსტის დონეზე წამოვაცენეთ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იყო წარმოდგენილი წინადადების მოდელი არა მხოლოდ ტრადიციულ ლინგვისტიკაში, არამედ თანამედროვე ლინგვისტიკის იმ პარადიგმულ ეტაპზეც, რომელიც წინ უსწრებდა ზოგადი კომუნიკაციური ლინგვისტიკის, კერძოდ კი ტექსტის თეორიის დამკვიდრებას. აქედან გამომდინარე, დავსვით კითხვა: ხომ არ უნდა დაუკავშირდეს რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის კვლევა იმ მაკონსტიტუირებელი ფუნქციის განსაზღვრას, რომელსაც ტექსტის ფარგლებში ასრულებს ნომინალური ჯგუფი, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელი როგორც მეტყველების ნაწილი? დავეყრდენით რა ტექსტის როგორც ენობრივი ფენომენის არსებულ დეფინიციებს და იმ ფუნდამენტურ როლს, რომელსაც ამ დეფინიციებში ასრულებს **თემის** ცნება – გამოვთქვით უკვე ფუძემდებელი ჰიპოტეზის სახით – მოსაზრება, რომ ტექსტის თემატური, ანუ ენობრივი ერთეულისათვის არსებითად განმსაზღვრელი სტრუქტურა ფუძნდება სწორედ იმ როლით, რომელსაც სახელი ასრულებს ტექსტში. და თუ გავითვალისწინებთ იმ ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ ხაზგასმულ ფაქტს, რომ ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე რეფერენცია არსებითად და პრინციპულად უკავშირდება სახელს, მაშინ, ალბათ, გვექნება სრული საფუძველი იმისაც, რომ რეფერენციაც მისი ფუნქციური არსით დაუკავშიროთ ტექსტის თემატურ სტრუქტურას.

მაგრამ ამავე დროს არსებითად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრებაც: იქიდან გამომდინარე, რომ სახელის როგორც მეტყველების ნაწილის ფუნქციური არსი მუდამ უკავშირდებოდა და ზოგადად დღესაც უკავშირდება ზმნის ფუნქციურ არსს, შეუძლებელი უნდა იყოს ზემოთ გამოთქმული ჰიპოთეზის ადეკვატურობის დასაბუთება, ანუ რაც იგივია ჰიპოთეზის თეორიად ქცევა იმ თანაფარდობის ჩვენების გარეშე, რომლითაც სახელი და ზმნა ხასიათდებიან ტექსტის ფარგლებში. ეს კი ნიშნავს შემდეგს: თუ სახელის მაკონსტიტუირებელი ფუნქცია დაუკავშირეთ ტექსტის ისეთ ფუნდამენტურ ასპექტს, როგორცაა მისი თემატური სტრუქტურა, მსგავსი ამოცანა უნდა დავისახოთ ზმნასთან დაკავშირებითაც, რადგან საპირისპირო შემთხვევაში რეფერენციასთან დაკავშირებული და ჩვენს მიერ უკვე ფორმულირებული ჰიპოთეზა მოკლებული იქნება ლოგიკურ დამაჯერებლობას. შესაბამისად, უნდა დასახელდეს ტექსტის ის მეორე (მეორე იმდენად რამდენადაც პირველი იყო თემატური სტრუქტურა) ფუნდამენტური ასპექტი, რომელიც თეორიული თვალსაზრისით პირველთან, ანუ თემატურ სტრუქტურასთან ერთად, და მასთან არსებით კავშირში, შეძლებდა წარმოედგინა ტექსტი მის **სტრუქტურულ მთლიანობაში**.

მაგრამ სანამ დავასახელებთ ტექსტის ამ ფუნდამენტურ ასპექტს, აუცილებლად მიგვაჩნია პასუხი გავცეთ კითხვაზე, რომელიც დასმულ იქნა წინა პარაგრაფის დასასრულს: რომელია (ან რომელი უნდა იყოს) ტექსტთან თეორიულად დაკავშირებული ის კატეგორიები, რომლებმაც უნდა შეასრულონ შემდეგი როლი: გვიჩვენონ, თუ რაში ან როგორ უნდა ვლინდებოდეს სახელის ფუნდამენტური როლი ტექსტის თემატური სტრუქტურის კონსტიტუირების თვალსაზრისით? როგორც ვხედავთ, კითხვას ვსვამთ ტექსტის სწორედ იმ კატეგორიალური სტრუქტურის თაობაზე, რომლის ფარგლებში და რომელზე დაყრდნობითაც ერთმანეთს **ტექსტობრივად** (და უკვე არა წინადადებრივად ანუ ტრადიციული სინტაქსის მიხედვით) უნდა დაუკავშირდნენ სახელი და ზმნა.

როგორც ცნობილია, ტექსტის თანამედროვე თეორიის ფარგლებში მუშავდება ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა, რომლის სტრუქტურა ლოგიკურად უკავშირდება ტექსტის როგორც ენობრივი ნიშნის სემიოტიკურად გააზრებულ სტრუქტურას, ანუ იმ ფაქტს, რომ ტექსტის როგორც ენობრივი ნიშნის სინტაგმატიკურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ განზომილებებს უნდა შეესაბამებოდეს კატეგორიათა შესაბამისი სისტემა ც სინტაგმატიკურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ კატეგორიათა სისტემის სახით. ქვემოთ, როცა

დასრულებულად მივიჩნევთ რეფერენციის თეორიის აგების დედუქციურ ასპექტს და მას შევავსებთ ინდუქციური ასპექტით, ანუ განვახორციელებთ ინგლისურენოვან ტექსტთა რეფერენტულ ანალიზს, რა თქმა უნდა, მოგვიხდება კითხვის დასმა იმის თაობაზე, თუ როგორი შეიძლება იყოს რეფერენციის მიმართება ტექსტობრივ კატეგორიათა ზემოთ ხსენებულ სისტემასთან. მაგრამ კვლევის ამ ეტაპზე, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელთან და ზმნასთან უშუალოდ დაკავშირებული ტექსტობრივ ასპექტთა შორის მიმართების დადგენა, საკმარისად და აუცილებლად მიგვაჩნია პირველ რიგში დავასახელოთ ის ცენტრალური ტექსტობრივი კატეგორია, რომელიც ფუნდამენტურად უკავშირდება თვით ტექსტობრიობის იდეას და ამიტომ საფუძვლად უდევს ნებისმიერი სხვა ტექსტობრივი კატეგორიის ფუნქციონირებას. ასეთი მიდგომა გამართლებულად მიგვაჩნია იქიდან გამომდინარე, რომ თუ ლოგიკურად მივუდგებით ჩვენს წინაშე მდგომ ამოცანას, სახელთან და ზმნასთან უშუალოდ დაკავშირებულ ტექსტობრივ ასპექტთან ურთიერთმიმართება უნდა ფუნქციონირებდეს სწორედ ამ ცენტრალური კატეგორიით. ნათქვამიდან გამომდინარე, დავასახელოთ ხსენებული ცენტრალური კატეგორია და დავსვათ კითხვა იმის თაობაზეც, თუ როგორ უნდა უკავშირდებოდნენ ერთმანეთს ტექსტის ფარგლებში სახელი და ზმნა, ანუ რაც არსებითად იგივეა რეფერენცია და ტექსტის ის ასპექტები, რომლებიც ზმნას უკავშირდება და ამგვარად სიმეტრიულად ერთის მხრივ უპირისპირდება რეფერენციას, მეორეს მხრივ კი შესაძლებელს ხდის მის არსებობასა და ფუნქციონირებას?

ასეთ ცენტრალურ ტექსტობრივ კატეგორიად უნდა მივიჩნიოთ კოჰერენტულობის კატეგორია. ტექსტის ერთიანობა მიიღწევა კოჰეზიითა და კოჰერენტულობით. კოჰეზიაში ანუ ფორმის შეკრულობაში კანალი გულისხმობს იმას, თუ როგორაა დაკავშირებული გამონათქვამები სტრუქტურულად და რამდენად უწყობს ეს ხელს მთლიანად ტექსტის გაგებას (Canale 1983). ასე, მაგალითად, ისეთი საშუალებები, როგორცაა ნაცვალსახელები, სინონიმები, ელიფსი, კავშირები და პარალელური სტრუქტურები კავშირს ამყარებენ ცალკეულ გამონათქვამებს შორის და მიგვანიშნებენ, როგორ უნდა იქნას აღქმული გამონათქვამთა ესა თუ ის ჯგუფი (ლოგიკურად თუ ქრონოლოგიურად) როგორც ერთიანი ტექსტი.

კოჰერენტულობა, ანუ მნიშვნელობის ურთიერთშესაბამისობა ტექსტში გადმოცემულ სხვადასხვა მნიშვნელობას შორის ურთიერთობას ეხება. აქ

შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც პირდაპირი მნიშვნელობები, ისე კომუნიკანტთა ინტენციები. ეს ინტერპრეტაცია ახლოსაა ამ ტერმინების მაკაროვისეულ დეფინიციებთან, სადაც კოჰეზია აღნიშნავს „დისკურსის ფორმალურ-გრამატიკულ შეკრულობას“, ხოლო კოჰერენტულობა ამასთან ერთად „დისკურსის აზრობრივი და ინტერაქტიული შეკრულობის სემანტიკურ და პრაგმატიკულ ასპექტებსაც“ მოიცავს (Макаров 2003: 195).

როგორც ვხედავთ, კოჰერენტულობა (კოჰეზია) უნდა მიჩნეულ იქნას ტექსტის იმ ცენტრალურ კატეგორიად, რომლის ფარგლებში უნდა დავინახოთ სახელის, შესაბამისად კი თვით რეფერენციის არსებითი კავშირი ტექსტის იმ ასპექტთან, რომელიც თავისი არსებობით ეფუძნება ზმნას.

ჩვენი ჰოპოთეზის ბოლომდე დასაბუთების თვალსაზრისით აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავესვათ კოჰერენტულობის, როგორც კატეგორიის იმ ნიშან-თვისებასაც, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმის განსაზღვრის თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა იქნას დანახული რეფერენციის ფენომენი ტექსტის მთლიანურ სტრუქტურაში – ვგულისხმობთ ამ კატეგორიის **დინამიკურ-ტემპორალურ ხასიათს**, რომელიც რეალიზებულია მუდამ მოძრაობასა და დროში. რადგანაც თვით ტექსტი წარმოადგენს დინამიკურ, პროცესუალურ, დროში მომხდარ ენობრივ წარმონაქმნს, მისი ცენტრალური კატეგორია – კოჰერენტულობა – არის დინამიკურ-პროცესუალური ბუნების (ღებანიძე 2004).

როდესაც ვსაუბრობთ ტექსტზე აუცილებლად მიგვაჩნია მასში არსებული რეფერენტული სიტუაციის განხილვაც. კ. დოლინინი ნაშრომში „ტექსტის ინტერპრეტაცია“ გვაძლევს რეფერენტული სიტუაციის შემდეგ განმარტებას: სინამდვილის იმ ასპექტს, რომელიც ასახულია გამონათქვამში (ტექსტში), მუდამ სიტუაციის სახე აქვს და აქედან გამომდინარე, გამონათქვამის რეფერენტს წარმოადგენს სიტუაცია, იმ სიტუაციას, რომელიც გამონათქვამში აისახება, ავტორი „რეფერენტულ სიტუაციას“ უწოდებს: „გამონათქვამი აღწერს (ასახელებს, ასახავს, აღნიშნავს) მასთან დაკავშირებულ რაღაც სიტუაციას (მოვლენას, ფაქტს, საქმის ვითარებას) – იმას, რასაც ჩვენ ვუწოდებთ... რეფერენტულ სიტუაციას“ (Долинин 1985:14).

ტექსტის შემთხვევაში კ. დოლინინი მიმართავს ტერმინს „რეფერენტული სივრცე“, რომელიც აღნიშნავს რეფერენტულ სიტუაციათა ერთობლიობას. იგი აღნიშნავს, რომ ტექსტში წარმოდგენილი რეფერენტული სიტუაციების შინაარსი შეიძლება უსასრულოდ ფართო იყოს. „არ არის საგაღდებულო, რომ

რეფერენტული სიტუაცია (შესაბამისად რეფერენტული სივრცე) დროისა და სივრცის ხდომილებრივი სინამდვილის კონკრეტულ და ლოკალიზებულ ნაწილს დარმოადგენდეს” (Долинин 1985:8)

როგორც ზემოთ აღნიშნეთ ტექსტის ერთ-ერთ ნიშან-თვისებას, ანუ მის დინამიკურ-ტემპორალურ სტრუქტურას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმის დასადგენად, თუ რა სახეს იღებს რეფერენცია ტექსტში, იმის გათვალისწინებით, რომ ენისა და დისკურსის თანამედროვე გაგების მიხედვით, ტექსტში უნდა ხდებოდეს ენობრივ სისტემათა არსებულ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა აქტუალიზაცია. როგორც შემდგომ ვნახავთ, ამგვარი აქტუალიზაციის საკუთრივ „ტექსტობრივ პროდუქტად” გვევლინება ისეთ **ტექსტობრივ ბადეთა** ერთობლიობა, რომლებსაც სისტემის დონეზე შეესაბამება ფუნქციურ-სემანტიკურ **ველთა** ერთობლიობა. შესაბამისად – წინსწრებით თუ ვიტყვი – ვილაპარაკებთ რეფერენტულობის ტექსტობრივ ბადეზე, რომელიც უნდა წარმოადგენდეს რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის აქტუალიზაციას და რომელსაც უნდა ჰქონდეს – სწორედ ხსენებული ველისაგან განსხვავებით – სინტაგმატური ანუ დინამიკურ-ტემპორალური სტრუქტურა. მაგრამ იმისათვის, რომ მთელი შესაძლო სისრულით დავინახოთ რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი, აუცილებელი იქნება შევუქმნათ მას ისეთი თეორიული კონტექსტი, რომელშიც ასახული იქნება რეფერენციის ფუნქციური არსი როგორც სისტემის, ისე ტექსტის დონეზე. სწორედ ამ მიზნის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს რეფერენციის ფუნქციურ არსთან დაკავშირებული შემდეგი სამი კითხვა:

- ა. როგორ უნდა იქნას გაგებული რეფერენციის ტექსტობრივი ფუნქცია იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ ტექსტში რეფერენტული (ანუ ნომინალური) გამონათქვამები გარდუვალად უნდა უკავშირდებოდნენ არარეფერენტულ, ანუ ძირითადად ვერბალურ (ზმნურ) გამონათქვამებს? თუ გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნულ იმ გარემოებას, რომ ტექსტის ცენტრალურ კატეგორიას წარმოადგენს **კოჰერენტულობა** (კოჰეზია), მაშინ შესაძლებელი იქნება იმის გათვალისწინებაც, რომ სწორედ ნომინალურობისა და ვერბალურობის ამგვარმა, ანუ კოჰერენტულობის ფარგლებში განხორციელებულმა შერწყმამ უნდა დაგვანახოს ის, რისი დანახვაც, ჩვენის აზრით, შეუძლებელი იქნებოდა სხვა შემთხვევაში –

რეფერენტულ ფუნქციათა ტიპოლოგია შესაბამისი ტექსტობრივი ბადის სინტაგმატურ სტრუქტურაში;

- ბ. წინა პუნქტში ხაზი გაესვა ნომინალურ და ვერბალურ ტექსტობრივ ფუნქციათა ურთიერთკავშირის მნიშვნელობას რეფერენციის როგორც ზოგადად ტექსტობრივი ფენომენისა და მისი ტექსტობრივ-ფუნქციური ტიპოლოგიის გამოვლენის თვალსაზრისით და აღნიშნულ იქნა, რომ ხსენებული ურთიერთკავშირი აღქმული უნდა იქნას კოჰერენტულობის, როგორც ცენტრალური ტექსტობრივი კატეგორიის ფარგლებში. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს კოჰერენტულობის ის ფუნქციური ნიშან-თვისებაც, რომლის საფუძველზეც მას ტექსტობრივ კატეგორიათა ინტეგრალი შეიძლება ეწოდოს. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ: რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის ფუნქციური არსი უნდა გამოვლინდეს არა მხოლოდ ტექსტის ნომინალურ და ვერბალურ განზომილებათა ურთიერთკავშირის ფონზე, არამედ იმ როლის ფონზეც, რომელსაც რეფერენცია უნდა ასრულებდეს ტექსტის **კატეგორიალურ სტრუქტურაში**.

როგორ უნდა დაისვას კითხვა ზემოთ აღნიშნული ამ ბოლო მომენტის გათვალისწინებით? ვფიქრობთ, შესაძლებელი და აუცილებელიცაა ვილაპარაკოთ ნებისმიერი ტექსტის ორ განზომილებაზე: პირველი განზომილებით ვგულისხმობთ ტექსტის **ვერტიკალურ სტრუქტურას**, ანუ ნომინალურ და ვერბალურ გამონათქვამთა იმ ურთიერთკავშირს, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ურთიერთკავშირზე მსჯელობისას მხედველობაში გვქონდა ტექსტის, როგორც გარკვეული **სიტუაციის** ამსახველი სტრუქტურის **სემანტიკა** (ამ ტერმინის ფართო გაგებით) და არ ვითვალისწინებდით ნებისმიერი ტექსტისათვის მაკონსტიტუირებელი სტატუსის მქონე შემდეგ გარემოებას: არ არსებობს ტექსტი დისკურსის გარეშე, როგორც ზემოთ უკვე იქნა ხაზგასმული, ყოველი დისკურსი კი წარმოადგენს ენობრივი სისტემის ინტერსუბიექტურად რეალიზებულ აქტუალიზაციას და, შესაბამისად, არსებობს და ფუნქციონირებს ორ სუბიექტს, ანუ ადრესანტსა და ადრესატს შორის ლოკალიზებულ კომუნიკაციურ სივრცეში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი და აუცილებელია, ჩვენის აზრით, ვილაპარაკოთ უკვე ტექსტის არა ვერტიკალურ და არა სემანტიკურ, არამედ **ჰორიზონტალურ და კომუნიკაციურ განზომილებებზე** – ჰორიზონტალური

იმდენად რამდენადაც ვგულისხმობთ კომუნიკაციურ-ინფორმაციულ მიმართებებს დასახელებულ ორ ენობრივ სუბიექტს შორის, კომუნიკაციური იმდენად რამდენადაც ხსენებული მიმართებები უნდა წარმოადგენდნენ არა იმდენად ტექსტში ასახული სიტუაციის სემანტიკურ ასპექტს, არამედ ტექსტის ინტერსუბიექტურად განპირობებულ **პრაგმატიკულ** ასპექტს. შესაბამისად, ვსვამთ კითხვას: როგორ აისახება რეფერენციის ტექსტობრივი ფუნქცია ტექსტის ჰორიზონტალური ანუ პრაგმატიკული განზომილებების სტრუქტურაში?

ბუნებრივია, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა დავეყრდნოთ ტექსტის პრაგმატიკულ კატეგორიათა სისტემას და მივიჩნიოთ, რომ ხსენებულ კატეგორიათა ურთიერთკავშირი ისევე მნიშვნელოვანია ზოგადად ტექსტის კოჰერენტულობისათვის, როგორც მის ნომინალურ და ვერბალურ ასპექტთა ურთიერთკავშირი;

- გ. მაგრამ, ჩვენი აზრით, არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი კვლევითი მიზნის შემდეგი ასპექტიც: ჩვენ ვიკვლევთ რეფერენციას როგორც **ენობრივ** ფენომენს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი განხილული და დანახული უნდა იქნას როგორც სისტემურ, ისე ტექსტობრივ დონეზე. იმის გათვალისწინებით, რაც უკვე ითქვა, შესაძლებელია მოვახდინოთ ამგვარად დასახული მიზნის შემდეგი ფორმულირება: რეფერენცია უნდა აღქმული და გააზრებული იქნას, ერთის მხრივ როგორც რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია ამ კატეგორიისთვის დამახასიათებელი ველით, მეორეს მხრივ კი როგორც რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე. ბუნებრივია ამ შემთხვევაში ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას დანახული ერთის მხრივ რეფერენციის მეტაკატეგორიალური სტატუსი დეტერმინაციისა და დეიქსისის მიმართ რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ფარგლებში და მეორეს მხრივ, როგორ უნდა იქნას დანახული რეფერენტულობის იგივე, ანუ მეტაკატეგორიალური სტატუსი რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის ფარგლებში, რადგან, როგორც უკვე ვიცით, ხსენებული ტექსტობრივი ბადე წარმოადგენს ხსენებული ველის დისკურსულ აქტუალიზაციას?

2.4. სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა სისტემა და ტექსტის „ზმნური სტრუქტურა“: რეფერენციის როგორც ნომინალური კატეგორიის მიმართება ტექსტის „ზმნურ სტრუქტურასთან“

ზემოთ, როცა განვიხილავდით რეფერენციის თეორიულ პრობლემატიკას იმდენად, რამდენადაც ეს პრობლემატიკა ანალიზური სახით წარმოდგენილია თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში, დავინახეთ, თუ რა სიხშირით – თუმცა თეორიული გააზრების გარეშე – ხდება რეფერენციის დაკავშირება ისეთ ენობრივ ფენომენებთან როგორცაა დეტერმინაცია და დეიქსისი. ვფიქრობთ, რთული არ უნდა იყოს ისეთ ნომინალურ კატეგორიათა ურთიერთკავშირის თეორიული გააზრება როგორცაა რეფერენცია და დეტერმინაცია იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელთან დაკავშირებულ, ანუ ნომინალურ კატეგორიებთან – თუმცა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: რა ადგილს იკავებს დეტერმინაცია ტექსტის ზოგად რეფერენტულ სტრუქტურაში? მაგრამ, როცა საქმე ეხება რეფერენციასა და დეიქსისს შორის კავშირს, მაშინ პრობლემა იქნის თეორიული თვალსაზრისით ბევრად უფრო რთულ ხასიათს. სირთულე „იბადება“ თვით დეიქსისის „წიაღში“, სახელდობრ დეიქსისის ტიპოლოგიაში: როგორც ცნობილია და როგორც ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული, დეიქსისის ტიპოლოგია გულისხმობს ამ ფენომენის დაყოფას სამ ძირითად ტიპად: როლური დეიქსისი, დროისა და ადგილის დეიქსისი. ვფიქრობთ, თეორიული თვალსაზრისით რთული არ უნდა იყოს ერთმანეთს დაუუკავშიროთ ისეთი ენობრივი ფენომენები როგორცაა, ერთის მხრივ, რეფერენცია, მეორეს მხრივ კი როლური დეიქსისი, რადგან სინტაქსი – როგორც წინადადების, ისე ტექსტის დონეზე – **როლს**, როგორც წესი, უკავშირებს სახელით გამოხატულ აქტანტს. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის თემასა და პრობლემას წარმოადგენს რეფერენცია, ჩვენთვის შეუძლებელია **ექსპლიციტური** სახით არ დავსვათ კითხვა: როგორ უნდა გავიგოთ კავშირი ერთის მხრივ, რეფერენციასა და მეორეს მხრივ დეიქსისის ტემპორალურ და ლოკალურ ტიპებს შორის იმ შემთხვევაში, თუ ყველა ხსენებული ფენომენი დანახული და განხილული იქნება ტექსტის დონეზე, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც **ტექსტობრივი ფენომენები?**

წინა პარაგრაფებში, როცა ლაპარაკი გვქონდა რეფერენციის ზოგად ტექსტობრივ სტატუსზე, დავინახეთ, რომ ეს სტატუსი უკავშირდება ტექსტის **თემატურ** სტრუქტურას. ამავე დროს ხსენებული სტატუსის დადგენისას გავითვალისწინეთ ის როლიც, რომელსაც სახელი ასრულებს წინადადების ფარგლებში. ამგვარი ლოგიკური „სვლა“ გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ წინადადება გვევლინება ტექსტის ძირითად „უჯრედად“, არამედ იმიტომაც, რომ წმინდა კომუნიკაციური თვალსაზრისით, სწორედ წინადადებამ შეიძლება აიღოს თავის თავზე ტექსტის ფუნქცია. მაგრამ, ამავე დროს, გვსურს საზი გაგუსვათ გარემოებას, რომელსაც, ჩვენის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, თუ გვსურს ადეკვატური პასუხი გაეცეს ზემოთ დასმულ კითხვას: როგორც არ უნდა იყოს გამჭოლი ლოგიკური კავშირი წინადადებასა და ტექსტს შორის, ტექსტზე მსჯელობისას უნდა დავეყრდნოთ საკუთრივ ტექსტობრივ კატეგორიებს (და არა კატეგორებს, რომლებიც ნასესხები იქნებოდნენ წინადადების სტრუქტურიდან).

ვფიქრობთ, გამართლებული იქნება თუ მოცემული პარაგრაფით ნაგულისხმევ პრობლემას გადავჭრით იგივე ლოგიკური სქემის მიხედვით: ჯერ გავითვალისწინებთ იმ სინტაქსურ სტატუსს, რომელიც შეიძლება ჰქონდეს **დროსა** და **ადგილს** წინადადების ფარგლებში, შემდეგ კი – ამ ანალოგიაზე დაყრდნობით, მაგრამ ამავე დროს პრინციპულად ტექსტობრივ კრიტერიუმებზე დაფუძნებით – შევეცდებით გადავჭრათ ჩვენს წინაშე არსებული პრობლემა.

როგორც ცნობილია, წინადადების ფარგლებში **ადგილიცა** და **დროც** თავიანთი ზოგადი სემანტიკით უკავშირდებიან **ზმნას** და არა სახელს და ზმნასთან კავშირის ფარგლებში საქმე გვაქვს, როგორც წესი, წინადადების ორ ისეთ ტრადიციულ წევრთან, როგორცაა დროისა და ადგილის გარემოება.

მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამ შემთხვევაში ტექსტის დონეზე „გადასვლა“, რომელიც საკუთრივ ტექსტობრივი ლოგიკის თვალსაზრისით კი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, არამედ პირიქით „ეთანხმებოდეს“ ჩვენს მიერ ზემოთ განხორციელებულ „გადასვლას“. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორი უნდა ის **ტექსტობრივი კატეგორია**, რომელიც, ერთის მხრივ ლოგიკურ და შინაარსობრივ კავშირში იქნება ზმნასთან, მეორეს მხრივ კი პრინციპულად ტექსტობრივი კრიტერიუმის სახით წარმოგვიდგება?

ვფიქრობთ, ამგვარი ტექსტობრივი კატეგორიის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს **სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის კატეგორიამ**. ამიტომ,

ბუნებრივია, დავსვათ კითხვა: რას წარმოადგენს სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა როგორც ტექსტობრივი კატეგორია, თუ მას განვიხილავთ ჩვენს კვლევით კონტექსტში, ანუ ზოგადად რეფერენციასთან, უფრო კონკრეტულად კი, ტექსტის თემატურ სტრუქტურასთან კავშირში? ამგვარად დასმული კითხვა პასუხის გაცემას ეტაპობრივად საჭიროებს: ა) პირველ ეტაპზე უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ არის გაგებული ხსენებული კონცეპტი (სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა) ტექსტის ზოგად თეორიაში, ანუ რეფერენციასთან ლოგიკური კავშირის ყოველგვარი ექსპლიკაციის გარეშე; ბ) მეორე ეტაპზე კი ზემოთ ხსენებული კავშირი უნდა ექსპლიცირებული იქნას ორ ტექსტობრივ ფენომენს შორის.

ესება რა „ტექსტის ძირითად ფუნქციონალურ ტიპებს“, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმებს, ვ. სერგია წერს: „მეტყველების ძირითად ფორმებად მიჩნეულია თხრობა, აღწერა და მსჯელობა, გამოყოფენ მათ, ასე ვთქვათ, დამატებით ფორმებსაც, ისეთებს, როგორიცაა: დინამიკური აღწერა, ცნობა, დახასიათება, ინტერპრეტირება, მტკიცება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თხრობა, აღწერა, მსჯელობა მეტყველების ფორმათა ინვარიანტებს წარმოადგენს, ხოლო მათი ემოციონალურად გადაშუშავებული ვარიანტებია მოთხრობა, ცოცხალი აღწერა და შთაბეჭდილებათა გადაცემა” (სერგია 1989:266) ავტორი შემდეგნაირად ახასიათებს სამ ძირითად სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმას – „აღწერითს, თხრობითსა და მსჯელობითს”: „აღწერითია ტექსტი, სადაც ჩამოთვლილია ნიშან-თვისებები, თავისებურებანი და ამ გზით დახასიათებულია რაიმე მოვლენა, საგანი და პერსონაჟი. აღწერითი ტექსტი შეიძლება იყოს პეიზაჟური (მოქმედების ადგილის აღწერა) ან პორტრეტური (მოქმედი გმირის გარეგნული აღწერა) და სხვ.” (სერგია 1989:268);

რაც შეეხება თხრობით ტექსტს ავტორი წერს: „თხრობას განეკუთვნება ტექსტი, სადაც საუბარია ამბის, მოვლენის განვითარების, მათი თანმიმდევრობის შესახებ. ადგილი აქვს დროის ცვლას” (სერგია 1989:270);

მსჯელობითი ტექსტი კი დახასიათებულია შემდეგნაირად: „მსჯელობით ტექსტში გვაქვს მიზეზ-შედეგობრივი კონსტრუქციები, კითხვები, მოდალური სიტყვები, ავტორისეული შეფასება. ასეთ ტექსტში ნათლად გამოიკვეთება სამი ნაწილი: თეზისი, მტკიცება და დასკვნა” (სერგია 1989:272).

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა თუნდაც ასეთი ლაკონური დახასიათებიდან, რომელსაც ვ. სერგია იძლევა, თუ,

რა თქმა უნდა, ამავე დროს, ეს დასკვნა დაკავშირებული იქნება ჩვენი კვლევის ძირითად ამოცანასთან? როგორც ვხედავთ, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დახასიათებულ „ფორმათა“ ფუნქცია შინაგანად ე. ი. სტრუქტურულადაც და ფუნქციურადაც უნდა უკავშირდებოდეს მათში მოცემულ ზმნათა სემანტიკურ კონფიგურაციას: პირველ შემთხვევაში ავტორი მიიხნევს, რომ „აღწერითი ტექსტი შეიძლება იყოს პეიზაჟური (მოქმედების ადგილის აღწერა) ან პორტრეტური (მოქმედი გმირის გარეგნული აღწერა)“: ცხადია, რომ აღწერის ორივე ეს ვარიანტი შეიძლება განხორციელდებულ იქნას მხოლოდ ზმნით (თუ საქმე გვაქვს ჩვეულებრივ შემასმენელთან) ან ზმნით პრედიკატივთან ერთად. მსგავსი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ იმ დახასიათებიდან, რომელსაც ავტორი აძლევს თხრობით ტექსტს. ვფიქრობთ, სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის „შინაგანი ზმნური ბუნება“ ამ შემთხვევაში გამოკვეთილია კიდევ უფრო მეტი რელიეფურობით ვიდრე აღწერით ტექსტში. პრინციპულად იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე მსჯელობითი ტექსტის შემთხვევაშიც, რომელიც ვ. სერგიას მიხედვით, როგორც წესი, შედგება სამი ნაწილისაგან: „თეზისი, მტკიცება და დასკვნა“. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ ძირითად როლს მსჯელობის განვითარებისას უნდა ასრულებდეს სწორედ ზმნა.

სამეტყველო-კომპოზიციული ფორმების სერგიასეული დახასიათება, როგორც ვნახეთ, ზოგად ტექსტობრივ დონეზე იყო განხორციელებული და, შესაბამისად, ჩვენც უნდა დავეფუძნოთ ამ დახასიათებას ზოგად თეორიული თვალსაზრისით. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ქვემოთ, როცა რეფერენციის ტექსტობრივი ბადის გამოსავლენად მხატვრულ, ნარატიულ ტექსტს გავაანალიზებთ, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა დახასიათების ის ვარიანტებიც, რომლებიც სწორედ ამგვარი ტიპის ტექსტებს ეფუძნებიან. ასე მაგალითად, ვ. კუხარენკო ამ ფორმათა შემდგენაირ დახასიათებას იძლევა: „თხრობა თავის თავზე იღებს ძირითად სიუჟეტურ დატვირთვას: გვაცნობს ქმედებებსა და მდგომარეობებს, რომელთა განვითარება ხდება ტექსტში, რისი წყალობითაც იგი იძენს აქციონალურ და დინამიურ ხასიათს. აღწერა კი ახდენს ქმედებათა და მდგომარეობათა ობიექტებისა და სუბიექტების ნიშან-თვისებათა ფიქსირებას და ამიტომ უპირატესად სტატიკურია ხოლმე. მსჯელობა კი შეიცავს ინფორმაციას იმ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე, რომლებიც არსებობენ ობიექტებსა და

ქმედებებს შორის როგორც წინა კონტექსტის ისე პოსტ-კონტექსტის ფარგლებში. ისიც ატარებს სტატიკურ ხასიათს” (Кухаренко 1988:134-135)


რატომ იყო აუცილებელი ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა ზემოთ მოცემული განხილვა, მაშინ როცა ჩვენს ძირითად მიზანს ზოგადად წარმოადგენს რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის კვლევა, კერძოდ კი მოცემულ თავში ამ ენობრივი მოვლენის როგორც **ტექსტობრივი** ფენომენის გაშუქება? ვფიქრობთ, რომ მოცემულ კითხვაზე საბოლოო და ამომწურავ პასუხს გავცემთ მაშინ, როცა კიდევ ერთხელ დაგუბრუნდებით საკითხს რეფერენციის მეტაკატეგორიულ სტრუქტურასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე კი, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომელსაც ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს როგორც რეფერენციის ლინგვისტური თეორიისთვის, ისე ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის შემდგომი გააზრებისათვის, თუ, რა თქმა უნდა, ტექსტის განზომილებრივ სტრუქტურას მივიღებთ იმ სახით, რომლითაც ის ზემოთ იქნა ფორმულირებული.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, უკვე შეგვიძლია მთელი შესაძლო რელიეფურობით გამოვუყოთ რეფერენციას ადგილი ტექსტის ვერტიკალურ სტრუქტურაში, რაც, ვფიქრობთ შეიძლება მივიჩნიოთ იმის მინიშნებად, რომ საფუძველი ედება **რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის** თეორიის ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ამ თეორიის **ფაქტობრივი** ჩამოყალიბების პროცესი დავიწყეთ მაშინ, როცა ეს ფენომენი (რეფერენცია) დავუკავშირეთ ტექსტის თემატურ სტრუქტურას. მაგრამ ამავე დროს, ლოგიკური თვალსაზრისით და რეფერენციის ტექსტობრივი ფუნქციის სრული რეპრეზენტაციის თვალსაზრისითაც არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს შემდეგი მომენტის ჩვენებაც: რომელია ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის ის ასპექტი, რომელიც **უშუალოდ არ უკავშირდება** რეფერენციას და, შესაბამისად, მიჩნეულ უნდა იქნას რეფერენციის ფუნქციონირებისთვის აუცილებელ ოპოზიციურ ფონად. სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმათა განხილვამ გვიჩვენა, რომ ამგვარ ფონს წარმოადგენს **ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურა**, ანუ ის სტრუქტურა, რომლის არსებობის დერძს და საფუძველს წარმოადგენს უკვე არა სახელი, არამედ ზმნა. შესაბამისად, მივდივართ დასკვნამდე: შეუძლებელია აგებული იქნას რეფერენციის ტექსტობრივი თეორია ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის **დიქტომიზაციის** გარეშე. როგორც ყოველი დიქტომია, ეს

დიქტომიაც აუცილებლად უნდა გულისხმობდეს (და გულისხმობს კიდევ) მოცემული ფენომენის ანუ ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის ორ ისეთ ასპექტად დაყოფას, რომლებიც ერთმანეთს გულისხმობენ და რომლებიც ვერ შეძლებენ ფუნქციონირებას ერთმანეთის გარეშე.

მხედველობაში ვიღებთ რა ჩვენს მიერ ზემოთ გაკეთებული თეორიული დასკვნის მნიშვნელობას, გვსურს მოვახდინოთ მისი შემდეგი სახით გრაფიკული მოდელირება:

ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურა სქემა 1



როცა ვლაპარაკობთ ტექსტის რეფერენტულ სტრუქტურაზე და ამ განზომილების არარეფერენტულ ფონზე, გარდუვალად ვეფუძნებით შემდეგი ორი სახის აბსტრაქციას, ანუ, რაც პრინციპულად იგივეა, ვახდენთ ორი სახის განზოგადებას:

1. პირველ შემთხვევაში ვახდენთ ტექსტის ნებისმიერი ტიპოლოგიის კონკრეტიზაციისაგან აბსტრაქტიზებას და ვგულისხმობთ, რომ ნებისმიერი ტექსტის ფარგლებში რეფერენცია ეფუძნება ტექსტის თემატურ სტრუქტურას. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ეფუძნება **სახელს** როგორც მის სტრუქტურულ ღერძს. (და ამავე დროს რეფერენციის საყრდენ ენობრივ ერთეულს).
2. ზუსტად ასევე და იქედან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ტექსტის კომპოზიციურ უჯრედს წარმოადგენს ესა თუ ის სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა, ხოლო ამგვარი უჯრედის (ანუ სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის) სტრუქტურული ღერძი არის ზმნა, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ნებისმიერი ტექსტის ფარგლებში, ტექსტობრივი რეფერენცია ერთის მხრივ უპირისპირდება, ტექსტის ვერტიკალურ სტრუქტურას, მეორეს მხრივ კი შესაძლებელს ხდის მას.

2.5 ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურა და რეფერენცია როგორც მეტაკატეგორია

აუცილებელია ითქვას, რომ ზემოთ განხილული ორი მომენტი – ერთის მხრივ ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურა და მეორეს მხრივ, რეფერენციის ადგილი ამ სტრუქტურის ფარგლებში ქმნის იმის საფუძველს, რომ ახლებურად დავინახოთ ის ენობრივი ფენომენი, რომელსაც ჩვენ უკვე ვუწოდეთ რეფერენციასთან დაკავშირებული კატეგორიალური ტრიადა – ის ტრიადა რომლის ფარგლებში რეფერენციას დეტერმინაციისა და დეიქსისის მიმართ მეტაკატეგორიალური სტატუსი „მიენიჭა“.

ზემოთ ხსენებული სტატუსი რეფერენციას „მივანიჭეთ“ წმინდა დედუქციური გზით, ანუ იმ შეხედულებათა მთელი კომპლექსიდან გამომდინარე, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკას შემუშავებული აქვს რეფერენციის ირგვლივ. შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული კომპლექსის მიხედვით არსებობს არსებითი შინაგანი კავშირი, ერთის მხრივ, რეფერენციას, მეორეს მხრივ კი ორ დანარჩენ კატეგორიას შორის. სწორედ ამას ვგულისხმობდით, როცა წინა პარაგრაფში წამოვაყენეთ ჰიპოთეზა ტექსტის ვერტიკალურ სტრუქტურასთან

დაკავშირებით. როგორ უკავშირდება ხსენებული ჰიპოთეზა (ან იქნებ უკვე თეორია) რეფერენციის მეტაკატეგორიალურ სტატუსს? შეაქვს თუ არა მას ახალი შტრიხი ხსენებული კატეგორიალური ტრიადის სტრუქტურის გაგებაში?

მიგვაჩნია, რომ უკვე მოცემულ ეტაპზე, ანუ ამა თუ იმ კონკრეტული ტექსტის გაანალიზებამდე შეგვიძლია განვსაზღვროთ ხსენებული ახალი შტრიხის არსი, რომელიც, ჩვენის აზრით, მდგომარეობს შემდეგში: როგორც წესი, (და როგორც გვახსოვს) რეფერენციის ხსენებისას ლაპარაკია რეფერენციისა და დეიქსისის ურთიერთკავშირზე, მაგრამ არ არის ხოლმე დაკონკრეტებული ეს კავშირი იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს დეიქსისის სამი ძირითადი ტიპი – როლური დეიქსისი, დროის დეიქსისი და ადგილის დეიქსისი, ყოველივე იმის შემდეგ, რაც წინა პარაგრაფებში ითქვა, ანუ იმის შემდეგ, როცა მკაფიოდ იქნა წარმოდგენილი ტექსტის დიქტომიური ვერტიკალური სტრუქტურა, ხოლო ამ დიქტომიის ერთი მხარე არსებითად დაუკავშირდა **ზმნას**, შეგვიძლია უყოყმანოთ წამოვაყენოთ შემდეგი თეზისი: დეიქსისი როგორც ტექსტობრივი ფენომენი სიმეტრიულად უკავშირდება ტექსტის როგორც თემატურ (ანუ რეფერენტულ), ისე კომპოზიციურ ასპექტებს, რაც შემდეგს ნიშნავს: დროისა და ადგილის დეიქსისი როგორც სტრუქტურული, ისე ფუნქციური თვალსაზრისით უნდა მივაკუთვნოთ ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას, რადგან, როგორც ვიცით, ამ სტრუქტურის დერძად მოიაზრება ზმნა, დრო და ადგილი კი, პირველ რიგში უნდა უკავშირდებოდეს ზმნის მიერ გამოხატულ ხდომილებას. ამიტომ უნდა დავასკვნათ შემდეგი: როცა ლაპარაკია რეფერენციისა და დეიქსისის ურთიერთკავშირზე ეს კავშირი უნდა დაკონკრეტებულ იქნას შემდეგნაირად: რეფერენცია უშუალოდ უკავშირდება **როლურ დეიქსისს** და არა ადგილისა და დროის დეიქსისს, რომლებიც ასევე უშუალოდ უკავშირდებიან ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვნად გვესახება ის ფაქტი, რომ ზემოთ ფორმულირებული თეზისით ახლებური შუქი ეფინება არა მხოლოდ რეფერენციისა და დეიქსისის შორის არსებულ კავშირს, არამედ იმ კავშირსაც რომელიც არსებობს დეიქსისისა და დეტერმინაციის კატეგორიებს შორის და, რაც მთავარია, გვეძლევა იმის საშუალება, რომ ერთის მხრივ შევინარჩუნოთ, მეორეს მხრივ კი ახლებურად გავაშუქოთ რეფერენციის მეტაკატეგორიალური სტატუსი.

როგორ უნდა იქნას დაკონკრეტებული ზემოთ ნათქვამი: თუ რეფერენცია არსებითად უკავშირდება მხოლოდ **როლურ** დეიქსისს, მაშინ ჩნდება კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას დანახული – იგულისხმება, რა თქმა უნდა, ტექსტის ფარგლებში – დეტერმინაციასა და როლურ დეიქსისს შორის ლოგიკურ-ფუნქციური კავშირი და ამ შემთხვევაში როგორ უნდა იქნას შინაარსობრივად დაკონკრეტებული რეფერენციის მეტა-კატეგორიულური სტრუქტურა ნომინალური კატეგორიულური ტრიადის ფარგლებში?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას კვლავ უნდა დავუბრუნდეთ რეფერენციის თანამედროვე კონცეპტის იმ განზომილებებს, რომლის მიხედვითაც რეფერენტულობა როგორც ტექსტობრივი ფენომენი არსებითად უკავშირდება **სახელს** (ნომინალურ ჯგუფს). აქედან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს, ჩვენის აზრით, შემდეგი სამი დასკვნა, რომლებსაც ქვემოთ, ანუ ჩვენი კვლევის ანალიტიკურ მონაკვეთში, ფუნდამენტური მნიშვნელობა ექნება:

1. როცა ვლაპარაკობთ **როლურ დეიქსისზე** და ამავე დროს სწორედ მას და არა დეიქსისის სხვა სახეობებს ვუკავშირებთ რეფერენციას, ამით აუცილებელი ხდება თვით როლური დეიქსისის **სინტაქსური ინტერპრეტაცია**: როგორც ცნობილია, სახელის როლი წინადადებაში (თუ ჩვენთვის ამოსავალი იქნება მეტყველების განსხვავებულ ნაწილთა პირველადი და არა ნებისმიერი სინტაქსური ფუნქცია) გაგებულია როგორც, პირველ რიგში ქვემდებარის, უფრო ფართო თვალსაზრისით კი, როგორც აქტანტის გამოხატვის როლი. ამიტომაც უნდა ვიგულისხმოთ: იმდენად, რამდენადაც ტექსტის ანალიზისას საქმე გვექნება წინადადებასთან როგორც მეტად თუ ნაკლებად ავტონომიურ ერთეულთან, აუცილებელი იქნება რეფერენციის სინტაქსური ფუნქციის დაკავშირება წინადადების ამ წევრებთან;
2. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეფერენციის არსებითი დაკავშირება სახელთან ამავე დროს ნიშნავს მის ასევე არსებით დაკავშირებას ტექსტთანაც. სწორედ ამიტომაც, რომ ჩვენი ნაშრომის ამ მონაკვეთზე ჩვენთვის მთავარია რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის კვლევა. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს რეფერენციის ამგვარი კვლევა, თუ გავიხსენებთ, რომ ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის ფარგლებში რეფერენცია უკავშირდება მის თემატურ განზომილებას? ჩვენის აზრით, ეს უნდა ნიშნავდეს, პირველ რიგში, იმ ლოგიკის გათვალისწინებას, რომლის მიხედვით თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში უმაღლესი

ენობრივი დონის ერთეულად მიჩნეულია არა წინადადება, არამედ ტექსტი. მაგრამ, თუ ეს ასეა და თუ რეფერენციას, როგორც ეს ზემოთ ითქვა, ვუკავშირებთ მხოლოდ და მხოლოდ როლურ დეიქსისს ზემოთ განმარტებული გაგებით, მაშინ რეფერენციაც ნარატიულ ტექსტში უნდა დაგუკავშიროთ ისეთ ნარატოლოგიურ ცნებებს, როგორიცაა აგენსისა და პაციენსის ცნებები. მიგვაჩნია, ერთის მხრივ, რომ ასე უნდა მოხდეს რეფერენციის იმ სინტაქსური ფუნქციის ტექსტობრივი ტრანსფორმაცია, რომელიც აღნიშნული იყო ზემოთ და რომელიც უკავშირდებოდა აქტანტის კონცეპტს, მეორეს მხრივ კი სწორედ ამგვარი ტრანსფორმაცია მოგვცემს იმ შინაგანი მიმართების გაგებასაც, რომლითაც რეფერენცია უკავშირდება ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურას.

როგორც წინა აბზაცმა გვიჩვენა, ჩვენ მოვახდინეთ რეფერენციის სინტაქსური ფუნქციის ტრანსპოზიცია ტექსტის სფეროში და ამგვარად გადადგმული ნაბიჯით თეორიული საფუძველი შევუქმენით რეფერენციის როგორც ტექსტობრივი მოვლენის ინტერპრეტაციას. შემდგომში, კვლევის ანალიტიკურ მონაკვეთზე, მოგვიხდება დედუქციური გზით მიღებული ამ თეორიული შედეგის ინდუქციური აქტუალიზაცია, ამიტომ აუცილებლად მიგვაჩნია მივმართოთ თანამედროვე ნარატოლოგიას იმ მიზნით, რომ ნათლად და მკაფიოდ იქნას განმარტებული აგენსისა და პაციენსის ზემოთ გამოყენებული ცნებები. ამავე დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ცნებები არსებითად უკავშირდება ნარატივის როგორც კონცეპტის თანამედროვე გაგებას. მოვიყვანოთ შესაბამისი ციტატა ნარატოლოგიის ისეთი წარმომადგენლის ნაშრომიდან როგორიცაა ვ. შმიდი, რითაც, ჩვენის აზრით, მყარ საფუძველს შევუქმენით რეფერენციასთან დაკავშირებულ მთელს ჩვენს შემდგომ მსჯელობას: „ტერმინი მდგომარეობა (состояние) უნდა გავიგოთ როგორც ნიშან-თვისებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც დროის ამა თუ იმ მომენტში დამახასიათებელია ამა თუ იმ პერსონაჟისათვის ან გარე სიტუაციისათვის, თუ გამოხატული ნიშან-თვისებები განეკუთვნება ამა თუ იმ პერსონაჟის სულიერ სამყაროს საქმე გეგვქნება შინაგან მდგომარეობასთან თუ მდგომარეობაში ცვლილების მიზეზს წარმოადგენს პერსონაჟი, მაშინ ვლასპარაკობთ საქციელზე (поступок) და მოქმედი პერსონაჟი სახელდება ისეთი უკვე ფესვებგადგმული ცნებით, როგორიცაა აგენსი; მაგრამ, თუ პერსონაჟი ხდება ცვლილების პასიური ობიექტი, მაშინ ამგვარ ცვლილებას ეწოდება

მომხდარი ამბავი (происшествие), პერსონაჟი კი იწოდება პაციენსად” (Шмид 2008:15).

ფაქტობრივად იგივეა ნათქვამი ა. კრუზის მიერ, რომელიც აგენსისა და პაციენსის შემდეგ დეფინიციებს იძლევა: „აგენსი – პრედიკატით გამოხატული მოქმედების ჩამდენი, აქტიური მონაწილე ან გამომწვევია, ხოლო პაციენსი – პრედიკატით გამოხატული მოქმედების განმცდელი ან პასიური მონაწილე” (Cruse 2000);

3. ზემოთ უკვე ითქვა, რომ დეიქსისის სამი სახეობიდან რეფერენციის მოქმედების სფეროში უნდა მოაზრებულ იქნას მხოლოდ ერთი, სახელდობრ, როლური დეიქსისი და, შესაბამისად, ნაჩვენები იქნა იმის დანახვის შესაძლებლობაც, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული რეფერენციის ფუნქცია ტექსტის ერთიანი ვერტიკალური სტრუქტურის ფარგლებში. მაგრამ როგორ უნდა იქნას გაგებული რეფერენციის როგორც მეტაკატეგორიის მიმართება ისეთ ნომინალურ კატეგორიასთან როგორცაა **დეტერმინაციის** (არტიკლის) კატეგორია? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე შეიძლება გავცეთ ერთნიშნა, მაგრამ ამავე დროს ანალიტიკური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი პასუხი. პასუხის ერთნიშნა ხასიათი გამომდინარეობს შემდეგი მოსაზრებიდან: დეიქსისისგან განსხვავებით, რომელიც, როგორც ვნახეთ, ერთნაირად უკავშირდება როგორც სახელს, ისე ზმნას, დეტერმინაცია წარმოადგენს მხოლოდ სახელთან დაკავშირებულ, ანუ ცალსახად ნომინალურ კატეგორიას და, შესაბამისად, მისი სინტაქსური ფუნქციაც უნდა უკავშირდებოდეს, პირველ რიგში, სახელის აქტანტურ ფუნქციებს. ამ დასკვნის ის მნიშვნელობა კი, რომელიც მას უნდა მიეწეროს ანალიტიკური თვალსაზრისით მდგომარეობს შემდეგში: ნარატიული ტექსტის ანალიზისას უნდა ვიმსჯელოთ – პირველ რიგში – არა „უბრალოდ” ამა თუ იმ აქტანტის, არამედ აგენსისა და პაციენსის დეტერმინაციაზე ისე, რომ, ერთის მხრივ შენარჩუნებული იქნეს არტიკლისთვის დამახასიათებელი ყველა შინაარსობრივი ნიუანსი, მაგრამ ამავე დროს მოხდეს სხენებული კატეგორიის ფუნქციური ტრანსფონირება ტექსტობრივ სფეროში.

როგორც ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ გვიჩვენა ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის ანალიზის შედეგად გამორკვეულ იქნა, რომ რეფერენციასთან, როგორც ტექსტობრივ კატეგორიასთან მიმართებაში დეიქსისი განიცდის შინაგან ანუ სტრუქტურულ დიქტომიზაციას: როლური დეიქსისი მთლიანად აღმოჩნდა ტექსტის რეფერენტული განზომილების სფეროში, რაც

პრინციპულად ადასტურებს ჩვენს მიერ თავიდანვე გამოთქმულ თეორიულ ჰიპოთეზას ამ ორი კატეგორიის – რეფერენციისა და დეიქსისის – ურთიერთმიმართების თაობაზე: იმდენად, რამდენადაც როლური დეიქსისი უკავშირდება ტექსტის თემატურ სტრუქტურას და, შესაბამისად, თუ საქმე გვაქვს ნარატიულ ტექსტთან, ტექსტობრივ აგენსსა და ტექსტობრივ პაციენსთან, დეიქსისს უკავია სუბკატეგორიის სტატუსი რეფერენციასთან როგორც მეტაკატეგორიასთან მიმართებაში. მაგრამ იგივე მსჯელობამ დაგვანახა დეიქსისის ხსენებული დიქტომიზაციის თეორიული მნიშვნელობა როგორც ზოგადად ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის, ისე ამ სტრუქტურის ფარგლებში ნომინალურ (ანუ სახელთან დაკავშირებულ) და სამეტყველო-კომპოზიციურ (ანუ ვერბალურ) განზომილებებს შორის. ეს კი საბოლოო ანგარიშში ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ნარატიული ტექსტის რეფერენტული ბადის ანალიზისას შევძლებთ ხსენებული ბადის იმ ასპექტის ზუსტად გამოვლენას, რომელიც ფუნქციურად და სტრუქტურულად უკავშირდება რეფერენციის როგორც დეტერმინაციულ, ისე დეიქტიკურ განზომილებებს.

2.6. ტექსტის პორიზონტალური სტრუქტურა და რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი

წინა პარაგრაფში რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი განხილული იქნა ტექსტის ვერტიკალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით და, როგორც ვნახეთ, ამ განხილვამ ახალი შუქი მოჰფინა იმ კატეგორიალური ტრიადის შიდა სტრუქტურას, რომლის ფარგლებში რეფერენცია ასრულებს წამყვანი კატეგორიის ანუ მეტაკატეგორიის როლს. მაგრამ ასევე ცხადი უნდა იყოს შემდეგიც: თუ ვერტიკალური სტრუქტურის გარდა ტექსტს (ხაზგასმით უნდა ითქვას: ნებისმიერ ტექსტს) აქვს პორიზონტალური სტრუქტურაც, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი ვერ იქნება გამოკვლეული შემდეგი სამი მომენტის გათვალისწინების გარეშე:

- ა) პირველ რიგში უნდა დაისვას კითხვა, თუ როგორ უნდა იქნას გააზრებული რეფერენცია ტექსტის პორიზონტალურ განზომილებაში და რითი უნდა განსხვავდებოდეს გააზრების ეს ასპექტი წინა ასპექტისაგან;
- ბ) ხსენებულ წინა ასპექტზე მსჯელობისას უკვე მოგვიხდა იმის ჩვენება, რომ რეფერენციის როგორც ლინგვისტური კონცეპტის სრული ანალიზი

აუცილებლად მოითხოვს ტექსტის ზოგადი თეორიიდან მის ნარატოლოგიურ თეორიაზე გადასვლას. როგორც ვნახეთ, ნარატიული ტექსტის ფარგლებში რეფერენცია უკავშირდება არა იმდენად აქტანტის, არამედ აგენსისა და პაციენსის ცნებებს. შესაბამისად, უნდა დაისვას კითხვა: რას გვაძლევს ანალიტიკური რეგისტრის ანალოგიური ცვლილება იმ შემთხვევაში, როცა რეფერენციას განვიხილავთ ტექსტის ჰორიზონტალური სტრუქტურის გათვალისწინებით?

გ) და ბოლოს, ბუნებრივია, დაისვას კითხვა: როგორ უნდა გამოიყურებოდეს რეფერენციის განხილვის ზემოთ მოცემული ორი ასპექტის მონაცემთა სინთეზი, ანუ როგორ უნდა იქნას დანახული რეფერენციის როლი ტექსტის **ინტეგრალურად** წარმოდგენილი სტრუქტურის ფარგლებში? წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ კითხვის ამგვარი დასმა და, ბუნებრივია, მასზე პასუხის გაცემა აუცილებლად გადაიყვანს რეფერენციასთან დაკავშირებულ ჩვენს მსჯელობას ტექსტის კატეგორიალური სტრუქტურის განხილვის სფეროში.

შევეცადოთ მოცემული პარაგრაფის სათაურით ნაგულისხმევი ამოცანა შევასრულოთ ზემოთ დასმულ სამ კითხვაზე პასუხთა თანმიმდევრულად გაცემის გზით:

როგორც უკვე ვიცით, ტექსტის ჰორიზონტალური სტრუქტურა უკავშირდება ვერბალური კომუნიკაციის აქტს და, შესაბამისად, მასზე შეიძლება ვიმსჯელოთ ორი თვალსაზრისით: **გენეტიკურად** ტექსტის ჰორიზონტალური სტრუქტურა პირდაპირ კავშირშია დისკურსის როგორც კომუნიკაციური აქტის პრაგმატიკულ სტრუქტურასთან, **სტრუქტურული** თვალსაზრისით კი ტექსტის ჰორიზონტალური განზომილება აუცილებლად უნდა გამოვლინდეს ამ ფენომენის კატეგორიალურ სტრუქტურაში, სახელდობრ ტექსტის პრაგმატიკულ კატეგორიათა იმ სისტემის სტრუქტურაში, რომლის ფარგლებში რეფერენციამ აუცილებლად უნდა შეასრულოს ფუნქციურად მნიშვნელოვანი როლი.

რაც შეეხება დისკურსის როგორც კომუნიკაციური ვერბალური აქტის ჰორიზონტალურ სტრუქტურას: როგორც ცნობილია, დისკურსის თანამედროვე თეორიის ფარგლებში დომინირებს ხსენებული ფენომენის **ინტერაქციული მოდელი**. როგორც მ. მაკაროვი ამბობს, „კომუნიკაციის ინტერაქციული მოდელი, თავისი დასახელების შესაბამისად, წამყვან პრინციპად მიიჩნევს კომუნიკაციის სუბიექტთა იმ ურთიერთზემოქმედებას, რომელიც ვლინდება გარკვეულ

სოციალურ-კულტურულ სიტუაციაში” (Макаров 2003:38). იგივე ავტორის აზრით, კომუნიკაციის პროცესში „მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია მეორე პირის (ანუ ადრესანტის ქ. დ.) აქტიურ როლს: კომუნიკანტთა ერთობლივი ქმედებისა და განსაკუთრებით იმ მნიშვნელობათა ერთობლივი ინტერპრეტაციის გარეშე, რომელთა კომუნიკაციაც ხდება, საერთოდ არ ექნებოდა აზრი არავითარ ურთიერთობას (Макаров 2003:39). ჩვენი შემდგომი მსჯელობისათვის კი მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ავტორი კომუნიკანტთა ამგვარ, ანუ გარდუვალ, ურთიერთხემოქმედებას გაიაზრებს **ინტერსუბიექტურობის** პრინციპის საფუძველზე. მისი აზრით, სწორედ „ინტერსუბიექტურობა, როგორც ფსიქოლოგიურად ან ფენომენალურად განცდილი ერთობლიობა” (იქვე) წარმოადგენს კომუნიკაციის საფუძველს.

იქიდან გამომდინარე, რომ რეფერენციის კონცეპტის შემდგომი განხილვის ლინგვისტიკურ საფუძველს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ტექსტის პრაგმატიკულ კატეგორიათა სტრუქტურა, (რადგან, როგორც ცნობილია, კომუნიკანტთა ურთიერთმიმართებას განიხილავს სწორედ ლინგვისტური პრაგმატიკა) საჭიროდ მიგვაჩნია ინტერსუბიექტურობის დისკურსული ასპექტის განხილვიდან უშუალოდ გადავიდეთ ამ პრინციპის ტექსტობრივი ასპექტის განხილვაზე. ამ გადასვლის აუცილებლობა, ჩვენი აზრით, ნაკარნახევია არა მხოლოდ იმ ფაქტით, რომ კვლევის ამ ეტაპზე ჩვენ განვიხილავთ რეფერენციას, როგორც **ტექსტობრივ** ფენომენს და, შესაბამისად, ინტერსუბიექტურობამაც უნდა შეიცვალოს განხილვის რეგისტრი, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც უკვე ვიცით, რეფერენციის კონცეპტი როგორც გენეტიკურად, ისე ფუნქციურად არსებითად უკავშირდება ენობრივი ნიშნის კონცეპტს და წარმოადგენს ამ კონცეპტის ზოგად სემანტიკური ასპექტის გააზრების იმ ეტაპს, რომელიც უშუალოდ მოიცავს სიგნიფიკაციისა და დენოტაციის ეტაპებს. საკმარისია გავიხსენოთ რეფერენციის ლინგვისტური თეორიის ქმნალობის ის ვექტორი, რომელიც დადგენილ იქნა ჩვენი ნაშრომის პირველ თავში, რომელიც გულისხმობდა რეფერენციასთან დაკავშირებული ლინგვისტური აზრის ერთდროულად მოძრაობას სამი მიმართულებით – სახელისაკენ (ნომინალური ჯგუფისკენ), ტექსტისკენ და სახელის სემანტიკის იმ ასპექტისკენ, რომელიც პრინციპულად განსხვავდება როგორც სიგნიფიკატიურისაგან, ისე დენოტატიურისაგან, რაც საბოლოო ანგარიშში ნიშნავდა იმას, რომ რეფერენტი

სიგნიფიკატისა და დენოტატისაგან განსხვავებით წარმოადგენს სწორედ ტექსტობრივ ფენომენს.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, აუცილებელი უნდა იყოს მოვახდინოთ დისკურსის ზემოთ განმარტებული ინტერაქციულობიდან ტექსტის ინტერსუბიექტურობაზე კონცეპტუალური გადასვლა და, რაც ასევე აუცილებლად მიგვაჩნია, აღვიქვათ ინტერსუბიექტურობის დღეისთვის დომინანტური პრინციპი იმ კონცეპტუალური ტრანსფორმაციის შედეგად, რომელიც განიცადა ლინგვისტურმა პრაგმატიკამ სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმიდან ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმაზე გადასვლის შედეგად. რატომ მიგვაჩნია აუცილებლად იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში ინტერსუბიექტურობის პრინციპის დამკვიდრება წარმოადგენდა პრაგმატიკაში განხორციელებული ცვლილების შედეგს. და, რაც, ბუნებრივია, ჩვენთვის მთავარია რატომ მიგვაჩნია ხსენებული მომენტის ხაზგასმა მნიშვნელოვნად რეფერენციის თეორიის აგების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, დასმულ კითხვებზე პასუხი უნდა გაიცეს იმ ინტერდისციპლინარული სინთეზის პოზიციიდან, რომელიც დამახასიათებელია არა მხოლოდ თანამედროვე ლინგვისტიკისთვის, არამედ ჰუმანიტარული აზროვნების იმ ტენდენციის გათვალისწინებით, რომელსაც მივყავართ თანამედროვე ნარატოლოგიის ჩამოყალიბებამდე. ნათქვამის ადეკვატურობა ცხადი გახდება, თუ ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს – რეფერენციას – თანმიმდევრულად დავუკავშირებთ ჯერ ინტერსუბიექტურობის უკვე ხაზგასმულ პრინციპს, შემდეგ კი შევეცდებით იმის დანახვას, თუ რა ადგილს იკავებს რეფერენციის ტექსტობრივი ფენომენი ტექსტის პრაგმატიკულ კატეგორიათა სისტემაში; და, ბოლოს, ბუნებრივია, ყოველივე ნათქვამს დავინახავთ უკვე ნარატოლოგიურ პერსპექტივაში, რითაც აუცილებელ „ხიდს გავდებთ“ ნარატოლოგიაში ჩვენ მიერ უკვე განხორციელებულ ექსკურსთან.

რეფერენციის ინტერსუბიექტური, ანუ ლინგვისტური პრაგმატიკის თანამედროვე ხედვაზე დაფუძნებული ინტერპრეტაცია მიჩნეულ უნდა იქნას, ჩვენის აზრით, ახალ და გადამწყვეტ ეტაპად ამ ენობრივი ფენომენის ლინგვისტური გააზრების ზემოთ ფორმულირებული ვექტორის გათვალისწინებით: თუ რეფერენცია ერთდროულად და ამავე დროს პრინციპულად უკავშირდება სახელს, ტექსტსა და სახელის სემანტიკის იმ ასპექტს, რომელიც არსებითად განსხვავდება როგორც სიგნიფიკაციისაგან, ისე

დენოტაციისაგან, მაშინ მისი კონცეპტუალიზაციის გადამწყვეტ მომენტად მიჩნეულ იქნას სწორედ მისი **ინტერსუბიექტურობა**. ტექსტის ფარგლებში აქტანტური ფუნქციის შემსრულებელი სახელი რეფერენტულობას იძენს არა მხოლოდ ადრესანტის, არამედ ადრესატის კომუნიკაციური პოზიციის გავლენის შედეგად და, შესაბამისად, რეფერენცია მიჩნული უნდა იქნეს **ინტერსუბიექტურ ფენომენად**.

როგორც ზემოთ ითქვა რეფერენციის ამგვარად ხაზგასმული ინტერსუბიექტურობა თავის საბოლოო ტექსტობრივ სტატუსს უნდა იქნდეს ტექსტის პრაგმატიკულ კატეგორიათა სისტემაში. მაგრამ როგორია ეს სისტემა და როგორი უნდა იყოს მის ფარგლებში რეფერენციის სტატუსი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივართავთ პრაგმატიკულ კატეგორიათა იმ სისტემას, რომელიც გ. ლებანიძის ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ ნაშრომში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „რომ გავიგოთ პრაგმატიკა და მისი ცალკეული კატეგორიები, საჭიროა ორი პირობა: 1. გავითვალისწინოთ, თუ ნიშნის რომელ განზომილებას ეკუთვნის ეს კატეგორია, 2. თუ როგორ უნდა გავიგოთ ენობრივი სუბიექტი და საერთოდ სუბიექტურობის ცნება თვით კომუნიკაციურობის ფარგლებში. მაგრამ როცა ლაპარაკია სუბიექტზე კომუნიკაციის აქტის თანამედროვე მოდელის თვალსაზრისით, მაშინ მხედველობაშია მისაღები სუბიექტურობის სამი აუცილებელი მომენტი: 1) კომუნიკაციის ყოველი აქტი გულისხმობს მეტყველ სუბიექტს ანუ **ადრესანტს**. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაგმატიკის ფარგლებში უნდა გვქონდეს იმ კატეგორიათა სისტემა, რომლებიც ასახავენ სწორედ მეტყველი სუბიექტის, ადრესანტის მთელ პოზიციას კომუნიკაციურ აქტში. გარდა ამისა, 2) უნდა გვქონდეს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება **ადრესატთან**, მსმენელ სუბიექტთან. 3) მაგრამ კომუნიკაციის ყოველ აქტში გვაქვს არა მარტო ორი სუბიექტი, არამედ გვაქვს ურთიერთმიმართებაც მათ შორის, ანუ **ინტერსუბიექტურობა**. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა გვქონდეს, გარდა ორი ხსენებული ქვესისტემისა, პრაგმატიკულ კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც ასახავს ამ ურთიერთმიმართებას” (ლებანიძე 2004:254)

ზემოთ ფორმულირებული პრინციპის თანახმად, ავტორი, პირველ რიგში, გამოყოფს პრაგმატიკულ კატეგორიათა იმ სისტემას „რომელიც უკავშირდება და ასახავს მეტყველი სუბიექტის (ანუ ადრესატის ქ. დ.) როლს და ადგილს საკომუნიკაციო აქტში” (ლებანიძე 2004:255). ეს კატეგორიებია: „ლოკაციის

კატეგორია; მოდალობის კატეგორია; შეფასების კატეგორია; ემოციურობის კატეგორია; დისტანტურობის კატეგორია” (იქვე).

მაგრამ ამავე დროს იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ პრაგმატიკის კატეგორიათა არსებული სისტემა ჯერ კიდევ არსებითად არ დაკავშირებია **ადრესატს** ავტორს აუცილებლად მიაჩნია მოცემული თეორიული ამოცანა გადაჭრას შემდეგ არგუმენტაციაზე დაყრდნობით: „პრაგმატიკის სუბიექტურობა გულისხმობს არა მარტო ადრესანტის, არამედ ადრესატის სუბიექტურობასაც და ამდენად გვაქვს პრაგმატიკულ კატეგორიათა მეორე ქვესისტემაც – ის კატეგორიები, რომლებიც ასახავენ ადრესატს, მის პოზიციასა და გავლენას გამონათქვამზე, უნდა ითქვას ისიც, რომ პრაგმატიკულ კატეგორიათა პირველი ქვესისტემა ბევრად უკეთაა შესწავლილი, ვიდრე მეორე, ვინაიდან პრაგმატიკა ტრადიციულად გულისხმობდა მხოლოდ სუბიექტს, ლაპარაკობდა სამეტყველო აქტის ეგოცენტრიზმზე” (იქვე)

სწორედ ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციიდან გამომდინარე ავტორი ასახელებს იმ სამ პრაგმატიკულ კატეგორიას, რომლებიც, მისი აზრით, პირველ რიგში ადრესატს და ადრესანტს უკავშირდებიან – ეს კატეგორიებია: „ინფორმაციულობა, ექსპრესიულობა, გამჭვირვალობა” (იქვე). ამ ქვესისტემის გამოყოფის ფაქტი კი დასაბუთებულია კომუნიკაციური თვალსაზრისით: „კატეგორიათა ამ ქვესისტემას საფუძვლად უდევს ადრესანტის დაინტერესება იმაში, რომ ადრესატმა მას ადეკვატურად გაუგოს. ეს კი ნიშნავს, რომ გამონათქვამი უნდა შეიცავდეს ლოკაციას, მოდალობას, შეფასებას და ა.შ. გამონათქვამი გარკვეული თვალსაზრისით უნდა იყოს ინფორმაციული, ექსპრესიული, გამჭვირვალე” (იქვე).

როგორც ზემოთ ითქვა, რეფერენციის პრობლემის თეორიული გადაჭრის ამოცანა შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი (ეს პრობლემა) არსებითად და ერთდროულად დაუკავშირდება კომუნიკაციური ლინგვისტიკის ისეთ ორ სტრუქტურულ ბირთვს, როგორცაა ერთის მხრივ პრაგმატიკა, მეორეს მხრივ კი ტექსტის ლინგვისტიკა. ორივე ამ მომენტზე ჩვენ უკვე არაერთხელ გვქონდა მსჯელობა. ამ ეტაპზე კი შეგვიძლია მოვასდინოთ იგივე არგუმენტაციის ადეკვატურობის დადასტურება უკვე არა მხოლოდ დედუქციურად, არამედ ჩვენივე სტატიაზე დაყრდნობით, რომელიც რამდენიმე წლის წინ იქნა გამოქვეყნებული და, რომელიც ასახავს რეფერენციის ლინგვისტური თეორიის განვითარების იმ ეტაპს, რომელზეც ჯერ კიდევ

ექსპლიციტურად არ იყო დანახული ამ ფენომენის შინაგანი კავშირი არც ტექსტთან და არც ინტერსუბიექტურობის პრინციპთან. თუმცა ამავე დროს ცხადია ისიც, რომ სხენებულ სტატიაში რეფერენციის განხილვის მთელი კონტექსტი შინაგანად, თითქოსდა ქვეტექსტურად მოითხოვს სწორედ ამგვარ თეორიულ გააზრებას. (ნათქვამის დასადასტურებლად შეიძლება დავასახელოთ ავტორები, რომლებსაც ვეყრდნობით მოცემულ სტატიაში: მ. არიელი, ა. კრუზი, თ. გივონი, ს. ლევისონი, ქ. დონელანი, ჯ. ლაიონზი, ჯ. სერლი, ჰ. გრაისი, ჯ. განდელი, ი. ჰუანგი და სხვები)

როდესაც ვსაუბრობთ რეფერენციაზე, აუცილებლად უნდა შევეხოთ რეფერენტულ გამჭირვალობასა და გრამატიკულ დაშიფვრას. რეფერენტული გამჭვირვალობა ადრესატის მესსიერებაშია შენახული. არსებობს მოკლე და გრძელვადიანი მესსიერება. გამჭვირვალობას სხვადასხვა დეტერმინანტები გააჩნია. რეფერენტული გამჭვირვალობის დეტერმინანტებად შეიძლება ჩაითვალოს:

ა) ერთიანობა

- მანძილი ახლახანს და მანამდე აღნიშნულ რეფერენტებს შორის ერთსა და იმავე აბზაცში, წინადადებასა თუ დამოკიდებულ წინადადებაში;
- კოჰერენტულობის ხარისხი რეფერენტული გამონათქვამების მქონე ერთეულებს შორის.

ბ) მოქმედების უწყვეტობა, მოდალური უწყვეტობა და ტემპორალური უწყვეტობა, მაგალითად:

- a. She went to the letter box, opened it, took out the postcard and read it.
- b. She went to the letter box, opened it, saw the milkman and waved to him.
- c. She came in and sat on the bed. She would soon move out for good.

რეფერენტული გამონათქვამების გამოსატვის რამდენიმე საშუალება არსებობს: ნულოვანი, უკუქცევითები, პირის ნიშნების მარკერები, კლიტიკური ნაცვალსახელები, უმახვილო ნაცვალსახელები, მახვილიანი ნაცვალსახელები, მახვილიანი ნაცვალსახელები + უესტი, სიახლოვის გამომხატველი ჩვენებითი (this) + სახელადი ფრაზა (NP), სიშორის გამომხატველი ჩვენებითი (that) + NP + განსაზღვრება, სახელი, გვარი, მოკლე განსაზღვრული დესკრიფცია, გრძელი განსაზღვრული დესკრიფცია, გვარი და სახელი, გვარი სახელი + განსაზღვრება, მაგალითად:

- a. In addition to being late, she forgot her lecture notes.
- b. Besides spilling the coffee, she stained her dress.
- c. Coming out of the house, stopping to check the mail and adjusting his hat, he turned to look for the paper.

აღსანიშნავია, რომ გამჭვირვალობასა და გრამატიკულ დაშიფვრას შორის პირდაპირი კავშირია. რაც უფრო გამჭვირვალეა რეფერენტი, მით უფრო ნაკლებ დაშიფვრას მოითხოვს, მაგალითად:

- a. Pete intended to go bowling with Sam last night but broke his leg.
- b. Pete intended to go bowling with Sam last night but he broke his leg.
- c. Pete intended to go bowling with Sam last night but 'he broke his leg.
- d. Pete intended to go bowling with Sam last night but the guy broke his leg.

თუმცა ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ იმავე წელს ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ მეორე სტატიაში უკვე გარკვეული ნაბიჯია გადადგმული რეფერენციის იმ კონცეპტუალიზაციისკენ, რომელსაც ვახორციელებთ მოცემული კვლევის ფარგლებში. კონკრეტულად კი ხსენებული სტატიის დასაწყისში ისეთ ავტორზე დაყრდნობით როგორცაა ე. პრინსი ჩვენს მიერ ნათქვამია, რომ რეფერენტული გამონათქვამების ფორმები, ენის სხვა ასპექტების, მაგალითად, სიტყვათა წყობისა თუ წინადადების ინტონაციის მიხედვით დამოკიდებულია რეფერენციის მიერ ნავარაუდევ კოგნიტურ სტატუსზე, ანუ იმ ვარაუდებზე, რასაც საუბარში თანამონაწილე ადამიანი დასაბუთებულად აკეთებს ადრესატის ცოდნისა და ყურადღების მდგომარეობის გათვალისწინებით იმ კონკრეტულ კონტექსტში, რომელშიც ეს გამონათქვამი გამოიყენება (Prince 1981). როგორც ვხედავთ, რეფერენციაზე მსჯელობისას უკვე დასახელებულია ადრესატი და კომუნიკაციური ტექსტის კონტექსტი. როგორც ვხედავთ, აქაც, როგორც წინა შემთხვევაში შესამჩნევია არგუმენტაციის ის ქვეტექსტური კონტექსტი, რომელიც, რა თქმა უნდა, მოითხოვს ტექსტის ლინგვისტური თეორიისა და ლინგვისტური პრაგმატიკის ექსპლიციტური სახით გათვალისწინებას.

როგორც ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ გვიჩვენა, რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის განხილვამ ტექსტის ჰორიზონტალური სტრუქტურის თვალსაზრისით მიგვიყვანა იმის აუცილებლობამდე, რომ რეფერენცია დაგვენახა ტექსტის იმ კატეგორიათა სისტემასთან კავშირში, რომელიც როგორც ფუნქციურად, ისე სტრუქტურულად ასახავს სწორედ

ტექსტის ჰორიზონტალურ სტრუქტურას ანუ იმ ინტერაქციულ მიმართებას, რომელიც კომუნიკაციური აქტის განხორციელების დროს უნდა ვიგულისხმოთ ადრესანტსა და ადრესატს შორის. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: რომელია ის პრაგმატიკული კატეგორიები, რომელთა სინთეზურმა ურთიერთმიმართებამ უნდა გამოავლინოს რეფერენციის ინტერსუბიექტურობის ფუნქციური არსი?

ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით უნდა დავუბრუნდეთ პრაგმატიკულ-ტექსტობრივ კატეგორიათა ზემოთ განხილულ სისტემას და ამ სისტემიდან გამოვეყოთ ორი ისეთი კატეგორია, რომლებშიც სიმეტრიულად და მაქსიმალური სისრულით ასახული იქნება რეფერენციის გენეტიკური და ფუნქციური კავშირი ერთის მხრივ ადრესანტთან, მეორეს მხრივ კი ადრესატთან. ასეთ კატეგორიებად, ჩვენის აზრით, უნდა მივიჩნიოთ **ლოკაციისა და გამჭვირვალობის** კატეგორიები. ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ შევეხეთ გამჭვირვალობის კატეგორიას და რაც მთავარია დავინახეთ მისი პირდაპირი კავშირი ადრესატთან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის უდავო ფაქტიც, რომ ადრესატის როლის ის ხაზგასმა, რომელსაც მოითხოვს ინტერსუბიექტურობის პრინციპი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს ადრესანტის იმ როლის ფუნქციურ დაკნინებას, რომელიც თავის დროზე, ინტერსუბიექტურობის პრინციპის დამკვიდრებამდე, დანახული და ხაზგასმული იყო დისკურსის ე. წ. ეგოცენტრისტული კონცეფციის ფარგლებში.

როგორც ზემოთ უკვე იქნა მინიშნებული რეფერენციის ადრესანტთან დაკავშირებულ ფუნქციურ კავშირს უნდა გამოხატავდეს ლოკაციის კატეგორია. სანამ ჩვენს ამ მოსაზრებას „ზურგს გაგუმაგრებდეთ“ ლოკაციის კატეგორიის იმ განსაზღვრით, რომელიც მოცემულია გ. ლებანიძის ნაშრომში, ხაზი გავუსვათ იმ უშუალო სემანტიკურ კავშირს, რომელიც ლოგიკურად იგულისხმება ისეთ ორ ტერმინს შორის როგორცაა ერთის მხრივ ადრესანტი და მეორეს მხრივ კი ლოკაცია: ლოკაციის ტერმინი გულისხმობს ტექსტში ნახსენები რეფერენტებისათვის ადგილის მიჩენას სინამდვილის იმ სეგმენტში, რომელსაც თანამედროვე ლინგვისტიკაში, როგორც უკვე ითქვა, „ტექსტის რეფერენტული სივრცე“ ეწოდება. შესაბამისად, უკვე წმინდა ლოგიკურ დონეზე გასაგები უნდა იყოს, რომ ნებისმიერი რეფერენტისთვის რეფერენტულ სივრცეში „ადგილის მიჩენა“ პირველ რიგში უნდა მოხდეს ადრესანტის როგორც კომუნიკაციის მაინიცირებელი სუბიექტის მიერ – თუმცა, რა თქმა უნდა, წარმატებული კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ადრესანტის მიერ

ნაგულისხმევი რეფერენტული სივრცე უცხო იქნებოდა მისი კომუნიკაციური პარტნიორისთვის, ანუ ადრესატისათვის.

ამ წმინდა ლოგიკური „შესწავლის“ შემდეგ შეგვიძლია უკვე გამოვიყენოთ **ლოკაციის პრაგმატიკული კატეგორიის** ის განსაზღვრა, რომელიც მოცემულია ზემოთ დასახელებულ ნაშრომში: „ლოკაციის ფორმულა: „**მე, აქ, ახლა**“, ე. ი. ლოკაციის კატეგორიას აქვს სამი ასპექტი: პერსონალური, საკუთრივ ლოკალური და ტემპორალური. ლოკაციის კატეგორიის ასეთი დახასიათებიდან უკვე ჩანს, რომ პრაგმატიკის როგორც ენობრივი ნიშნის განზომილებას აქვს გამჭოლი პრინციპის სტატუსი. როცა რამეს ვამბობთ, ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ლექსიკურად, ისე ზმნური კატეგორიით. რაც შეეხება ტემპორალურ ასპექტს, ისიც გამოიხატება ორივე საშუალებით და ა. შ. აქედან უკვე ჩანს, რომ ლოკაციის კატეგორიას აქვს გამონათქვამის შინაარსის მთლიანური განპირობების უნარი. ყოველი გამონათქვამის შინაარსის ანალიზისას შეიძლება გაემიჯნოთ მისი საკუთრივ სემანტიკური ასპექტი ლოკაციური ასპექტისაგან” (ლებანიძე 2004:257). აღსანიშნავია ასევე ლოკაციის კატეგორიის ის დახასიათებაც, რომელიც თან ახლავს მოყვანილ ციტატას: „ლოკაციის კატეგორია ახალი კატეგორიაა და მისი ჩამოყალიბება ემთხვევა პრაგმატიკის ჩამოყალიბებას” (იქვე). შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ჩვენს მიერ ამ კატეგორიის რეფერენციის ფენომენთან დაკავშირება წარმოადგენს მისი ფუნქციური არსის გადრმაგების მომენტს.

რაც შეეხება გამჭვირვალობის პრაგმატიკულ კატეგორიას, რომელსაც ჩვენ ასევე ვუკავშირებთ რეფერენციის ფენომენს, ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ უკვე გვიჩვენა, რომ გამჭვირვალობის როგორც ენობრივ-კომუნიკაციური ფენომენის გაგება შეუძლებელია რეფერენციასთან მისი დაკავშირების გარეშე. კვლევის ამ ეტაპზე კი, როცა უკვე გვაქვს გამჭვირვალობის კატეგორიალური განსაზღვრა (უკვე ვიცით, რომ იგი წარმოადგენს ადრესატთან დაკავშირებულ პრაგმატიკულ კატეგორიას), შეგვიძლია ამ შემთხვევაშიც დავეყრდნოთ ამ კატეგორიის იმ განსაზღვრას, რომელიც მოცემულია გ. ლებანიძის ნაშრომში და სადაც ნათქვამია: „ამ კატეგორიის არსებობა და, ცხადია, შინაარსიც განპირობებულია ადრესატით. როგორც გამონათქვამი, ისე გამონათქვამის რომელიმე ასპექტი გამჭვირვალეა იმდენად, რამდენადაც იგი გამჭვირვალეა ადრესატისათვის” (ლებანიძე 2004:267) უპირისპირებს რა გამჭვირვალობას გაუმჭვირვალობას ავტორი ასახელებს

გამჭვირვალობის სამ ისეთ ფაქტორს, რომლებიც ამა თუ იმ თვალსაზრისით უკავშირდებიან კომუნიკაციურ სიტუაციას, ანუ საბოლოო ანგარიშში ინტერსუბიექტურობის პრინციპს, თუმცა ამავე დროს ასახავენ სწორედ ადრესატის პოზიციას. ეს ფაქტორებია:

- 1) პირველი ფაქტორი არის ის, რომ გამონათქვამში ასახული რეფერენტული სიტუაცია უნდა იყოს ერთნაირი ორივე მონაწილისათვის. ამ პირობის გარეშე გამჭვირვალობა ვერ იქნება. საერთო უნდა იყოს აგრეთვე ის საგნობრივ-სიტუაციური სფერო, რომლის მონაკვეთსაც წარმოადგენს ეს რეფერენტული სიტუაცია.
- 2) გამჭვირვალობის მეორე ფაქტორია **კომუნიკაციური სიტუაცია** (ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება): კომუნიკაციური სიტუაცია უნდა იყოს იდენტური კომუნიკაციის ორივე მონაწილისათვის.
- 3) მესამე ფაქტორია კომუნიკანტთა **თეზურუსები** – მათი ფონური ცოდნა თუ სამყაროს ხატი ან უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, ან მათ შორის არ უნდა იყოს პრინციპული განსხვავება. ადრესატის მიერ გამონათქვამში ხმარებულ სიტყვებს და მათ შეხამებებს არ უნდა ჰქონდეს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც პრინციპულად განსხვავებულია იმ მნიშვნელობებისაგან, რომელსაც მას ადრესატი ანიჭებს” (ლუბანიძე 2004:268).

ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი სამი დასკვნა:

- ა) ტექსტის ჰორიზონტალური ანუ ინტერსუბიექტური სტრუქტურის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი კატეგორიალურ დონეზე აისახება ისეთი კატეგორიალური პარადიგმის სტრუქტურაში, როგორცაა გამჭვირვალობა/ გაუმჭვირვალობის პარადიგმული სტრუქტურა;
- ბ) მაგრამ ამავე დროს ტექსტობრივი რეფერენციის ამგვარი კატეგორიალური განსაზღვრა ნიშნავს იმას, რომ ბუნებრივად და ლოგიკურად მყარდება კავშირი ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის თემატურ ასპექტსა და მის ჰორიზონტალურ სტრუქტურას შორის, რისი წყალობითაც რეფერენცია იძენს ტექსტის ინტეგრალურად მაკონსტიტუირებელი ფაქტორის როლს;
- გ) მესამე დასკვნა კი მდგომარეობს იმაში, რომ ტექსტის ჰორიზონტალური სტრუქტურის გათვალისწინებით რეფერენცია როგორც ტექსტობრივი

ფენომენი უნდა მივიჩნიოთ **სინთეზურ** კატეგორიად, იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ლოკაციისა და გამჭვირვალობა/გაუმჭვირვალობის ერთობლივი მოქმედების შედეგს. თუმცა, ამავე დროს, ხაზი უნდა გაესვას ამ შემთხვევაში ჩვენს მიერ გამოყენებული ისეთი სიტყვის სემანტიკას როგორცაა „შედეგი“: იქედან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ტექსტი სისტემისგან განსხვავებით წარმოადგენს არაპარადიგმულ (ანუ სივრცით), არამედ სინტაგმატურ (ანუ ტემპორალურ) სტრუქტურას, ლოკაციისა და გამჭვირვალობა/გაუმჭვირვალობის კატეგორიათა ურთიერთზემოქმედებაც უნდა აღვიქვათ როგორც **პროცესი**, რომელიც იწყება ტექსტის პირველივე წინადადებიდან და გრძელდება მანამ, სანამ გრძელდება თვით ტექსტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დისკურსის (და შესაბამისად – ტექსტის) ინტერსუბიექტურობა წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ტექსტობრივი რეფერენციის სინტაგმატურ-ტემპორალურ ხასიათს.

2.7. რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი და რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე

2.7.1. რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ინტეგრალური კონცეპტუალური ხატის აგების ამოცანა

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი კვლევითი მიზნის განხორციელება გულისხმობს აზროვნების ორი ლოგიკური პლანის – დედუქციური და ინდუქციური პლანების – გამოყენებასა და შერწყმას. კვლევის ამ ეტაპზე უკვე შეგვიძლია იმის განსაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენს მიერ გამოყენებულ კონცეპტთა „ხვედრითი წონა“ ხსენებულ პლანებთან მიმართებაში: კვლევის დედუქციური მეთოდი უნდა გულისხმობდეს პირველ რიგში იმის განსაზღვრას, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ჩვენს მიერ საკვლევი ფენომენის, ანუ რეფერენციის სისტემური განზომილება – იგი უნდა წარმოადგენდეს **რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკურ ველს**; ხოლო რაც შეეხება კვლევის ინდუქციურ განზომილებას, მან უნდა დაგვანახოს, თუ რას წარმოადგენს რეფერენტულობის ტექსტობრივი კორელატი – იგი უნდა წარმოადგენდეს **ტექსტის რეფერენტულ ბადეს**. თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლოგიკურ პლანთა ხსენებული ოპოზიცია არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს: ისინი ურთიერთმოქმედებენ და ამით ქმნიან კვლევის ერთიან სურათს.

შესაბამისად ისმის კითხვა: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის სტრუქტურა, თუ გავითვალისწინებთ ყოველივე იმას, რაც უკვე ვთქვით რეფერენციის შესახებ, როგორც ამ ფენომენის კვლევის ისტორიის, ისე ყოველივე იმაზე დაყრდნობით, რაც გამოითქვა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად?

რაკი ზემოთ შევეხეთ რეფერენციის (და შესაბამისად რეფერენტულობის) კვლევის ისტორიას, აუცილებლად მიგვაჩნია მივუთითოთ ჩვენი კვლევის ლ. ონიანის მიერ ჩატარებულ იმ კვლევაზე, რომელიც, ჩვენის აზრით, პრინციპულად განსხვავდება რეფერენციასთან დაკავშირებული ყველა სხვა კვლევისგან შემდეგი ნიშნით: მასში დასმულია რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის პრობლემა. თუმცა ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებასაც: ხსენებული ველის ფარგლებში ხდება არა რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის უკვე არსებული თეორიის განსჯა თუ კორექტირება, არამედ პირველად ხდება მოცემული ცნების (რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის) შემოტანა ლინგვისტური კვლევის პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია იმ არგუმენტაციის გათვალისწინება, რომელსაც ეყრდნობა დასახელებული მკვლევარი.

ხსენებული არგუმენტაციიდან გამოვყოფთ შემდეგ ორ მომენტს: ა) ავტორის პოლემიკას ტექსტობრივი ბადის კონცეფციის ავტორთან ლ. ნოზდრინასთან. ეს სწორედ ის მომენტია, რომლის საფუძველზე აუცილებელი ხდება რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის როგორც კონცეპტის შემოტანა და ბ) ის კატეგორიალური ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც, ლ. ონიანის აზრით, აგებულ უნდა იქნას რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი. ჩვენ განვიხილავთ ორივე არგუმენტს, თუმცა წინასწარ ვიტყვით შემდეგს: პირველი არგუმენტი მთლიანად მისაღებია ჩვენთვის, ხოლო რაც შეეხება მეორე არგუმენტს, იგი, ჩვენის აზრით, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე პრინციპულ გადახედვას საჭიროებს.

ლ. ონიანის მიერ გამოყენებული პირველი არგუმენტი, როგორც უკვე ითქვა, შეიცავს პოლემიკას ლ. ნოზდრინასთან და მდგომარეობს შემდეგში: „ტექსტის რეფერენტულ სტრუქტურაზე მსჯელობა აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ უნდა ვიმსჯელოთ შესაბამის ტექსტობრივ ბადეზე (რეფერენტულობის ტექსტობრივ ბადეზე). მაგრამ ამ ლოგიკის თანახმად, რომელსაც მისდევს ლ. ნოზდრინას წიგნი (Ноздрина 2004), ყოველი ტექსტობრივი ბადე, როგორც უკვე

ითქვა, უნდა წარმოადგენდეს გარკვეული ფუნქციურ-სემანტიკური ველის ტრანსფორმაციის შედეგს (მის ტრანსფორმს). აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ვიკვლიოთ მხატვრული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა (გამოხატული შესაბამისი ბადით), აუცილებელია პირველ რიგში დავსვათ კითხვა რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და შესაბამისი ველის არსებობის შესახებ – მაგრამ ბუნებრივია არა მარტო ამ ველის არსებობის, არამედ მისი სტრუქტურის თაობაზე” (ონიანი 2005:198).

რაც შეეხება მეორე არგუმენტს: ამ შემთხვევაში ლაპარაკია ისეთ კატეგორიათა ურთიერთმიმართებაზე, როგორცაა, ერთის მხრივ რეფერენციისა, მეორეს მხრივ კი განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორიები. როგორც გვასსოვს, მოცემული თავის დასაწყისში ჩვენც შევეხეთ ხსენებულ ურთიერთმიმართებას, თუმცა, რა თქმა უნდა, განსხვავებულად და უფრო ფართო კატეგორიალურ კონტექსტზე დაყრდნობით. ლ. ონიანის შესაბამისი არგუმენტაცია კი მდგომარეობს შემდეგში: ამ შემთხვევაშიც იგი ეკამათება ლ. ნოზდრინას იმის თაობაზე, თუ რამდენადაა გამართლებული ხსენებულ კატეგორიათა ფუნქციურ-სტრუქტურული გამიჯვნა. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „როცა იმავე მონოგრაფიის ავტორი ლაპარაკობს მხატვრული ველის რეფერენტულ სტრუქტურაზე და ახსენებს იმ ენობრივ კატეგორიებს, რომელთა საშუალებითაც ხდება საგანთა იდენტიფიკაცია (დისკურსის დროს, ანუ ტექსტში), იგი ამბობს: „ასეთ კატეგორიებს ეკუთვნის პირველ რიგში რეფერენცია და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორია, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს რეფერენციის დადგენაში” (Ноздрина 2004:118). მაგრამ რამდენად გამართლებულია ვილაპარაკოთ რეფერენციაზე და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობაზე როგორც ცალ-ცალკე და განსხვავებულ კატეგორიებზე და როგორ შეიძლება განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის კატეგორიას აქტიური მონაწილეობა მიეღო რეფერენციის დადგენაში, თუ იგი წარმოადგენს კატეგორიას, განსხვავებულს რეფერენციისაგან” (იქვე).

სანამ ჩვენ შევუდგებით უფრო ფართო კატეგორიალურ კონტექსტზე დაყრდნობით რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკურ ველზე მსჯელობას, აუცილებლად მიგვაჩნია აქვე მივუთითოთ იმ კორექტივზე, რომელიც, ჩვენის აზრით, აუცილებლად შეტანილი უნდა იქნას ლ. ონიანის არგუმენტაციაში. რა თქმა უნდა, ავტორი მართებულად შენიშნავს, რომ შეუძლებელია რეფერენციისა და განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობის როგორც კატეგორიათა

ერთმანეთისგან იზოლირება, მაგრამ ეს სულაც არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საქმე გვაქვს მათ ფუნქციურ-სემანტიკურ იდენტურობასთან. როგორც უკვე ითქვა, რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის დადგენა და კონცეპტუალური განსაზღვრა უნდა ხდებოდეს იმ ფართო კატეგორიულ კონტექსტზე დაყრდნობით, რომელიც ჩვენს მიერ ნაწილობრივ უკვე იქნა ექსპლიცირებული. ამჟამად კი საჭიროდ და შესაძლოდ მიგვაჩნია უკვე სრული სახით მოვახდინოთ ამ კონტექსტის ექსპლიკაცია.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ, რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის კონცეპტუალურად წარმოდგენისა და სტრუქტურულად აგების ამოცანას მისი შესრულების თვალსაზრისით დაეყოფთ ორ ეტაპად: ა) პირველ რიგში შევეცდებით ხსენებული ველის კონტურები მოვხაზოთ ზოგად თეორიული თვალსაზრისით; ბ) შემდეგ კი შევეცდებით პირველ ეტაპზე კონცეპტუალიზირებული ველის სტრუქტურა დაგაკონკრეტოთ ნარატოლოგიული თვალსაზრისით. მეორე ეტაპის აუცილებლობა ჩვენს კვლევით კონტექსტში აიხსნება არა მხოლოდ ენობრივ ფენომენტა ნარატიული ხედვის იმ მზარდი მნიშვნელობით, რომელიც შეიმჩნევა თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში, არამედ იმ უფრო კონკრეტული გარემოებითაც, რომ, როგორც უკვე ვიცით, ჩვენ მოგვიხდება რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის გაანალიზება კონკრეტულ ნარატიულ მასალაზე დაყრდნობით და უფრო მეტიც – ამ ანალიზის შედეგთა შემდეგი დაკონკრეტება ტრანსლატოლოგიურ პლანში იმის დადგენის მიზნით, თუ როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს კონცეპტუალურად იდენტური რეფერენტული ბადე ამოსავალ და შესაბამის თარგმნილ ტექსტში. ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ამოსავალ და თარგმნილ ტექსტთა შეპირისპირებითი ანალიზის შედეგები ინტერპრეტირებულ იქნას ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

2.7.2. რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი ზოგად თეორიული თვალსაზრისით

როცა ვლაპარაკობთ რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკურ ველზე ზოგად თეორიული თვალსაზრისით და გვსურს განვსაზღვროთ ამგვარი ველის აგება მეთოდოლოგიურ პლანში, აუცილებელი ხდება შემდეგ მომენტთა გათვალისწინება:

- ა) ამგვარი ველის არსებობაზე ლაპარაკი გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 1) იგულისხმება რეფერენციის როგორც **ენობრივი უნივერსალის** არსებობა: ჩვენს მიერ უკვე ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ შეუძლებელია არსებობდეს ესა თუ ის ვერბალური ენა რეფერენციალური (რეფერენტული) განზომილების გარეშე; 2) ასევე იგულისხმება, რომ ნებისმიერ კონკრეტულ ენაში რეფერენცია როგორც ენობრივი უნივერსალია დაკონკრეტებულია რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიის სახით; 3) ხსენებული კატეგორია ენობრივი სისტემის დონეზე გამოხატული უნდა იქნას განსხვავებულ დონეებრივ ერთეულთა სისტემური ერთობლიობით; 4) იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს არა უბრალოდ ერთობლიობასთან, არამედ ველთან, აუცილებელია ამ ველის ფარგლებში გამოვეყნოთ მისი **ცენტრი და პერიფერია**;
- ბ) ჩვენივე კვლევითი კონტექსტიდან გამომდინარე, რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის აგებისას უნდა დავეყრდნოთ **კორელაციურობის** იმ პრინციპს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ველს როგორც **სისტემურ** და ბადეს როგორც **ტექსტობრივ** ფენომენებს. შეიძლება ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში – სულერთია ვმსჯელობთ ველზე თუ ბადეზე – საქმე გვექნება ხსენებული ორი პლანის მონაცემთა უწყვეტ ურთიერთზემოქმედებასთან;
- გ) წინა პუნქტში ფორმულირებული მეთოდოლოგიური პრინციპის თანახმად, რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის აგებისას უნდა დავეყრდნოთ ყოველივე იმას, რაც ჩვენს მიერ უკვე ითქვა ტექსტის სტრუქტურის შესახებ იმის გათვალისწინებით, რომ 1) ტექსტის სტრუქტურაზე ჩვენ ვმსჯელობდით არა აბსტრაქტულად, არამედ რეფერენციალური თვალსაზრისით; 2) ამავე დროს, ვმსჯელობდით არა ტექსტის რომელიმე კონკრეტულ ტიპზე, არამედ **ტექსტზე ზოგადად**, ანუ ყოველგვარი ტიპოლოგიური დაკონკრეტების გარეშე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტექსტზე ჩვენი ამგვარი მსჯელობის გათვალისწინებასაც უნდა ჰქონდეს ასევე ზოგადი მნიშვნელობა. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, სწორედ რეფერენტული თვალსაზრისით ჩვენ გამოვეყავით ტექსტის სტრუქტურის ორი განზომილებრივი ასპექტი – ტექსტის ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტრუქტურა და მივიჩნიეთ, რომ ტექსტის სტრუქტურის ამ

ორ განზომილებას შორის უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ პრინციპული განსხვავება, არამედ ურთიერთზემოქმედებაც. სწორედ ამ ურთიერთზემოქმედების გათვალისწინებით ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: რა თქმა უნდა, რეფერენციალური თვალსაზრისით წამყვანი როლი უნდა მიენიჭოს ტექსტის თემატურ სტრუქტურას (რადგან ამ სტრუქტურის ღერძს წარმოადგენს სახელი), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელის ფუნქციურ-სტრუქტურული როლის შესაძლებლობას ვერ გამოვრიცხავთ ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურიდანაც. (რადგან ამ სტრუქტურის ღერძს წარმოადგენს ზმნა, ხოლო ზმნით გამოხატული პრედიკატი, როგორც ცნობილია, შეიძლება შეიცავდეს სახელსაც);

დ) თუმცა გამოვეყოფთ ტექსტის სტრუქტურის ორ განზომილებას – ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურს – და ორივეს მივიჩნევთ აუცილებლად და მნიშვნელოვნად როგორც ზოგად ტექსტოლოგიური, ისე რეფერენციის თეორიის გათვალისწინებით, ამავე დროს შეუძლებელია არ დავსვათ კითხვა იმ **იერარქიული** ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, რომელიც შესაძლებელია და უნდა არსებობდეს მათ შორის. ხსენებულ კითხვაზე პასუხი კი უნდა ეფუძნებოდეს იმ პრინციპს, რომელიც დომინირებს როგორც მთელ თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში, ისე დისკურსის თეორიაშიც: ვგულისხმობთ **ინტერსუბიექტურობის** პრაგმატიკულ პრინციპს. მაგრამ იქედან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ტექსტი წარმოიშობა დისკურსის ფარგლებში და არ არსებობს მის გარეშე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ტექსტის დონეზეც მისი ჰორიზონტალური მიმართება უნდა დომინირებდეს ვერტიკალურ სტრუქტურაზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ტექსტის რეფერენტული ბადის ფარგლებში სწორედ ინტერსუბიექტურობას უნდა მიენიჭოს წამყვანი სტატუსი;

ე) მაგრამ ამავე დროს აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ისიც, რომ ინტერსუბიექტურობის პრაგმატიკული პრინციპი მისი დომინანტური სტატუსის გათვალისწინებით, ჩვენს მიერ დაკონკრეტებულ იქნა კატეგორიულ პლანში: ტექსტობრივი რეფერენცია ნებისმიერ შემთხვევაში, ანუ ტექსტის რეფერენტული ბადის ნებისმიერ სეგმენტში, უნდა წარმოადგენდეს ორი პრაგმატიკული კატეგორიის – ლოკაციისა და გამჭვირვალობა/გაუმჭვირვალობის – სინთეზური ურთიერთზემოქმედების შედეგს.

როგორ უნდა გამოიყურებოდეს ზოგად თეორიული თვალსაზრისით რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი, თუ ამ ველის კონცეპტუალიზაცია მოხდება ზემოთ განმარტებული მეთოდოლოგიური მომენტების გათვალისწინებით? მოცემულ კითხვაზე პასუხს გავცემთ ეტაპობრივად – ჯერ მოვხაზავთ ამ ველის კონტურებს კონცეპტუალურ პლანში, შემდეგ კი შევეცდებით მიღებული შედეგის გრაფიკულად წარმოდგენას.

პირველი კითხვა, რომელზეც უნდა გავცეს პასუხი არის კითხვა რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის **ცენტრის** თაობაზე: ხსენებული ცენტრი უნდა დასახელდეს და განისაზღვროს ყველა იმ მეთოდოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც ზემოთ იქნა ფორმულირებული, მაგრამ ამავე დროს იმის გათვალისწინებითაც, რომ კატეგორიალურ დონეზე ჩვენ რეფერენცია წარმოდგენილი გვაქვს იერარქიულად სტრუქტურირებული ტრიადის სახით: რეფერენციას მივიჩნევთ იმ მეტაკატეგორიად, რომლის არსებობა და ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა დეიქსისისა და დეტერმინაციის კატეგორიათა გარეშე. შესაბამისად, რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ცენტრად უნდა მივიჩნიოთ ზოგადად **პირის ნაცვალსახელი**, ხოლო ამ ენობრივი ერთეულის ფარგლებში ნაგულისხმევი პარადიგმული სტრუქტურის გათვალისწინებით თავიდანვე გამოვყოფთ ორ ოპოზიციას: ოპოზიცია – **მე vs შენ** და ოპოზიცია – **მე vs ის**. ამ ოპოზიციათა გამოყოფისას ვგულისხმობთ არა მხოლოდ იმის აუცილებლობას, რომ დაკონკრეტებულ იქნას ის ენობრივი ერთეული, რომელსაც ვანიჭებთ ცენტრის სტატუსს, არამედ ზოგადად იმ როლსაც, რომელსაც პირის ნაცვალსახელი ასრულებს კომუნიკაციურ აქტში. მაგრამ ამავე დროს ველის ამგვარი ცენტრის დასახელებით ჩვენ მივუთითებთ იმ იერარქიაზე, რომელიც რეფერენციის როგორც მეტაკატეგორიის შიგნით უნდა არსებობდეს დეიქსისისა და დეტერმინაციის კატეგორიებს შორის: დომინანტური სტატუსი ენიჭება დეიქსისს, იმდენად, რამდენადაც ნაცვალსახელი და პირველ რიგში პირის ნაცვალსახელი უნდა მივაკუთვნოთ დეიქტიკურ სიტყვათა კატეგორიას.

იქედან გამომდინარე, რომ ნაცვალსახელს, პირველ რიგში კი პირის ნაცვალსახელს რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ცენტრის სტატუსს ვანიჭებთ და ამით, შეიძლება ითქვას, პირველ ნაბიჯს ვდგამთ ამგვარი ველის აგების პროცესში, საჭიროდ მიგვაჩნია ხსენებული ნაბიჯის ადეკვატურობის უფრო გადრმავებული დასაბუთება იმ ენობრივ ფენომენზე დაყრდნობით,

რომელიც საბოლოო ანგარიშში აფუძნებს და ამართლებს თვით ინტერსუბიექტურობის დომინანტურ სტატუსს არა მხოლოდ რეფერენციის კვლევისას, არამედ ზოგადად ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში: ვგულისხმობთ ანთროპოცენტრისტულად გაგებულ კომუნიკაციის ფენომენს. სწორედ ამ მიზნით მივმართავთ ავტორს, რომელიც თავის უახლეს მონოგრაფიაში იკვლევს ხსენებული პარადიგმისათვის ფუძემდებელ კომუნიკაციური სივრცის ფენომენს და ახდენს მის მოდელირებას, ხოლო მოდელირების ამ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დეიქსისს, ანუ რეფერენციის უმნიშვნელოვანეს ენობრივ განზომილებას. ვგულისხმობთ ბ. უსპენსკის, რომელიც კომუნიკაციას (კომუნიკაციის ვერბალურ აქტს) განიხილავს სწორედ ადრესანტსა და ადრესატს შორის მიმართებად. ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია კომუნიკაციის ფენომენის ის ხაზგასმით ანთროპოცენტრისტული ხედვა, რომელიც მისი პოზიციიდან გამომდინარე საფუძვლად უნდა დაედოს დეიქსისის თეორიულ გააზრებას. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „ყოველ ადამიანს აქვს თავისი პირადი გამოცდილება, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალურ შთაბეჭდილებებსა და ასოციაციებს” (Успенский 2007:11). მაგრამ, რა თქმა უნდა, დეიქსისისა და შესაბამისად რეფერენციის თეორიული კვლევისთვის ღირებულია არა ეს ზოგადი და შინაარსობრივად აქსიომატური მტკიცება, არამედ მნიშვნელობა, რომელსაც იგი კომუნიკაციური თვალსაზრისით იძენს. როგორც ავტორი ამბობს, „კომუნიკაცია კი გულისხმობს საერთო გამოცდილების არსებობას და იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს სუბიექტური აღქმის კოორდინაცია: იგულისხმება, რომ ჩვენ ვიზიარებთ საერთო გამოცდილებას” (იქვე). „როგორ ხდება ეს შესაძლებელი?”, სვამს ავტორი კითხვას და მასზე შემდეგ პასუხს იძლევა: „კომუნიკაციის აუცილებელ პირობას წარმოადგენს შეთანხმება, კომუნიკანტებს შორის თავისუფალი კომპრომისი” (Успенский 2007:12). ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ, ავტორის აზრით, სწორედ დეიქსისს (უფრო კონკრეტულად კი დეიქტიკურ სიტყვებს და პირველ რიგში პირის ნაცვალსახელებს) განსაკუთრებული სტატუსი უნდა მიენიჭოს ხსენებული შეთანხმების მიღწევის პროცესში (იქვე). აღსანიშნავია ისიც, რომ ხაზს უსვამს რა ადრესანტის მნიშვნელობას დეიქსისის ფუნქციური არსის განსაზღვრისას, ავტორი ამავე დროს ლაპარაკობს ადრესატის მნიშვნელობაზეც: „დეიქსისი ასე თუ ისე გულისხმობს ორიენტაციას ადრესანტზე – თუმცა ამავე

დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ორიენტაციას ადესატზეც” (Успенский 2007:13).

ის, რომ პირის ნაცვალსახელმა უნდა დაიკავოს რეფერენტული ველის ცენტრის ადგილი, ბუნებრივია, გამომდინარეობს, ერთის მხრივ დისკურსის ინტერსუბიექტური ხასიათიდან, მეორეს მხრივ კი იმ ორგანული კავშირიდან, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, არსებობს დეიქსისა და რეფერენციას შორის. მაგრამ ამავე დროს თვით ველის, როგორც ენობრივი ფენომენის იდეა გულისხმობს არა მხოლოდ სავარაუდო ცენტრის დასახელებას, არამედ ველის იმ იერარქიულად ორგანიზებული სტრუქტურის განსაზღვრასაც, რომლის ფარგლებში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ურთიერთმიმართება ცენტრსა და პერიფერიას შორის. სწორედ რეფერენტული ველის აგების ამ **მთლიანური პერსპექტივის** გათვალისწინებით აუცილებელი უნდა იყოს პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებზე:

- 1) ის, რომ დისკურსის ინტერსუბიექტურობიდან გამომდინარე პირის ნაცვალსახელს უნდა მიენიჭოს ჩვენს მიერ ასაგები ველის ცენტრის სტატუსი, უშუალოდ გამომდინარეობს კომუნიკაციური აქტის ინტერსუბიექტურობიდან: თუ ვლაპარაკობთ რეფერენციაზე როგორც ტექსტობრივ ფენომენზე, შეუძლებელია ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის წარმომშობ წყაროდ არ მივიჩნიოთ კომუნიკანტთა შორის ის „კომპრომისული შეთანხმება“, რომლის გარეშეც ვერ შედგებოდა თვით ტექსტი როგორც ვერბალური ფენომენი. მაგრამ ჩვენ ვიცით ისიც, რომ რეფერენცია, როგორც ენობრივი ფენომენი პირველ რიგში და არსებითად უკავშირდება სახელს (ნომინალურ ჯგუფს). როგორ უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელისა და სახელის ურთიერთმიმართება რეფერენტული ველის სტრუქტურაში?
- 2) ზემოთ დასმულ კითხვასთან უშუალო კავშირშია კითხვა იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უნდა დაიკავოს რეფერენტული ველის სტრუქტურაში სახელთან უშუალოდ დაკავშირებულმა დეტერმინაციის კატეგორიამ. შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, გამოიკვეთა თითქოსდა შინაგანად წინააღმდეგობრივი პარადოქსული ფაქტი: რეფერენციის ფენომენი არსებითად უკავშირდება სახელს, რეფერენტული ველის ცენტრად კი გვევლინება დეიქსისი, ანუ კატეგორია, რომელიც, როგორც ვნახეთ, თავისი ფუნქციური არსით პირველ რიგში და არსებითად

უკავშირდება პირის ნაცვალსახელს. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას გადალახული ხსენებული პარადოქსი?

3) ასევე მნიშვნელოვნად გვესახება კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს დანახული დეიქსისის როგორც მთლიანურად გააზრებული ფენომენის მიმართება რეფერენტულ ველთან. ის, რომ დეიქტიკურ ელემენტთა ისეთი სახეობა, როგორცაა პირის ნაცვალსახელი ცენტრის როლს იკავებს, უკვე ცხადია და შეუძლებელია უარყოფილ იქნას ინტერსუბიექტურობის პრინციპიდან გამომდინარე. მაგრამ ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ ენაში არსებობს დეიქტიკურ ელემენტთა მთელი სისტემა. რა მიმართებაშია ეს სისტემა რეფერენტულ ველთან როგორც იერარქიული სტრუქტურის მქონე სისტემასთან?

4) რა მიმართებაშია ზემოთ დასმულ კითხვათა ერთობლიობა ტექსტის იმ ზოგად სტრუქტურასთან, რომელიც უკვე წარმოადგენდა ჩვენი მსჯელობის საგანს? ინტერსუბიექტურობის პრინციპზე დაყრდნობით უკვე გამოიკვეთა ტექსტის კორიზონტალური სტრუქტურის დომინანტური როლი რეფერენციის ზოგადთეორიული გააზრების თვალსაზრისით. ხოლო პირის ნაცვალსახელის დეიქტიკურმა ფუნქციურმა არსმა დაგვანახა ისიც, რომ ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურა დომინირებს რეფერენტული ველის სტრუქტურის განსაზღვრისას. მაგრამ როგორი უნდა იყოს ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის როლი ხსენებული ველის სტრუქტურის ფარგლებში?

ზემოთ ფორმულირებული მიზნის თანახმად, ჯერ შევეცადოთ იმის განსაზღვრას, თუ როგორი უნდა იყოს რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის სტრუქტურა კონცეპტუალური თვალსაზრისით, შემდეგ კი ამგვარად განსაზღვრულ სტრუქტურას მივცეთ გრაფიკული სახე. ორივე შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი ორი მოსაზრებით: ა) ველის როგორც კონცეპტუალური, ისე გრაფიკული რეპრეზენტაცია უნდა ნიშნავდეს ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას და ბ) არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოება, რომ ჩვენი კვლევის ძირითად მიზანსა და საგანს წარმოადგენს რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის კვლევა.

აქედან გამომდინარე, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ რეფერენტული ველის სტრუქტურა კონცეპტუალური თვალსაზრისით თუკი ამგვარი წარმოდგენის წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ პირის ნაცვალსახელის როგორც დეიქტიკური

ელემენტის ცენტრალური სტატუსი. ვფიქრობთ, ლოგიკურად გამართლებული იქნება, თუ ჰიპოთეტურად ველის მთელ სივრცეს დავეოფთ სამ სეგმენტად: ცენტრად, პერიფერიად და ცენტრსა და პერიფერიას შორის მოქცეულ შუალედურ სეგმენტად, ანუ იმ სეგმენტად, რომლის შინაგანი სტრუქტურული ვექტორი უნდა ნიშნავდეს თითქოსადა ჩვენს აზრობრივ მოძრაობას ცენტრიდან პერიფერიისაკენ ან პირუკუ – პერიფერიიდან ცენტრისკენ. ამ ჰიპოთეზიდან გამომდინარე, ჯერ გადავწყვიტოთ, თუ რას უნდა წარმოადგენდეს პერიფერია, თუ გავითვალისწინებთ ნებისმიერი პერიფერიისათვის (რა თქმა უნდა, ტერმინს „პერიფერია“ ვიყენებთ იმ გაგებით, როგორსაც ამას მოითხოვს ველის ზოგადი თეორია) დამახასიათებელ სტატუსს: ეს სტატუსი შინაგანად ორაზროვანია რამენადაც, ერთის მხრივ პერიფერია „აგრძელებს“ და ბოლომდე გამოხატავს ცენტრის მიერ ნაგულისხმევ შინაარსს, მეორეს მხრივ კი იგი მდებარეობს ველის ზღვარზე და ფაქტობრივად ნიშნავს უკვე სხვა ველის დასაწყისს. გავისხენოთ, ის რაც ჩვენი კვლევის ფარგლებში უკვე ითქვა ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის ორი განზომილების ურთიერთმიმართებაზე: თემატური სტრუქტურის დერძს წარმოადგენს სახელი, მაგრამ სახელი ფიგურირებს – თუმცა უკვე არა დერძის სტატუსით – ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურაშიც. აქედან გამომდინარე: თუ დეიქსისი, როგორც რეფერენციის სუბკატეგორია წარმოადგენს მოცემული ველის ცენტრს თემატური სტრუქტურის ფარგლებში, იმდენად, რამდენადაც იგი არსებითად უკავშირდება სახელს და ამ შემთხვევაში აქტუალიზირდება „როლურად“ წოდებული დეიქსისი, მაშინ რეფერენტული ველის პერიფერიად (ამ ტერმინის ზემოთ განმარტებული გაგებით) მოგვევლინება დროისა და ადგილის დეიქსისთა წყვილი.

და თუ ეს ასეა, მაშინ როგორ უნდა იქნეს წარმოდგენილი რეფერენტულობის ველის შუალედური სეგმენტი? თუ გავისხენებთ რეფერენციის შინაგან ტრიალულ სტრუქტურას, მაშინ ბუნებრივია უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ვარაუდი: ეს შუალედი უნდა დაიკავოს დეტერმინაციის კატეგორიამ, რადგან, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სხვა რეფერენტული კატეგორიისგან განსხვავებით სწორედ იგი არის არსებითად და პრინციპულად დაკავშირებული სახელთან და მხოლოდ სახელთან იმ გაგებით, რომ სწორედ იგი უნდა „უჩენდეს ადგილს“ სახელს ტექსტის შინაარსობრივ სტრუქტურაში. მაგრამ ამავე დროს აუცილებელი იქნება ერთის მხრივ იმის ჩვენება, თუ როგორ „წარმოშობს“

დეიქტიკურად განსაზღვრული ველის ცენტრი ამგვარ შუალედურ სეგმენტს და როგორ გადადის ეს სეგმენტი ველის პერიფერიაში.


ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მიზნით დავუბრუნდეთ ბ. უსპენსკის ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ მონოგრაფიას, კერძოდ კი ამ მონოგრაფიის იმ ასპექტს, სადაც განხილულია პირის ნაცვალსახელთა ორი ოპოზიციური წყვილი – „მე vs შენ” და „მე vs ის”. ბ. უსპენსკი ერთმანეთს უპირისპირებს ნაცვალსახელთა ხსენებულ პარადიგმებს ამ ნაცვალსახელებით აღნიშნულ პირთა „ეგზისტენციალური სტატუსის” მიხედვით. პირველ შემთხვევაში იგი ამბობს: „იმ პირთა ეგზისტენციალური სტატუსი, რომლებიც შეიძლება დიალოგურ მეტყველებაში აღნიშნული იქნან როგორც მე და შენ უნდა მივიჩნიოთ ერთნაირად: და მართლაც, ჩვეულებრივად ისინი მიეკუთვნებიან ერთი და იგივე სიტუაციას და ხასიათდებიან იმ ერთიანი სივრცითი და დროითი კოორდინატებით, რომლებიც განპირობებულნი არიან თვით კომუნიკაციის პროცესით” (Успенский 2007:32). რაც შეეხება მეორე შემთხვევას, ანუ ოპოზიციას მე და ის, ავტორი მის შესახებ ამბობს: „იმ პირთა ეგზისტენციალური სტატუსი კი, რომლებიც შეიძლება აღიშნულნი იქნან როგორც მე და ის, პირიქით, არ უნდა მივიჩნიოთ ერთნაირად: და მართლაც პირი, რომელიც აღინიშნება ნაცვალსახელით ის (он. она. оно), შეიძლება არც ესწრებოდეს საუბარს. იგი შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვა სინამდვილეს (სხვა სივრცესა და დროს). კერძოდ კი შეიძლება არც იქნას არსებულად აღიარებული” (Успенский 2007:33).

ჩვენ ვეყრდნობით ხსენებული ავტორის მიერ ეგზისტენციალურ სტატუსთა გამიჯვნას, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია მისდამი კრიტიკულ დამოკიდებულების გამოხატავაც, რაც, ჩვენის აზრით, უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: ორივე ოპოზიციის შემთხვევაში ავტორი გულისხმობს, რომ საქმე გვაქვს დასახელებული ნაცვალსახელებით აღნიშნულ „პირებთან”. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში იგი უშვებს შემდეგ შეცდომას: რა თქმა უნდა, ნაცვალსახელები მე და შენ მართლაც აღნიშნავენ პირებს და მხოლოდ და მხოლოდ პირებს, ანუ კომუნიკაციური აქტის მონაწილეებს – ადრესატსა და ადრესანტს. მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია ნაცვალსახელზე ის, სულაც არ არის აუცილებელი იგი აღნიშნავდეს ამა თუ იმ პირს – მან შეიძლება აღნიშნოს როგორც რაიმე საგანი, ისე ესა თუ ის მოვლენა, ცნება და ა. შ. ანუ „საგანი” უკვე ამ სიტყვის ისეთი ფართო მნიშვნელობით, რომელიც ემთხვევა ტერმინის „სუბსტანცია” მნიშვნელობას. მაგრამ, როგორც ვიცით,

საგანი ასეთი ფართო მნიშვნელობით, ანუ სუბსტანცია არის სინამდვილის სწორედ ის სეგმენტი, რომელსაც აღნიშნავს (ან რომელზეც უნდა მიუთითებდეს) **სახელი** (ნომინალური ჯგუფი). ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ციტირებული ავტორის მიერ ეგზისტენციალურ სტატუსთა გამიჯვნის ფაქტი – თუკი მას ადეკვატურად გავიგებთ – გულისხმობს შემდეგს: ოპოზიცია მე და შენ მიუთითებს ადრესანტსა და ადრესატს შორის მიმართებაზე, ანუ იმაზე, რასაც გულისხმობს ინტერსუბიექტურობის პრინციპი. ამ თვალსაზრისით, მთლიანად დასტურდება ზემოთ უკვე გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **როლური დეიქსისი** მართლაც გვევლინება რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ცენტრად იმ ფუძემდებელი გარემოების გამო, რომ ამ ცენტრის გარეშე საერთოდ ვერ იარსებებდა ტექსტის თემატური სტრუქტურა და ამ სტრუქტურის ძირითადი ელემენტი – სახელი (ნომინალური ჯგუფი). ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ოპოზიციაში „მე და ის“, ნაცვალსახელი **ის** სიმბოლურად გულისხმობს ყველა იმ სახელს, რომელიც შეიძლება ფიგურირებდეს ნებისმიერი ტექსტის თემატურ სტრუქტურაში და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, ახდენს ამ არსებით სახელთა **დეტერმინაციას**.

ვფიქრობთ, მხოლოდ ერთი შინაარსობრივი მომენტი დაგვრჩა იმის დასახუსტებლად, თუ ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით როგორი უნდა იყოს ზემოთ ხსენებულ არსებით სახელთა დეტერმინაცია. ამ კითხვაზე პასუხს, ჩვენის აზრით, იძლევა ლოკაციისა და გამჭვირვალობის კატეგორიათა ის ინტერსუბიექტობაზე დაფუძნებული სინთეზი, რომელსაც ძალუქს ხსენებული დეტერმინაციის გამოსატვა უკვე მთელი ტექსტის კოჰეზიური სტრუქტურის გათვალისწინებით.

შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ის რაც ზემოთ ითქვა რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკურ ველზე წარმოადგენს დასახული ამოცანის პირველი ეტაპის განხორციელებას, ანუ ხსენებული ველის კონცეპტუალიზაციას. ამ ეტაპის შემდეგ კი, როგორც ითქვა, აუცილებელია გრაფიკულად გამოვხატოთ ამ კონცეპტუალიზაციის შედეგი. ამ მიზნით წარმოვიდგინოთ მოცემული ველი, როგორც „წრე“, რომელიც შინაგანად სეგმენტირებულია ჩვენს მიერ ფორმულირებული ჰიპოთეზის მიხედვით ე. ი. ხასიათდება ცენტრით, პერიფერიითა და შუალედური სეგმენტით. ვფიქრობთ, ამგვარი „წრე“ შეიძლება გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:



ტექსტის იმ სტრუქტურული მოდელის ფონზე, რომელიც ჩვენს მიერ აგებული იქნა წინა პარაგრაფებში და რომელიც გულისხმობდა ტექსტის ორ განზომილებიან სტრუქტურას, გასაგები უნდა იყოს ის, რომ რეფერენტულობის ველის ეს გრაფიკული გამოსახულება ცენტრისა და პერიფერიის ამგვარი დაპირისპირებით გამოხატავს ტექსტის უკვე ხსენებულ ბიპოლარულ სტრუქტურასაც, ანუ მის შინაგან პოლარიზებას თემატური და კომპოზიციური სტრუქტურების სახით.

თავი III

ნარატიული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა როგორც თეორიული კონსტრუქტი და მისი შეპირისპირებით-ტიპოლოგიური ანალიზი თარგმანის თეორიაზე დაყრდნობით

3.1. ველი, ბადე და მათი ურთიერთმიმართება ნარატიულ მხატვრულ ტექსტში

3.1.1. რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის კვლევის ეტაპების განსაზღვრა

წინა თავში საზგასმით ითქვა, რომ რეფერენციის კვლევა იმ პარადიგმული სიტუაციის მიხედვით, რომელიც აღინიშნება თანამედროვე ლინგვისტიკაში უნდა ხდებოდეს ენობრივი სინამდვილის ორივე დონეზე: სისტემის დონეზე რეფერენცია წარმოდგენილი უნდა იყოს რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიისა და შესაბამისი ველის სახით, ხოლო დისკურსის – და შესაბამისად ტექსტის – დონეზე რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის სახით. აღინიშნა ისიც, რომ რეფერენციის კვლევის ამგვარი მეთოდოლოგიის ადეკვატურობა არა მხოლოდ პასუხობს მოქმედი ლინგვისტური პარადიგმის მოთხოვნებს, არამედ რეფერენციის როგორც კონცეპტის ისტორიული განვითარების შინაგან ვექტორსაც.

წინა თავში ფორმულირებულ თეზისთა შორის ფიგურირებდა თეზისიც, რომლის თანახმად რეფერენციის კვლევის ერთ-ერთ აუცილებელ მეთოდოლოგიურ პრინციპად მიჩნეულ უნდა იქნას ამ ფენომენის ზემოთ ხსენებულ პოლუსთან კორელაციურობა: რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი უნდა აიგოს რეფერენტულობის ბადის როგორც ჰიპოთეტური კონსტრუქტის სრული და უწყვეტი გათვალისწინებით, ხოლო რეფერენტულობის ბადის როგორც კონცეპტის მოდელირებისას ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას რეფერენტულობის ველი.

იმდენად, რამდენადაც მოცემული თავი ძირითადად ეძღვნება რეფერენციის კვლევის იმ ასპექტს, რომელიც ტექსტობრივი ბადის ცნებას ეფუძნება, საჭიროდ მიგვაჩნია ხსენებული ასპექტის კვლევა დაფოთ შემდეგ ეტაპებად:

- 1) პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის სტრუქტურა რეფერენტულობის ველის იმ სტრუქტურაზე დაყრდნობით, რომელიც წარმოდგენილ იქნა წინა თავში;

- 2) იქედან გამომდინარე, რომ თანამედროვე ინტერდისციპლინარული კვლევის, პირველ რიგში კი ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მონაცემთა სინთეზირების ცენტრალური სფეროს სახით ფიგურირებს ქმნადობის პროცესში მყოფი თანამედროვე ნარატოლოგია, საჭიროდ მიგვაჩნია მხატვრული ტექსტის რეფერენტული ბადის ჰიპოთეტური კონსტრუქტი დაკონკრეტებული იქნას ნარატიული ტექსტის თავისებურებათა გათვალისწინებით;
- 3) ნარატიული მხატვრული ტექსტის რეფერენტული ბადის თეორიული კონსტრუქტის ადეკვატურობა ვერიფიცირებულ იქნას ერთი და იგივე ავტორის, სახელდობრ ერნესტ ჰემინგუეის ორი ტიპოლოგიურად განსხვავებული ნარატივის მიხედვით;
- 4) რეფერენტულობის ბადის ამგვარად წარმართულ ნარატოლოგიურ კვლევას მიეცეს ტიპოლოგიურ-შეპირისპირებითი განზომილებაც თარგმანის თეორიაზე დაყრდნობით.

როგორც უკვე ითქვა, ეს ის ეტაპებია, რომლებიც უნდა წარმოადგენდნენ რეფერენციასთან როგორც **ტექსტობრივ ფენომენტთან** უშუალოდ დაკავშირებულ და ექსპლიციტურად დასმულ კითხვებზე პასუხს. ამიტომაც გასაგებია, რომ სწორედ ამ ეტაპთა თანმიმდევრობამ უნდა განსაზღვროს ჩვენი კვლევის მთელი შემდგომი სტრუქტურა.

3.1.2. ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა როგორც თეორიული კონსტრუქტი

როგორც წინა ქვე-პარაგრაფში ითქვა, ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპი ეფუძნება რეფერენციის ობიექტურად არსებული ორი პოლუსის – რეფერენციის ფუნქციურ-სემანტიკური ველისა და რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის – **კორელაციურობას**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ობიექტურად არსებულმა კორელაციამ ანარეკლი უნდა ჰპოვოს კვლევითი პროცესის შემდეგ ორ მომენტში:

- ა) როგორც ველის, ისე შესაბამისი ბადის თეორიული კონსტრუირება უნდა მოხდეს ზემოთ ხსენებული კორელაციურობის უწყვეტი გათვალისწინებით;
- ბ) გათვალისწინების ეს უწყვეტობა უნდა ნიშნავდეს იმასაც, რომ კვლევის პროცესში მუდამ შეიძლება აღმოჩენილ იქნას რეფერენციის როგორც

ენობრივი ფენომენის ახალი ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელი მომენტი თუ ნიშან-თვისება.

სწორედ ამ მეთოდოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ მივმართოთ ლ. ნოზდრინას მონოგრაფიას, რომლის ფარგლებშიც, როგორც უკვა ითქვა, შემოთავაზებულ იქნა ტექსტობრივი ბადის კონცეფცია, რაც, ჩვენის აზრით, საშუალებას მოგვცემს მივუთითოთ ამ მონოგრაფიაში არსებულ და რეფერენციის ფენომენტთან უშუალოდ დაკავშირებულ შინაგან წინააღმდეგობაზე. ეს წინააღმდეგობა, რომლის გადალახვის მცდელობა წარმოადგენდა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ერთ-ერთ მიზანს, მდგომარეობს შემდეგში: ავტორის ზოგადთეორიული პოზიციის თანახმად „ტექსტობრივი ბადეები წარმოიშობიან ფუნქციურ-სემანტიკური ველის კონკრეტულ ტექსტზე პროეცირებისას და წარმოადგენენ ველს მოქმედებაში“ (Ноздрина 2004:53). ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მისაღებია ეს ზოგადთეორიული პოზიცია, მაგრამ ამავე დროს მიუღებელია ის ფაქტი, რომ მხატვრული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურის განხილვისას არამც თუ არ ხდება რეფერენტული ველის პროეცირება ტექსტში, არამედ საერთოდ არც არის ლაპარაკი ასეთ ველზე, რითაც ირღვევა ზემოთ აღნიშნული ზოგადთეორიული პოზიციის თანმიმდევრულად გამოყენების პრინციპი. მაგრამ იმის შემდეგ, რაც ჩვენი ნაშრომის წინა თავში არა მხოლოდ მოვახდინეთ ამგვარი ველის არსებობის პოსტულირება სისტემის დონეზე, არამედ შევეცადეთ გაგვეხორციელებინა ამ ველის კონცეპტუალური და გრაფიკული მოდელირება, შეგვიძლია დაძლეულად მივიჩნიოთ ხსენებული წინააღმდეგობა და მართლაც მოვახდინოთ რეფერენტულობის ველის ჩვენეული მოდელის პროეცირება ტექსტზე.

რეფერენტულობის ველის ტექსტზე პროეცირებისას, ჩვენი აზრით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ორი მომენტი:

- ა) მოცემულ ეტაპზე შეიძლება საქმე გვქონდეს მხოლოდ რეფერენტულობის ბადესთან როგორც თეორიულ კონსტრუქტთან, ამ კონსტრუქტის ტიპოლოგიური კონკრეტიზაციის გარეშე, ანუ იმის გარეშე, რომ დაისვას კითხვა ტექსტის ამა თუ იმ კონკრეტული ტიპის რეფერენტული ბადის თაობაზე;
- ბ) ხსენებული თეორიული კონსტრუქტის აუცილებელ სტრუქტურულ მომენტად მიჩნეულ და გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ფაქტი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა (ისე როგორც ბადის ცნებით ნაგულისხმევი ნებისმიერი ტექსტობრივი სტრუქტურა) რეფერენტული ბადისგან

განსხვავებით უნდა წარმოადგენდეს **სინტაგმატურ** და არა პარადიგმატულ სტრუქტურას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხსენებული ტექსტობრივი ბადე უნდა არსებობდეს არსებობის იმ მოდუსით, რომლითაც არსებობს თვით ტექსტი, ანუ **პროცესუალურად და ტემპორალურად**, ანუ უნდა ხდებოდეს მისი ეტაპობრივი გაშლა ტექსტის ღინიარულ სტრუქტურაში.

ზემოთ ფორმულირებული თეზისის ფონზე შეგვიძლია ზოგადთეორიულ პლანში დავეყრდნოთ ციტირებული მონოგრაფიის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ რა სტრუქტურული პარამეტრებით უნდა ხასიათდებოდეს ესა თუ ის ტექსტობრივი ბადე. იგი ასახელებს ამგვარ ოთხ პარამეტრს:

- 1) **„ბადის შემადგენლობა** – ანუ მისი შემადგენელი ენობრივი ერთეულები, რომლებიც უნდა მივიჩნიოთ ძირითად პარამეტრად იმის გამო, რომ იგი უშუალოდ წარმოადგენს იმ ენობრივ მასალას, რომელიც გამოიყენება ტექსტის აგებისას“;
- 2) **„ბადის სურათი (рисунок сетки)** ანუ პირობითად იმის გრაფიკული გამოსახვა, თუ როგორ ხდება ტექსტის შიგნით (მაგალითად პრეზენსიდან პერფექტზე) ფორმიდან ფორმაზე გადასვლა, ისევე როგორც ამგვარ გადასვლათა წესი და რაოდენობა;
- 3) **გადასვლათა რიტმი**, ანუ ფორმიდან ფორმაზე გადასვლის კანონზომიერება;
- 4) **ბადის განპირობებულობა**, ანუ მისი მახასიათებელთა კავშირი ტექსტის პრაგმატიკასთან, მის ჟანრობრივ თავისებურებებთან” (Ноздрина 2004:53)

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ავტორის მიერ შემოთავაზებული ეს პარამეტრები, მაგრამ მათ გამოყენებას ტექსტობრივი ანალიზის პროცესში ლოგიკურად წინ უნდა უსწრებდეს პრინციპი, რომელიც ზემოთ იქნა ფორმულირებული: ანალიზის პროცესში უნდა ხდებოდეს რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის ჩვენს მიერ აგებული მოდელის ტექსტზე პროექცირება.

უნდა ითქვას, რომ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ვხედავთ წინა აბზაცში განხილულ ორ ამოცანას შორის. ვგულისხმობთ, ერთის მხრივ ლ. ნოზდრინას მიერ შემოთავაზებულ პარამეტრთა გამოყენებას, მეორეს მხრივ კი იმის აუცილებლობას, რომ ტექსტის რეფერენტული ბადის განსაზღვრისა და ანალიზისას უნდა მოხდეს რეფერენტულობის ჩვენს მიერ აგებული მოდელის ტექსტზე პროექცირება. თუმცა ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ყოველი ცალკეული

ტექსტის შემთხვევაში ამ ორი მოდელის შერწყმის პროცესი თავისებურ ხასიათს უნდა ატარებდეს. მაგრამ სამაგიეროდ გვსურს ხაზი გავუსვათ ხსენებულ ავტორთან ჩვენი უთანხმოების მეორე და ვფიქრობთ საკმაოდ პრინციპულ ასპექტს (როგორც გვახსოვს, პირველი ასპექტი მდგომარეობდა იმაში, რომ რეფერენტულობის ბადეზე მსჯელობისას ავტორი არ ითვალისწინებს რეფერენტულობის ველთან მის კორელაციურობას და უფრო მეტიც – საერთოდ არ ლაპარაკობს ამგვარი ველის არსებობაზეც კი). ხსენებული მეორე ასპექტი კი უკავშირდება მხატვრულ, პირველ რიგში ნარატიულ ტექსტში რეფერენტული ბადის სტრუქტურას, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება ჩვენს მიერ ზემოთ დასახულ ამოცანას – დაკონკრეტდეს რეფერენტული ბადის ჩვენს მიერ შემუშავებული თეორიული კონსტრუქტი ნარატიული ტექსტის მიხედვით.

3.2. ნარატიული მხატვრული ტექსტის რეფერენტული ბადე: მისი კონცეპტუალიზაცია და მოდელირება როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა

3.2.1. რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადე და თანამედროვე ნარატოლოგია

ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ ციტირებული ავტორი ლ. ნოზდრინა იზიარებს რა რეფერენციის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის იმ ვექტორის არსებობას, რომლის შესახებ უკვე გვქონდა მსჯელობა ნაშრომის პირველ თავში, ანუ იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით რეფერენცია როგორც ფენომენი აუცილებლად უკავშირდება ტექსტს, ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „დღეს რეფერენციის ცნება უკავშირდება ტექსტს, რადგან სწორედ ტექსტი ახდენს მისი ფუნქციის მაქსიმალურად სრულ გამოვლენას. რეფერენცია განიხილება როგორც აქტუალიზირებულ (ანუ მატყვევებაში ჩართულ) სახელთა, ნომინალურ ჯგუფთა და მათ ექვივალენტთა დაკავშირება სინამდვილის ობიექტებთან, რეფერენტებთან” (Ноздрина 2004:120).

რა თქმა უნდა, მთლიანად ვიზიარებთ ავტორის აზრს, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია ის, თუ როგორ ხდება ხსენებული აზრის აქტუალიზაცია მხატვრულ ტექსტთან მიმართებაში. ლ. ნოზდრინას აზრით, „ტექსტობრივ რეფერენტებს წარმოადგენენ, ან ამგვარ რეფერენტებად იქცევიან მხოლოდ ის საგნები, პირები ან მოვლენები, რომელთა დასახელება რამდენჯერმე ხდება

ტექსტში. ამგვარი დასახელება შეიძლება მოხდეს ან ერთი და იგივე არსებითი სახელის განმეორებით, ან მისი რომელიმე სუბტიტუტის (სინონიმები, ნაცვალსახელები და ა. შ.) საშუალებით. ტექსტობრივ რეფერენტზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ განმეორების, სხვანაირად რომ ვთქვათ რეკურენციის შემთხვევაში. საგნები და მოვლენები, რომლებიც ტექსტში მხოლოდ ერთხელ გვხვდება ვერ იქნებიან მიჩნეულნი ტექსტობრივ რეფერენტებად” (Ноздрина 2004:120-121). როგორც უკვე ითქვა, ჩვენ არ შეგვიძლია კრიტიკის გარეშე მივიღოთ ავტორის ეს პოზიცია. ჩვენს კრიტიკულ მიდგომას კი ვასაბუთებთ შემდეგ მომენტებზე დაყრდნობით:

- ა) პირველი მომენტი ატარებს ზოგადთეორიულ ხასიათს, ანუ უშუალოდ უკავშირდება იმის აუცილებლობას, რომ რეფერენტი უნდა გაიმიჯნოს ისეთი სემანტიკური ცნებებისგან როგორცაა სიგნიფიკატი და დენოტატი: როგორც უკვე ვიცით, ამგვარი გამიჯვნის გარეშე თვით რეფერენციის ცნება კარგავს თავის შინაარსს. როგორ გავიგოთ იმ სახელით ნაგულისხმევი რეალობა – სულერთია იგი მიეკუთვნება რეალურ თუ შეთხზურ სინამდვილეს თუ აღარ ხდება მისი განმეორება ტექსტში? შეიძლება იმის თქმა, რომ იგი მხოლოდ ამ ფაქტის საფუძველზე აღარ არის რეფერენტი და იქცევა დენოტატად? ამ შემთხვევაში რეფერენციის დამფუძნებელ ფაქტორად გვევლინება არა იმდენად თვით ტექსტი, არამედ საგანთა და მოვლენათა ნომინაციის (ან ნომინაციათა) ის სტრუქტურა, რომელსაც ადგილი აქვს მის ფარგლებში. მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა საკუთრივ რეფერენციის, არამედ ტექსტობრივი ნომინაციის პრობლემასთან;
- ბ) მაგრამ ამავე დროს ვფიქრობთ, რომ ავტორის მიერ დაშვებული ეს შეცდომა, თუ ამ შემთხვევაში მართლაც შეგვიძლია შეცდომაზე ვილაპარაკოთ, გარკვეული თვალსაზრისით უკავშირდება ზემოთ უკვე ნახსენებ და, ჩვენი აზრით, კვლავ რეფერენციის კონცეპტუალიზაციის ამოცანასთან დაკავშირებულ შეცდომას – სახელდობრ იმ ფაქტს, რომ ავტორს შესაძლებლად მიაჩნია ილაპარაკოს რეფერენტულობის ბადეზე რეფერენტულობის ველის ხსენების გარეშე.

რა დასკვა შეიძლება გავაკეთოთ ჩვენი კრიტიკული შენიშვნის განსაზღვრის შემდეგ? შეიძლება ვიგულისხმოთ ერთის მხრივ, რომ ჩვენ მიერ არა მხოლოდ დასახელებული და დახასიათებული იქნა ყოველივე ის, რაც ციტირებული ავტორის დაშვებულ „შეცდომად” მივიჩნიეთ, არამედ გადალახულ იქნა კიდევ

შინაგან წინააღმდეგობათა ის სპექტრი, რომლის არსებობა იქცა ჩვენი კრიტიკული მიდგომის საგნად. ამასთან გვსურს ჩვენი ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ რეფერენციის პრობლემის ის ასპექტიც, რომლის შესახებაც არაფერია ნათქვამი ციტირებულ ავტორთან, მაგრამ რომლის ექსპლიციტურად გამოყოფა უნდა იგულისხმებოდეს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების დომინანტური ანუ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმით და იმ ურთიერთმიმართებით, რომელიც უნდა იგულისხმებოდეს ამ პარადიგმასა და იმ პარადიგმას შორის, რომელსაც ჩვენ აქამდე ვეყრდნობოდით რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ინტერპრეტაციისას. ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმას, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის განხილვა. მაგრამ ამ წმინდა პარადიგმული, ანუ თეორიულ-მეთოდოლოგიური მოსაზრების გარდა შეიძლება გამოვთქვათ ის მოსაზრებაც, რომელიც გამომდინარეობს ჩვენი საკუთარი კვლევის უკვე განსაზღვრული ვექტორიდან: როგორც ვიცით, კვლევის დასრულებას ვაპირებთ ისეთ ნარატიულ ტექსტთა რეფერენტული ანალიზით, რომელიც ამავე დროს უნდა დაეყრდნოს თარგმანის ტექსტოცენტრისტულად ორიენტირებულ თეორიას.

ისმის კითხვა: როგორ უნდა მოხდეს რეფერენციის პრობლემის ისეთი ლინგვოკულტუროლოგიური გააზრება, რომ ამ გააზრებამ შეძლოს ერთის მხრივ, აქამდე წარმოებული კვლევის შინაარსობრივი რეზუმირება, მეორეს მხრივ კი მისი გარკვეული თვალსაზრისით დასრულებაც?

ვფიქრობთ, რომ ზემოთ დასმულ კითხვაზე შესაძლებელია გაეცეს შემდეგი პასუხი: რეფერენციის პრობლემისადმი ნარატოლოგიური მიდგომა უნდა მივიჩნიოთ იმ მეთოდოლოგიურ პრინციპად, რომელიც ერთდროულად შინაგანად დაუკავშირდება როგორც ენობრივი ფენომენის კომუნიკაციურ, ისე ლინგვოკულტუროლოგიურ ხედვას – კომუნიკაციურს იმიტომ, რომ მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რეფერენციის ექსპლიციტური და თანმიმდევრული დაკავშირება ტექსტთან, ანუ მისი როგორც „ტექსტობრივი ფენომენის“ განხილვა, ლინგვოკულტუროლოგიურს იმიტომ, რომ ყოველი მხატვრული ნარატიული ტექსტი გარდუვლად უნდა ეკუთვნოდეს არა უბრალოდ მხოლოდ მხატვრულ კულტურას ზოგადი გაგებით, არამედ ამ კულტურის ამა თუ იმ კონკრეტულ პარადიგმას.

იმის შემდეგ, რაც განვახორციელეთ პრობლემის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვის ნარატოლოგიური განსაზღვრა, საჭიროდ მიგვაჩნია ასევე განვსაზღვროთ თვით ნარატოლოგიის არსი – თუმცა, რა თქმა უნდა, არა იმ ზოგად პერსპექტივაში, რომელიც იგულისხმება მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების პარადიგმული განვითარების გათვალისწინებით, არამედ ძირითადად და პირველ რიგში რეფერენციასთან კავშირის თვალსაზრისით.

სწორედ ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია დავახასიათოთ თანამედროვე ნარატოლოგია მის შემდეგ ორ ასპექტზე მითითების საშუალებით: ა) ჯერ მივეუბნოთ მისი გენეზისისა და დისციპლინარული ფუნქციონირების პარადიგმულ საფუძველზე, შემდეგ კი ბ) სქემატურად მაინც შევჩერდეთ მხატვრული ნარატივის იმ ასპექტზეც, რომელიც უშუალოდ და ამავე დროს არსებითად უკავშირდება ჩვენი კვლევის საგანს – რეფერენციას. თანმიმდევრობით განვიხილოთ ნარატოლოგიის ეს ორი ასპექტი:

ნარატოლოგია გენეტიკურ პარადიგმული თვალსაზრისით უკავშირდება ჰუმანიტარულ აზროვნებაში, პირველ რიგში კი ესთეტიკურ აზროვნებაში ამ სიტყვის ფართო გაგებით, კომუნიკაციური პარადიგმის დამკვიდრებას: იგი განისაზღვრება როგორც „ის ლიტერატურათმცოდნეობითი დისციპლინა, რომელიც ჩამოყალიბდა 1960-იანი წლების დასასრულს იმის შედეგად, რაც მოხდა კომუნიკაციურ წარმომადგენელთა პოზიციებიდან ხელოვნების ბუნებაზე სტრუქტურალისტური დოქტრინის გადახედვა” (Ильин 2001:608). სწორედ ამ პარადიგმული გენეზისის საფუძველზე ხსენებულ ენციკლოპედიაში დახასიათებულია ნარატოლოგიის ძირითადი დებულებები: „1) ლიტერატურის კომუნიკაციური ბუნება; 2) მხატვრული კომუნიკაციის აქტის როგორც ისეთი პროცესის გაგება, რომელიც ხდება ერთდროულად რამდენიმე თხრობით დონეზე; 3) დისკურსის პრობლემებისადმი განსაკუთრებული ინტერესი; 4) იმ მრავალრიცხოვან თხრობით ინსტანციათა თეორიული დაფუძნება, რომლებიც ასრულებენ იმ კომუნიკაციური ჯაჭვის რგოლთა როლს, რომლის საშუალებითაც ხდება ავტორისაგან მკითხველისათვის მხატვრული ინფორმაციის გადაცემა...”(Ильин 2001:609). აქედან გამომდინარე, „ლიტერატურის როგორც ნებისმიერი სხვა ხელოვნების კომუნიკაციური ბუნება გულისხმობს: 1. იმ კომუნიკაციური ჯაჭვის არსებობას, რომელიც მოიცავს ინფორმაციის (კომუნიკატის) გადმომცემს ანუ ავტორს; თვით კომუნიკატს (მოცემულ

შემთხვევაში ლიტერატურულ ტექსტს); ინფორმაციის მიმღებს (მკითხველს); 2. ლიტერატურის კომუნიკაციური ბუნება ასევე გულისხმობს კომუნიკაციის ისეთ ნიშნობრივ ხასიათს, რომელიც მოითხოვს ავტორის მიერ გადმოცემული ტექსტის ნიშანთა წინასწარ კოდირებას; 3. მოითხოვს იმასაც, რომ ნიშანთა გამოყენება იყოს განპირობებული ლიტერატურის გარეშე სინამდვილით და რომ ეს განპირობებულობა არ უნდა სცილდებოდეს ამა თუ იმ კულტურული კონტექსტის საზღვრებს” (იქვე).

როგორც ვხედავთ, ნარატოლოგიის ამგვარმა განმარტებამ დაგვანახა არა მხოლოდ ლიტერატურული ტექსტის (მათ შორის მხატვრული ნარატივის) კომუნიკაციური ბუნება, რაც თავისთავად უკვე მნიშვნელოვანია რეფერენციის ფენომენის ნარატოლოგიური ინტერპრეტაციისათვის, არამედ ნარატივის ის კომუნიკაციური სტრუქტურაც (კომუნიკაციურ ინსტანციათა არსებობა), რაც შინაგან და არსებით კავშირში უნდა იყოს რეფერენციის დეიქტიკურ და დეტერმინაციულ ასპექტებთან. აქედან გამომდინარე, უკვე შეგვიძლია იმის თქმა, რომ სავსებით შესაძლებელი იქნება რეფერენციის იმ თეორიული კონსტრუქტის ნარატოლოგიური დაკონკრეტება, რომელიც ჩვენ წინა თავში გვაქვს აგებული.

როგორც ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ გვიჩვენა, ჩატარებულმა კვლევამ შეძლო რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის საკუთრივ **ლინგვისტური** კონცეფციის ძირითადი კონტურების გამოკვეთა: დავადგინეთ, რომ ხსენებულ ფენომენს კორელაციურად უნდა განიხილავენ ორ დონეზე – ენის როგორც სისტემის და ენის როგორც დისკურსის (ტექსტის) დონეზე. ამავე დროს მოხდა იმ კონცეპტუალურ ჩარჩოთა განსაზღვრაც, რომელთა ფარგლებშიც უნდა ხდებოდეს რეფერენციის გააზრება როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში: პირველ შემთხვევაში ამგვარ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს ფუნქციურ-სემანტიკური ველის, მეორე შემთხვევაში კი ტექსტობრივი ბადის ცნება. ასევე მნიშვნელოვანი იყო იმის დადგენაც, თუ როგორ უნდა დაუკავშირდეს რეფერენციის ლინგვისტური კონცეფცია ერთის მხრივ ტექსტის სტრუქტურას მის მთლიანობაში, მეორეს მხრივ კი ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემას, ამ სისტემის პრაგმატიკულად გააზრების თვალსაზრისით.

მაგრამ მიუხედავად რეფერენციის როგორც საკუთრივ ლინგვისტური გააზრების ამგვარი სისრულისა, უნდა ითქვას, რომ ეს გააზრება ძირითადად ხდებოდა ლინგვისტური აზროვნების ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ

პარადიგმაზე დაყრდნობით, (თუმცა ამავე დროს ნაჩვენები იყო ისიც, თუ როგორ ხდება ხსენებული პარადიგმის ფარგლებში წინა პარადიგმის, ანუ სისტემურ-სემიოტიკური პარადიგმის მონაცემებთან ახლებური ინტერპრეტაცია: რეფერენტულობის ველის სტრუქტურაში დეიქსისსმა დაიკავა დომინანტური სტატუსი, თუმცა ამავე დროს ველის ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში იგი ორგანულად დაუკავშირდა დეტერმინაციის კატეგორიასაც).

ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი კვლევის შედეგად შექმნილია რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ზოგადთეორიული მოდელი სისტემურ-სემიოტიკურ და ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმების მონაცემთა სინთეზის საფუძველზე. მაგრამ, როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკაში დომინირებს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, რომელმაც ისევე უნდა მოახდინოს წინა პარადიგმათა საშუალებით მიღწეულ შედეგთა ახლებური ინტერპრეტაცია, როგორც ამას უნდა ახდენდეს კომუნიკაციური პარადიგმა სისტემური პარადიგმის მიმართ. ამის თქმა კი იმასაც ნიშნავს, რომ მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გარკვეული სტრუქტურული სისრულისა (სწორედ ამგვარ სისრულეს გულისხმობს ის ფაქტი, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში რეფერენცია დანახულ იქნა როგორც სისტემის, ისე დისკურს-ტექსტის დონეზე), ჩვენი კვლევა შედეგობრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ პასუხობს იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაციიდან – ეს სიტუაცია კი მოითხოვს იმასაც, რომ უკვე მიღებული შედეგები გააზრებულ იქნას **ლინგვოკულტუროლოგიურად**.

როგორ უნდა იქნას გაგებული რეფერენციის ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიურად გააზრების ეს მოთხოვნა? მოცემულ კითხვაზე ზოგადთეორიულ პლანში გავცემთ შემდეგ პასუხს: ა) როგორც ყველა სხვა შემთხვევაში რეფერენციის ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური გააზრებაც უნდა დაყრდნოს წინა პარადიგმის მონაცემებს; ბ) თვით ლინგვოკულტუროლოგიური გააზრების ამოცანა მოითხოვს მის (ანუ ამ ამოცანის) დაკონკრეტებას იქედან გამომდინარე, რომ კულტურა წარმოადგენს მრავალგანზომილებიან ფენომენს, შესაბამისად ისმის კითხვა: რომელია კულტურის ის განზომილება, რომელსაც დომინანტურობის სტატუსი უნდა მიენიჭოს რეფერენციის კვლევის პროცესში? გ) და იმ შემთხვევაში, თუ გვექნება პოზიტიური პასუხი წინა პუნქტში დასმულ კითხვაზე, აუცილებელი გახდება ამ

პასუხის დაკონკრეტება იმ **ენობრივი ემპირიის** გათვალისწინებით, რომელმაც ინდუქციურად უნდა დაადასტუროს ჩვენს მიერ დედუქციური გზით მიღებულ შედეგთა ადეკვატურობა.

3.2.2. კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტი უკვე მიღებულ შედეგთა ახლებური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით

- ა) როგორც არ უნდა დაგაკონკრეტოთ კულტურის ის განზომილება, რომელიც უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს რეფერენციის ჩვენს მიერ აგებულ კონცეფციას, ცხადია შემდეგი: რეფერენციის ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიურმა ხედვამ უნდა მოახდენოს ხსენებული ფენომენის ორივე პოლარული ასპექტის – რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველისა და რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის – კულტუროლოგიური ინტერპრეტაცია. ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ამგვარი ახლებური ინტერპრეტაციის შემთხვევაში მთავარი იქნება ხსენებულ პოლუსებს შორის კორელაციურობის როგორც პრინციპის დაცვა;
- ბ) ზემოთ დასმულ მეორე კითხვაზე პასუხი უნდა გამომდინარეობდეს ერთდროულად როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის უკვე ზოგადად არსებული ვექტორით, ისე თვით ჩვენი კვლევის თეორიული ვექტორიდანაც და შესაბამისად უნდა გულისხმობდეს შემდეგს: კულტურის ის განზომილება, რომელსაც უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს რეფერენციის ჩვენეული კონცეფცია, უნდა იყოს მისი **ესთეტიკურ-მხატვრული** განზომილება და თუ გავითვალისწინებთ იმ ფუძემდებელ ფაქტსაც, რომ ჩვენ ვიკვლევთ რეფერენციას როგორც ვერბალურ ფენომენს, შესაბამისად კულტურის მხატვრულ-ესთეტიკური განზომილებაც ჩვენს შემთხვევაში უნდა დაკონკრეტდეს როგორც **ვერბალური მხატვრული ტექსტის** სფერო;
- გ) როგორც უკვე აღნიშნული იქნა, დაკონკრეტებას – როგორც ზოგადად არსებული, ისე ჩვენი კვლევით გამოვლენილი ვექტორის მიხედვით – მოითხოვს ის კონკრეტული ენობრივი ემპირიაც, რომელმაც უნდა მოახდინოს უკვე მიღებულ თეორიულ დასკვნათა ვერიფიკაცია. მაგრამ, ჩვენის აზრით, ამ დაკონკრეტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ორი ურთიერთდაკავშირებული კვლევითი მომენტი: ა) ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაკონკრეტების ერთიანი პროცესის დასკვნით სტადიასთან უნდა ნიშნავდეს შემდეგს: იგი უნდა ატარებდეს **სინთეზურ** ხასიათს; ბ) მაგრამ ამავე

დროს სწორედ ეს სინთეზურობა მისი თანმიმდევრულად რეალიზაციის შემთხვევაში უნდა გულისხმობდეს თეორიულ და ემპირიულ მომენტთა მაქსიმალურად შესაძლებელ შერწყმას. რას უნდა ნიშნავდეს თეორიულ და ემპირიულ მომენტთა მსგავსი შერწყმა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შემდეგ პარაგრაფში შევეცდებით.

3.3. რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ტექსტობრივი ხედვა და ამ ხედვის მრავალასპექტურობა: პრობლემის ნარატოლოგიური, ტიპოლოგიური და მთარგმნელობით-თეორიული ასპექტები

რეფერენციის თეორიული არსის დადგენის შემდეგ, ანუ იმ თეორიული ამოცანის შესრულების შემდეგ, რომელსაც მიექდვნა ჩვენი კვლევა უნდა დაისვას რეფერენციის როგორც ტექსტობრივი ფენომენის ფუნქციურ-სტილისტური და ჟანრობრივი ტიპოლოგიის აგების პრობლემა. მაგრამ, ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ მსგავსი პრობლემის დასმისა და გადაჭრის ამოცანა შინაარსობრივიდაც და მეთოდოლოგიურადაც სცილდება ჩვენი კვლევის ლოგიკით განპირობებულ ფარგლებს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ კვლევის დასასრულს გამართლებული და საკმარისი იქნება, თუ ჩავატარებთ ჩვენს მიერ თეორიულად გამოკვლეული ფენომენის ინდუქციურ-ემპირიულ კვლევას მხოლოდ შემდეგი მიზნით: საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ რეფერენციის საკუთრივ ტექსტობრივი კვლევის იმ ასპექტებზე, რომლებიც სწორედ თეორიულ პლანში **ლოგიკურად** წინ უსწრებენ თვით მოცემული ფენომენის (რეფერენციის) ფუნქციურ-სტილისტურ და ჟანრობრივ ტიპოლოგიზაციას. ეს ასპექტებია:

1. რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი ენობრივ უნივერსალიათა თეორიის მიხედვით;
2. რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი ენათა ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით;
3. რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით;
4. რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი ნარატოლოგიური თვალსაზრისით;

5. რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი თარგმანის ტექსტო-ცენტრისტული თეორიის თვალსაზრისით.

ვფიქრობთ, რეფერენციის კვლევასთან დაკავშირებული ეს ხუთი ასპექტი ერთობლივად წარმოადგენს როგორც დედუქციის, ისე ინდუქციის მეთოდებთან ერთნაირად დაკავშირებულ იმ შუალედურ კვლევით სფეროს, რომლის ფორმულირება აუცილებელი ხდება ჩვენს მიერ შესრულებული ამოცანის შემდეგ და რომელიც ამავე დროს წინ უნდა უსწრებდეს რეფერენციის ტიპოლოგიურ კვლევას ფუნქციურ-სტილისტური და ჟანრობრივი თვალსაზრისით.

ამავე დროს აუცილებლად მიგვაჩნია ითქვას შემდეგიც: ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ხსენებული შუალედური სფეროს დეტალური განხილვა. გესურს მხოლოდ პრინციპული მინიშნების გზით მივუთითოთ იმ ადგილზე და მნიშვნელობაზე, რომელიც ამ კვლევით სფეროს უნდა ჰქონდეს რეფერენციის სისტემურად სრული კვლევის ფარგლებში. მაგრამ ამავე დროს, ჩვენის აზრით, სწორედ ამგვარი მინიშნების თეორიული კორექტულობით განხორციელება მოითხოვს შემდეგი ორი ამოცანის მჭიდრო ურთიერთკავშირში დასმას და შესრულებას: ა) მოხდეს ზემოთ დასმული ხუთი პრობლემის ისეთი თეორიულ-ლოგიკური ურთიერთდაკავშირება, რომ ნათლად გამოიკვეთოს ზემოთ დასახელებული შუალედური სფეროს კონცეპტუალური არსი; ბ) მოხდეს ამგვარად გამოკვეთილი თეორიულ-ლოგიკური ურთიერთკავშირის ინდუქციური ვერიფიცირება ლინგვოკულტუროლოგიურად მნიშვნელოვან ნარატიულ მასალაზე.

რაც შეეხება პირველ ამოცანას, მისი როგორც ფორმულირება, ისე შესრულება გულისხმობს შემდეგს: ნებისმიერი მხატვრული, პირველ რიგში კი მხატვრული ნარატიული ტექსტი თავის ემპირიულ სტრუქტურაში სინთეზური სახით უნდა შეიცავდეს რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის არსებობისა და ფუნქციონირების ყველა ხსენებულ პრობლემას იქედან გამომდინარე, რომ ხსენებული ემპირიული სტრუქტურა ვერ შედგებოდა შემდეგ ენობრივ ფენომენტა ურთიერთგანპირობებულობის გარეშე;

1. ყოველი ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და მათ შორის რეფერენციის კატეგორიაც უნდა წარმოადგენდეს ამა თუ იმ ენობრივი უნივერსალის კონკრეტულ ენობრივ რეალიზაციას;

2. ყოველი ამგვარი კატეგორია და მათ შორის რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიაც გარდუვალად უნდა ბადებდეს შესაბამის, ანუ ამ შემთხვევაში რეფერენციის ფუნქციურ-სემანტიკურ ველს;
3. დისკურსის ყოველი აქტი უნდა ბადებდეს ტექსტს როგორც იმ ტექსტობრივ ბადეთა ერთობლიობას, რომელიც უნდა წარმოადგენდეს შესაბამის ფუნქციურ-სემანტიკურ ველთა აქტუალიზაციას: შესაბამისად, ყოველი ტექსტი თავის ემპირიულ სტრუქტურაში უნდა შეიცავდეს ამგვარი საფეხურებრივი თანმიმდევრობით დაკონკრეტებულ რეფერენტულობის ბადეს;
4. რეფერენტული ბადის მქონე ყოველი ტექსტი უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ ზოგადად ენობრივი სისტემის, არამედ ენის გარკვეული ფუნქციური სტილის აქტუალიზაციას. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული ტექსტის რეფერენტული ბადე უნდა იყოს ფუნქციურ-სტილისტურად მარკირებული;
5. ყოველი რეფერენტული ბადის შემცველი ტექსტი გარდუვალად უნდა ეკუთვნოდეს არა მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტულ ენას და არა მხოლოდ ამ ენის კონკრეტულ ფუნქციურ სტილს, არამედ მოცემულ ენასთან ფუნქციურად და სტრუქტურულად დაკავშირებულ კულტურასაც. შესაბამისად, ნებისმიერი ტექსტის რეფერენტულობის ბადე გარდუვალად მარკირებულია კულტურულადაც;
6. ყოველი მხატვრული ნარატივის ფარგლებში კულტურულად მარკირებული რეფერენტულობის ბადე ფუნქციონირებს ორი კომუნიკაციური ინსტანციის დონეზე – როგორც ავტორისა და მკითხველის, ისე პერსონაჟთა შორის კომუნიკაციურ დონეებზე.

3.4. რეფერენციის პრობლემა ენობრივ უნივერსალიათა და ენათა ტიპოლოგიის თვალსაზრისით

შეიძლება ითქვას, რომ რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ ფენომენის უნივერსალური სტატუსი: შეუძლებელია რეფერენცია არ მივიჩნიოთ ენობრივ უნივერსალიად შემდეგი ფაქტებიდან გამომდინარე: ა) შეუძლებელია არსებობდეს ენა ნომინალური ჯგუფის ან იმ ენობრივ ელემენტთა გარეშე, რომლებსაც ძალუძს ამ ჯგუფის ფუნქციის შესრულება. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეუძლებელია არსებობდეს ენა ნომინაციის ფენომენის გარეშე.

ნომინაციის ფუნქციის შემსრულებლად კი პირველ რიგში გვევლინება სწორედ ნომინალური ჯგუფი; ბ) ასევე შეუძლებელია არსებობდეს ენა იმ დონეებრივი სტრუქტურის გარეშე, რომელსაც გულისხმობს ნომინაციის ფენომენი, რომელიც ვლინდება ენის როგორც მთლიანი ნიშნობრივი ფენომენის დიქტომიურ სტრუქტურაში: როგორც ჩვენმა კვლევამაც გვიჩვენა, სახელის სემანტიკა არსებობს სამ დონეზე – როგორც სიგნიფიკატი, როგორც დენოტატი და როგორც რეფერენტი. შესაბამისად ყოველი რეფერენტი სიგნიფიკატისა და დენოტატისაგან განსხვავებით წარმოადგენს, ერთის მხრივ ტექსტობრივ ფენომენს, მეორეს მხრივ კი სიგნიფიკატისა და დენოტატის ტექსტობრივ დაკონკრეტებას.

როგორც ვხედავთ, რეფერენცია უნდა წარმოადგენდეს ენობრივ უნივერსალიას არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არსებითად უკავშირდება ნომინალურ ჯგუფს, არამედ იმიტომაც, რომ ნომინალური ჯგუფის სემანტიკა ორგანულად გულისხმობს ენის დიქტომიას.

მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ენობრივ უნივერსალიათა თეორია განუყოფელია ენათა ტიპოლოგიისაგან. თუმცა ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას ამ ორ თეორიას შორის ურთიერთდამოკიდებულების შემდეგი თავისებურებას: როგორც ლინგვისტური ლიტერატურაში აღინიშნება, „ლინგვისტური ტიპოლოგიის უპირველეს ამოცანას შეადგენს უნივერსალიების გამოვლენა“ (გამყრელიძე 2003:401) – ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნივერსალიათა სისტემის დადგენა ტიპოლოგიის ფარგლებში ხდება. მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ შეუძლებელი იქნებოდა ენათა შორის ტიპოლოგიურ განსხვავებაზე ლაპარაკი იმ აუცილებელი ფონის გარეშე, რომელსაც წარმოადგენს უნივერსალიათა სისტემა. შეიძლება, ალბათ, ითქვას, რომ ლოგიკურად უნივერსალიათა სისტემა წინ უსწრებს ტიპოლოგიურ განსხვავებათა სისტემას, თუმცა ისტორიულად ენათა ტიპოლოგიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა უნივერსალიების აღმოჩენა და კვლევა.

რატომ გახდა საჭირო ზემოთ მოყვანილი თეორიული მსჯელობა? ვფიქრობთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამით საბუთდება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა: პირველი ორი თავის ფარგლებში ჩვენი კვლევა ატარებდა, როგორც უკვე ვიცით, დედუქციურ ხასიათს. კვლევისადმი სწორედ ასეთმა მიდგომამ მოგვცა იმის საშუალება, რომ გვემსჯელა რეფერენციაზე როგორც ენობრივ უნივერსალიაზე, ბუნებრივია კვლევის იმ ასპექტთა

გათვალისწინებით, რომლებსაც გულისხმობს ენის დიქტომიურობა, ჩვენ ასევე ვილაპარაკეთ როგორც რეფერენტულობის პარადიგმულ ველზე, ისე რეფერენტულობის ტექსტობრივ ბადეზე.

იმისათვის, რომ მოცემულ თავში რეფერენციის კვლევა მოხდეს უკვე ენობრივ უნივერსალიათა და ენათა ტიპოლოგიის დონეზე და კვლევის ამ შუალედურ სეგმენტზე დაყრდნობით მივუახლოვდეთ მოცემული ფენომენის განხილვის ინდუქციურ დონეს, საჭიროდ მიგვაჩნია დავეყრდნოთ ენობრივი უნივერსალიისა და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ ენობრივი ტიპის ცნებებს. როგორც ცნობილია, „უნივერსალია ისეთი სტრუქტურული ნიშან-თვისებაა, რომელიც დამახასიათებელია უკლებლივ ყველა ენის ან ენათა დიდი უმრავლესობისთვის მაინც. უნივერსალიას, რომელიც დამახასიათებელია უკლებლივ ყველა ენისათვის, ეწოდება **აბსოლუტური უნივერსალია**, ხოლო უნივერსალიას, რომელიც დამახასიათებელია ენათა უმრავლესობისთვის, სტატისტიკური უნივერსალია, ანუ კვაზი-უნივერსალია ეწოდება” (იქვე). როგორც ვხედავთ, ჩვენს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს იმის გადაწყვეტა, თუ უნივერსალიათა რომელ ჯგუფს უნდა მივაკუთნოთ რეფერენცია – აბსოლუტურ თუ სტატისტიკურ უნივერსალიათა, ანუ კვაზი-უნივერსალიათა სახეობებს. იქედან გამომდინარე, რაც აქამდე, დედუქციური მსჯელობის მიხედვით, ითქვა რეფერენციის ფენომენზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისი სახით საქმე გვაქვს აბსოლუტურ უნივერსალიასთან, ანუ ისეთ უნივერსალიასთან, რომელმაც როგორც ფუნქციურად, ისე სტრუქტურულად დაკონკრეტება უნდა ჰპოვოს ენის კონკრეტულ ტიპში. მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ ყოველი კონკრეტული ენის ტიპი შეიძლება არსებობდეს ორ დონეზე – სისტემის დონეზე და დისკურსის დონეზე, რაც რეფერენციის კვლევის შემთხვევაში გარდუვალად უნდა ნიშნავდეს შემდეგს: რეფერენცია ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენებში უნდა არსებობდეს, ერთის მხრივ, სტრუქტურულად განსხვავებული რეფერენტული ველებისა, მეორეს მხრივ კი რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადეების განსხვავებული სახით.

3.5. რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი თარგმანის ტექსტოცენტრისტული თეორიის თვალსაზრისით

მოცემული თავის მესამე პარაგრაფში განვსაზღვრეთ რეფერენციის კვლევის ინდუქციური, ანუ უკვე ემპირიულ მასალაზე დაფუძნებული ცნება როგორც შემდეგი ხუთი ამოცანის ერთობლიობა: 1) რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი ენობრივ უნივერსალიათა თეორიის, 2) ენათა ტიპოლოგიური კვლევის, 3) ლინგვოკულტუროლოგიური, 4) ნარატოლოგიური და 5) თარგმანის ტექსტოცენტრისტული თეორიის თვალსაზრისით. მაგრამ აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ორი ურთიერთდაკავშირებული კვლევითი მომენტი: ა) უმეტესობა აქ დასახელებულ ამოცანათა შორის უკვე განხილული და თეორიული თვალსაზრისით შესრულებული გვაქვს კვლევის წინა ეტაპებზე და ბ) მოცემული თავის მიზანი უნდა იყოს წარმოადგინოს მთელი უკვე ჩატარებული კვლევის დასკვნითი და შესაბამისად **მარეზუმირებელი** ნაწილი. აქედან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ შესაბამისი ემპირიული მასალის ანალიზი ძირითადად უნდა დაეყრდნოს იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომელსაც თავის ფუნქციურ არსში ძალუქს მოახდინოს ყველა დანარჩენი თვალსაზრისის თავის თავში ინტეგრირება. ასეთ მიდგომად უნდა მივიჩნიოთ მთარგმნელობითი მიდგომა და, შესაბამისად, მივუთითოთ ამ მიდგომის შემდეგ ასპექტებზე:

- ა. იმისათვის, რომ მთარგმნელობითმა მიდგომამ შეასრულოს ის მარეზუმირებელი და მაინტეგრირებელი ფუნქცია, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, იგი უნდა დაეფუძნოს თარგმანის თანამედროვე **ლინგვისტურ თეორიას**. როგორც ვიცით, თარგმანი გულისხმობს ამა თუ იმ ტექსტის ერთი ენიდან მეორე ენის სისტემაში გადაყვანას. ამგვარი ამოცანა კი – თუ მას ექსპლიციტურად გავიაზრებთ – შეუძლებელი იქნებოდა ენობრივ უნივერსალიათა და ენათა ტიპოლოგიის გვერდის ავლით, სულერთია ხდება ხსენებულ ასპექტთა გამოყენება იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად;
- ბ. იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის თვალსაზრისით ენის უმაღლეს დონეებრივ ერთეულს როგორც სტრუქტურული, ისე კომუნიკაციური თვალსაზრისით წარმოადგენს **ტექსტი**, თარგმანის თანამედროვე ლინგვისტური თეორიაც ატარებს ტექსტზე ორიენტირებულ, ანუ **ტექსტოცენტრისტულ** ხასიათს, რასაც პრინციპული მნიშვნელობა უნდა

ჰქონდეს რეფერენციის კვლევის პროცესში: როგორც დაგადინეთ, თანამედროვე ლინგვისტიკაში რეფერენტად მიჩნეულია ნომინალური ჯგუფის ის ასპექტი, რომელიც სიგნიფიკატისა და დენოტატისაგან განსხვავებით ვლინდება და ფუნქციონირებს სწორედ ტექსტში;

გ. მიგვაჩნია, რომ ტექსტის ის ტიპი, რომლის ანალიზი ადეკვატურად გამოავლენდა რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ფუნქციურ არსს ყველა შესაძლო დონეზე, (გულისხმობთ რეფერენციას როგორც უნივერსალიას, რეფერენციის ფუნქციონირებას ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენებში, რეფერენციის როგორც მეტაკატეგორიის შიდა სტრუქტურას და ა. შ.) უნდა ეკუთვნოდეს **ნარატიულ** ტექსტთა კატეგორიას, რადგან, როგორც უკვე ვიცით, სწორედ ნარატივი შეიცავს ისეთ კომუნიკაციურ ინსტანციებს, რომელთა არსებობა და ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა როგორც ზოგადად ნომინალურ ჯგუფთა „მონაწილეობის“, ისე ამ ჯგუფთა შორის იმ სინტაქტიკური კავშირის გარეშე, რომელსაც გულისხმობს ტექსტობრივი კოჰეზიის ცნება;

დ. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია მთარგმნელობითი მიდგომის ის მომენტიც, რომელიც რელევანტურია ჩვენი კვლევის **მეთოდოლოგიური ასპექტით**: როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკის დომინანტურ პარადიგმას წარმოადგენს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ანალიზს უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ტექსტოცენტრისტული, არამედ კულტუროცენტრისტული ხასიათი, რაც შემდეგს გულისხმობს: ის შიდა კატეგორიალური სტრუქტურა, რომლითაც ხასიათდება რეფერენცია როგორც მეტაკატეგორია, დეტერმინირებულ უნდა იყოს არა მხოლოდ ენობრივად, არამედ **კულტურულადაც**, რაც თავისთავად უნდა ვლინდებოდეს ნარატივის განსხვავებულ კომუნიკაციურ დონეზე – როგორც იმ დონეზე, რომლითაც განისაზღვრება მთხრობელისა და მკითხველის მიმართება ამა თუ იმ კულტურულ სივრცესთან, ისე პერსონაჟთა შორის კომუნიკაციური მიმართების დონეზეც. რა თქმა უნდა, რეფერენცია, როგორც სახელის ტექსტობრივი ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობა, შინაგანად ერთიან ხასიათს ატარებს, მაგრამ მის ფარგლებში როგორც დეიქსისი, ისე დეტერმინაცია ფუნქციურად კონკრეტდება როგორც საკუთრივ ტექსტობრივი, ისე კულტურული სივრცის გათვალისწინებით.

ტექსტის მთარგმნელობითი ანალიზი, რომლის მიზანი უნდა იყოს მისი რეფერენტული ბადის გამოვლენა, გულისხმობს, რა თქმა უნდა, ყველა ზემოთ ხსენებული ასპექტის გათვალისწინებას. მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ, შეიძლება ითქვას, ყველა ეს ასპექტი მეტი თუ ნაკლები სისრულით უკვე განხილული გვაქვს ჩვენი კვლევის თეორიულ ეტაპებზე. აქედან გამომდინარე, ექსპლიციტური სახით მოგვიხდება შევეხოთ მხოლოდ თარგმანის ლინგვისტური თეორიის იმ ასპექტებს, რომელთა წინასწარი ფორმულირების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რეფერენციასთან დაკავშირებული მთარგმნელობითი ანალიზი.

ზემოთ ხსენებულ რელევანტურ ასპექტებს გამოვეყოფთ შემდეგი მოსაზრების გათვალისწინებით: მთარგმნელობითი ანალიზის დროს ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ გამოიყურება ამოსავალ და თარგმნილ ტექსტებში რეფერენცია როგორც ენობრივი უნივერსალია. მაგრამ რა სახის (და რა დონის) ტიპოლოგიურ განსხვავებასთანაც არ უნდა გვქონდეს ამ შემთხვევაში საქმე, უცვლელი რჩება შემდეგი ფაქტი: ნებისმიერ შემთხვევაში რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი თან ახლავს **სახელს** (ნომინალურ ჯგუფს). ეს უკანასკნელი კი გარდუვალად მიეკუთვნება **ენის ლექსიკურ სისტემას**. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში მთარგმნელობითი ასპექტი უნდა ატარებდეს რეფერენციაზე ორიენტირებული ლექსიკური ანალიზის ხასიათს. ნათქვამის გათვალისწინებით შევეხებით თარგმანის თეორიის ზოგადთეორიული ასპექტებსაც და ამ მიზნით დავეყრდნობით ი. ზეინაბიშვილის მიერ ჩატარებულ კვლევას. ხსენებული ავტორი ამ ზოგადთეორიულ ასპექტებს განიხილავს შემდეგი თანმიმდევრობით:

1) ავტორი აღნიშნავს რომ „თარგმნის პროცესში მონაწილეობს არა მარტო ორი ტექსტი (ამოსავალი და თარგმნილი), არამედ ორი ენაც (თარგმანის ორტექსტოვნება და ორენოვნება ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული), აქედან გამომდინარე თარგმნილი ტექსტის ლექსიკური სემანტიკაც უნდა გავიგოთ როგორც ორი ენისა და ორი ტექსტის ურთიერთმიმართება” (ზეინაბიშვილი 2004:39). როგორც ვხედავთ, ტექსტთა ლექსიკური ანალიზი აუცილებლად გულისხმობს ენათა ტიპოლოგიურ ანალიზსაც – ამ შემთხვევაში **ლექსიკურ** დონეზე. ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ ჩვენს კვლევით კონტექსტში ანალიზის ლექსიკური დონე პირველ რიგში გულისხმობს რეფერენციის თანმიმდევრულ გათვალისწინებას;

2) არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩვენის აზრით, ის ფაქტიც, რომ ავტორს მთარგმნელობითი ანალიზი ესმის არა მხოლოდ ტექსტოცენტრისტულად, არამედ კულტუროცენტრისტულადაც და ამის შესახებ იგი წერს: „აუცილებლად მიგვაჩნია იმის გათვალისწინებაც, რომ არ არის საკმარისი გავიგოთ თარგმანი (პირველ რიგში კი – მხატვრული თარგმანი) როგორც დინამიური მიმართება ორ ტექსტსა და ორ ენას შორის. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თარგმანი (პირველ რიგში კი – მხატვრული თარგმანი) მუდამ წარმოადგენს მიმართებას ორ კულტურას შორის: ერთი კულტურის წარმომადგენელია ორიგინალური ტექსტის ავტორი, მეორესი კი – თარგმნილი ტექსტის ავტორი, ანუ მთარგმნელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მხატვრული თარგმანი შეიძლება გავიგოთ როგორც ისეთი მრავალგანზომილებიანი ფენომენი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს ინტერდისციპლინარულ კვლევას. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მხატვრული თარგმნის კვლევისათვის აუცილებელი გახდა ლინგვისტურ დისციპლინათა მთელ სპექტრზე დაყრდნობა – ეს იყო ლექსიკოლოგია, პრაგმატიკა და თარგმნის ლინგვისტური თეორია. მაგრამ ჩვენი მსჯელობის ამ ეტაპზე ჩვენ ჯერ კიდევ ვიმყოფებით (ფართოდ გაგებულ) ლინგვისტიკის ფარგლებში. მაგრამ თუ თარგმანს გავიგებთ როგორც არა მხოლოდ ენობრივ, არამედ როგორც კულტურულ ფენომენსაც, მოგვიწევს გავცდეთ თვით ფართოდ გაგებულ ლინგვისტიკის ფარგლებსაც: კვლევა მიიღებს დღეისათვის აქტუალურ იმ მიმართულებას, რომელსაც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა ეწოდება” (იქვე);

3) თავისი მთარგმნელობითი მიდგომის განხორციელებისას ავტორი ეყრდნობა თარგმანის ლინგვისტური თეორიის ისეთ ცნებას, როგორცაა „მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების” ცნება და ამ მიზნით ახდენს ხსენებული თეორიის ისეთი წარმომადგენლის ციტირებას როგორცაა ლ. ბარხუდაროვი, რომელიც გვთავაზობს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის შემდეგ ტიპებს: „გადადგილება, ჩანაცვლება, დამატება, გამოტოვება” (Бархударов 1975:190). რა თქმა უნდა, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ეს ტიპოლოგია შემუშავებულია ტექსტის საკუთრივ ლექსიკური ასპექტის და რეფერენტული ასპექტის გათვალისწინების გარეშე. ბუნებრივია, ჩვენი ანალიზის პროცესში მხედველობაში მივიღებთ ამ მომენტს და შევეცდებით მოვახდინოთ ამ ტიპოლოგიის ფუნქციურ-შინაარსობრივი „მისადაგება” ჩვენი კვლევითი ამოცანისადმი.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ შეგვიძლია, ტექსტოცენტრიზმზე დაფუძნებულ შეპირისპირებით-მთარგმნელობით ანალიზს მივანიჭოთ მთელი ჩვენი კვლევისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი ფუნქცია: ა) კვლევის ძირითადად დედუქციური, ანუ, რაც თითქმის იგივია თეორიული ასპექტიდან **ინდუქციურ**, ანუ ემპირიულ ასპექტზე გადასვლის ფუნქცია და ბ) ამავე დროს ფუნქცია, რომელიც უნდა გულისხმობდეს რეფერენციასთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემურ ასპექტთა ხედვის ერთ ფოკუსში მოქცევას როგორცაა ამ ფენომენის უნივერსოლოგიური და ტიპოლოგიური ასპექტები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ „დატვირთვას“ იძენს კითხვა: როგორი უნდა იყოს მთარგმნელობით-შეპირისპირებითი ანალიზის ჩვენეული მეთოდი, თუ გვსურს, რომ ამ ანალიზმა მთლიანად შეასრულოს მასზე ამგვარად დაკისრებული მეთოდოლოგიური ფუნქცია?

ვფიქრობთ, მოცემულ კითხვაზე უნდა გაეცეს შემდეგი პასუხი: მთარგმნელობითი შეპირისპირების გამოყენებისას საყრდენ როგორც თეორიულ, ისე ანალიტიკურ მონაცემად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტი: რა თქმა უნდა, ჩვენი საკვლევი ფენომენი – რეფერენცია – ორგანულად უკავშირდება ენის ლექსიკურ ასპექტს (თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერი სახელი ინტეგრირებულია ლექსიკურ სისტემაში), მაგრამ ამავე დროს არ წარმოადგენს ლექსიკურ ფენომენს: იგი, შეიძლება ითქვას, მიეკუთვნება სემიოტიკურად განსაზღვრული სინამდვილის იმ დონეს, რომელიც მთლიანობაში საფუძვლად უდევს როგორც ლექსიკას, ისე გრამატიკას. აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ტექსტობრივი რეფერენციის ყოველი ცალკე აღებული შემთხვევა შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას ორნაირი თვალსაზრისით – როგორც ტიპოლოგიურად, ანუ ამოსავალი და „მთარგმნელი“ ენის ტიპოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ისე **ტექსტოლოგიურად**, ანუ ტექსტის როგორც კომუნიკაციური მთლიანის კოჰეზიური სტრუქტურის გამოდინარე. პირველი თვალსაზრისით ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ლინიარული გაგებით ამოსავალი ტექსტის რომელ საფეხურზე ან რომელ რგოლში ვიმყოფებით, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე თვალსაზრისით აუცილებლად მიგვაჩნია მთლიანი ტექსტის როგორც ერთიანი კოჰეზიური სტრუქტურის გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, ერთდროულად ვეყრდნობით ამ ორივე მოსაზრებას და ამავე დროს ტექსტის ლინგვისტიკის იმ დებულებასაც, რომ ტექსტი – პირველ რიგში კი ნარატიული წერილობითი ტექსტი – სტრუქტურული თვალსაზრისით **აბზაცებად** იყოფა,

ყოველი აბზაცი კი გარკვეული გაგებით შინაარსობრივ-სტრუქტურული თვალსაზრისით მეტად თუ ნაკლებად დასრულებულ სეგმენტს წარმოადგენს.

მხედველობაში ვიღებთ რა ყოველივე ზემოთ ნათქვამს, ვირჩევთ შეპირისპირებით-მთარგმნელობითი ანალიზის შემდეგ მეთოდს: ანალიზს ვყოფთ ორ ანალიტიკურ სეგმენტად – ჯერ თანმიმდევრულად გაგანალიზებთ, ბუნებრივია რეფერენტული თვალსაზრისით, ტექსტის შემადგენელ აბზაცებს და ამ ანალიზს გამოვიყენებთ იმ დასკვნებისთვის, რომელთა გაკეთების საშუალებას ეს აბზაცები იძლევიან, შემდეგ კი შევეცდებით აბზაცთა მთელი ერთობლიობა გავითვალისწინოთ იმისთვის, რომ სქემატურად მაინც მოვხაზოთ ტექსტის როგორც მთლიანის რეფერენტული ბადის კონტურები. ანალიზის ორივე საფეხურისათვის გამაერთიანებელ მომენტს უნდა წარმოადგენდეს მის ფარგლებში რეფერენციის საკუთრივ ენობრივ და კულტურულ მომენტთა ერთობლივად გათვალისწინება. ანალიზის ობიექტად ვაქცევთ ე. ჰემინგუეის მოთხრობას “Cat in the Rain” და მის თარგმანს ქართულ ენაზე (თარგმანი თ. ჩხენკელისა).

აბზაცი 1) 1) There were **only two Americans** stopping **at the hotel**. 2) They did not know **any of the people** they passed **on the stairs on their way to and from their room**. 3) **Their room** was on **the second floor** facing **the sea**. 4) It also faced **the public garden** and **the war monument**. 5) There were **big palms** and **green benches** in **the public garden**. 6) In **the good weather** there was always **an artist** with **his easel**. 7) **Artists** liked **the way the palms** grew and **the bright colors** of **the hotels** facing **the gardens** and **the sea**. 8) **Italians** came from **a long way** off to look up at **the war monument**. 9) It was made of bronze and glistened in **the rain**. 10) It was raining. 11) **The rain** dripped from **the palm trees**. 12) **Water** stood in **pools** on **the gravel paths**. 13) **The sea** broke in **a long line** in **the rain** and slipped back down **the beach** to come up and break again in **a long line in the rain**. 14) **The motor cars** were gone from **the square** by **the war monument**. 15) Across **the square** in **the doorway** of **the café** a waiter stood looking out at **the empty square**.

1)სასტუმროში მხოლოდ ორნი იყვნენ ამერიკელები. 2) არავის არ იცნობდნენ, ვისაც თავის ოთახში შესვლისას ან გამოსვლისას კიბეზე ხვდებოდნენ. 3) ამერიკელების ოთახი მესამე სართულზე იყო, ზღვისკენ. 4) ოთახი სახალხო ბაღს გადაჰყურებდა. ფანჯრიდან ომში დაღუპულ მეომართა ძეგლი მოჩანდა. 5) ბაღში დიდი პალმები და მწვანე მერხები იყო. 6) კარგ ამინდში ყოველთვის იჯდა რომელიმე მხატვარი თავისი მოლბერტით. 7)

მხატვრებს მოსწონდათ პალმების ცქერა, მოსწონდათ მყვირალა ფერებით შეღებილი სასტუმროები, ბაღებსა და ზღვას რომ გადაჰყურებდნენ. 8) შორი გზიდან მოდიოდნენ იტალიელები ომში დაღუპულთა ძეგლის სანახავად. 9) ძეგლი ბრინჯაოსი იყო, ბზინავდა, წვიმა როცა ასველებდა. 10) ახლაც წვიმდა. 11) წვეთავდა წვიმა პალმებიდან. 12) სრეშმოყრილ ბილიკებზე გუბეები იდგა. 13) ზღვის ტალღების გრძელი ზოლი წვიმაში ნაპირს ეხეთქებოდა, უკან იხევდა და მერე ისევ ეხეთქებოდა ზღვის ტალღების გრძელი ზოლი წვიმაში ნაპირს. 14) აღარცერთი მანქანა აღარ ჩანდა ძეგლთან მოედანზე. 15) ძეგლის პირდაპირ, კაფეს შესასვლელთან ოფიციანტი იდგა და დაცარიელებულ მოედანს მისჩერებოდა.

1) **only two Americans** – მხოლოდ ორნი ... ამერიკელები – ამ შემთხვევაში ნომინალური ჯგუფის დეტერმინატად გამოყენებული რიცხვითი სახელი ასრულებს განუსაზღვრელი არტიკლის ფუნქციას, ასახელებს რა სახელს. ამავე დროს იგივე კონსტრუქცია ტექსტობრივი კოჰეზიის თვალსაზრისით ასრულებს პროსპექტულ ფუნქციას. შესაბამის ქართულ თარგმანში (ამიერიდან ვიხმართ შემოკლებას ქ. თ.) მთარგმნელის მიერ გამოყენებულია ისევ რიცხვითი სახელი – ორი – რომელიც აქაც დეტერმინატად გვევლინება. 1) **at the hotel** – **სასტუმროში** – ორიგინალში დერეტმინატი **the** თავის წმინდა ენობრივ ფუნქციას ერთდროულად უქვემდებარებს დეიქსისს: გასაზღვრული არტიკლი მიგვანიშნებს ადგილის დეიქსისის ფუნქციის თანამედროვე ცივილიზაციური სივრცის გარკვეულ „წერტილზე“. ამავე დროს ვხედავთ, რომ ქ. თ.-ში განხორციელებულია ტიპოლოგიურად განპირობებული სინტაქსური ტრანსფორმაცია. იქედან გამომდინარე, რომ ქართული ენა ინგლისური ენისაგან განსხვავებით სინთეზური ენაა, შესაძლებელი გახდა ადგილის გარემოების (სასტუმროში) წინადადების ბოლოდან დასაწყისში გადმოტანა. 2) **They did not know any of the people they passed on the stairs on their way to and from their room.** – არავის არ იცნობდნენ, ვისაც თავის ოთახში შესვლისას ან გამოსვლისას კიბეზე ხვდებოდნენ – მოცემულ წინადადებაში ყოველ არსებით სახელთან მეორდება იმ დეიქსისის ფუნციური დომინირება, რომელიც წინა წინადადებაში გვექონდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ „არტიკლში“ ჩართული დეიქტიკური ფუნქცია წინას ეყრდნობა და რეფერენტულ სივრცედ აქ უკვე ნაგულისხმებია არა მთელი ცივილიზაციური სამყარო, არამედ „სასტუმროსეული სივრცე“. ქ. თ.-ში საქმე გვაქვს კვლავ განსხვავებულ სიტყვათა წყობასთან დაკავშირებულ

სინტაქსურ ტრანსპორმაციებთან. 3) **Their room** was on **the second floor** facing **the sea**. – ამერიკელების ოთახი მესამე სართულზე იყო, ზღვისკენ. ამ შემთხვევაშიც არტიკლი თავის თავში აერთიანებს დეტერმინაციულ და დეიქტიკურ ფუნქციებს, თუმცა ამავე დროს სახეზეა დეიქტიკურ ფუნქციაში „მომხდარი” ცვლილება: თუ უკვე გაანალიზებულ წინა ორ წინადადებაში დეიქტიკური მითითება ხდებოდა არსებულ ცივილიზაციურ სივრცეზე უბრალო დაყრდნობით და მეტად თუ ნაკლებად პასიურად, ამ შემთხვევაში არტიკლისეული დეიქსისი მეტ შემოქმედებით აქტიურობას იძენს: სივრცე დაკონკრეტებულია უკვე მომავალი ნარატიული ისტორიის გათვალისწინებით. ქ. თ.-ში განხორციელებულია დეიქსიკური ჩანაცვლება – **their** – ამერიკელები. ხოლო განსაზღვრული არტიკლით გამოხატული ექსპლიციტური რეფერენცია გადმოცემულია იმპლიციტურად. 4) **It**–**ოთახი** პირის ნაცვალსახელით გამოხატული რეფერენცია, რომელიც ამავე დროს დეიქტიკურ ფუნქციასაც ითავსებს მიუთითებს რა წინა წინადადებაში ნახსენებ ოთახზე. ქ. თ.-ში მთარგმნელი ისევ მიმართავს დეიქსიკურ ტრანსპორმაციას ცვლის რა **It** – **ოთახით**. 4) 5) 6) **The public garden** – **სახალხო ბაღი** – რეფერენტული სივრცე კიდევ უფრო დაკონკრეტებულია, თუმცა ეს დაკონკრეტება ხდება ტექსტის დასაწყისში ნაგულისხმევი ცივილიზაციური სივრცის ფარგლებში, ანუ არტიკლით რეალიზებული რეფერენტულობა ახდენს ზემოთ მოცემული დეიქტიკური ფუნქციების სინთეზს: ერთის მხრივ ნაგულისხმევია იგივე ცივილიზაციური სივრცე, მეორეს მხრივ კი დეიქსისში „ძლიერდება” მომავალ ნარატიულ ისტორიასთან კავშირი. რაც შეეხება ქ. თ.-ს ქართულ ენაში რეფერენტული ფუნქციის მქონე არტიკლის არ ქონის გამო მთარგმნელს მოუხდა თარგმნილ ტექსტში ამერიკელ და ქართველ მკითხველთა კულტურულ-ცივილიზაციურ სივრცეებს შორის განსხვავების გათვალისწინება. 4) 8) 14) **the war monument** – მიუთითებს ამერიკული ცივილიზაციური სივრცის ისეთ სეგმენტზე, რომელიც დაკონკრეტებას არ მოითხოვს ამერიკელი მკითხველისათვის. ქ. თ.-ში კი – „დაღუპულ მეომართა ძეგლი” ორმაგ დეიქტიკურ-მადეტერმინირებელ ფუნქციას ასრულებს, ერთის მხრივ იგი წარმოაჩენს ამ ორ ენათა შორის არსებულ ტიპოლოგიურ განსხვავებას, მეორეს მხრივ კი იგი თითქოსდა ასრულებს რამდენადმე განსხვავებულ ცივილიზაციურ სივრცეზე მითითების ფუნქციასაც. 5) **There were big palms and green benches** in the public garden – ბაღში დიდი პალმები და მწვანე მერხები იყო – აქაც ნულოვანი არტიკლი ასრულებს ორმაგ დეიქტიკურ

ფუნქციას – აკონკრეტებს „ბაღისეულ სივრცეს” და ამავე დროს კიდევ უფრო აახლოებს მკითხველს მომავალ ნარატიულ ისტორიასთან. ქ. თ.-ი კიდევ ერთხელ ასახავს ენათა შორის ტიპოლოგიურ განსხვავებას: განხორციელებულია სინტაქსური ტრანსპორმაცია და ადგილის გარემოება წინადადების დასაწყისშია გადმოტანილია 6) **In the good weather – კარგ ამინდში** – ამ შემთხვევაში განსაზღვრული არტიკლი ასრულებს დეიქტიკურ ფუნქციას, რომელიც უკავშირდება არა ცივილიზაციურ სივრცეს, არამედ ზოგად საკაცობრიო ტემპორალურ სივრცეს და მიუთითებს ამ სივრცის ისეთ უნივერსალურ ასპექტზე როგორცაა ამინდი. ქ. თ.-ში ხდება ექსპლიციტური რეფერენციის იმპლიციტურით „ჩანაცვლება”. 6) რაც შეეხება ფრაზას **an artist – რომელიმე მხატვარი**, განუსაზღვრელ არტიკლს ნარატიულ სივრცეში შემოაქვს ახალი თემა. ქ. თ.-ში დეიქტიკური ფუნქციის შემსრულებელი ინგლისური განუსაზღვრელი არტიკლი გადმოცემულია განუსაზღვრელი ნაცვალსახელით „რომელიმე”, რაც კიდევ ერთხელ ავლენს ამ ორ ენას შორის ტიპოლოგიურ განსხვავებას. 6) **with his easel – თავისი მოღებრტით** საქმე გვაქვს კუთვნილებითი ზედსართავით როგორც დეტერმინანტით შესრულებულ დეიქტიკურ ფუნქციასთან პერსონალური დეიქსისის ხაზგასმით, რაც იგივე საშუალებებით არის გადმოცემული ქ. თ. –ში. 7) **Artists – მხატვრებს** – ამ ფრაზით ხდება წინადადებაში შემოტანილი ნარატიული თემის მრავლობითი რიცხვით გამოხატული სახელის განმაზოგადებელი განმეორება, რაც ქ. თ.-შიც წმინდა ტექსტობრივი საშუალებით გადმოიცემა. 7) 11) **the palms or palm trees – პალმები** – განსაზღვრული არტიკლი დეიქტიკურად მიუთითებს ტექსტის წინა სეგმენტზე, რითაც მთელი სისრულით ვლინდება რეფერენციის საკუთრივ ტექსტობრივი ფუნქცია. ქ. თ.-ში საქმე გვაქვს იმპლიციტურად გადმოცემულ რეფერენციასთან, რაც ქართულ ენაში არტიკლის არქონითაა გამოწვეული. 7) **the bright colours of the hotels – მყვირალა ფერებით შეღებილი სასტუმროები** – რეტროსპექტულად მეორდება თანამედროვე ცივილიზაციური სივრცის მინიშნება, მაგრამ კვლავ მეტი განზოგადების ფორმით, რითაც რეფერენციის ტექსტობრივ ფუნქციასთან ერთად კიდევ ერთხელ ვლინდება მისი ენობრივ-კულტურული ფუნქციაც. 7) **the gardens and 7) 13) the sea – ბაღებსა და ზღვას** – განსაზღვრული არტიკლით დაკონკრეტებული ცივილიზაციური სივრცის იმპლიციტური რეფერენციაა, რომელიც ქ. თ.- ში წმინდა ტექსტობრივი საშუალებებით, საკუთრივ რეფერენტული ენობრივი საშუალებების გარეშე იმპლიციტურად გადმოიცემა. 8)

Italians – იტალიელები – რეფერენტულად მინიშნებული სივრცით-ტემპორალური სივრცე ამჯერად უკვე ეთნიკური ნიშნით კონკრეტდება. ქ. თ.- ზოგადი სივრცის ეთნიკური დაკონკრეტება ხდება ექსპლიციტური რეფერენციის გარეშე. 9) **It** – ძეგლი – ნაცვალსახელი როგორც სუბსტიტუტი ფორმისა – **the war monument** ასრულებს ტექსტობრივად განპირობებულ რეფერენტულ ფუნქციას. ქ. თ.-ში გამოყენებულია სტილისტური ტრანსფორმაცია, რადგან წმინდა ტექსტობრივ-გრამატიკული თვალსაზრისით შესაძლებელი იყო ის ან იგი ნაცვალსახელების გამოყენება. 9) 11) **in the rain** – წვიმაში –ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეფერენციის ტექსტობრივად განპირობებულ და ამავე დროს ზოგადად, ანუ ტემპორალურად მინიშნებულ მომენტზე მითითების ფუნქციასთან, რაც ქ. თ. –ში ისევ იმპლიციტურად გადმოიცემა საკუთრივ რეფერენტული საშუალებების გარეშე. 10) **It was raining** – ახლაც წვიმადა – როგორც ტექსტის წინა სეგმენტებში აქაც ხდება ცივილიზაციურად და ტემპორალურად მინიშნებული რეფერენციიდან ნარატიულზე გადასვლა. ქ. თ. – გამოყენებულია იმპლიციტური ტემპორალური რეფერენცია. 12) **Water** – იმის გამო, რომ არტიკლი დეიქტიკური ფუნქციის შესრულებისას შერწყმულად უნდა ასრულებდეს დეტერმინაციის ფუნქციასაც, რაც ამ შემთხვევაში შეუძლებელია არსებით სახელ **water**-ს სემანტიკიდან გამომდინარე, აქაც ტემპორალურ სივრცეზე მითითება განხორციელებულია მხოლოდ რეტროსპექტულად. 12) **pools** – რეფერენცია რეალიზდება წმინდა რეტროსპექტულად. 12) **on the gravel paths** – კვლავ ხდება წინა სეგმენტში წარმოდგენილი რეფერენტული ცივილიზაციური სივრცის რეტროსპექტული დაკონკრეტება. ქ. თ. – სრეშმოყრილ ბილიკებზე გუბეები იდგა – გამოტოვების ტრანსფორმაციულ ხერხთან ერთად მთარგმნელი იყენებს წმინდა ტექსტობრივ რეფერენციას ექსპლიციტური რეფერენციის გარეშე. 13) რაც შეეხება ფრაზას – **in a long line** – ტალღების გრძელი ზოლი – განუსაზღვრელი არტიკლი **a** ახდენს ზღვის სტიქიის ფორმალურ დაკონკრეტებას, 13) **down the beach** – ნაპირს – გამოხატავს ბუნებრივი სივრცის რეფერენტულ დაკონკრეტებას. ქ. თ. – ში ყველა არსებითი სახელი გამოყენებულია ექსპლიციტური რეფერენციის გარეშე მხოლოდ ტექსტობრივ რეტროსპექტიაზე დაყრდნობით. 14) **The motor cars were gone from the square by the war monument** – აღარცერთი მანქანა აღარ ჩანდა ძეგლთან მოედანზე – გრძელდება წინა სეგმენტებში დასახელებული ცივილიზაციური, რეფერენტული

სივრცის დაკონკრეტება. ქ. თ.–ში ინგლისური ფრაზის პრედიკატზე დაყრდნობილი ექპლიციტური რეფერენცია შეცვლილია უარყოფითი განუსაზღვრელი ნაცვალსახელით – აღარცერთი. 15) **the square, the doorway, the cafe** – ძეგლის პირდაპირ, კაფის შესასვლელთან – გრძელდება და უფრო დეტალიზირებული ხდება იმ ცივილიზაციური სივრცის რეფერენტული დაკონკრეტება, რომელიც თავიდანვე იყო მინიშნებული. ქ. თ. კვლავ გამოყენებულია იმპლიციტური რეფერენცია. 15) **a waiter** – ოფიციანტი – პროსპექტული ტექსტობრივი ფუნქციით შემოდის საკუთრივ ნარატიული ასპექტის მიმნიშნებელი რეფერენტული მომენტი. აღსანიშნავია, რომ ქ. თ. –ში სახეზეა მთარგმნელობითი თვალსაზრისით ენათა „ტიპოლოგიური კონფლიქტი“. ის ფაქტი, რომ ქართულ თარგმანში „ოფიციანტი“ მოცემულია განუსაზღვრელი ზედსართავი სახელის როგორც დეტერმინანტის გარეშე, უნდა გულისხმობდეს „უბრალოდ სასტუმროსეულ სივრცეზე“ მინიშნებას (ამ თვალსაზრისით ინგლისურში უნდა გვექონოდა the waiter). მაგრამ განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენება პროსპექტულად და ექსპლიციტურად ხსენებული პერსონაჟის მომავალ ნარატიულ ფუნქციაზე მიანიშნებს.

დასკვნა: როგორც ვხედავთ, მოცემულ აბზაცში რეფერენცია, რომელიც ძირითადად გამოხატულია არტიკლით ასრულებს, როგორც წესი, შემდეგ სამ ფუნქციას: ა) იმ გეოგრაფიულ, ცივილიზაციურ და ტემპორალურ სივრცეზე მითითებას, რომელიც ნარატიული სიუჟეტის იმ სეგმენტის ფარგლებში, რომელიც ექსპოზიციად იწოდება, მიუთითებს მომავალი ნარატიული ისტორიის განვითარების ადგილზე, ანუ საფუძველს უყრის ნარატივის მხატვრულ სივრცედ წოდებულ ასპექტს; ბ) ამავე დროს აბზაცის ლინეარული დინამიკა ახდენს თავიდანვე მინიშნებული რეფერენტული პოლიასპექტური სივრცის თანმიმდევრულ დაკონკრეტებას; გ) წმინდა პროსპექტული ტექსტობრივი გზით ექსპოზიციის ფარგლებში, აბზაცის დასაწყისსა და ბოლოს, უკვე ჩნდება ნარატიული ისტორიის პერსონაჟულ-როლური ასპექტის (two Americans და a waiter) რეფერენტული მინიშნება. ამავე დროს ამოსავალი და თარგმნილი ტექსტის შეპირისპირებითი ანალიზი ავლენს – რა თქმა უნდა, რეფერენტული თვალსაზრისით – ორ ენას შორის ტიპოლოგიურ განსხვავებას, რომელიც ძირითადად ვლინდება ორ მომენტში: 1) ინგლისურენოვანი განუსაზღვრელი არტიკლი შეიძლება შეცვლილი იყოს განუსაზღვრელი ნაცვალსახელით; 2) ინგლისურენოვანი ექსპლიციტური რეფერენცია, რომელიც ამავე დროს ტექსტის

კოჰეზიურ, ანუ პროსპექტულ-რეტროსპექტულ ფუნქციას ეფუძნება, ქართულში გადმოცემულია მხოლოდ იმპლიციტურად, ანუ ამ უკანასკნელ ფუნქციაზე დაყრდნობით.

აბზაცი 2 – 1) **The American wife** stood at the window looking out. 2) Outside right under **their window** a cat was crouched under one of the dripping green tables. 3) **The cat** was trying to make herself so compact that she would not be dripped on.

1) ამერიკელის ცოლი ფანჯარაში იყურებოდა. 2) სწორედ მათი ფანჯრის ქვევით, ერთი მწვანე მაგიდის ქვეშ კატას შეეფარებინა თავი. 3) წვეთავდა წვიმა მაგიდიდან. კატა იკუნტებოდა, ცდილობდა წვიმის წვეთები არ დასცემოდა.

1) **The American wife** – ამერიკელის ცოლი – გრძელდება დაკონკრეტების ის ხაზი, რომელიც უკვე ფუნქციონირებდა წინა აბზაცში, მაგრამ უკვე ორივე რეფერენტული ვექტორის ერთდროული ხაზგასმით. **The American wife** აკონკრეტებს ნარატივის იმ პერსონაჟურ-როლურ ასპექტს, რომელიც ექსპოზიციაში იყო მინიშნებული: **two Americans** ნიშნავს ოჯახურ წყვილს. ქ. თ. –ში ნათესაობით ბრუნვაში გამოყენებული ‘ამერიკელის’ ასრულებს ინგლისურენოვანი არტიკლის **the** დამაკონკრეტებელი ფუნქციის როლს, რაც განპირობებულია ისევ და ისევ ტიპოლოგიური სხვაობით. 2) **at the window-ფანჯარასთან** სივრცითი დაკონკრეტების ახალი საფეხურია, ხოლო ქ. თ.-ში ინგლისურენოვანი რეტეროსპექტულ-ტექსტობრივი და ამავე დროს ექსპლიციტურად დამაკონკრეტენელი რეფერენცია შეცვლილია წმინდა ტექსტობრივ-რეტროსპექტულით. 2) **outside their window** – მათი ფანჯრის ქვევით გრძელდება და „ღრმავდება” თავიდანვე მინიშნებული მრავალასპექტოვანი რეფერენტული სივრცის დაკონკრეტება. ქ. თ.-ში ორიგინალის მსგავსად რეფერენტული სივრცე დაკონკრეტებულია კუთვნილებითი ზედსართავი სახელით გამოსატული დეტერმინანტით. 2) **a cat** – კატა ასევე გრძელდება და „ღრმავდება” მომავალი ნარატიული ისტორიის პერსონაჟურ-როლური ასპექტის დაკონკრეტებაც. წყვილისა და ოფიციალურის შემდეგ „სცენაზე გამოდის” კატა, რომელიც განუსაზღვრელი არტიკლითაა დეტერმინირებული. ქ. თ.-ში კვლავ საქმე გვაქვს ტიპოლოგიურად განპირობებული „მთარგმნელობითი კონფლიქტის” მეორე შემთხვევასთან. ქართულ ფრაზაში თავისი სინტაქსური ადგილით „კატა” თითქოსდა რეტროსპექტულად უნდა მიანიშნებდეს უკვე ნახსენებ პერსონაჟს, ინგლისურიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო „რომელიღაც ერთი კატა”, რაც სტილისტურად მიუღებელი იქნებოდა. 2) **one of the dripping green tables** – ერთი

მწვანე მაგიდის ქვეშ – ექსპლიციტურად მეორდება სიუჟეტური სივრცის რეფერენტული მინიშნება. ამასთან, თუ ინგლისურ ტექსტში მინიშნების რაოდენობრივი და რეფერენტული ასპექტები შერწყმულია, ქ. თ.-ში „დარჩენილია“ მხოლოდ ექსპლიციტურად მოცემული რაოდენობრივი, ხოლო რეფერენტული გადმოცემულია იმპლიციტურად და ტექსტობრივად. 3) **The Cat** – კატა – განსაზღვრული არტიკლი ასრულებს ექსპლიციტური რეფერენციის წმინდა ტექსტობრივ ფუნქციას. 3) **herself, she** – პირისა და უკუქცევითმა ნაცვალსახელებმა როგორც სუბსტიტუტებმა რეტროსპექტულად შეცვალეს უკვე ნახსენები კატა. ქ. თ.-ში გამოტოვების მთარგმნლობითი ტრანსფორმაციული ხერხის შედეგად დატოვებულია მხოლოდ კატა. ეს განსხვავება განპირობებულია ერთდროულად ტიპოლოგიურადაც და სტილისტურადაც, რადგან რეფერენცია ხდება მხოლოდ იმპლიციტურად – ტექსტობრივი რეტროსპექციის ხარჯზე.

დასკვნა: მეორე აბზაცში ა) გრძელდება და ღრმავდება დაკონკრეტების პირველ აბზაცში განვითარებული სქემა და ბ) ასევე კონკრეტდება ნარატიული ისტორიის პერსონაჟთა სისტემა: წყვილი დაკონკრეტებულია როგორც ოჯახური წყვილი და გარდა ამისა „სცენაზე შემოდის“ ახალი პერსონაჟი – კატა. ქ. თ.-ში მეორდება რეფერენტული თვალსაზრისით ამ ორ ენას შორის არსებული ტიპოლოგიური განსხვავების წარმოჩენა. ინგლისურ სინტაგმატურ ოპოზიციას – **a cat/the cat** შეესაბამება ქართული კატა/კატა: რეფერენციის ფუნქცია მთლიანად კონტექსტს ეკისრება.

აბზაცი 3 – 1) “I’m going down and get **that kitty**,” **the American wife** said. 2) “I’ll do it”, **her husband** offered **from the bed** .3) “No, I’ll get it. **The poor kitty** out trying to keep dry **under a table**.” 4) **The husband** went on reading, lying propped up with **the two pillows at the foot of the bed**. 5) “Don’t get wet,” **he** said.

1) – ჩავალ, ფისოს ამოვიყვან, – თქვა ამერიკელის ცოლმა. 2) მე ამოვიყვან, – უთხრა ქმარმა, ქმარი იწვა. 3) – არა, მე ჩავალ, საბრალო ფისო, როგორ ემალება მაგიდის ქვეშ წვიმას. 4) ქმარი კითხვას განაგრძობდა. საწოლის ფეხით ორი ბალიში დაედო, ზედ დაყდრნობოდა, ნახევრად წამოწოლილიყო. 5) – ოღონდ არ დასველდე, – უთხრა ცოლს.

1) **that cat** – ფისოს – ამ შემთხვევაში რეფერენციის ექსპლიციტურად გამოხატვის შესაძლებლობა იძენს სტილისტურ ეფექტს: ერთნაირად იყო შესაძლებელი ფრაზის ‘**that cat** და **the cat**’ გამოყენება, თუმცა შეიძლება

ვიფიქროთ, რომ დეტერმინატი *that*, რომელიც კონტექსტუალურად ძლიერ დეიქტიკურ ფუნქციას იძენს, ამავე დროს ქვეტექსტურად ასრულებს რეფერენტულ ფუნქციასაც: ცოლი უფროა დაინტერესებული ქმართან კონტაქტის განახლებით. ქ. თ.-ში ფისოს გამოყენება ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციის ნიმუშია. 2) **her husband** – ქმარმა – ქ. თ.-ში ინგლისურენოვან ექსპლიციტურ რეფერენციას, დაკონკრეტებულს კუთვნილებითი დეტერმინანტით, შეესაბამება იმპლიციტური რეფერენცია. 2) **from the bed** – ქმარი იწვა – კვლავ ხდება კონკრეტული სასტუმროსეული სივრცის ხაზგასმული დაკონკრეტება: სასტუმროს ნომერი წარმოდგენელია საწოლის გარეშე. ქ. თ.-ში ინგლისური ექსპლიციტური რეფერენცია წარმოდგენილია ჩანაცვლების ტრანსფორმაციის ხერხით. სახელს ჩანაცვლა ზმნა და ეს ცვლილება პრესუპოზიციულადაა ნაგულისხმევი. 3) **the poor kitty** – საბრალო ფისო – გამოვლენილია ზემოთ უკვე დაკონკრეტებული რეფერენცია: *the kitty-that kitty*. ქ. თ.-ში კვლავ იმპლიციტური რეფერენციაა გამოყენებული ექსპლიციტურის ნაცვლად. 3) **under a table** – მაგიდის ქვეშ – ამ შემთხვევაში კონტექსტუალურად გამოყენებულია განუსაზღვრელი არტიკლის არა ტექსტობრივი, არამედ წმინდა ლოგიკური ფუნქცია: **a table** გულისხმობს ერთის მხრივ ზოგადად მაგიდას, მეორეს მხრივ კი პრესუპოზიციულად ეფუძნება კატის უნარს-ჩვევას თავი შეაფაროს წვიმისგან დამცველ, მაგრამ ამავე დროს დაუსურავ სივრცეს. ქ. თ.-ში კვლავ საქმე გვაქვს იმპლიციტურ რეფერენციასთან.

4) **the husband** – ქმარი – განსაზღვრული არტიკლი ერთდროულად ახდენს „ქმრის“ აქამდე განხორციელებული ყველა ნომინაციის რეფერენტულ სინთეზს. ქ. თ.-ში კვლავ გამოიყენება იმპლიციტური რეფერენცია. **the two pillows at the foot of the bed** – საწოლის ფერხითი ორი ბალიში – გრძელდება სასტუმროსეული სივრცის შემდგომი დაკონკრეტება: სადაც საწოლია იქ ბალიშებიცაა. **the two pillows** ასევე ერთის მხრივ მიუთითებს მაქსიმალურად დაკონკრეტებულ სასტუმროსეულ სივრცეზე, მეორეს მხრივ კი უკვე ირიბად მიგვანიშნებს ქმრის როგორც პერსონაჟის შესაძლებელ თვისებებზე ან განწყობაზე. ქ. თ.-ში ისევ საქმე გვაქვს იმპლიციტურ რეფერენციასთან, რომელიც წმინდა ტექსტობრივი საშუალებებითაა გადმოცემული.

დასკვნა: მესამე აბზაცი, რომელიც უმეტესად დიალოგს წარმოადგენს, თავის ნარატიულ ასპექტებში ახორციელებს სასტუმროსეული სივრცის შემდგომ

კონკრეტიზაციას. ამავე დროს დიალოგი შეიცავს ნაცვალსახელებს, როგორც წმინდა დეიქტიკური ფუნქციის მქონე ელემენტებს. ქართულ თარგმანში სახეზეა ტიპოლოგიურად განპირობებული მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები „გამოტოვება“ და „ჩანაცვლება“, რომელიც ქართული ზმნის მრავალპირიანობითაა განპირობებული.

აბზაცი 4 – 1) **The wife** went downstairs and **the hotel owner** stood up and bowed to **her** as **she** passed **the office**. 2) **His desk** was at the far and **of the office**. 3) **He** was an old man and very tall. 4)“**Il piove,**” **the wife** said. 5) **She** liked **the hotel-keeper**. 6) “**Si, si, Signora, brutto tempo. It’s very bad weather.**”

1) ქალი ქვევით ჩავიდა. სასტუმროს პატრონი წამოდგა და თავი დაუკრა ამერიკელის ცოლს, როცა ქალი მის მაგიდას გაუსწორდა. 2) სასტუმროს პატრონის სამუშაო მაგიდა ვესტიბულის შორეულ კუთხეში იდგა. 3) სასტუმროს პატრონი მოხუცი და ძალიან მაღალი იყო. 4) – *Il piove,* – თქვა ქალმა. 5) ქალს მოსწონდა სასტუმროს პატრონი. 6) – *Si, Si. signora. Brutto tempo* საშინელი ამინდია.

1) 4) **The wife** – ქალი – ხდება დაკონკრეტებული ნომინაციის განმეორება. ქ. თ.-ში კი საქმე გვაქვს იმპლიციტური რეფერენციით გამოხატულ ლექსიკურ ჩანაცვლებასთან. 1) **the hotel owner** –სასტუმროს პატრონი – ახალი პერსონაჟის შემოსვლა განპირობებულია ერთდროულად „სინთეზურად“ როგორც სასტუმროსეული, ანუ დაკონკრეტებული ცივილიზაციური სივრცით, ასევე ნარატივის სიუჟეტური სივრცის დაკონკრეტებით (ცოლი, ქმარი, ოფიციანტი, კატა). ქ. თ.-ში ისევ ხდება იმპლიციტური რეფერენცია. 2) **the office** – მის მაგიდას – სასტუმროსეული სივრცის კიდევ ერთი დაკონკრეტებაა. ხოლო ქ. თ.-ში ექსპლიციტური რეფერენციის დაკონკრეტება კუთვნილებითი ზედსართავი სახელის გამოყენებით ხდება, რომელსაც თან ახლავს ლექსიკური ჩანაცვლება. 2) **his desk** – პატრონის სამუშაო მაგიდა – ექსპლიციტური რეფერენციის დაკონკრეტება კუთვნილებითი ზედსართავი სახელით როგორც დეტერმინანტით, რომელიც აქაც დეიქტიკურ ფუნქციას ასრულებს, სასტუმროს მფლობელზე მიუთითებს. ქ. თ.-ში კუთვნილებითი ზედსართავის ტიპოლოგიურად განპირობებული ჩანაცვლება ხდება ლექსიკური ტრანსფორმაციით. **at the end of the office** – ვესტიბულის შორეულ კუთხეში – დაკონკრეტებული სივრცის უფრო დეტალური რეფერენტული დაკონკრეტება, რომელიც ქ. თ.-ში ისევ ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციითაა გადმოსული. 3)

He – სასტუმროს პატრონი – გამოყენებულია პირის ნაცვალსახელი წმინდა დეიქტიკური ფუნქციით, რომელიც ქ. თ.-ში ჩანაცვლებულია არსებითი სახელით, ანუ ლექსიკური ტრანსფორმაციით. 1) 5) **she** – ქალს, **her-** ქალი – გრძელდება წინა სეგმენტებში განხორციელებული დაკონკრეტება და პირის ნაცვალსახელის მიერ კონტექსტუალურად განპირობებული დეიქტიკური ფუნქციის შესრულება. ქ. თ.-ში კვლავ გრძელდება ტიპოლოგიურად და ინდივიდუალურ-სტილისტურად განპირობებული ლექსიკურ ჩანაცვლებათა სერია.

დასკვნა: მოცემულ აბზაცში გრძელდება დაკონკრეტების ზემოთ დაწეებული პროცესი. ამასთან ხდება ნარატივის სიუჟეტური სივრცის დაკონკრეტება ახალი პერსონაჟის – სასტუმროს მფლობელის შემოყვანით. ქართულმა თარგმანმა გამოავლინა ორმაგი ფუნქციური დატვირთვის მქონე მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები – ტიპოლოგიური იმდენად, რამდენადაც ქართულ ენაში პირის ნაცვალსახელს ნაკლები ტექსტუალური დატვირთვა აქვს (ქართული ზმნის მრავალპირიანობის გამო), მეორე მხრივ კი გამოჩნდა თვით მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის ის თავისებურება, რომელიც მდგომარეობს ლექსიკური ჩანაცვლებებისადმი მიდრეკილებაში.

აბზაცი 5 – 1) **He** stood behind **his desk** in **the far end of the dim room.** 2) **The wife** liked **him.** 3) **She** liked **the deadly serious way he** received **any complaints.** 4) She liked **his dignity.** 5) **She** liked **the way he** wanted to serve **her.** 6) **She** liked **the way he** felt about being a hotel-keeper. 7) **She** liked **his old, heavy face and big hands.**

1) სასტუმროს პატრონი თავის სამუშაო მაგიდასთან იდგა, ბნელი ვესტიბიულის შორეულ კუთხეში. 2) ამერიკელ ქალს მოსწონდა ეს კაცი. 3) მოსწონდა, რა საოცარი სერიოზულობით ისმენდა ის ყოველგვარ საჩივარს. 4) მოსწონდა მისი ღირსეული თავდაჭერა. 5) მოსწონდა, სასტუმროს პატრონი ასე თავაზიანად რომ ექცეოდა. 6) მოსწონდა, როგორ იფერებდა მეპატრონეობას. 7) მოსწონდა მისი დაბერებული, მომსხო სახე და დიდი ხელები.

1) **He** – სასტუმროს პატრონი – პირის ნაცვალსახელი წმინდა დეიქტიკური ფუნქციით ქ. თ.-ში კვლავ ლექსიკური ტრანსფორმაციული ჩანაცვლების ხერხის გამოყენებით არის გადმოსული. **his desk** – თავის სამუშაო მაგიდასთან – ექსპლიციტური რეფერენცია გამოხატული კუთვნილებითი ზედსართავი სახელით ქ. თ.-ში იგივე საშუალებით არის გადმოცემული. **the far end of the dim room** – ბნელი ვესტიბიულის შორეულ კუთხეში – კვლავ ხდება სიუჟეტურად განპირობებული სასტუმროსეული სივრცის დაკონკრეტება, რომელიც ქ. თ.-ში

ექსპლიციტურ რეფერენციას იმპლიციტურით ანაცვლებს და აგრძელებს მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის მაჩვენებელ ლექსიკურ ტრანსფორმაციებს. 2) **The wife** – ამერიკელ ქალს – ხდება დაკონკრეტების რეფერენტული ფუნქციის ხაზგასმა, რომელიც განსაზღვრული არტიკლით გადმოიცემა. ქ. თ.-ში კი გრძელდება იმპლიციტური რეფერენციისა და ლექსიკური ტრანსპორმაციების გამოყენება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ენათა შორის ტიპოლოგიურ განსხვავებასა და მთარგმნელის ინდივიდუალურ სტილს. **him** – ეს კაცი – პირის ნაცვალსახელი ასრულებს კონტექსტით განპირობებულ დეიქტიკურ ფუნქციას, რომელიც ქ. თ.-ში ტრანსფორმაციული ჩანაცვლების ხერხის გამოყენებითაა გადმოსული. 3) მოცემულ აბზაცში მწერალი ამერიკელი ქალისა და სასტუმროს მეპატრონის სუბსტიტუტად იყენებს დეიქტიკური ფუნქციის მქონე პირის ნაცვალსახელებს **she** და **he**, რომლებიც ქ. თ.-ში უმეტესწილად გამოტოვებულია ტიპოლოგიური განსხვავებიდან, კერძოდ, ქართული ზმნის მრავალპირიანობიდან გამომდინარე. **the deadly serious way** – საოცარი სერიოზულობით – დეიქტიკური მითითება ხდება არა სასტუმროსეულ სივრცეზე, არამედ ამ სივრცეში გატარებული დროის უკვე გასულ მონაკვეთზე იმდენად, რამდენადაც ეს მონაკვეთი გულისხმობს სასტუმროს პატრონთან კონტაქტს, ანუ ირიბად ხორციელდება ტემპორალური დეიქსისი. ქ. თ.-ში ექსპლიციტური რეფერენცია კვლავ ჩანაცვლებულია ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციით. **any complaints** – ყოველგვარ საჩივარს – ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დაკონკრეტების საპირისპირო ნომინაციურ აქტთან, რადგან სახელს ახლავს განუსაზღვრელი ნაცვალსახელი. ქ. თ.-ში მთარგმნელს ჰქონდა არჩევანი **ყოველგვარსა და ნებისმიერს** შორის, ყოველგვარის არჩევით მან განსაზღვრულ არსებით სახელს მეტი კონკრეტულობა შესძინა. 4) **his dignity** – მისი ღირსეული თავდაჭერა – კუთვნილებითი ზედსართავი სახელის საშუალებით ხდება პერსონაჟზე რეფერენტული მითითება, რომელიც ქ. თ.-ში „დამატების“ ტრანსფორმაციული ხერხის გამოყენებით იგივე საშუალებითაა გადმოსული. 7) **his old, heavy face and big hands** – მისი დაბერებული მომსხო ღამე და დიდი ხელები – ინგლისურენოვან ტექსტში საქმე გვაქვს პერსონაჟისეული სივრცის კუთვნილებითი ზედსართავი სახელით დაკონკრეტებასთან. ქ. თ.-ში შენარჩუნებულია ექსპლიციტური რეფერენცია, რომელიც იგივე საშუალებით, ანუ კუთვნილებითი ზედსართავი სახელით არის გადმოცემული.

დასკვნა: მოცემულ აბზაცში კვლავ გრძელდება წინა აბზაცში დაწყებული დაკონკრეტების პროცესი, რაც უმეტეს შემთხვევაში კუთვნილებითი ზედსართავი სახელის საშუალებით გამოიხატება. გარდა ამისა გამოყენებული პირის ნაცვალსახელები ორმაგ ფუნქციას ასრულებენ: ისინი წინა აბზაცებში ნახსენები სახელების სუბტიტუტები არიან და ამასთან აქვთ დეიქტიკური ფუნქცია. რაც შეეხება ქართულ თარგმანს ინგლისურ ტექსტში ხმარებული ექსპლიციტური რეფერენცია იმპლიციტურით არის ჩანაცვლებული. ამავე დროს გამოყენებულია „გამოტოვებისა“ და „ჩანაცვლების“, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, რაც როგორც ტიპოლოგიური, ისე მთარგმნელის სტილის თავისებურებებითაა განპირობებული.

აბზაცი 6 1) Liking **him she** opened **the door** and looked out. 2) It was raining harder. 3) **A man in a rubber cape** was crossing **the empty square to the cafe**. 4) **The cat** would be around to the right. 5) Perhaps **she** could go along under **the eaves**. 6) As **she** stood in **the doorway an umbrella** opened behind **her**. 7) **It** was **the maid** who looked after **their room**. 8) “**You** must not get wet,” **she** smiled, speaking **Italian**. 9) Of course, **the hotel-keeper** had sent **her**.

1) დიას, მოსწონდა **ქალს სასტუმროს პატრონი**. **ქალმა** კარი გააღო და გარეთ გაიხედა. 2) **წვიმა** უფრო გამეტებით ასხამდა. 3) **დაცარიელებულ მოედანზე** ვიღაცა **კაცი** **კაფესკენ** მიდიოდა, **საწვიმარი** ეცვა. 4) აქვე უნდა იყოს **კატა**, **სადღაც** **მარჯვნივ**. 5) **ეგებ** შესძლოს იქითკენ **გასვლა**, **სახურავი** დაიფარავს **წვიმისაგან**. 6) **ჯერ** კიდევ **კართან** იდგა **ქალი**, **როცა** **ვიღაცამ** **ზურგსუკან** **ქოლგა** **გაუშალა**, – 7) **მსახური ქალი** იყო, **ოთახს** რომ ულაგებდათ **ხოლმე**. 8) – არ დასველდეთ, – **ღიმილით** **უთხრა** **მსახურმა** **იტალიურად**. 9) **რადღა** **თქმა** **უნდა**, **სასტუმროს პატრონის** **გამოგზავნილი** **იყო**.

მეექვსე აბზაცშიც წინა აბზაცის მსგავსად ე. ჰემინგუეი ხშირად იყენებს სახელობით თუ ობიექტურ ბრუნვაში მდგომ პირის ნაცვალსახელებს – **him, it she, her**. ყველა ამ შემთხვევაში ისინი კვლავ ასრულებენ კონტექსტით განპირობებულ დეიქტიკურ ფუნქციას და ქ. თ.-ში უმეტესწილად ტიპოლოგიურად და მთარგმნელის ინდივიდუალური სტილით განპირობებული ლექსიკური ჩანაცვლებით არიან გადმოსული: **him** – **სასტუმროს პატრონი**, **she/her** – **ქალი**. 1) **the door** – **კარი** – ხდება სასტუმროსეული სივრცის განსაზღვრული არტიკლით კიდევ ერთი რეფერენტული დაკონკრეტება. ქ. თ.-შიც კვლავ გრძელდება ექსპლიციტური რეფერენციის იმპლიციტურით

ჩანაცვლება. 3) **A man** – ვიღაცა კაცი – ამ შემთხვევაში ახალი პერსონაჟის შემოყვანით ხდება ნარატიული სიუჟეტის კიდევ ერთი დაკონკრეტება, პროსპექტული ტექსტობრივი ფუნქციით შემოდის საკუთრივ ნარატიული ასპექტის მიმნიჭებელი რეფერენტული მომენტი. ქ. თ.-ში გამოყენებული განუსაზღვრელი ნაცვალსახელი ექსპლიციტური რეფერენციის ფუნქციას ასრულებს გამოყენებულია რა ინგლისური განუსაზღვრელი არტიკლის ნაცვლად. **in a rubber cape** – საწვიმარი ეცვა – კვლავ განუსაზღვრელი არტიკლით განსაზღვრული არსებითი სახელი ექსპლიციტური რეფერენციის ფუნქციას ასრულებს, მაშინ როცა ქ. თ.-ში ის იმპლიციტური რეფერენციითაა შეცვლილი. **The empty square to the café** – დაცარიელებულ მოედანზე, კაფისკენ – მეორდება იმ ცივილიზაციური სივრცის დეტალური დაკონკრეტება, რომელიც ნარატივის ექსპოზიციაშივე გვქონდა მოცემული. ქ. თ.-ში ტიპოლოგიური განსხვავების გამო ექპლიციტურ რეფერენციას კვლავ ანაცვლებს იმპლიციტური.

4) **the cat** – კატა – გამეორებულია ზემოთ უკვე დაკონკრეტებული ექსპლიციტური რეფერენცია, რომელიც ქ. თ.-ში კვლავ ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციით გადმოიცემა. **to the right** – სადღაც მარჯვნივ, **under the eaves** – სახურავი – განსაზღვრული არტიკლის როგორც დეტერმინანტის გამოყენებით კვლავ კონკრეტდება სასტუმროსეული სივრცე, ხოლო ქ. თ.-ში არტიკლის უქონლობის გამო ექსპლიციტური რეფერენცია იმპლიციტურით არის ჩანაცვლებული. 6) **at the doorway** – კართან – ექსპლიციტური რეფერენციის გამოყენებით გრძელდება სასტუმროსეული სივრცის დაკონკრეტება, რომელიც ქ. თ.-ში კვლავ ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციით გადმოიცემა. **an umbrella** – ქოლგა – განუსაზღვრელი არტიკლით როგორც დეტერმინანტით ხდება ახალი საგნის შემოტანა, რომელიც ექპლიციტური რეფერენციის ფუნქციას ასრულებს და უკავშირდება უკვე მრავალგზის დაკონკრეტებულ ცივილიზაციურ და ტემპორალურ სივრცეებს. ქ. თ.-ში კვლავ გამოყენებულია იმპლიციტური რეფერენცია. 7) **It was the maid** – მსახური ქალი იყო – ინგლისურენოვანი ფრაზა საკმაოდ საინტერესოა რეფერენტული თვალსაზრისით. პირის ნაცვალსახელს **it** ორმაგი ფუნქცია გააჩნია: 1. ის ასრულებს დეიქტიკურ ფუნქციას, მიუთითებს რა მსახურ ქალზე და ინტროდუქციულ ფუნქციას შემოყავს რა ნარატივში ახალი პერსონაჟი. რაც შეეხება ფრაზას **the maid**, განსაზღვრული არტიკლით ხდება ახალი პერსონაჟის

დაკონკრეტება, რომელიც შემდგომ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს თხრობაში. **their room** – **თათახს** – სახეზეა ექსპლიციტური რეფერენციის კიდევ ერთი მაგალითი, სადაც დაკონკრეტება ხდება კუთვნილებითი ზედსართავი სახელით. თუმცა ქ. თ.-ში გამოყენებულია ტიპოლოგიურად განპირობებული გამოტოვების მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია და შესაბამისად იმპლიციტური რეფერენცია. 8) **You** – მეორე პირის ნაცვალსახელით გამოხატული დეიქტიკური სუბსტიტუტია, რომელიც ცვლის სახელს, კერძოდ ქალს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქ. თ.-ში კვლავ ტიპოლოგიურად განპირობებულ გამოტოვების მთარგმნელობით ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე, რაც ქართული ზმნის მრავალპირიანობითაა გამოწვეული. **she** – მსახურმა – დეიქტიკური ფუნქციის მატარებელი სუბსტიტუტია, რომელიც ქ. თ.-ში იმპლიციტური რეფერენციითა და ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის გამოყენებითაა გადმოსული. 9) **the hotel keeper** – **სასტუმროს პატრონის** – ინგლისურენოვანი ექსპლიციტური რეფერენცია ქ. თ.-ში კვლავ იმპლიციტურითაა შეცვლილი.

დასკვნა: მოცემულ აბზაცში რეფერენტული თვალსაზრისით კვლავ გრძელდება დაკონკრეტების ზემოთ დაწყებული პროცესი. თუმცა აღსანიშნავია განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენების სამი შემთხვევა (**a man, a rubber cape, an umbrella**), რომლებიც ნარატივში ნომინაციის ფუნქციის გარდა სიუჟეტის შემდგომი განვითარების ფუნქციასაც ასრულებენ. ნარატიულ თხრობაში პროსპექციულად ასევე შემოდის ახალი პერსონაჟი მოსამსახურე ქალის სახით. ქ. თ.-ში აღსანიშნავია სამი მომენტი: 1) ექსპლიციტური რეფერენციის ნაცვლად იმპლიციტურის გამოყენება; 2) მთარგმნელის მიერ პირის ნაცვალსახელის გამოტოვება ქართული ენის ტიპოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით და 3) განუსაზღვრელი არტიკლის განუსაზღვრელი ნაცვალსახელით შეცვლა.

აბზაცი 7 1) With **the maid** holding **the umbrella** over **her**, **she** walked along **the gravel path** until **she** was under **their window**. 2) **The table** was there, washed bright green **in the rain**, but **the cat** was gone. 3) **She** was suddenly disappointed. 4) **The maid** looked up at **her**. 5)“Ha perduto qualche cosa, Signora?” 6) “**There was a cat,**” said **the American girl**. 7) “**A cat?**” 8) “Si, il gatto.” 9) “**A cat?**” the maid laughed. “**A cat in the rain?**” 10)“Yes,” **she** said, “**under the table.**” Then, “Oh, **I** wanted **it** so much. **I** wanted **a kitty.**” 11) When she talked English **the maid’s face** tightened. 12) “Come, Signora,” **she** said. “**We** must get back inside. **You** will be wet.” 13) “**I** suppose so,” said **the American girl**.

1) მსახურთან ერთად, რომელიც ქოლგით წვიმას უფარავდა, ამერიკელი ქალი მივიდა ფანჯრის ქვეშ, სადაც კატა ეგულებოდა. 2) მაგიდა ისევ იდგა იქ, წვიმისაგან გარეცხილი მწვანედ ანათებდა. კატა კი აღარ იყო. 3) ქალს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. 4) მსახურმა შეხედა ქალს. 5) _ Qua perduto qualche cosa?. 6) – აქ კატა იყო. 7) – კატა? 8) – ჰო, კატა. 9) – კატა, – გაიცინა მსახურმა ქალმა, – კატა, ამ წვიმაში? 10) – ჰო, – უპასუხა ამერიკელმა ქალმა, – ამ მაგიდის ქვეშ, – მერე დაუმატა, – ეჰ, რა ძალიან მინდოდა კატა, როგორ მინდოდა ფისო. 11) როცა ამერიკელი ქალი ინგლისურად ლაპარაკობდა, მსახურს უჭირდა მისი გაგება. 12) – წავიდეთ, სინიორა, – უთხრა მსახურმა, – დავბრუნდეთ, თორემ დასველდებით. 13) – დავბრუნდეთ, – თქვა ამერიკელმა ქალმა.

1) 4) 9) **the maid** – მსახური, მსახურმა ქალი – გრძელდება ზედა აბზაცში განხორციელებული დაკონკრეტება. ამ პერსონაჟის მოცემულ აბზაცში შემოსვლა არა მარტო აკონკრეტებს სასტუმროსეულ ცივილიზაციურ სივრცეს, არამედ ახდენს ნარატივის სიუჟეტური სივრცის დაკონკრეტებასაც. ქ. თ.-ში კვლავ ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციაა გამოყენებული. 1) **the umbrella** – ქოლგით – განსაზღვრული არტიკლით ხდება რეფერენციის ექსპლიკაცია, რომელიც წინა აბზაცში განუსაზღვრელი არტიკლით ნომინირებულ სახელს აკონკრეტებს და ქ. თ.-ში იმპლიციტური რეფერენციითაა გადმოცემული. მოცემულ აბზაცში სუბსტიტუტის სახით მრავლადაა გამოყენებული პირის ნაცვალსახელები როგორც სახელობით, ისე ობიექტურ ბრუნვებში: **she, her, I, it, we, you**. ყველა მათგანი ანაცვლებს რა უკვე ნახსენებ არსებით სახელს, ასევე ასრულებს ტექსტობრივად განპირობებულ რეფერენტულ ფუნქციას. ქ. თ.-ში მათი გადმოცემა ხდება ან შესაბამისი არსებითი სახელის გამოყენებით, ანუ ლექსიკური ტრანსფორმაციით, ან ტიპოლოგიურად განპირობებული გამოტოვების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციით. 1) **the gravel path** – ხრეშმოყრილი ბილიკით – კვლავ კონკრეტდება სასტუმროსეული სივრცე და ინგლისურენოვანი ექსპლიციტური რეფერენცია ქ. თ.-ში გადმოცემულია იმპლიციტურად. **under their window** – ფანჯრის ქვეშ – ინგლისურენოვან ექსპლიციტურ რეფერენციას, დაკონკრეტებულს კუთვნილებითი ზედსართავით, ქ. თ.-ში იმპლიციტური რეფერენცია შეესაბამება. 2) 9) **the table** – მაგიდა – ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წმინდა რეტროსპექტულ-ტექსტობრივი ფუნქციის მქონე ექსპლიციტურ

რეფერენციასთან, რომელიც ქ. თ.-ში კვლავ იმპლიციტურითაა შეცვლილი. 2) 9) **in the rain** – წვიმისაგან – ამ წვიმაში გრძელდება ზემოთ ნახსენები ტემპორალური სივრცის რეტროსპექტულ-ტექსტობრივი დაკონკრეტება. ქ. თ.-ში პირველ შემთხვევაში ექსპლიციტური რეფერენცია იმპლიციტურით არის გადმოტანილი, მეორე შემთხვევაში კი მისი დაკონკრეტება ხდება ჩვენებითი ნაცვალსახელის – ამ – გამოყენებით. 2) **the cat** – კატა – კვლავ ხდება ნარატივში უკვე დაკონკრეტებული პერსონაჟის რეტროსპექტულ-ტექსტობრივი დაკონკრეტება, ქ. თ. კი კვლავ იმპლიციტური რეფერენციით შეცვლა. 3) 4) 6) **a cat** – კატა – 10) **a kitty** – კატა, ფისო – ყველა აღნიშნულ შემთხვევაში საქმე გვაქვს განუსაზღვრელი არტიკლით განხორციელებულ ნომინაციასთან. ქ. თ.-ში კი კიდევ ერთხელ ხდება ორ ენას შორის რეფერენტული თვალსაზრისით ტიპოლოგიური განსხვავების წარმოჩენა. ინგლისურ სინტაგმატურ ოპოზიციას **a cat/the cat** შეესაბამება კატა/კატა. რეფერენციის ფუნქციას თავის თავზე კვლავ იღებს კონტექსტი. 11) **the maid' s face** – მსახურს – ინგლისურ ტექსტში საქმე გვაქვს ექსპლიციტურ რეფერენციასთან. არსებითი სახელი დაკონკრეტებულია კუთვნილებით ბრუნვაში მდგომი სახელით. ქ. თ.-ში კი გაკეთებული ლექსიკური და ამავე დროს „გამოტოვების“ მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის შედეგად ექსპლიციტური რეფერენცია კვლავ იმპლიციტურითაა ჩანაცვლებული. 6) 13) **The American girl** – ამერიკელი ქალი – კვლავ კონკრეტდება ნარატივის პერსონაჟულ-როლური ასპექტი. ქ. თ.-ში გარდა იმისა, რომ საქმე გვაქვს იმპლიციტურ რეფერენციასთან, ასევე კვლავ ჩანს მთარგმნელის ინდივიდუალური სტილით განპირობებული ლექსიკური ტრანსფორმაციები, რაც ამ შემთხვევაში ტიპოლოგიურად აბსოლუტურად გამართლებულია.

დასკვნა: როგორც ვხედავთ, მოცემული აბზაცი ნარატიული თხრობისა და დიალოგური მეტყველების სინთეზს წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც კვლავ გრძელდება წინა აბზაცებში დაწყებული დაკონკრეტების ხაზი, რომელიც განპირობებულია როგორც რეტროსპექტულ-ტექსტობრივი, ისე პერსონაჟულ როლური ფუნქციებით. ქ. თ.-ში ენათა ტიპოლოგიის გათვალისწინებით კვლავ ხდება ექსპლიციტური რეფერენციის იმპლიციტური რეფერენციით გადმოცემა და ასევე გამოტოვების და ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების გამოყენება.

აბზაცი 8 1) **They went back along the gravel path and passed in the door.** 2) **The maid stayed outside to close the umbrella.** 3) **As the American girl passed the office, the**

padrone bowed from **his desk**.4) Something felt very small and tight **inside the girl**. 5) **The padrone** made **her** feel very small and at the same time really important.6) **She** had a momentary feeling of being of supreme importance.7) **She** went on **up the stairs**.8) **She** opened **the door of the room**. 9) **George** was **on the bed**, reading.

1) ხრეშმოყრილი ბილიკით უკან დაბრუნდნენ და სასტუმროს კარი შეადგეს. 2) მსახური ქალი შესასვლელთან შეჩერდა, ქოლგა დაკეცა. 3) ამერიკელი ქალი ვესტიბიულში შევიდა, პადრონე მაგიდასთან იდგა, თავი დაუკრა ქალს. 4) ქალს გული შეეკუმშა. 5) სასტუმროს პატრონს რომ ხედავდა, თავისი თავი პაწაწინა და თან ძალიან მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა ხოლმე. 6) ახლაც, წამით, უსაზღვროდ მნიშვნელოვან არსებად იგრძნო თავი. 7) შეუჩერებლად აიარა კიბე და თავისი ოთახის კარი შეაღო. 8) ჯორჯი იწვა და კითხულობდა.

მოცემულ აბზაცში არსებითი სახელების სუბსტიტუტებად ორმაგი ფუნქციით: 1) დეიქტიკური და 2) პერსონაჟულ-როლური სივრცის დაკონკრეტების მიზნით კვლავ გამოყენებულია პირის ნაცვალსახელები – **they, she, her** –. ქ. თ.-ში მთარგმნელი ხმარობს 1) ტიპოლოგიურად განპირობებულ გამოტოვების მთარგმნელობით ტრანსფორმაციას (ქართული ზმნის მრავალპირიანობიდან გამომდინარე) და 2) ლექსიკურ ტრანსფორმაციას, ანაცვლებს რა ნაცვალსახელს არსებითი სახელით – **ქალი**. 1) **along the gravel path** – **ხრეშმოყრილი ბილიკით** – კვლავ ხდება სასტუმროსეული სივრცის დაკონკრეტება და ქ. თ.-ში ექსპლიციტური რეფერენციის იმპლიციტურით ჩანაცვლება. **in the door** – **სასტუმროს კარი** – ისევ საქმე გვაქვს სასტუმროსეული სივრცის დაკონკრეტებასთან, რომელიც ქ. თ.-ში იმპლიციტური რეფერენციითაა და დამატების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის საშუალებითაა გადმოცემული (**the door** – **სასტუმროს კარი**). 2) **the maid** – **მსახური ქალი** – პერსონაჟულ-როლური დაკონკრეტების კიდევ ერთი შემთხვევაა, რომელიც ქ. თ.-ში კვლავ იმპლიციტური რეფერენციითაა გადმოცემული. **the umbrella** – **ქოლგა** – განსაზღვრული არტიკლით დეტერმინირებული ექსპლიციტური რეფერენცია ქ. თ.-ში კვლავ ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციითაა შეცვლილი. 3) **the American girl** – **ამერიკელი ქალი** – კვლავ ხდება ნარატივის პერსონაჟულ-როლური ასპექტის დაკონკრეტება. ქ. თ.-შიც კვლავ გარდა იმისა, რომ საქმე გვაქვს იმპლიციტურ რეფერენციასთან, ასევე ჩანს მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი, ტიპოლოგიურად განპირობებული ლექსიკური ტრანსფორმაციის სახით. **the office**

– **ვესტიბული** – დაკონკრეტებული სასტუმროსეული სივრცე ქ. თ.-ში იმპლიციტური რეფერენციითაა ჩანაცვლებული. **his desk** – მაგიდასთან – კუთვნილებითი ზედსართავი სახელით დაკონკრეტებული ექსპლიციტური რეფერენცია ქ. თ.-ში იმპლიციტურითაა შეცვლილი. 4) **the girl** – ქალს – პერსონაჟულ-როლური დაკონკრეტების კიდევ ერთი შემთხვევაა, რომელიც ქ. თ.-ში კვლავ იმპლიციტური რეფერენციითაა გადმოცემული. გარდა ამისა გამოყენებულია ლექსიკური ტრანსფორმაციაც. 5) **at the same time** – ხოლმე – ხდება ტემპორალური სივრცის დაკონკრეტება, რომელის ქ. თ.-ში მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის გათვალისწინებით ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციითაა გადმოტანილი. 7) **up the stairs** – კიბე – 8) **the door of the room** – თავისი ოთახის კარები – ორივე შემთხვევაში კვლავ კონკრეტდება სასტუმროსეული სივრცე, თუმცა ქ. თ.-ში საქმე გვაქვს ტიპოლოგიურად განპირობებულ განსხვავებასთან. პირველ შემთხვევაში ექპლიციტური რეფერენცია კვლავ იცვლება იმპლიციტურით, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში დაკონკრეტება ხდება არა ორიგინალში გამოყენებული განსაზღვრული არტიკლით, არამედ კუთვნილებითი ზედსართავი სახელით. 9) **George** – ჯორჯი – ნარატივში პერსონაჟის სახელის შემოტანა ახდენს რეფერენციის მაინდივიდუალიზირებულ დაკონკრეტებას, რომელიც ქ. თ.-ში იგივე საშუალებითაა გადმოცემული. **on the bed** – იწვა – გრძელდება სასტუმროსეული სივრცის დაკონკრეტების ხაზი. ქ. თ.-ში ტიპოლოგიურად და მთარგმნელის ინდივიდუალური სტილით განპირობებულ ჩანაცვლების მთარგმნელობით ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე.

დასკვნა: მერვე აბზაცში გრძელდებოდა სასტუმროსეული სივრცის დაკონკრეტების პროცესი, რომელსაც თან ახლდა პერსონაჟულ-როლური დაკონკრეტება ერთ შემთხვევაში საკუთარი სახელის სახით. ქ. თ.-ში გამოვლენილ მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს – დამატება, გამოტოვება, ჩანაცვლება – ორმაგი ფუნქციური დატვირთვა გააჩნდა – ტიპოლოგიური იმდენად, რამდენადაც ქართულში პირის ნაცვალსახელებს (ზმნის მრავალპირიანობის გამო) ნაკლები ტექსტუალური დატვირთვა აქვთ და მეორეს მხრივ გამოჩნდა თვით მთარგმნელის ინდივიდუალური სტილის ის თავისებურება, რომელიც ლექსიკური ჩანაცვლებისადმი მიდრეკილებაში მდგომარეობს.

აბზაცი 9 1) “Did you get the cat?” he asked, putting the book down. 2) “It was gone.” 3) “Wonder where it went to,” he said, resting his eyes from reading. 4) She sat down on the bed. 5) “I wanted it so much.” she said. 6) “I don’t know why I wanted it so much. 7) I wanted that poor kitty. 8) It isn’t any fun to be a poor kitty out in the rain.”

1) – მოიყვანე კატა? – ჰკითხა და თავი ასწია. 2)– იქ აღარ იყო. 3)– სად წავიდოდა? – თქვა ქმარმა, ცოტა ხნით კითხვა შესწყვიტა. 4) ქალი საწოლზე ჩამოჯდა. 5) – იცი. როგორ მინდოდა კატა? – უთხრა ქმარს. 6) – არ ვიცი, რატომ მინდოდა ასე ძალიან, 7) ძალიან მინდოდა საბრალო ფისო. 8) რა უნდა ქნას, საბრალო ფისომ გარეთ, ამ წვიმაში?

მეცხრე აბზაცში გამოყენებული პირის ნაცვალსახელები **he, it, she, I, you** არა მარტო სუბსტიტუტის როლში გვევლინებიან, არამედ კონტექსტით განპირობებულ დეიქტიკურ ფუნქციასაც ასრულებენ. ქ. თ. –ში კვლავ და კვლავ ქართული ზმნის მრავალპირიანობის გამო ტიპოლოგიურად განპირობებული გამოტოვების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციაა ხმარებული. ამასთან მესამე წინადადებაში მთარგმნელის ინდივიდუალური სტილიდან გამომდინარე პირის ნაცვალსახელი – **he** – ჩანაცვლებულია არსებითი სახელით **ქმარმა**. 1) **the cat** – კატა – გრძელდება და ღრმავდება ნარატიული ისტორიის პერსონაჟულ-როლური რეტროსპექტული დაკონკრეტება. ქ. თ.-ში ნაცვლად ფრაზისა ის კატა, მთარგმნელი იყენებს იმპლიციტურ რეფერენციას, ანიჭებს რა კონტექსტს რეტროსპექტული დაკონკრეტების ფუნქციას. **putting the book down** – თავი ასწია – განსაზღვრული არტიკლით შესრულებული ნომინაცია, ასევე ირიბად ასრულებს ქმრის დახასიათების ფუნქციას. ქ. თ.-ში საქმე გვაქვს საინტერესო მოვლენასთან. მთარგმნელი ახდენს რა ფრაზის გააზრებას მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულების გათვალისწინებით, ჩანაცვლების მთარგმნელობით ტრანსფორმაციას იყენებს. 3) **resting his eyes** – კითხვა შესწყვიტა – კუთვნილებითი ზედსართავით დაკონკრეტებელი ექსპლიციტური რეფერენციაა, რომელიც ქ. თ.-ში კვლავ ზემოთ ნახსენები „ჩანაცვლების“ ტრანსფორმაციითაა გადმოცემული. 7) **that poor kitty** – საბრალო კატა – ამ შემთხვევაში რეფერენციის ექსპლიციტურად გამოხატვის შესაძლებლობა კვლავ იძენს სტილისტურ ეფექტს. **the cat** და **that cat** ერთნაირად იყო შესაძლებელი, მაგრამ, ჩვენის აზრით, დეტერმინატივის – **that** – გამოყენება იძენს კონტექსტუალურად ძლიერ დეიქტიკურ ფუნქციას, მიუთითებს რა ქალის როგორც პროსპექტულ, ისე რეტროსპექტულ განწყობილებაზე. ქ. თ.-ში ნაცვლად ექსპლიციტური

რეფერენციისა ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციაა ნახმარი, რაც კონტექსტს ანიჭებს დაკონკრეტების ფუნქციას. 8) **any fun** – მოცემულ ფრაზაში განუსაზღვრელი ნაცვალსახელით განსაზღვრული სახელი წმინდა დეიქტიკურ ფუნქციას ასრულებს. ქ. თ. –ში კვლავ განხორციელებულია ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია. **in the rain** – წვიმაში – ტემპორალური სივრცის დაკონკრეტება გრძელდება ექსპლიციტური რეფერენციით, როემლიც ქ. თ.-ში იმპლიციტურითაა გადმოცემული.

დასკვნა: მეცხრე აბზაცში, რომელიც ძირითადად დიალოგს წარმოადგენს გრძელდება და ღრმავდება ნარატიული ისტორიის პერსონაჟულ-როლური რეტროსპექტული დაკონკრეტება. ამასთან კონკრეტდება სასტუმროსეული თუ ტემპორალური სივრცე. დიალოგი შეიცავს პირის ნაცვალსახელებს როგორც წმინდა დეიქტიკური ფუნქციის მატარებელ ელემენტებს. ქ. თ.-ში სახეზეა ტიპოლოგიურად განპირობებული გამოტოვებისა და ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები.

აბზაცი 10 1) **George** was reading again.2) **She** went over and sat **in front of the mirror of the dressing table** looking **at herself with the hand glass**.3) **She** studied **her profile**, first **one side** and then **the other**. 4) Then **she** studied **the back of her head and her neck**. 5).6) **George** looked up and saw **the back of her neck**, clipped close **like a boy's**. 7) “I like **it the way it is**.”8) “I get so tired **of it**,” she said. 9) “I get so tired of looking **like a boy**.”

1)ჯორჯი ისევ კითხულობდა. 2) ქალი ტუალეტის მაგიდასთან მივიდა, სარკის წინ დაჯდა, ხელის სარკე მოიმარჯვა და თავისი თავი გულდასმით შეათვალიერა. 3) ჯერ პროფილს აკვირდებოდა, ხან ერთი მხრიდან, ხან მეორედან, 4) მერე კეფას და კისერს დაუწყო სინჯვა. – 5)როგორ გგონია, კარგი არ იქნება, თმა რომ გავიზარდო? – იკითხა ქალმა და ისევ შეხედა თავის პროფილს. 6) ჯორჯმა თავი ასწია და ცოლის ბიჭურად შეკრეჭილ კეფას შეხედა. 7) – მე ასე მომწონს, როგორც ახლა გაქვს. 8) – მე კი უკვე მომბეზრდა ასე, 9) ძალიან მომბეზრდა, სულ ბიჭს რომ ვგავარ.

1) 6) **George** – ჯორჯი – საკუთარი სახელი ორიგინალის ტექსტშიც და ქ. თ.-შიც ახდენს რეფერენციის მაინდივიდუალიზირებელ დაკონკრეტებას. 2) 3) 4) 5) 6) 7) **She, herself, her** – ქალი, თავისი თავი, თავის – პირის და უკუქცევითი ნაცვალსახელები და კუთვნილებითი ზედსართავი სახელი ასრულებენ არსებითი სახელის სუბსტიტუტისა და კონტექსტუალურად განპირობებულ დეიქტიკურ ფუნქციას. აღსანიშნავია, რომ ქ. თ.-ში პირის ნაცვალსახელი ან ლექსიკური

ტრანსფორმაციითაა შეცვლილი, ან გამოტოვებულია ტიპოლოგიური თვალსაზრისით. 2) **in front of the mirror of the dressing table** – ტუალეტის მაგიდასთან, სარკის წინ – კვლავ ხდება განსაზღვრული არტიკლით დეტერმინირებული ექსპლიციტური რეფერენციით სასტუმროსეული სივრცის დაკონკრეტება, რომელიც ქ. თ.-ში იმპლიციტურითაა შეცვლილი. **with the hand glass** – ხელის სარკე – ექსპლიციტური რეფერენციის კიდევ ერთი მაგალითია, რომელიც ქ. თ.-ში ისევ იმპლიციტურით გადმოიცემა. 3) 5) **her profile** – პროფილს – მოცემულ შემთხვევაში კუთვნილებითი ზედსართავი სახელით განსაზღვრულ ექსპლიციტურ რეფერენციასთან გვაქვს საქმე. ქ. თ.-ში კვლავ გამოყენებულია ტიპოლოგიურად განპირობებული ექსპლიციტური რეფერენცია. **one side** – ერთი მხრიდან – რაოდენობითი რიცხვითი სახელით დაკონკრეტებული რეფერენცია ქ. თ.-ში კვლავ იგივე საშუალებითაა გამოხატული. **the other** – მეორედან – განუსაზღვრელი ნაცვალსახელით ხდება უკვე ნახსენები სახელის სუბსტიტუცია. ქ. თ.-შიც იგივე საშუალებაა გამოყენებული. 4) 6) **the back of her head and her neck** – კეფას და კისერს – ინგლისურ ტექსტში განსაზღვრული არტიკლითა და კუთვნილებითი ზედსართავი სახელით განხორციელებულია ექსპლიციტური რეფერენცია, თუმცა მთარგმნელის ინდივიდუალური სტილისა და ქართული ენის ტიპოლოგიის გათვალისწინებით ის შეცვლილია იმპლიციტურით. 5) 7) 8) 9) **you, it, I** – პირის ნაცვალსახელები გამოხატავენ ტექსტობრივი დეიქტიკური ფუნქციის მატარებელ რეფერენციას. აღსანიშნავია, რომ ქ. თ.-ში კვლავ ტიპოლოგიური განსხვავებების გამო, რაც ქართული ზმნის მრავალპირიანობითაა განპირობებული, ხდება ნაცვალსახელების **you, I** და **it** გამოტოვება, თუმცა მე-7 და მე-8 წინადადებებში თარგმანში გამოყენებულია I პირის ნაცვალსახელი მე, რაც, ჩვენი აზრით, ტიპოლოგიური თვალსაზრისით გამართლებულია. 5) **my hair** – თმა – კუთვნილებითი ზედსართავი სახელით დაკონკრეტებული სახელი ქ. თ.-ში ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციითაა ჩანაცვლებული. 6) **the back of her neck, clipped like a boy's** – ცოლის ბიჭურად შეკრეჭილ კეფას – კუთვნილებით ბრუნვაში მდგომი არსებითი სახელი ექსპლიციტურად განსაზღვრავს ქალის კეფას, მაგრამ ქ. თ.-ში კვლავ იმპლიციტურითაა შეცვლილი. ამასთან მთარგმნელს გამოყენებული აქვს ჩანაცვლების მთარგმნლობითი ტრანსპორმაცია, ცვლის რა კუთვნილებით

ზედსართავს **her** არსებითი სახელით – ცოლის. 7) **the way** – ასე – არტიკლით დაკონკრეტებული ექსპლიციტური რეფერენცია ქ. თ.-ში შეცვლილია მთარგმნელობითი ტრანსფორმაციით. 8) **looking like a boy** – ბიჭს რომ ვგავარ – განუსაზღვრელი არტიკლით განხორციელებული ნომინაცია, ქ. თ.-ში იმპლიციტური რეფერენციითაა გამოხატული. აქვე, აგრეთვე გვხვდება კუთვნილებითი ბრუნვით დაკონკრეტებული ექსპლიციტური რეფერენცია, რომელიც ქ. თ.-ში იგივე საშუალებითაა გადმოცემული.

დასკვნა: მოცემული აბზაცი აგრძელებს წინა აბზაცში დაწყებულ ხაზს. აქაც გვხვდება დიალოგური მეტყველება და, შესაბამისად, მრავლად გამოყენებული პირის ნაცვალსახელები, რომლებიც ქ. თ.-ში ძირითადად გამოტოვებისა და ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსპორმაციებითაა გადმოტანილი.

აბზაცი 11 – 1) **George shifted his position in the bed. He hadn't looked away from her since she started to speak.** 2) **“You look pretty darn nice,” he said.** 3) **She laid the mirror down on the dresser and went over to the window and looked out.** 4) **It was getting dark.** 5) **“I want to pull my hair back tight and smooth and make a big knot at the back that I can feel,” she said.** 6) **“I want to have a kitty to sit on my lap and purr when I stroke her.”** 7) **“Yeah?” George said from the bed.** 8) **“And I want to eat at a table with my own silver and I want candles.** 9) **And I want it to be spring and I want to brush my hair out in front of a mirror and I want a kitty and I want some new clothes.”** 10) **“Oh, shut up and get something to read,” George said. He was reading again.**

1) **ჯორჯმა საწოლზე გვერდი** ინაცვლა. ცოლი რომ გამოეღაპარაკა, მას მერე თვალი არ მოუცილებია მისთვის. 2) – ასე ძალიან ლამაზი მეჩვენები, – უთხრა ქმარმა. 3) ცოლმა სარკე მაგიდაზე დადო, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. 4) დამდებოდა. 5) – თმა მაგრად მინდა უკან გადავიჭიმო, სულ რომ გასწორდეს მერე მთლიანად კეფაზე დავიხვევ, რომ ხელში ბლომად მომხედეს ხოლმე, – თქვა ქალმა 6) – კიდევ მინდა, რომ კალთაში ფისო მეჯდეს და კრუტუნებდეს, როცა ხელს გადაეუსვამ. 7) – ჰოო? – თქვა ქმარმა. 8) – და კიდევ ის მინდა, რომ მაგიდას ვუჯდე, საჭმელს ჩემი დანა-ჩანგლით შევექცეოდე და სანთლები ენთოს. 9) კიდევ მინდა, რომ გაზაფხული იყოს და სარკის წინ თმა ჩამოვივარცხნო. მინდა მყავდეს ფისო და მქონდეს ახალი კაბა. 10) – ოოჰ, – მორჩი ლაპარაკს, წაიკითხე რამე, – უთხრა ჯორჯმა. თავად კითხვას განაგრძობდა.

1) 6) 10) **George** – ჯორჯი, ქმარი – როგორც წინა აბზაცებში აქაც ხდება რეფერენციის საკუთარი სახელით დაკონკრეტება. ქ. თ.-შიც პერსონაჟის იდენტიფიცირება ხდება ისევ საკუთარი სახელის საშუალებით გარდა ერთი შემთხვევისა, როცა მთარგმნელი იყენებს ჩანაცვლების მთარგმნელობით ტრანსპორმაციას, ცვლის რა სახელს – ჯორჯს – არსებითი სახელით ქმარი. 1) **his position** – გვერდი – სახეზეა კუთვნილებითი ზედსართავით დაკონკრეტებული ექსპლიციტური რეფერენცია, რომელიც ქ. თ.-ში შეცვლილია იმპლიციტური რეფერენციით. ამასთან გამოყენებულია ტიპოლოგიურად განპირობებული ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსპორმაცია. 1) 8) **the bed** – საწოლზე – კვლავ ხდება სასტუმროსეული სივრცის ექსპლიციტური დაკონკრეტება, რომელიც ქ. თ.-ში იმპლიციტური რეფერენციითაა გადმოსული, ხოლო მე-8 წინანდადებაში საერთოდ გამოტოვებულია. წინა აბზაცების მსგავსად ამ აბზაცშიც გამოყენებულია პირის ნაცვალსახელები I, he, her, she, It – რომლებიც როგორც სუბსტიტუტები რეტროსპექტულად ცვლიან უკვე ნახსენებ არსებით სახელებს. ქ. თ.-ში ხდება მათი გამოტოვება, რაც ერთდროულად ტიპოლოგიურად და სტილისტურადაა განპირობებული. რეფერენცია ძირითადად ხდება იმპლიციტურად – ტექსტობრივი რეტროსპექციის ხარჯზე ან ნაცვალსახელის არსებითი სახელით – ქალი, ქმარი – ჩანაცვლებით. 4) 8) **the mirror** – სარკე – კვლავ ხდება უკვე ნახსენები სახელის ექსპლიციტური, რეტროსპექტული დაკონკრეტება, რომელიც ქ. თ.-ში ისევ იმპლიციტური რეფერენციითაა შეცვლილი. **on the dresser** – მაგიდაზე, **to the window** – ფანჯარასთან – ექსპლიციტური რეფერენცია ქ. თ.-ში კვლავ იმპლიციტურითაა გამოხატული. 6) 9) **my hair** – თმა – კვლავ ხდება ექსპლიციტური რეფერენციის კუთვნილებითი დეტერმინანტით დაკონკრეტება და ქ. თ.-ში ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტურით ჩანაცვლება. **a big knot** – განუსაზღვრელი არტიკლით ნომინირებული არსებითი სახელი ქ. თ.-ში სტილისტურად და ტიპოლოგიურად განპირობებული ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციითაა გადმოცემული. 7) 9) **a kitty** – ფოსო – ამ შემთხვევაში ხდება არა უკვე ნახსენები სახელის ექსპლიციტური დაკონკრეტება, არამედ უბრალოდ ნომინირება, რაც კონტექსტს ანიჭებს რეტროსპექციის ფუნქციას. ქ. თ.-ში კვლავ გამოყენებულია იმპლიციტური რეფერენცია. 7) **on my lap** – კალთაში – კუთვნილებითი ზედსართავი სახელით დაკონკრეტებული ექსპლიციტური

რეფერენცია ქ. თ.-ში იმპლიციტურითაა შეცვლილი. 9) **at a table** – მაგიდას – კვლავ ხდება განუსაზღვრელი არტიკლის საშუალებით ცივილიზაციური სივრცის დაკონკრეტება, რომელიც ქ. თ.-ში კვლავ ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციითაა შეცვლილი. **with my own silver** – ჩემი დანა-ჩანგლით – კუთვნილებითი ზედსართავი სახელით დაკონკრეტებული არსებითი სახელი ქ. თ.-ში იგივე საშუალებითაა გადმოცემული. **candles** – სანთლები – მრავლობით რიცხვში მდგომ არსებით სახელს განმაზოგადებელი ფუნქცია გააჩნია, შესაბამისად ქ. თ.-შიც რჩება იმპლიციტური რეფერენცია. **some new clothes** – ახალი კაბა – განუსაზღვრელი ნაცვალსახელით დეტერმინირებული ექსპლიციტური რეფერენცია ქ. თ.-ში იმპლიციტურითაა შეცვლილი, რასაც თან ახლავს ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსპორმაცია.

დასკვნა: მე-11 აბზაცში ხდება სასტუმროსეული სივრცის დაკონკრეტება. გამოყენებულია როგორც განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლით, ისე კუთვნილებითი ნაცვალსახელით დეტერმინირებული ექსპლიციტური რეფერენციის მაგალითები, რომლებიც ქ. თ.-ში ძირითადად იმპლიციტურითაა შეცვლილი. ქ. თ.-მა კვლავ გამოავლინა ორ ენას შორის არსებული ტიპოლოგიური და სტილისტური განსხვავებები.

აბზაცი 12 – 1) **His wife** was looking **out of the window**. 2) It was quite dark now and still raining **in the palm trees**. 3) “Anyway, **I want a cat**,” she said, “**I want a cat**.” 4) **I want a cat** now. 5) If **I can’t have long hair** or **any fun**, **I can have a cat**.” 6) **George** was not listening. 7) **He** was reading **his book**. 8) **His wife** looked **out of the window** where **the light** had come on **in the square**. 9) **Someone** knocked **at the door**. 10) “Avanti,” **George** said. 11) **He** looked up from **his book**. 12) **In the doorway** stood **the maid**. 13) **She** held **a big tortoise-shell cat** pressed tight against **her** and swung **down against her body**. 14) “Excuse **me**,” she said, “**the padrone** asked **me** to bring **this** for **the Signora**.”

1) ცოლი ფანჯარაში იყურებოდა. 2) უკვე ბნელოდა და კვლავ აწვიმდა პალმებს. – 3) რა ვქნა, მაინც მინდა კატა, – თქვა ქალმა – დიახ, მე მინდა კატა. 4) აი, ახლა მინდა კატა. 5) თუკი არ შეიძლება გრძელი თმა მქონდეს ან როგორმე გავერთო, კატა მაინც მყავდეს. 6) ჯორჯი აღარ უსმენდა, 7) წიგნს კითხულობდა. 8) ცოლი ფანჯარაში იყურებოდა. მოედანზე სინათლეები ანთებულიყო. 9) კარზე დააკაკუნეს. 10) – Avanti! – თქვა ჯორჯმა და თავი ასწია. 12) კართან მსახური ქალი იდგა. 13) ხელებში ძლივს ეტეოდა ვეება

ჭრელი კატა. 14) – მაპატიეთ, თქვა მან, – padrone-მ მითხრა, ეს კატა სინიორას მიართვით.

1) **his wife** – ცოლი – კუთვნილებითი ზედსართავით კიდევ ერთხელ დაკონკრეტებული ექსპლიციტური რეფერენციის მაგალითია, რომელიც ქ. თ.-ში იმპლიციტურითაა გადმოცემული. 3) 4) 5) 13) – **a cat** – კატა – გრძელდება წინა აბზაცებში დაწყებული ნომინაციის პროცესი, რომელიც ქ. თ.-ში იმპლიციტურად მხოლოდ ტექსტობრივ რეფერენციაზე დაყრდნობითაა გადმოტანილი. 5) **any fun** – როგორმე გავერთო – განუსაზღვრელი ნაცვალსახელით დეტერმინირებული არსებითი სახელი ნომინაციის ფუნქციას ასრულებს. ქ. თ.-ში კვლავ გამოყენებულია სტილისტურად და ტიპოლოგიურად განპირობებული ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია. 7) 11) **his book** – წიგნს – როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაშიც ექსპლიციტური რეფერენცია დაკონკრეტებული კუთვნილებითი ზედსართავი სახელით ქ. თ.-ში გადმოცემულია იმპლიციტურად ტიპოლოგიური განსხვავებების გათვალისწინებით. 13) **down against her body** – ხელებში – აქაც საქმე გვაქვს წინა მაგალითში განხილულ ანალოგიურ შემთხვევასთან, რომელიც ქ. თ.-ში კვლავ ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციითაა გადმოსული. 14) **this** – ეს კატა – ორიგინალში ჩვენებითი ნაცვალსახელი **this** ორ ფუნქციას ასრულებს: რეტროსპექტულად ცვლის უკვე დასახელებულ კატას და ამავე დროს აქვს წმინდა ტექსტობრივი დეიქტიკური ფუნქცია. ქ. თ.-ში კვლავ სტილისტური და ტიპოლოგიური განსხვავებების გათვალისწინებით მთარგმნელი იყენებს დამატების ტრანსფორმაციას.

დასკვნა: მოცემული აბზაცი კვლავ აგრძელებს და აკონკრეტებს ექსპოზიციაში დაწყებულ დაკონკრეტების ხაზს. რეტროსპექტულად კვლავ კონკრეტდება ფანჯარა, პალმები, მოედანი, სასტუმროს ოთახის კარები, მოსამსახურე ქალი, რაც ორიგინალის ტექსტში გამონაკლისის გარეშე განსაზღვრული არტიკლის საშუალებით ხდება. ქ. თ.-ში ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციაა გამოყენებული, რომელიც ტექსტს რეტეროსპექტული დაკონკრეტების ფუნქციას ანიჭებს. აბზაცში ასევე მრავლად ვხვდებით პირის ნაცვალსახელებს – **I, she her, he**, რომლებიც ქ. თ.-ში ან გამოტოვებულია, ან მთარგმნელის ინდივიდუალური სტილიდან გამომდინარე არსებითი სახელითაა შეცვლილი.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენ მიერ ჰემინგუეისეულ ნარატივში გამოყენებული რეფერენციათა ერთობლიობა გაანალიზებულ იქნა აბზაცთა თანმიმდევრობის მიხედვით. ჩატარებულმა ანალიზმა დაადასტურა იმ თეორიული პრინციპის ადეკვატურობა, რომელიც მას საფუძვლად დაედო. ხსენებული პრინციპი გულისხმობდა რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ფუნქციონირებას ორ დონეზე – ა) **სისტემის დონეზე** როგორც რეფერენციის ფუნქციურ-სემანტიკურ ველი და ბ) **დისკურსის დონეზე** როგორც ტექსტის რეფერენტული ბადე. ანალიზზე დაყრდნობით ამ ორივე მომენტის გათვალისწინებით შესაძლებელია შემდეგი დასკვნა გაკეთება:

ა. **რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველი** – ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხსენებული ველის ცენტრს ერთდროულად წარმოადგენს ორი ენობრივი ელემენტი – პირის ნაცვალსახელი, რომელიც წმინდა დეიქტიკურ ფუნქციას ასრულებს, მაგრამ ამავე დროს დამოკიდებულია ტექსტის სინტაგმატიკაზე – ნაცვალსახელმა უნდა ჩაანაცვლოს ტექსტის წინა სემანტში უკვე ნახსენები სახელი. მაგრამ ასევე ცენტრალური სტატუსი უნდა მიენიჭოს არტიკლს, თუმცა ნაცვალსახელისაგან განსხვავებით მასში დეიქტიკური ფუნქცია შერწყმულია დეტერმინაციის ფუნქციასთან. ანალიზმა აგრეთვე გვიჩვენა, რომ ველის შემადგენლობაში შედის როგორც ჩვენებითი და განუსაზღვრელი ნაცვალსახელები, ისე კუთვნილებითი ზედსართავი სახელებიც. ამგვარად დადასტურდა ჩვენს მიერ ნაგულისხმევი ველის სტრუქტურა: ა) მისი ცენტრი წარმოდგენილია ნაცვალსახელით, რომელიც წმინდა დეიქტიკურ ფუნქციას ასრულებს; ბ) შუალედური სემანტი წარმოდგენილია არტიკლით: იგი ფუნქციურად შეიძლება უახლოვდებოდეს ნაცვალსახელს, მაგრამ ამავე დროს შეიძლება თითქმის უსასრულოდ აკონკრეტებდეს ნებისმიერ სივრცეს – გეოგრაფიულს, ცივილიზაციურს, პერსონაჟულს და ა. შ. ისე, რომ მითითების ფუნქცია მის (არტიკლის) ფარგლებში შეიძლება გადაიზარდოს დაკონკრეტების ფუნქციაში. თუმცა მითითების ფუნქცია რამდენადმე შენარჩუნებულია პერიფერიაში, სადაც დეიქტიკური ფუნქციის მქონე ყველა ის ელემენტი „ხვდება“, რომელიც არა საკუთრივ როლური (სუბიექტურ-პერსონაჟული) დეიქსისის, არამედ მასზე დამოკიდებული ადგილისა და დროის დეიქსისის ფუნქციებს ასრულებს. ასეთია, როგორც წესი, ჩვენებითი და კუთვნილებითი ზედსართავი სახელების ფუნქციები.

ბ) ტექსტობრივი ბადე – როგორც გვახსოვს, ტექსტობრივი ბადე მუდამ წარმოადგენს ამა თუ იმ კონკრეტული ტექსტის ისეთ სტრუქტურას, რომელიც ამა თუ იმ ფუნქციურ-სემანტიკური ველის აქტუალიზაციის შედეგად იქმნება და ველისაგან განსხვავებით მუდამ არის **სინტაგმატური** და არა პარადიგმატული სტრუქტურა.

ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა განხილული ნარატიული ტექსტის რეფერენტული ტექსტობრივი ბადის შემდეგი ასპექტები:

- 1) **ბადის შემადგენლობა** – მის შემადგენლობაში შევიდა თითქმის ყველა ის ენობრივი ელემენტი: პირის ნაცვალსახელები, არტიკლი და დეიქტიკური ფუნქციის მქონე დეტერმინატები: კუთვნილებითი და ჩვენებითი ზედსართავი სახელები და იშვიათად განუსაზღვრელი ნაცვალსახელები, რომლებიც ველის ფარგლებში რეფერენციის ფუნქციის მატარებლად წარმოდგენილნი.
- 2) **ბადის სურათი** – როგორც წესი, ბადის სურათი ხასიათდება შემდეგი მომენტით: იმ რეფერენტულ ელემენტს, რომელიც ამა თუ იმ რეფერენტული სივრცის მონაკვეთს ან ელემენტს ასახელებდა, მოსდევდა მისი დამაკონკრეტებელი რეფერენტული ელემენტი.
- 3) **გადასვლათა რიტმი** – გადასვლათა რიტმი ხასიათდება ორი ურთიერთდაკავშირებული მომენტით: ზემოთ ხსენებული რეფერენტული დაკონკრეტება ხდება როგორც ერთი და იგივე აბზაცის ფარგლებში, ისე აბზაცთა თანმიმდევრობით: ყოველ შემდგომ აბზაცში გრძელდება რეფერენტული დაკონკრეტების წინა აბზაცში (ან აბზაცებში) დაწყებული პროცესი.
- 4) **ბადის განპირობებულობა** – ბადის ამგვარი სტრუქტურა განპირობებულია არა მხოლოდ რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის იმ ფუნქციური მახასიათებლებით, რომელთა შესახებ ვსაუბრობდით მთელი ჩვენი კვლევის მანძილზე (რეფერენციის ორმაგი – სისტემური და დისკურსული მოცემულობა, რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი, რეფერენციის ტრიადული სტრუქტურა), არამედ იმ ტექსტის ფუნქციურ-სტილისტური და ჟანრობრივი თავისებურებით, რომლის ანალიზსაც ვახდენდით. ეს იყო მოდერნისტული, ნარატიული ტექსტი, რომლის ფარგლებში ექსპლიციტური რეფერენცია შერწყმული იყო იმპლიციტურთან, ანუ ქვეტექსტურთან.

რაც შეეხება ქართულ თარგმანს, იგი ძირითადად ხასიათდება შემდეგი სამი თავისებურებით: 1) ტიპოლოგიურად განპირობებული მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები, რომელთა შორის როგორც რაოდენობრივი, ისე

რეპრეზენტაციული თვალსაზრისით ჭარბობს ქართული ზმნის მრავალპირიანობის გამო პირის ნაცვალსახელთა გამოტოვება. გარდა ამ ტრანსფორმაციისა ასევე ტიპოლოგიურად უნდა მივიჩნიოთ ჩანაცვლებისა და დამატების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები. 2) გარდა ამისა ტიპოლოგიურად განპირობებულ თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ თარგმანში ინგლისურენოვანი ექსპლიციტური რეფერენციის იმპლიციტურით შეცვლა. 3) ტიპოლოგიურად განპირობებულ ტრანსფორმაციათა ფონზე გამოიკვეთა მთარგმნელის ინდივიდუალური სტილით განპირობებული ისეთი მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია როგორცაა პირის ნაცვალსახელის შესაბამისი არსებითი სახელით შეცვლა (she – ქალი, he – სასტუმროს მენეჯერი ან ქმარი და ა. შ.)

ვფიქრობთ, მოთხრობის “Cat in the rain”, ერთის მხრივ, რეფერენტულმა ანალიზმა და, შესაბამისად, მისი რეფერენტული ბადის დადგენამ, მეორეს მხრივ კი მისი ქართულენოვანი თარგმანის შეპირისპირებითმა ანალიზმა დაგვანახა რეფერენციის ზოგადი ლინგვო-სემიოტიკური ფუნქციის როგორც ძირითადი ასპექტები, ისე ინგლისურ და ქართულ ენებში ამ ფუნქციის ტიპოლოგიურად განსხვავებული ფორმით გამოხატვის თავისებურებები. ე. ჰემინგუეის მეორე მოთხრობის “The Indian Camp” (თარგმანი ნ. წერეთლისა) ანალიზს ვანსორციელებთ პირველ შემთხვევაში უკვე მიღებულ შედეგთა ადეკვატურობის ვერიფიკაციის მიზნით. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მთავარი იქნება არა უკვე მიღებულ შედეგთა დადასტურება, არამედ მისგან გადახვევის თუ სიახლის შემთხვევები.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა ამგვარი გადახვევისა თუ სიახლის შემდეგი მაგალითები: აბზაცი 1 – **another rowboat**. – მეორე ნავიც – ამ შემთხვევაში ხდება ექსპლიციტური რეფერენცია, რომელიც არამხატვრულ ტექსტში უნდა ასრულებდეს რეტროსპექტულ ფუნქციას. მოცემულ შემთხვევაში კი ხდება ფუნქციის ინვერსია, რომლის გამოყენებაც პროსპექტულადაა გამართლებული. ქ. თ-ში მეორე ნავიც იმეორებს ხსენებული ფუნქციის ინვერსიას. **The two Indians** – ორი ინდიელი – ამ შემთხვევაშიც რეტროსპექტული რეფერენტული ფუნქცია შეცვლილია პროსპექტულით. ქ. თ-ში არტიკლის უქონლობის გამო ამგვარი ინვერსია არ ხდება ე. ი. სახეზეა ტიპოლოგიურად განპირობებული სტილისტური ინვერსია. (რეტროსპექტული → პროსპექტული). აბზაცი 3 – **the other boat** – წინა ნავს – იმპლიციტურად მიუთითებს ნავთა

რაოდენობაზე. ამავე დროს ირიბად ასრულებს მეორე ფუნქციასაც, მიუთითებს რა ნაგების მფლობელებზე როგორც პერსონაჟთა სისტემის მომავალ მონაწილეებზე. ქ. თ.-ში რეფერენციას აქვს რეტროსპექტული და პროსპექტული ფუნქციის კოჰეზიური, ანუ ტექსტის შინაგანად შემაკავშირებელი ფუნქცია.


აბზაცი 3 – There is an Indian lady very sick – ერთი ინდიელი ქალი გამხდარა ძალიან ავად – ამ შემთხვევაში ხდება პერსონაჟთა სივრცის განუსაზღვრელი არტიკლით დეტერმინირებული არსებითი სახელით გაფართოება. ქ. თ.-ში კი ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია ხდება განსაზღვრული ნაცვალსახელის დეიქტიკური ფუნქციის დაკონკრეტებით. **აბზაცი 5 – both the Indians – ორმა ინდიელმა –** განუსაზღვრელი ნაცვალსახელით დაკონკრეტებული რეფერენციაა, რომელიც ქ. თ.-ში იგივე საშუალებით გადმოიცემა, თუმცა, რა თქმა უნდა, განსაზღვრული არტიკლის გარეშე და შესაბამისად იმპლიციტურია. **აბზაცი 6 – they – ყველანი –** პირის ნაცვალსახელი მარეზუმირებელი ნომინაციის ფუნქციით ასახელებს აქამდე ნომინირებულ ყველა პერსონაჟს ერთობლივად. ქ. თ.-ში გამოყენებულია ტიპოლოგიურად განპირობებული ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია. ქართული ზმნის მრავალპირიანობის გამო სტილისტურად გაუმართლებელი პირის ნაცვალსახელის „ისინი“ ნაცვლად მთარგმნელი ხმარობს განუსაზღვრელ ნაცვალსახელს, რომელის ახდენს იგივე მარეზუმირებელი ფუნქციის საზგასმით აქცენტირებას. **a lantern – ფარნიანი –** ხდება ინვენტარის პირველად შემოტანა სიუჟეტურ სივრცეში, სადაც რეფერენცია ასრულებს ნომინაციის ფუნქციას. იგივე აბზაცში ფრაზა – **his lantern – ფარანი –** ანხორციელებს კუთვნილებითი ზედსართავი სახელით განსაზღვრულ ირიბ ექსპლიციტურ რეფერენციას. ქ. თ.-ში პირველ შემთხვევაში – **ფარნიანი –** ხდება ირიბი ნომინაციის ინვერსია, ხოლო მეორე შემთხვევაში – **ფარანი –** ექსპლიციტური რეფერენცია შეცვლილია იმპლიციტურით, რადგან ამოღებულია კუთვნილებითი ნაცვალსახელი **his**. **აბზაცი 7 – more dogs – სხვა ძაღლები –** განუსაზღვრელი ზედსართავი სახელის საშუალებით ხდება ძაღლთა ახალი რაოდენობის შემოყვანა სიუჟეტურ სივრცეში. ქ. თ.-ში გამოყენებულია ტიპოლოგიურად განპირობებული შეცვლის მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია. **აბზაცი 8 – a young Indian woman – ახალგაზრდა ქალი –** ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სიუჟეტურ სივრცეში პერსონაჟის განახლებული ინტროდუქციული ფუნქციით შემოყვანასთან, რომელიც ქ. თ. –ში იგივე ფუნქციას იმპლიციტურად გადმოცემს. **All the old women – ხანშისესული ქალები –** შემოყვანილი

პერსონაჟის ირიბად რეფერენტული დაკონკრეტება ხდება კვლავ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის საშუალებით. ქ. თ.-ში კვლავ ტიპოლოგიურად განპირობებული იმპლიციტური რეფერენციაა გამოყენებული. **აბზაცი 9 – some water – ცხელი წყალი** – უთვლადი არსებითი სახელის პროსპექტული ფუნქციით რეფერენციაა, რომელიც ქ. თ.-ში ისევ და ისევ იმპლიციტური რეფერენციითაა შეცვლილი. **this lady – ამ ქალს** – ამ შემთხვევაში ჩვენებითი ნაცვალსახელით განსაზღვრული რეფერენცია დეიქტიკურ ფუნქციასაც ასრულებს. აღსანიშნავია, რომ ქ. თ.-ში რეფერენცია იგივე საშუალებითაა გადმოცემული. **აბზაცი 8 – a quit – აბზაცი 15 – that quit – საბანი** – პირველ შემთხვევაში ხდება კიდევ ერთი ინვეტარის ნომინაცია, მაშინ როცა მეორე შემთხვევაში ჩვენებითი ზედსართავი სახელი ასრულებს ექსპლიციტურად რეფერენტულ რეტროსპექტულ ფუნქციას. თუმცა ქ. თ. -ში ორივე შემთხვევაში ექსპლიციტური რეფერენცია კვლავ იმპლიციტურითაა შეცვლილი. **აბზაცი 23 – the nurse – მომვლელი ქალი** – კონკრეტდება ცივილიზაციური სივრცის განუყოფელი სეგმენტი, თუმცა ქ. თ.-ში ექსპლიკაცია კვლავ იმპლიკაციითაა შეცვლილი. **აბზაცი 25 – at the proud father – გაბედნიერებულ მამასაც** – აღნიშნავს სიტუაციური სივრცის რეტროსპექტულ და დამაკონკრეტებელ ფუნქციას, რომელიც ქ. თ.-ში იმპლიციტური რეფერენციითაა შეცვლილი.

ფიქრობთ, აუცილებელი არ არის ავაგოთ ჰემინგუეის ამ მოთხრობის რეფერენტული ბადეც, რადგან რეფერენცია მის ფარგლებში თითქმის გამონაკლისის გარეშე იმეორებს წინა ტექსტში შესრულებულ ფუნქციებს. საბოლოო ანგარიშში კი რეფერენციის ამგვარი, თითქმის იდენტური ფუნქციური დამთხვევა მეტყველებს არა მხოლოდ რეფერენციის ჩვენს მიერ ნაგულისხმევ და თეორიულად გააზრებულ ფუნქციებზე, არამედ იმაზეც, რომ ნებისმიერი ენობრივი კატეგორია ფუნქციონირებს არა განყენებულად, არამედ ერთი რომელიმე სამეტყველო სტილის ფარგლებში. ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის კი მნიშვნელოვანია იმის საზგასმა, რომ ჰემინგუეისეულმა ნარატიულმა სტილმა მთლიანად დაადასტურა რეფერენციის როგორც კონცეპტისა და ტექსტობრივი ფენომენის ჩვენეული კვლევის შედეგები.

ზემოთ განხორციელებული ანალიზის შემდეგ შეგვიძლია, რა თქმა უნდა, სქემატურად, მაგრამ ადეკვატურობის სრული დაცვით, ავაგოთ ჰემინგუეისეული მცირე პროზის ტექსტთა ანალიზზე დაფუძნებული რეფერენტული ბადის ზოგადი მოდელი:

რეფერენტული ბადის განზოგადებული მოდელი



დასკვნა

რეფერენციის როგორც თემისა და პრობლემის განხილვა ნაშრომის შესავალსა და სამივე თავის ფარგლებში იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

1. როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რეფერენციის ფენომენის ლინგვისტური გააზრების პროცესი შინაგანად უნდა უკავშირდებოდეს თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკას. ხსენებული დინამიკა კი მოითხოვს, რომ რეფერენციის პრობლემა განხილულ იქნეს ძირითადად და პრინციპულად ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის თვალსაზრისით, მაგრამ წინა პარადიგმების მონაცემთა სრული გათვალისწინებით;
2. პრობლემისადმი პარადიგმული მიდგომის ზემოთ ფორმულირებული კონცეფცია მოითხოვს იმ შინაგანი ვექტორის გამოვლენას, რომლითაც რეფერენციის ლინგვისტური კონცეპტი ხასიათდება თავისი განვითარების დიაქრონულ ასპექტში. ხსენებული ვექტორის თანდათანობითი გამოვლენა კი ხასიათდება შემდეგი ეტაპობრივი სტრუქტურით:
 - რეფერენციის ლინგვისტური ცნება, რომელიც დასაწყისში უკიდურესი შინაგანი დიფუზურობით ხასიათდება და უკავშირდება მთელ ენობრივ გამონათქვამს, თანდათანობით იძენს კონცეპტუალურ გარკვეულობას იმით, რომ ემიჯნება ჯერ სიგნიფიკაციის, შემდეგ კი დენოტაციის ცნებებს;
 - რეფერენციის ცნება ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება სახელს (ნომინალურ ჯგუფს);
 - სულ უფრო და უფრო იზრდება პრაგმატიკის როლი და მნიშვნელობა რეფერენციის როგორც ენობრივი ფენომენის ლინგვისტური გააზრების პროცესში;
 - პრაგმატიკასთან ერთად და მასთან უშუალო კავშირში აგრეთვე იკვეთება რეფერენციის ტექსტობრივი ფუნქცია.
3. რეფერენციის პრობლემის დიაქრონულ პლანში განხილვის შედეგად იკვეთება ამ პრობლემის თანამედროვე გააზრებისა და გადაჭრისათვის აუცილებელ ამოცანათა შემდეგი სპექტრი:

- მიუხედავად იმისა, რომ ტექსტთან უშუალოდ დაკავშირების შედეგად რეფერენციის ცნება უკვე მკაფიოდ ემიჯნება სიგნიფიკაციისა და დენოტაციის ცნებებს, იგი ჯერ კიდევ თეორიულად ექსპლიციტური ფორმით ვერ უკავშირდება ენის ისეთ ასპექტებს როგორცაა **დისკურსი** და **ტექსტი**, რომელთა გათვალისწინების აუცილებლობა უშუალოდ გამომდინარეობს ზემოთ ხსენებული გამიჯვნის ფაქტიდან. შესაბამისად, აუცილებელი ხდება რეფერენციის როგორც **დისკურსულ-ტექსტობრივი ფენომენის** განხილვა;
 - იმასთან დაკავშირებით, რომ რეფერენცია ერთმნიშვნელოვნად უკავშირდება სახელს (ნომინალურ ჯგუფს), უნდა დაისვას კითხვა, როგორ უნდა იქნეს თეორიულად გააზრებული მიმართება, ერთის მხრივ, რეფერენციასა და, მეორეს მხრივ, სახელის ისეთ კატეგორიებს შორის როგორცაა დეტერმინაცია და დეიქსისი; შესაბამისად, აუცილებელი ხდება ზემოთ ხსენებული ამოცანის შემდეგი ექსპლიციტური სახით ფორმულირება: შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ **ნომინალურ კატეგორიათა ისეთ ტრიადაზე**, რომლის ფარგლებში რეფერენცია **მეტაკატეგორიის** როლს ასრულებს?
 - რეფერენციის პრობლემასთან მიმართებაში აუცილებელი ხდება ექსპლიციტურად დაუკავშირდეს ერთმანეთს კომუნიკაციური ლინგვისტიკის ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა ტექსტოცენტრიზმი და ინტერსუბიექტურობა.
4. ზემოთ ხსენებულ კვლევით პრობლემათა ერთ თეორიულ და მეთოდოლოგიურ ფოკუსში მოქცევის შედეგად რეფერენცია უნდა განიხილებოდეს სიგნიფიკაციისა და დენოტაციისაგან ფუნქციური თვალსაზრისით განსხვავებული დეიქსისისა და დეტერმინაციის ნომინალურ კატეგორიათა ტრიადის ფარგლებში;
 5. რეფერენცია როგორც ენობრივი ფენომენი ენობრივი სისტემის პარადიგმატულ დონეზე არსებობს რეფერენტულობის ფუნქციურ-სემანტიკური ველის, ხოლო დისკურსის დონეზე – რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადის სახით;
 6. რეფერენტული ბადის მქონე ყოველი ტექსტი წარმოადგენს არა მხოლოდ ზოგადად ენობრივი სისტემის, არამედ ენის გარკვეული ფუნქციური სტილის აქტუალიზაციას. აქედან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული ტექსტის რეფერენტული ბადე ფუნქციურ-სტილისტურადაა მარკირებული და

გარდუვალად ეკუთვნის მოცემულ ენასთან ასევე ფუნქციურად და სტილისტურად დაკავშირებულ კულტურასაც. შესაბამისად, ნებისმიერი ტექსტის რეფერენტულობის ბადა აუცილებლად მარკირებულია კულტურულადაც;

7. რეფერენციის ფენომენის თეორიული კვლევის ზემოთ ფორმულირებული შედეგები დასტურდება როგორც თარგმანის თანამედროვე ტექსტოცენტრისტული თეორისა და თანამედროვე ნარატოლოგიის, ისე ლინგვისტური ტიპოლოგიის პრინციპთა ერთობლივი გამოყენებით;
8. ე. ჰემინგუეის ნარატიული მცირე პროზისა და მის ქართულ თარგმანთა შეპირისპირებითი ანალიზი არა მხოლოდ ადასტურებს რეფერენციის თეორიული კვლევის ზემოთ ფორმულირებულ ყველა შედეგს, არამედ გვიჩვენებს, როგორ სახეს იღებს რეფერენტულობის ტექსტობრივი ბადა ტიპოლოგიური თვალსაზრისით ისეთ განსხვავებულ ენებში როგორცაა ინგლისური და ქართული. როგორც ამოსავალ, ისე თარგმნილ ტექსტებში რეფერენციის ნომინალური კატეგორია პირველ რიგში დეიქსისზე, მაგრამ ასევე დეტერმინაციაზე დაყრდნობით ახდენს მხატვრული ნარატივისთვის აუცილებელ „რეფერენტულ სივრცეთა“ თანმიმდევრულ დაკონკრეტებას, რომელიც იღებს შემდეგ სახეს: ნარატივის ექსპოზიციაში ხდება გეოგრაფიულ, შემდეგ კი ცივილიზაციურ სივრცეთა ჯერ თანმიმდევრული, შემდეგ კი შერწყმული ნომინაცია. ამგვარად შერწყმულ და დაკონკრეტებულ გეოგრაფიულ-ცივილიზაციურ სივრცეებს უერთდება მათგან განსხვავებული და ასევე თანდათანობით დაკონკრეტებული პერსონაჟისეული სივრცე;
9. ტიპოლოგიური თვალსაზრისით თარგმნილ ტექსტთა შეპირისპირებითი ანალიზი ავლენს შემდეგ კანონზომიერებას: ინგლისურენოვან ტექსტში ექსპლიციტური ფორმით გამოხატული რეფერენცია ქართულ ტექსტში, როგორც წესი, გადმოიცემა რეფერენციის იმპლიციტური ფორმით, რაც მიჩნეულ უნდა იქნას თარგმანის ამ კატეგორიისათვის დამახასიათებელ ძირითად მთარგმნელობით ტრანსფორმაციად. ასევე გამოყენებულია ტიპოლოგიურად და მთარგმნელის ინდივიდუალური სტილით განპირობებული დამატების, გამოტოვებისა და ჩანაცვლების მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. *თეორიული ენეთმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003
2. დოღონაძე ქ. *კოგნიტური სტატუსი და რეფერენტული გამონათქვამების ფორმები დისკურსში*. in: საენათმეცნიერო ძიებანი XIX, თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“, 2005
3. - - - *რეფერენცია და რეფერენტული გამონათქვამები ინგლისურ ენაში*. in: პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ №3 (23) თბილისი, 2005
4. ზეინაბაშვილი ი. *თარგმანი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მთარგმნელობითი ეკვივალენტურობის ლექსიკური ასპექტი* in: ენა, თარგმანი, ლიტერატურა VII, თბილისი: გამომცემლობა: “ენა და კულტურა”, 2004
5. - - - *მხატვრული თარგმანი როგორც შემოქმედება და მთარგმნელობითი სტილი*. in: ენა, თარგმანი, ლიტერატურა VII, თბილისი: გამომცემლობა: “ენა და კულტურა”, 2004
6. თავაძე ლ. *დროისა და ადვილის დეიქსის როგორც ენობრივ კულტურული ფენომენი და მისი ვერბალიზაცია ინგლისურ ენაში*. ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ანოტაცია. ბათუმი, 2009
7. თევდორაძე ნ. *მხატვრული სიმბოლო და ტექსტის რეფერენტული სივრცე (ჯ. ჯოისის ნაწარმოების „ულისეს“ საფუძველზე)* in: ენა, თარგმანი, ლიტერატურა VII, თბილისი: გამომცემლობა: “ენა და კულტურა”, 2004
8. ლებანიძე გ. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*. თბილისი: ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2004
9. ონიანი ლ. *მხატვრული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა და რეფერენციის როგორც პრაგმატიკული უნივერსალის კვლევის პრობლემები* in: საენათმეცნიერო ძიებანი XIX, თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“, 2005
10. - - - *ინტერსუბიექტურობა როგორც კომუნიკაციის პრინციპი და მხატვრული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა*. in: პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“ №3 (23) თბილისი, 2005
11. ნათაძე მ. *ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართული თარგმანის შეპირისპირების ლინგვოსტილისტური პრობლემები*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1986
12. ნებიერიძე გ. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1991.
13. ნიქაბაძე მ. *დრო კულტურა და დეიქსისი (დეიქსისის ფენომენი ინტერდისციპლინარული კვლევის პერსპექტივაში)*. in: ენა, თარგმანი, ლიტერატურა VII, თბილისი: გამომცემლობა: “ენა და კულტურა”, 2004
14. - - - *ნაცვალსახელი, სუბსტიტუცია, დეიქსისი და ტექსტი (ინგლისური ენის ნაცვალსახელთა სისტემის კომუნიკაციურ-ლინგვისტური ინტერპრეტაციისათვის)*. in: ენა, თარგმანი, ლიტერატურა VII, თბილისი: გამომცემლობა: „ენა და კულტურა“, 2002
15. საყვარელიძე ნ. *თარგმანის თეორიის საკითხები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001

16. სერგია ვ. ა. ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1989
17. ფანჯიკიძე დ. თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1988
18. - - - თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ექვივალენტურობის პრობლემა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1995
19. ფურცელაძე ვ. ტექსტი როგორც ენობრივი მოღვაწეობის წერილობითი განცხადება. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 1998
20. Ariel, M. *Referring and accessibility*. Journal of Linguistics 24. 65-87.1985
21. - - - *Accessing NP antecedent* (Croom Helm Linguistics Series). London: Routledge, 1990
22. - - - *The function of accessibility in a theory of grammar*. Journal of Pragmatics 16, 1991
23. Austin J. L. *How to Do Things with Words*. – Oxford, 1962
24. Bach, E. *Nouns and noun phrases*. – In: “Universals in Linguistic Theory”. New York, 1968
25. Bonvillain N. *Language, Culture and Communication: The meaning of messages*. – Englewood Cliffs, 1993
26. Burton D. *Dialogue and Discourse*. – London; New York, 1995
27. Cameron R. *Accessibility theory in a variable syntax of Spanish*. Journal of Pragmatics 28(1), 1997
28. Canale M. *From communicative competence to communicative language pedagogy*. in Richards J.C. and Schmidt R.W. (eds) *Language and Communication*. New-York: Longman Group Limited, 1983.
29. Carey J. W. *Communication as culture*. – Boston, 1989
30. Catford J. A. *Linguistic Theory of Translation*. Oxford, 1965
31. Chafe W. L. *Givenness, contrastiveness, definiteness, subjects, topics, and point of view*. In C. Li (Ed), *Subject and Topic*. New York: Academic Press, 1976
32. Chomsky, N. *Knowledge of Language*. New York: Praeger, 1985
33. Christopherson P. *The articles: A Study of Their Theory and Use in English*. Copenhagen: Munksgaard, 1939
34. Clancy P. M. *Referential choice in English and Japanese narrative discourse*. – in Chafe. W. *The Peer Stories*, 1980
35. Clark, H. H. and Marshal, C. R. *Definite reference and mutual knowledge*. In Joshi, A. K. et.al. (eds), 10-66, 1981
36. - - -, Wilkes-Gibbs D. *Definite reference and mutual knowledge, Elements of Discourse Understanding* – Cambridge, 1981
37. - - - *Referring as a collaborative process*. Cognition 22, 1986.
38. - - -, Sengul C. J. *In search of references for nouns and pronouns*. Memory and Cognition 7, 1979
39. Comrie B. *Language universals and linguistic typology*. Oxford: Blackwell, 1981
40. Cole P. *Syntax and Semantics*, Vol. 9: Pragmatics. – New York, 1978
41. Cruse A. *Meaning in Language: An Introduction to Semantics and Pragmatics*. Oxford: Oxford University Press, 2000.
42. Crystal, D. *Cambridge Encyclopedia of Language*. Cambridge: Cambridge University Press, 1988.
43. *Dictionary of the English Language*. Fourth Edition. The American Heritage: Houghton Mifflin Company, 2009. accessed 25 August 2009; available from <http://dictionary.reference.com/browse/explicative>
44. Donnellan, K.S. *Speaking of nothing*. – In: “Naming, necessity, and natural kinds”. Ithaca, London, 1977
45. - - - *Reference and Definite Description*. The Philosophical Review, 1968

46. Edmonson W. *Spoken Discourse: A Model for Analysis*. London: Longman, 1981
47. Fillmore C. J. *The Case for Case*. In Bach E. and Harms R.T. (eds.) *Universals in Linguistic Theory*. New York: Holt, Rinehart and Winston. 1968.
48. - - - *The Case for Case Reopened*. *Syntax and Semantics 8: Grammatical Relations*. New York: Academic Press, 1977.
49. Fox B. *Discourse structure and anaphora*. Cambridge: Cambridge University Press, 1987
50. Frawley W. and Lantolf J.P. *Second language discourse: A Vygotskian perspective*. *Applied Linguistics* 6:11, 1985.
51. Givon T. *Syntax and Semantics 12: discourse and syntax*. New York: Academic Press, 1979
52. - - - *Topic continuity in Discourse: an introduction*. Amsterdam: John Benjamin's Pb. Co, 1983
53. - - - *Mind, code and context: essays in pragmatics*. Hillsdale. N. J. Erlbaum, 198
54. - - - *Logic and conversation*. In Cole, P, & Mogan, J. L. *Syntax and semantics 3: speech acts*. New York: Academic Press, 1975
55. Grice, H.P. *Meaning*. – *The Philosophical Review*, v.66, No 3, 1957
56. Gundel J. Hedberg, N. and Zacharsky, R. *Cognitive status and the form of referring expressions in discourse*. *Language* 69:274-307, 1993
57. Gundel J. *Shared knowledge and Topicality*, *Journal of Pragmatics* 9, 1985
58. Joshi A. K. Webber B. L. Sag I. A. *Elements of discourse understanding*. Cambridge: Cambridge University Press, 1981
59. Krippe S. *Speaker's Reference and Semantics Reference*. in *Midwest Studies in Philosophy*, vol. II, 1977
60. Kronrod A. Engel O. *Accessibility theory and referring expressions in newspaper headlines*. *Journal of Pragmatics* 33 (5): 683-699, 2001
61. Halliday, M. A. K. *The Comparison of Languages*. In: *Patterns of Languages*, London, 1966
62. - - - *Notes on transitivity and theme in English*. *Journal of Linguistics* 3, 1967
63. - - - *Text as Semantic Choice in Social Contexts*. New York: Walter de Gruyter, 1977.
64. Haegeman L. *Remarks on adverbial clauses and definite NP anaphora*. *Linguistic Inquiry* 15, 1984
65. Hawkins, J. *Definiteness and indefiniteness: A study in reference and grammaticality prediction*. Atlantic Highlands, NJ: Humanities Press, 1978
66. Hillery P. J. *The Georgian language: an outline grammatical description*. www.armazi.com/georgian/grammar.html. 2002
67. Huang Y. *Discourse Anaphora: Four theoretical models*. *Journal of Pragmatics* 32 (2), 2000
68. - - - A neo-Gricean pragmatic theory of anaphora. *Journal of Linguistics* 27, 1991
69. Jacobson S. *Issues in the study of syntactic variation*. In S. Jacobson (ed.), *Papers from the Scandinavian Symposium on Syntactic Variation*, Stockholm, 18–19 May 1979. Stockholm: Almqvist & Wiksell, 1980.
70. Kraus R., Weinheimer S. *Changes in reference as a function of frequency of usage in social interaction: a preliminary study*. *Psychonomic Science*, 1, 1964.
71. - - - *Concurrent feedback, confirmation, and the encoding of referents in verbal communication*. *Journal of Personality and Social Psychology*, 4, 1966.
72. - - - *Effect of referent similarity and communication mode on verbal encoding*. *Journal of Verbal Learning and Verbal Behaviour*, 6, 1967.
73. Lakoff, G. *Pronouns and reference* (Indiana University Linguistics Club). Bloomington, Indiana, 1968
74. Leech G. N. *Explorations in Semantics and Pragmatics*, – Amsterdam, 1980
75. - - - *Principles of Pragmatics*. – London, 1983
76. Levinson, Stephen C. *Pragmatics*. Cambridge: Cambridge University Press, 1983

77. - - - *Pragmatics and the grammar of anaphora: A partial pragmatic reduction of binding and control phenomena*. Journal of linguistics 23.379-434, 1987
78. Lyons, J. *Semantics vol I* Cambridge: Cambridge University Press, 1977
79. - - - . *Semantics vol. II* Cambridge: Cambridge University Press, 1977
80. Nida E. A. *Toward a Science of Translation*. Leiden, 1964
81. - - - . *Linguistic Structure and Translation*. Stanford, 1975
82. Olson D. *Language and Thought: Aspects of cognitive theory of semantics*. Psychological Review, 77, 1970.
83. Palmer F. R. *Semantics* Second Edition. Cambridge: Cambridge University Press, 1981
84. Pike K. L. et al. *The Mystery of Culture Contacts, Historical Reconstruction and Text analysis: An Emic Approach*. – Washington, 1996
85. Prince E. F. *Towards a taxonomy of given-new information*. In Cole, P. Radical pragmatics New York: Academic Press, 1981
86. - - - *On the Limits of Syntax, With reference to Left-Dislocation and Topicalization The Limits of Syntax Syntax and Semantics 29*, New York: Academic Press, 1998
87. Reinhart T. *Pragmatics and linguistics: an analysis of sentence topics*. Philologica 27, 1981
88. Robbins, B. L. *The Definite Article in English Transformations*. The Hague; Mouton, 1968
89. Ross R. S. *Speech Communication: Fundamentals and Practice*. Englewood Cliffs, 1970
90. Russell, B. *An Inquiry into Meaning and Truth*. New York, 1940
91. Saeed, J. I. *Semantics*. Oxford: Blackwell, 1997
92. Sapir E. *Language, Culture and Personality*. Berkeley and Los Angeles, 1958
93. de Saussure, F. *Course in general linguistics* (3rd ed.). (R. Harris, Trans.). Chicago: Open Court Publishing Company, 1986.
94. Searle J. R. *Referential and attributive*. Monist.62, 1979
95. - - - *Indirect Speech Acts*. – in Morgan and Cole (eds.) *Syntax and Semantics*, vol.3, *Speech Acts*, Academic Press, 1975
96. Spakauer P. *An Encyclopedia of English Linguistics*, Slovacontact, Presov, 1995 de
97. Thomas J. *Meaning in Interaction: An Introduction to Pragmatics*. – London, 1995
98. Tobin Y. *Semiotics and Linguistics*. – London; New-York, 1990
99. Vendler, Z. *Telling the facts*. In: "Contemporary perspectives in the philosophy of Language. Minnesota UP. Minneapolis, 1979
100. Wardhaugh R. *Investigating Language: Central problem in Linguistics*. – Oxford, 1993
101. Watson R. *Symbolic Interactionism, Handbook of Pragmatics: Manual*. – Amsterdam, Philadelphia, 1995
102. Арнольд И. В. *Стилистика английского языка*. Москва: "Просвещение", 1981
103. Арутюнова Н. Д. *Введение Логический Анализ Языка. Образ человека в культуре и языке*, Москва, 1990
104. - - *Референция* in: Лингвистический энциклопедический словарь, Москва, 1990
105. - - - *Дискурс* in: Лингвистический энциклопедический словарь, Москва, 1990
106. - - - *Фактор адресата*. Известия АН СССР, Серия лит. и яз., том. 40, №4. 1981
107. - - - *Типы языковых значений /Оценка, событие, факт/*. Москва: Наука, 1988
108. Ахманова О. С. *Словарь лингвистических терминов*. Москва: «Советская энциклопедия», 1966.
109. Бабенко Л. Г. Казарин Ю. В. *Лингвистический анализ художественного текста*. Москва: Издательство "Флинта", Издательство "Наука", 2004
110. Бархударов Л. С. *Язык и перевод*. Москва: "Международные отношения", 1975
111. Виноградов В. *Артикль* in: Лингвистический энциклопедический словарь, Москва: 1990
112. - - - *Деиксис* in: Лингвистический энциклопедический словарь, Москва: 1990

113. Волгина Н. С. *Теория Текста*. Москва: Логос. 2003
114. Воножбитова Л. Л. *Теория Текста, Антропоцентрическое направление*. Москва Высшая школа, 2005
115. Гальперин И.Р. *Грамматические категории текста*. Известия АН СССР. Серия литературы и языка, №6. 1977
116. Гудков Д. Б. *Теория и практика межкультурной коммуникации*. Москва: ИТДГК “Гнозис”, 2003
117. Долинин К.А. *Интерпретация Текста*. – Москва: «Вопросы языкознания», №4. 1985
118. Елизарова Г. В. *Культурологическое Лингвистика*. Санкт-Петербург: издательство “Бельведер”, 2000
119. Звегинцев В.А. *Предложение и его отношение к языку и речи*. Москва: Изд. МГУ, 1976.
120. Фреге Г. *Смысл и денотат*. В “Семиотика и информатика” вып 8, Москва, 1977
121. Феодоров А. В. *Введение в общую теорию перевода*. Москва: Высшая школа, 1958
122. - - - *Основы общей теории перевода*. Москва: Высшая школа, 1968
123. Ильин И. Н. *Нарратология*. Литературная Энциклопедия Терминов и Понятий, Москва: НПК “Интелвак” 2001
124. Карасик В. И. *Язык социального статуса*. Москва: ИТДГК “Гнозис”, 2004
125. - - - *Языковой круг (Личность, концепт, дискурс)* Москва: “Гнозис”, 2004
126. Кухаренко В. А. *Интерпретация Текста*. Москва: ‘Просвещение’, 1988
127. Коммиссаров В. Н. *Слова о переводе*. Москва: „Международные отношения”, 1975
128. - - - *Лингвистика перевода*. Москва: „Международные отношения”, 1980
129. Кронгауз М. А. *Семантика*, Российский Государственный Гуманитарный Университет, Москва, 2001
130. Макаров М. *Основы теории дискурса*. Москва: “Гнозис”, 2003
131. Мечковская Н. Б. *Общее Языкознание, Структурная и социальная типология языков*. Москва: Издательство “Флинта”, Издательство “Наука”, 2004
132. Москальская О. И. *Грамматика Текста*. Москва: “Высшая Школа”, 1981
133. Новиков Л.А. *Лингвистический энциклопедический словарь*. Москва: «Советская энциклопедия», 1990
134. *Новое в зарубежной лингвистике. Выпуск XIII, Логика и Лингвистика. Проблемы референций*. Составления, редакция и вступительная статья Н. Д. Арутюновой. Москва: “Радуга”, 1982
135. *Новое в зарубежной лингвистике. Выпуск XXIII, Сопоставительные аспекты языка*. Составления, редакция и вступительная статья В. В. Петрова и В. И. Герасимова. Москва: “Радуга”, 1988
136. Ноздрина Л. А. *Поэтика Грамматических категорий*. Москва: “Высшая Школа”, 2004
137. Нойберт А. *Прагматические аспекты перевода* В книге Вопросы теории перевода в зарубежной лингвистике. Москва: “Международные отношения”, 1978
138. Самсонов В. Ф. *Слова и объект (Критический анализ Теории референции У. Куаина)* Челябинск: Челябинский государственный педагогический институт, 1976
139. Серль Дж. *Что такое речевой акт?* Новое в зарубежной лингвистике. - Вып. 17 Теория речевых актов. Москва: 1986
140. Сидоров Р. М. *Онтология дискурса*. Москва: Книжный дом “Либроков”, 2000
141. Степанов Ю. С. *Основы общего языкознания*. Москва: “Просвещение”, 1975
142. - - - *Семиотика, Антология*, Москва: “Академический проект”, 2001
143. - - - *В трехмерном пространстве языка*. Москва: “Наука”, 1985
144. Успенский В. А. *Ego Loquens Язык и коммуникационное пространство*. Российский государственный гуманитарный университет, Москва, 2007

145. Швейцер А. Д. *Социолингвистические основы теории перевода*. В.Я. №5, 1985
146. - - - *Теории перевода. Статус, проблемы, аспекты*. Москва: Наука, 1989
147. Штелинг Д. *Грамматическая Семантика Англиского Языка (Фактор человека в языке)*, Москва, 1996
148. Филиппов К. А. *Лингвистика Текста*. Петербург: Издательство С. Петербургского университета, 2003
149. Филлипс Л. Йоргенсен М. В. *Дискурс, Анализ, Теория и Метод*. Перевод с Англиского (Перевод и редакция Киселева) Харьков: Гуманитарный Центр, 2004
150. Шмид В. *Нарратология*. Москва: 'Языки Славянской Культуры', 2008
151. Чернец Л. В. *Мир произведения*. Введение в литературоведения, Москва, 1999
152. Чернявская С. М. *Лингвистика текста*. Москва: Книжный дом "Либроков", 2009

Cat in the Rain

There were only two Americans stopping at the hotel. They did not know any of the people they passed on the stairs on their way to and from their room. Their room was on the second floor facing the sea. It also faced the public garden and the war monument. There were big palms and green benches in the public garden. In the good weather there was always an artist with his easel. Artists liked the way the palms grew and the bright colors of the hotels facing the gardens and the sea. Italians came from a long way off to look up at the war monument. It was made of bronze and glistened in the rain. It was raining. The rain dripped from the palm trees. Water stood in pools on the gravel paths. The sea broke in a long line in the rain and slipped back down the beach to come up and break again in a long line in the rain. The motor cars were gone from the square by the war monument. Across the square in the doorway of the cafe a waiter stood looking out at the empty square.

The American wife stood at the window looking out. Outside right under their window a cat was crouched under one of the dripping green tables. The cat was trying to make herself so compact that she would not be dripped on.

“I’m going down and get that kitty,” the American wife said.

“I’ll do it”, her husband offered from the bed.

“No, I’ll get it. The poor kitty out trying to keep dry under a table.”

The husband went on reading, lying propped up with the two pillows at the foot of the bed.

“Don’t get wet,” he said.

The wife went downstairs and the hotel owner stood up and bowed to her as she passed the office. His desk was at the far end of the office. He was an old man and very tall.

“II piove,” the wife said. She liked the hotel-keeper.

“Si, si, Signora, brutto tempo. It’s very bad weather.”

He stood behind his desk in the far end of the dim room. The wife liked him. She liked the deadly serious way he received any complaints. She liked his dignity. She liked the way he wanted to serve her. She liked the way he felt about being a hotel-keeper. She liked his old, heavy face and big hands.

Liking him she opened the door and looked out. It was raining harder. A man in an rubber cape was crossing the empty square to the cafe. The cat would be around to the right. Perhaps she could go along under the eaves. As she stood in the doorway an umbrella opened behind her. It was the maid who looked after their room.

“You must not get wet,” she smiled, speaking Italian. Of course, the hotel-keeper had sent her.

With the maid holding the umbrella over her, she walked along the gravel path until she was under their window. The table was there, washed bright green in the rain, but the cat was gone. She was suddenly disappointed. The maid looked up at her.

“Ha perduto qualche cosa, Signora?”

“There was a cat,” said the American girl.

“A cat?”

“Si, il gatto.”

“A cat?” the maid laughed. “A cat in the rain?”

“Yes,” she said, “under the table.” Then, “Oh, I wanted it so much. I wanted a kitty.”

When she talked English the maid’s face tightened.

“Come, Signora,” she said. “We must get back inside. You will be wet.”

“I suppose so,” said the American girl.

They went back along the gravel path and passed in the door. The maid stayed outside to close the umbrella. As the American girl passed the office, the padrone bowed from his desk. Something felt very small and tight inside the girl. The padrone made her feel very small and at the same time really important. She had a momentary feeling of being of supreme importance. She went on up the stairs. She opened the door of the room. George was on the bed, reading.

“Did you get the cat?” he asked, putting the book down.

“It was gone.”

“Wonder where it went to,” he said, resting his eyes from reading.

She sat down on the bed.

“I wanted it so much.” she said. “I don’t know why I wanted it so much. I wanted that poor kitty. It isn’t any fun to be a poor kitty out in the rain.”

George was reading again.

She went over and sat in front of the mirror of the dressing table looking at herself with the hand glass. She studied her profile, first one side and then the other. Then she studied the back of her head and her neck.

“Don’t you think it would be a good idea if I let my hair grow out?” she asked, looking at her profile again.

George looked up and saw the back of her neck, clipped close like a boy’s.

“I like it the way it is.”

“I get so tired of it,” she said. “I get so tired of looking like a boy.”

George shifted his position in the bed. He hadn’t looked away from her since she started to speak.

“You look pretty darn nice,” he said.

She laid the mirror down on the dresser and went over to the window and looked out. It was getting dark.

“I want to pull my hair back tight and smooth and make a big knot at the back that I can feel,” she said. “I want to have a kitty to sit on my lap and purr when I stroke her.”

“Yeah?” George said from the bed.

“And I want to eat at a table with my own silver and I want candles. And I want it to be spring and I want to brush my hair out in front of a mirror and I want a kitty and I want some new clothes.”

“Oh, shut up and get something to read,” George said. He was reading again.

His wife was looking out of the window. It was quite dark now and still raining in the palm trees.

“Anyway, I want a cat,” she said, “I want a cat. I want a cat now. If I can’t have long hair or any fun, I can have a cat.”

George was not listening. He was reading his book. His wife looked out of the window where the light had come on in the square.

Someone knocked at the door.

“Avanti,” George said. He looked up from his book.

In the doorway stood the maid. She held a big tortoise-shell cat pressed tight against her and swung down against her body.

“Excuse me,” she said, “the padrone asked me to bring this for the Signora.”

კატა წვიმაში

სასტუმროში მხოლოდ ორნი იყვნენ ამერიკელები. არავის არ იცნობდნენ, ვისაც თავის ოთახში შესვლისას ან გამოსვლისას კიბეზე ხვდებოდნენ. ამერიკელების ოთახი მესამე სართულზე იყო, ზღვისკენ, ოთახი სახალხო ბაღს გადაჰყურებდა. ფანჯრიდან ომში დაღუპულ მეომართა ძეგლი მოჩანდა. ბაღში დიდი პალმები და მწვანე მერხები იყო. კარგ ამინდში ყოველთვის იჯდა რომელიმე მხატვარი თავისი მოლბერტით. მხატვრებს მოსწონდათ პალმების ცქერა, მოსწონდათ მყვირალა ფერებით შეღებილი სასტუმროები, ბაღებსა და ზღვას რომ გადაჰყურებდნენ. შორი გზიდან მოდიოდნენ იტალიელები ომში დაღუპულთა ძეგლის სანახავად. ძეგლი ბრინჯაოსი იყო, ბზინავდა, წვიმა როცა ასველებდა. ახლაც წვიმდა. წვეთავდა წვიმა პალმებიდან. სრეშმოყრილ ბილიკებზე გუბები იდგა. ზღვის ტალღების გრძელი ზოლი წვიმაში ნაპირს ეხეთქებოდა, უკან იხევდა და მერე ისევ ეხეთქებოდა ზღვის ტალღების გრძელი ზოლი წვიმაში ნაპირს. აღარცერთი მანქანა აღარ ჩანდა ძეგლთან მოედანზე. ძეგლის პირდაპირ, კაფეს შესასვლელთან ოფიციალტი იდგა და დაცარიელებულ მოედანს მისჩერებოდა.

ამერიკელის ცოლი ფანჯარაში იყურებოდა. სწორედ მათი ფანჯრის ქვევით, ერთი მწვანე მაგიდის ქვეშ კატას შეეფარებინა თავი. წვეთავდა წვიმა მაგიდიდან. კატა იკუნტებოდა, ცდილობდა წვიმის წვეთები არ დასცემოდა.

- ჩავალ, ფისოს ამოვიყვან, - თქვა ამერიკელის ცოლმა.
- მე ამოვიყვან, - უთხრა ქმარმა, ქმარი იწვა.
- არა, მე ჩავალ, საბრალო ფისო, როგორ ემალება მაგიდის ქვეშ წვიმას.

ქმარი კითხვას განაგრძობდა. საწოლის ფეხით ორი ბალიში დაედო, ზედ დაყდრნობოდა, ნახევრად წამოწოლილიყო.

- ოღონდ არ დასველდე, - უთხრა ცოლს.

ქალი ქვევით ჩავიდა. სასტუმროს პატრონი წამოდგა და თავი დაუკრა ამერიკელის ცოლს, როცა ქალი მის მაგიდას გაუსწორდა. სასტუმროს პატრონის სამუშაო მაგიდა ვესტიბიულის შორეულ კუთხეში იდგა. სასტუმროს პატრონი მოხუცი და ძალიან მაღალი იყო.

- Il piove, - თქვა ქალმა, ქალს მოსწონდა სასტუმროს პატრონი.
- Si, Si. signora. Brutto tempo საშინელი ამინდია.

სასტუმროს პატრონი თავის სამუშაო მაგიდასთან იდგა, ბნელი ვესტიბიულის შორეულ კუთხეში. ამერიკელ ქალს მოსწონდა ეს კაცი. მოსწონდა, რა საოცარი სერიოზულობით ისმენდა ის ყოველგვარ საჩივარს. მოსწონდა მისი ღირსეული თავდაჭერა. მოსწონდა, სასტუმროს პატრონი ასე თავაზიანად რომ ექცეოდა. მოსწონდა, როგორ იფერებდა მეპატრონეობას მოსწონდა მისი დაბერებული, მომსხო სახე და დიდი ხელები.

ღიას, მოსწონდა ქალს სასტუმროს პატრონი. ქალმა კარი გააღო და გარეთ გაიხედა. წვიმა უფრო გამეტებით ასხამდა. დაცარიელებულ მოედანზე ვიღაცა კაცი კაფესკენ მიდიოდა, საწვიმარი ეცვა. აქვე უნდა იყოს კატა, სადღაც მარჯვნივ. ეგებ შესძლოს იქითკენ გასვლა, სახურავი დაიფარავს წვიმისაგან. ჯერ კიდევ კართან იდგა ქალი, როცა ვიღაცამ ზურგსუკან ქოლგა გაუშალა, – მსახური ქალი იყო, ოთახს რომ ულაგებდათ ხოლმე.

– არ დასველდეთ, – ღიმილით უთხრა მსახურმა იტალიურად. რაღა თქმა უნდა, სასტუმროს პატრონის გამოგზავნილი იყო.

მსახურთან ერთად, რომელიც ქოლგით წვიმას უფარავდა, ამერიკელი ქალი მივიდა ფანჯრის ქვეშ, სადაც კატა ეგულებოდა. მაგიდა ისევ იდგა იქ, წვიმისაგან გარეცხილი მწვანედ ანათებდა. კატა კი აღარ იყო. ქალს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს. მსახურმა შეხედა ქალს.

– Qua perduto qualche cosa?.

– აქ კატა იყო.

– კატა?

– ჰო, კატა.

– კატა, – გაიცინა მსახურმა ქალმა, – კატა, ამ წვიმაში?

– ჰო, – უპასუხა ამერიკელმა ქალმა, – ამ მაგიდის ქვეშ, – მერე დაუმატა, – ეჰ, რა ძალიან მინდოდა კატა, როგორ მინდოდა ფისო.

როცა ამერიკელი ქალი ინგლისურად ლაპარაკობდა, მსახურს უჭირდა მისი გაგება.

– წავიდეთ, სინიორა, – უთხრა მსახურმა, – დავბრუნდეთ, თორემ დასველდებით.

– დავბრუნდეთ, – თქვა ამერიკელმა ქალმა.

ხრეშმოყრილი ბილიკით უკან დაბრუნდნენ და სასტუმროს კარი შეადგეს. მსახური ქალი შესასვლელთან შეჩერდა, ქოლგა დაკეცა. ამერიკელი ქალი ვესტიბიულში შევიდა, პადრონე მაგიდასთან იდგა, თავი დაუკრა ქალს. ქალს გული შეეკუმშა. სასტუმროს

პატრონს რომ ხედავდა, თავისი თავი პაწაწინა და თან ძალიან მნიშვნელოვანი ეჩვენებოდა ხოლმე. ახლაც, წამით, უსაზღვროდ მნიშვნელოვან არსებად იგრძნო თავი. შეუჩერებლად აიარა კიბე და თავისი ოთახის კარი შეაღო. ჯორჯი იწვა და კითხულობდა.

– მოიყვანე კატა? – ჰკითხა და თავი ასწია.

– იქ აღარ იყო.

– სად წავიდოდა? – თქვა ქმარმა, ცოტა ხნით კითხვა შესწყვიტა. ქალი საწოლზე ჩამოჯდა.

– იცი, როგორ მინდოდა კატა? – უთხრა ქმარს, – არ ვიცი, რატომ მინდოდა ასე ძალიან, ძალიან მინდოდა საბრალო ფისო. რა უნდა ქნას, საბრალო ფისომ გარეთ, ამ წვიმაში?

ჯორჯი ისევ კითხულობდა.

ქალი ტუალეტის მაგიდასთან მივიდა, სარკის წინ დაჯდა, ხელის სარკე მოიმარჯვა და თავისი თავი გულდასმით შეათვალიერა. ჯერ პროფილს აკვირდებოდა, ხან ერთი მხრიდან, ხან მეორედან, მერე კეფას და კისერს დაუწყო სინჯვა.

– როგორ გგონია, კარგი არ იქნება, თმა რომ გავიზარდო? – იკითხა ქალმა და ისევ შეხედა თავის პროფილს.

ჯორჯმა თავი ასწია და ცოლის ბიჭურად შეკრეჭილ კეფას შეხედა.

– მე ასე მომწონს, როგორც ახლა გაქვს.

– მე კი უკვე მომბეზრდა ასე, ძალიან მომბეზრდა, სულ ბიჭს რომ ვგავარ.

ჯორჯმა საწოლზე გვერდი ინაცვლა. ცოლი რომ გამოეღაპარაკა, მას მერე თვალი არ მოუცილებია მისთვის.

– ასე ძალიან ლამაზი მეჩვენები, – უთხრა ქმარმა.

ცოლმა სარკე მაგიდაზე დადო, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა. ღამდებოდა.

– თმა მაგრად მინდა უკან გადავიჭიმო, სულ რომ გასწორდეს მერე მთლიანად კეფაზე დავიხვევ, რომ ხელში ბლომად მომხვდეს ხოლმე, – თქვა ქალმა, – კიდევ მინდა, რომ კალთაში ფისო მეჯდეს და კრუტუნებდეს, როცა ხელს გადაუხვამ.

– ჰოო? – თქვა ქმარმა.

– და კიდევ ის მინდა, რომ მაგიდას ვუჯდე, საჭმელს ჩემი დანა-ჩანგლით შევექცეოდე და სანთლები ენთოს. კიდევ მინდა, რომ გაზაფხული იყოს და სარკის წინ თმა ჩამოვივარცხნო. მინდა მყავდეს ფისო და მქონდეს ახალი კაბა.

– ოჰ, – მორჩი ლაპარაკს, წაიკითხე რამე, – უთხრა ჯორჯმა. თავად კითხვას განაგრძობდა. ცოლი ფანჯარაში იყურებოდა. უკვე ბნელოდა და კვლავ აწვიმდა პალმებს.

– რა ვქნა, მაინც მინდა კაბა, – თქვა ქალმა – დიას, მე მინდა კაბა. აი, ახლა მინდა კაბა. თუკი არ შეიძლება გრძელი თმა მქონდეს ან როგორმე გავერთო, კაბა მაინც მყავდეს.

ჯორჯი აღარ უსმენდა, წიგნს კითხულობდა. ცოლი ფანჯარაში იყურებოდა. მოედანზე სინათლეები ანთებულიყო.

კარზე დააკაკუნეს.

– Avanti! – თქვა ჯორჯმა და თავი ასწია.

კართან მსახური ქალი იდგა. ხელებში ძლივს ეტეოდა ვეება ჭრელი კაბა.

– მაპატიეთ, თქვა მან, – padrone-მ მოთხრა, ეს კაბა სინიორას მიართვით.

(თარგმანი თ. ჩხენკელისა)

Ernest Hemingway

Indian Camp

At the lake shore there was another rowboat drawn up. The two Indians stood waiting.

Nick and his father got in the stern of the boat and the Indians shoved it off and one of them got in to row. Uncle George sat in the stern of the camp rowboat. The young Indian shoved the camp boat off and got in to row Uncle George.

The two boats started off in the dark, Nick heard the oarlocks of the other boat quite a way ahead of them in the mist. The Indians rowed with quick choppy strokes. Nick lay back with his father's arm around him. It was cold on the water. The Indian who was rowing them was working very hard, but the other boat moved further ahead in the mist all the time.

"Where are we going, Dad?" Nick asked.

"Over to the Indian camp. There is an Indian lady very sick."

"Oh," said Nick.

Across the bay they found the other boat beached. Uncle George was smoking a cigar in the dark. The young Indian pulled the boat way up on the beach. Uncle George gave both the Indians cigars.

They walked up from the beach through a meadow that was soaking wet with dew, following the young Indian who carried a lantern. Then they went into the woods and followed a trail that led to the logging road that ran back into the hills. It was much lighter on the logging road as the timber was cut away on both sides. The young Indian stopped and blew out his lantern and they all walked on along the road.

They came around a bend and a dog came out barking. Ahead were the lights of the shanties where the Indian bark-peelers lived. More dogs rushed out at them. The two Indians sent them back to the shanties. In the shanty nearest the road there was a light in the window. An old woman stood in the doorway holding a lamp.

Inside on a wooden bunk lay a young Indian woman. She had been trying to have her baby for two days. All the old women in the camp had been helping her. The men had moved off up the road to sit in the dark and smoke out of range of the noise she made. She screamed just as Nick and the two Indians followed his father and Uncle George into

the shanty. She lay in the lower bunk, very big under a quilt. Her head was turned to one side. In the upper bunk was her husband. He had cut his foot very badly with an ax three days before. He was smoking a pipe. The room smelled very bad.

Nick's father ordered some water to be put on the stove, and while it was heating he spoke to Nick.

"This lady is going to have a baby, Nick," he said.

"I know," said Nick.

"You don't know," said his father. "Listen to me. What she is going through is called being in labor. The baby wants to be born and she wants it to be born. All her muscles are trying to get the baby born. That is what is happening when she screams."

"I see," Nick said.

Just then the woman cried out.

"Oh, Daddy, can't you give her something to make her stop screaming?" asked Nick.

"No. I haven't any anesthetic," his father said. "But her screams are not important. I don't hear them because they are not important."

The husband in the upper bunk rolled over against the wall.

The woman in the kitchen motioned to the doctor that the water was hot. Nick's father went into the kitchen and poured about half of the water out of the big kettle into a basin. Into the water left in the kettle he put several things he unwrapped from a handkerchief.

"Those must boil," he said, and began to scrub his hands in the basin of hot water with a cake of soap he had brought from the camp. Nick watched his father's hands scrubbing each other with the soap. While his father washed his hands very carefully and thoroughly, he talked.

"You see, Nick, babies are supposed to be born head first but sometimes they're not. When they're not they make a lot of trouble for everybody. Maybe I'll have to operate on this lady. We'll know in a little while."

When he was satisfied with his hands he went in and went to work.

"Pull back that quilt, will you, George?" he said. "I'd rather not touch it."

Later when he started to operate Uncle George and three Indian men held the woman still. She bit Uncle George on the arm and Uncle George said, "Damn squaw bitch!" and the young Indian who had rowed Uncle George over laughed at him. Nick held the basin for his father. It all took a long time.

His father picked the baby up and slapped it to make it breathe and handed it to the old woman.

"See, it's a boy, Nick," he said. "How do you like being an interne?"

Nick said, "All right." He was looking away so as not to see what his father was doing.

"There. That gets it," said his father and put something into the basin.

Nick didn't look at it.

"Now," his father said, "there's some stitches to put in. You can watch this or not, Nick, just as you like. I'm going to sew up the incision I made."

Nick did not watch. His curiosity had been gone for a long time.

His father finished and stood up. Uncle George and the three Indian men stood up. Nick put the basin out in the kitchen.

Uncle George looked at his arm. The young Indian smiled reminiscently.

"I'll put some peroxide on that, George," the doctor said.

He bent over the Indian woman. She was quiet now and her eyes were closed. She looked very pale. She did not know what had become of the baby or anything.

"I'll be back in the morning," the doctor said, standing up. "The nurse should be here from St. Ignace by noon and she'll bring everything we need."

He was feeling exalted and talkative as football players are in the dressing room after a game.

"That's one for the medical journal, George," he said. "Doing a Caesarian with a jack-knife and sewing it up with nine-foot, tapered gut leaders."

Uncle George was standing against the wall, looking at his arm.

"Oh, you're a great man, all right," he said.

"Ought to have a look at the proud father. They're usually the worst sufferers in these little affairs," the doctor said. "I must say he took it all pretty quietly."

He pulled back the blanket from the Indian's head. His hand came away wet. He mounted on the edge of the lower bunk with the lamp in one hand and looked in. The Indian lay with his face toward the wall. His throat had been cut from ear to ear. The blood had flowed down into a pool where his body sagged the bunk. His head rested on his left arm. The open razor lay, edge up, in the blankets.

"Take Nick out of the shanty, George," the doctor said.

There was no need of that. Nick, standing in the door of the kitchen, had a good view of the upper bunk when his father, the lamp in one hand, tipped the Indian's head back.

It was just beginning to be daylight when they walked along the logging road back toward the lake.

"I'm terribly sorry I brought you along, Nickie," said his father, all his post-operative exhilaration gone. "It was an awful mess to put you through."

"Do ladies always have such a hard time having babies?" Nick asked.

"No, that was very, very exceptional."

"Why did he kill himself, Daddy?"

I don't know, Nick. He couldn't stand things, I guess."

"Do many men kill themselves, Daddy?"

"Not very many, Nick."

"Do many women?"

"Hardly ever."

"Don't they ever?"

"Oh, yes. They do sometimes."

"Daddy?"

"Yes."

"Where did Uncle George go?" "He'll turn up all right." "Is dying hard, Daddy?"

"No, I think it's pretty easy, Nick. It all depends."

They were seated in the boat, Nick in the stern, his father rowing. The sun was coming up over the hills. A bass jumped, making a circle in the water. Nick trailed his hand in the water. It felt warm in the sharp chill of the morning.

In the early morning on the lake sitting in the stern of the boat with his father rowing, he felt quite sure that he would never die.

ერნესტ ჰემინგუეი ინდიელების სოფელი

ტბის ნაპირას მეორე ნავიც გამოჩნდა. ნავთან ორი ინდიელი იდგა და მგზავრებს ელოდებოდა.

ნიკი და მამამისი კიჩოზე მოთავსდნენ, ინდიელებმა ნავს უბიძგეს და ერთ-ერთი მათგანი ნიჩბებს მიუჯდა. ბიძია ჯორჯი მეორე ნავის კიჩოზე ავიდა. ახალგაზრდა ინდიელმა ამ ნავსაც უბიძგა და წყალში შეაცურა. მეორე შიგ ჩახტა და ნინაბი მოიმარჯვა.

ორი ნავი მიცურავდა სიბნელეში. ნიკი წინა ნავს ვერ ხედავდა – მხოლოდ ნიჩბების ხმა ესმოდა ბურუსში. ინდიელებს ნავები სწრაფად მიჰყავდათ. ნიკი მამას მიეყრდნო, მამამ მკლავი მოხვია ნიკს. ციოდა, მათი მენიჩბე ინდიელი თავგამეტებით უსვამდა ნიჩბებს, მაგრამ წინა ნავს მაინც ვერ ეწეოდა.

– საით მივდივართ, მამიკო? – ჰკითხა ნიკმა მამას.

– ინდიელების სოფელში. ერთი ინდიელი ქალი გამხდარა ძალიან ავად.

– ო, ო. – წარმოსთქვა ნიკმა.

წინა ნავი უკვე ნაპირთან იდგა. ბიძია ჯორჯი სიგარას ეწეოდა სიბნელეში. ახალგაზრდა ინდიელმა მათი ნავიც ნაპირზე აათრია. ბიძია ჯორჯმა ორივე ინდიელს სიგარები მიაწოდა. ნაპირიდან ყველანი ნამიან მოლზე გავიდნენ. წინ ფარნიანი ინდიელი მიუძღოდათ. მერე ტყეში შევიდნენ და ბილიკს დაადგნენ. ბილიკი მთავარ გზაზე უხვევდა, გზა გორაკებში იკარგებოდა. გზის ორივე მხარეს ხეები გაეკაფათ და ამიტომ აქ მეტი სინათლე იყო. ახალგაზრდა ინდიელი შეჩერდა და ფარანი ჩააქრო. მერე ისევ გზა განაგრძეს.

უცებ მოსახვევიდან ყფით გამოვარდა ძაღლი. ცოტა მოშორებით ქერქისმხდელების ქოხებში შუქი ციმციმებდა. მერე სხვა ძაღლებიც გამოცვივდნენ ყფით და ინდიელმა უკანვე შერეკა. გზისპირა ქოხში სინათლე ენთო. კარები მოხუცებული ქალი იდგა ფარნით ხელში.

ქოხში ფიცრის საწოლზე ახალგაზრდა ქალი იწვა. მესამე დღეა მშობიარობდა და სოფლის ხანშიშესული ქალები თავზე ადგნენ. მამაკაცები გზაზე გასულიყვნენ და სიბნელეში თამბაქოს ეწეოდნენ. მოშორებით ისხდნენ, რათა ქალის კივილი არ გაეგონათ. ქალი მაშინმაც კიოდა, როცა ნიკი და ორი ინდიელი მამას და ბიძია ჯორჯს ქოხში შეჰყვნენ. მშობიარე ქვედა საწოლზე იწვა, თავი გვერდზე ჰქონდა გადაგდებული. ზედა საწოლზე მისი ქმარი იწვა. სამი დღის წინ ნაჯახი მოხვედროდა ფეხზე და მძიმედ დაჭრილიყო. კაცი იწვა და ჩიბუნს აბოლებდა. ოთახში დახშული ჰაერი იდგა.

ნიკის მამამ ცხელი წყალი მოითხოვა. სანამ ცხელდებოდა, ნიკს გაუბა ლაპარაკი.

– ამ ქალს ბავშვი უნდა ეყოლოს, ნიკ, -- თქვა მან,

– ვიცი – უპასუხა ნიკმა.

– არაფერიც არ იცი, --- უთხრა მამამ – ყური დამიგდე: ამას სამშობიარო შეტევებს ეძახიან. ბავშვს დაბადება უნდა, დედას განთავისუფლება. ამიტომ კივის ქალი.

– მესმის. თქვა ნიკმა

ამ დროს ქალმა ისევ დაიყვირა.

– მამიკო, არ შეგიძლია, რამე დააღვეინო, რომ დაწენარდეს?

– დამაწენარებელი არა მაქვს – უპასუხა მამამ – ნუ გეშინია, არაფერი არ მოუვა; მე არც კი მესმის კვილი, იმიტომ, რომ ვიცი არაფერი არ დაემართება.

ზედა საწოლზე ქმარი კედლისკენ გადაბრუნდა.

სამზარეულოდან ხანშიშესულმა ქალმა ექიმს ანიშნა, წყალი გაცხელდაო. ნიკის მამა სამზარეულოში შევიდა და თითქმის ნახევარი ქვაბი წყალი ტაშტში გადაასხა. დარჩენილ წყალში ჩაყარა რაღაც ინსტრუმენტები, რომლებიც ხელსახოცში ჰქონდა გახვეული.

- უნდა გამოიხშიროს, -- თქვა მან და ხელების ბანგა დაიწყო თანმოტანილი საპინით. ნიკი თვალს ადევნებდა, როგორ ისვამდა მამა საპონს ხან ერთსა და ხან მეორე ხელზე. ექიმი გულდასმით იბანდა ხელებს და თან ლაპარაკობდა:

– იცი, ნიკ, როცა ბავშვები იბადებიან, ჯერ თავი უნდა გამოჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დედაც წვალდება და მასთან ერთად სხვებიც. შეიძლება ამ ქალს ოპერაცია დასჭირდეს. ახლავე გამოვარკვევ.

როცა დარწმუნდა, რომ ხელები კარგად ჰქონდა დაბანილი, ქოხში შებრუნდა და საქმეს შეუდგა.

– თუ შეიძლება საბანი გადაადრე, ჯორჯ, - სთხოვა ექიმმა ბიძია ჯორჯს. – არ მინდა ხელი ვახლო.

მერე, როცა ოპერაცია დაიწყო, ბიძია ჯორჯმა და სამმა ინდიელმა ქალი ძლივს გააკავეს. ქალმა ბიძია ჯორჯს მკლავზე უკბინა. გამწარებულმა ბიძია ჯორჯმა წამოიძახა: “ჰაი, შე ძაღლის ლეკვო!” ახალგაზრდა ინდიელმა, რომელიც წედან ბიძია ჯორჯის ნაეში იჯდა, გაიცინა. ნიკმა მამას ტაშტი დაუჭირა. ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა.

ნიკის მამამ ბავშვი აიყვანა და სუნთქვის გამოსაწვევად ხელი მოუტყაპუნა უკან. მერე ერთ ხანშიშესულ ქალს გადასცა.

– შეხედე, ნიკ, ბიჭია, – თქვა მამამ, – როგორ მოგწონს ჩემი ასისტენტობა?

– ძალიან მომწონს, – უპასუხა ნიკმა, თან გვერდზე იხედებოდა, არ უნდოდა დაენახა, რას აკეთებდა მამამისი.

– უკვე ყველაფერი დამთავრებულია, – თქვა მამამ და რაღაც ჩააგლო ტაშტში.

ნიკმა არ შეხედა.

- ახლა უნდა გაიკეროს, - თქვა მამამ, - თუ გინდა შეხედე, თუ არ გინდა, ნუ შეხედავ; როგორც გინდოდეს, ნიკ. ჭრილობა უნდა გაეკერო.

ნიკი არ უყურებდა - ცნობისმოყვარეობა კარგა ხანია გაქრობოდა.

მამამ ჭრილობა გაკერა და წამოდგა. ბიძია ჯორჯი და სამი ინდიელიც ადგნენ. ნიკმა ტაშტი სამზარეულოში გაიტანა.

ბიძია ჯორჯმა მკლავზე დაიხედა. ახალგაზრდა ინდიელს კბენა გაახსენდა და გაიცინა.

- ზეჟანგს წავისვამ, ჯორჯ, - უთხრა ექიმმა ჯორჯს და ინდიელ ქალს გადახედა. ქალი წყნარად იწვა თვალდახუჭული. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მოუვიდა ბავშვს, ან რა ხდებოდა მის გარშემო.

- ხვალ დილას მოვალ, - თქვა ექიმმა და წამოდგა. სან-იგნასიდან შუადღისას მომვლელი ქალი მოვა, რაც საჭიროა, ყველაფერს მოიტანს.

ახლა ექიმი აღზნებული იყო და ლაპარაკი უნდოდა. ასე ემართებათ ხოლმე ფეხბურთელებს გამარჯვების შემდეგ.

- ეს შემთვევება სამედიცინო ჟურნალში უნდა აიწეროს, ჯორჯ, - თქვა მან - დასაკეცი დანით საკეისრო გაკვეთა და მზეზე გამხმარი ცხაფუტიანი ძარღვით ჭრილობის გაკერვა, მართლაც, იშვიათი შემთხვევაა.

ბიძია ჯორჯი კედელთან იდგა და მკლავს დაჰყურებდა.

- ნამდვილად შესანიშნავი ქირურგი ხარ, - თქვა მან.

- მოდი, გაბედნიერებულ მამასაც დაგხედოთ. ამ უბრალო ამბებს ყველაზე მწვავედ მამები განიცდიან, - თქვა ექიმმა. - თუმცა, ეს ძალიან წყნარად იყო!

ექიმმა ინდიელს საბანი გადახადა. ხელზე სისველე იგრძნო. ქვედა საწოლზე შედგა და კაცს დახედა. ყელგამოდარული ინდიელი კედლისკენ იყო გადაბრუნებული. საწოლზე სისხლის ტბა იდგა. ინდიელს თავი მარცხენა მკლავზე ედო. გახსნილი სამართალი საბანზე ეგდო.

- ჯორჯ, ნიკი გაიყვანე, - თქვა ექიმმა.

უკვე გვიან იყო. სამზარეულის კარებში მდგომმა ნიკმა ყველაფერი დაინახა, როდესაც მამამისმა ლამფა მიანათა ინდიელს და თავი გადაუწია.

თენდებოდა. ყველანი გზაზე გამოვიდნენ და ტბისკენ დაეშვნენ.

- ძალიან ვნანობ, რომ წამოგიყვანე, ნიკ. - თქვა მამამ, რომლის აგზნებული განწყობილება დამცხრალიყო. - რაღა ახლა მოხდა ეს ამბავი.

- მშობიარობა ყოველთვის ასე ძნელია? - იკითხა ნიკმა.

- არა, ეს იშვიათი გამონაკლისი იყო.

- რატომ მოიკლა თავი იმ კაცმა, მამიკო?

- არ ვიცი, ნიკ, ალბათ ვერ გაუძლო ამ ამბებს.

- ხშირად იკლავენ თავს კაცები, მამიკო?

- არა, ნიკ.
- ქალები?
- თითქმის არასოდეს.
- არასოდეს?
- ზოგჯერ კი.
- მამიკო!
- რა?
- სად წავიდა ბიძია ჯორჯი?
- მალე დაბრუნდება.
- ძნელია სიკვდილი, მამიკო?
- მე მგონი, ძალიან ადვილია. გააჩნია, როგორ მოკვდები.

ისინი ნავში ჩასხდნენ, ნიკი – კიჩოზე, მამა – ნიხებთან. მთებში მზე ამოდიოდა. ტბაში ქორჭილა გატლამუნდა და წყლის ზედაპირზე რგოლები რგოლები ათამაშდა. ნიკმა ჩაჰყო წყალში – დილის სუსხში თბილი ეჩვენა.

ალიონზე, ნავში მამის გვერდით მჯდომი ნიკი დარწმუნებული იყო, რომ არასოდეს არ მოკვდებოდა.

(თარგმანი ნ. წერეთლისა)

